

ადმინისტრაციული აქტი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
ადმინისტრაციულ საქმეებზე

2024, №8

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Administrative Cases
(in Georgian)

2024, №8

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Verwaltungssachen
(in der georgischen Sprache)

2024, №8

Решения Верховного Суда Грузии
по административным делам
(на грузинском языке)

2024, №8

გადაწყვეტილებების შერჩევა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი
ლიანა ლომიძე

ტექნიკური რედაქტორი
მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75; www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების
დეპარტამენტის მხარდაჭერით

საკიეპელი

1. სამედიცინო საქმიანობასთან დაკავშირებით
ადმინისტრაციული აქტის კანონიერება
სამედიცინო მომსახურების არაჯეროვნად მიჩნევის გამო
სამედიცინო სანქციის კანონიერება 4
პაციენტისთვის გაწეული მომსახურების არაჯეროვნად მიჩნევა
და ჯარიმის დაკისრების საფუძვლიანობა 22
2. განათლების მიღების საკითხთან დაკავშირებით ადმინისტრაციული
აქტის კანონიერება
პროფესიული განათლების აქტის კანონიერებასთან დაკავშირებით
აქტის კანონიერება 41
საზღვაო მეცნიერების ბაკალავრის კვალიფიკაციით
დიპლომის ნამდვილობა 81
შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის
გადაწყვეტილების კანონიერება 101
ბაკალავრის დიპლომის ნამდვილობის დადასტურებაზე
უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების კანონიერება 129
3. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების
მარეგულირებელი კომისიის აქტების კანონიერება
ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიატის მიერ
ბუნებრივი გაზის მრიცხველის შეცვლის კანონიერება 150
ელექტროენერგიის მომხმარებლისათვის მიწოდება და
მისი სიმძლავრის კონტროლი 175

1. სამედიცინო საქმიანობასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული აქტის კანონიერება

სამედიცინო მომსახურების არაჯეროვნად მიჩნევის გამო სამედიცინო სანქციის კანონიერება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-637(კ-20)

17 მაისი, 2023 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ქ. ცინცაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
გ. გოგიაშვილი**

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრი-
ვი აქტების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2017 წლის 11 სექტემბერს შპს „ა...მა“ სასარჩელო განცხადებით მი-
მართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა
კოლეგიას, მოპასუხის – სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო
რეგულირების სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელემ სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგული-
რების სააგენტოს 2017 წლის 30 ივნისის №კ/რ-901-84 რევიზიის აქტის,
2017 წლის 21 აგვისტოს №02/54082 გადაწყვეტილების ბათილად ცნო-
ბა და მოპასუხისათვის ექსპერტიზის ხარჯისა და სახელმწიფო ბაჟის
ანაზღაურების დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კო-
ლეგიის 2018 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილებით შპს „ა...ის“ სარჩელი
დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სამედიცინო საქმიანო-
ბის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს 2017 წლის 30 ივნისის №კ/
რ-901-84 რევიზიის აქტი; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სამედიცინო
საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს 2017 წლის 21 აგ-
ვისტოს №02/54082 გადაწყვეტილება; სსიპ სამედიცინო საქმიანობის
სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მოსარჩელის სასარგებლოდ და-
ეკისრა სახელმწიფო ბაჟის 100 ლარისა და ექსპერტიზის ჩატარებისათ-
ვის განუვლის ხარჯების 750 ლარის გადახდა.

სასამართლომ მიუთითა, რომ სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელ-

მნიშვნელოვანი რეგულირების სააგენტოს 2017 წლის 30 ივნისის № კ/რ-901-84 რეგულირების აქტის მიხედვით, პაციენტი ვ. ს-ე, 67 წლის, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის მიერ (დიაგნოზით: „მწვავე მუცელი“), 2016 წლის 24 ივლისის 08:26 საათზე მიყვანილ იქნა შპს „ა...ში“. გადაუდებელი დახმარების განყოფილების ექიმ მ. ა-ის (სერტიფიკატი „გადაუდებელი მედიცინა“) მიერ პაციენტის ჩივილების (ტკივილი მუცლის არეში, უპირატესად ეპიგასტრიუმში, გულისრევის შეგრძნება, ზოგადი საერთო სისუსტე. პირის სიმშრალე), ანამნეზისა (აღნიშნული ჩივილები პაციენტს დაეწყო წინა საღამოს) და – ობიექტური ($t-36,7^{\circ}\text{C}$, Cor -ტონები მოყრუებული, რითმული, T/A-140/80mmHg , P-100 , R-20 , $\text{SpO}_2-96\%$...) გასინჯვის საფუძველზე დაისვა წინასწარი დიაგნოზი: „მწვავე პანკრეატიტი“ და მიეცა დანიშნულება ($\text{NaCl } 0.9\%-500.0$, ნო-შპა 2.0 სპაზმალგონი 5 მლ, ზანტაკი 20.0).

2016 წლის 24 ივლისის 11:30 სთ. ექიმ გ. ვ-ას (სერტიფიკატი „ზოგადი ქირურგია“) მიერ, პაციენტის ჩივილების (ძლიერი ინტენსივობის ტკივილი ეპიგასტრიუმსა და მარჯვენა ფერდქვეშა არეში, გულისრევის შეგრძნება, პირღებინების რამოდენიმე ეპიზოდი, საერთო სისუსტე), ანამნეზის (23.07.16 წ. საღამოს აღნიშნა ტკივილი მუცლის ზედა ნახევარში), ობიექტური (T/A-130/85mmHg , P-105 , $\text{E-36.7}^{\circ}\text{C}$, ენა მშრალი, უნადებო, მუცელი შებერილი, პალპაციით, ძლიერ მტკივნეული ეპიგასტრიუმსა და მარჯვენა ფერდქვეშა არეში, პერიტონეალური სიმპტომები (-) პერისტალტიკა დაუნე, კუჭის მოქმედება ჰქონდა წინა საღამოს – ჩვეულებრივი ფერის და კონსისტენციის...), ლაბორატორიული (ლეიკოციტოზი- 15.52 , ჩხირბირთვიანი- 7% , სეგმენტბირთვიანი – 78% , $\text{P-ამილაზა } 742.8\text{u/l}$) და კომპიუტერული ტომოგრაფიის („მწვავე პანკრეატიტი, ქოლეცისტიტი“) მონაცემების საფუძველზე, დაისვა კლინიკური დიაგნოზი: „მწვავე პანკრეატიტი K85.9 , ნალვლის ბუშტის ქვები ქოლეცისტიტის გარეშე K80.2 “, პაციენტი მოთავსდა ქირურგიულ განყოფილებაში და მიეცა დანიშნულება ($\text{NaCl } 0.9\%-500.0$, რინგერი 500.0 , ნო-შპა, სპაზმალგონი, ზანტაკი, ცეფტა).

2016 წლის 30 ივლისის 12:00 სთ. (ჰოსპიტალიზაციიდან მე-6 დღეს) დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში ($t-36.5^{\circ}\text{C}$, T/A-160/100mmhg , P-76 , მუცელი პალპაციით რბილი, უმტკივნეულო, პირებზე გადიოდა, კუჭის მოქმედება ჰქონდა წინა საღამოს – ჩვეულებრივი ფერის და კონსისტენციის), პაციენტი გაწერილ იქნა ბინაზე ამბულატორიული მკურნალობის რეკომენდაციით (ექიმი გ. ვ-ა). დასკვნითი კლინიკური დიაგნოზი: მწვავე პანკრეატიტი დაუზუსტებელი K85.9 , ნალვლის ბუშტის კალკულოზი K80.2 . დანესებულების ადმინისტრაციის მიერ მიწოდებული ინფორმაციით: პაციენტი ვ. ს-ისათვის 2016 წლის 24 ივლისიდან 2016 წლის 30 ივლისის განეული სამედიცინო მომსახურების ღირებულებამ

შეადგინა 1631.00 ლარი, რაც ანაზღაურებული იყო პროგრამის განმა-
ხორციელებლის მიერ.

მე-2 ეპიზოდი: 2016 წლის 01 აგვისტო 18:03 სთ. (განერიდან 24 საათის
შემდეგ), პაციენტი ვ. ს-ე, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის
მიერ (დიაგნოზით: „მუცლის და მენჯის ტკივილი“), მიყვანილ იქნა შპს
„ა...ში“ (სტაციონარული პაციენტის სამედიცინო ბარათი № 1 1090). გადა-
უდებული დახმარების განყოფილების ექიმ მ. ა-ის მიერ, პაციენტის ჩი-
ვილების (ტკივილზე მუცლის არეში, გულისრევის შეგრძნებაზე, პირის
სიმშრალეზე, საერთო სისუსტეზე), ანამნეზის (აღნიშნული ჩივილები და-
ენყო დილით) და ობიექტური გასინჯვის (ზოგადი მდგომარეობა დამაკ-
მაყოფილებელი, კანი N-შეფერილობის, $t-36.3^{\circ}\text{C}$, $T/A-150/68\text{mmHg}$, $P-98$,
 $SpO_2-92\%$, ენა მშრალი, მუცელი რბილი, მტკივნეული მუცლის ზედა ნა-
ხევარში...) საფუძველზე დაისვა წინასწარი დიაგნოზი: „მწვავე მუცელი“.
დაიგეგმა გამოკვლევები (ეკგ, სისხლისა და შარდის 11 ანალიზი, AST,
MCV, კოაგულოგრამა, P- ამილაზა, მუცლის ღრუს ექოსკოპია) და მიეცა
დანიშნულება ($\text{NaCl } 0.9\%-500.0$, ნო-შპა, სპაზმალგონი, ოქსიგენოთერა-
პია). 2016 წლის 01 აგვისტოს 18:10 სთ. (კლინიკაში მიყვანიდან 7 წუთში)
მორიგე ექიმ გ. ვ-ას მიერ, პაციენტის ჩივილების (ძლიერი ინტენსივობის
ტკივილზე მუცლის ზედა ნახევარში, გულისრევის შეგრძნებაზე, საერ-
თო სისუსტეზე), ანამნეზისა (დილის საათებში აღენიშნა ტკივილი მუც-
ლის ზედა ნახევარში) და ობიექტური გასინჯვის ($t-36.3^{\circ}\text{C}$, $T/A-150/68\text{mmHg}$,
 $P-98$, მუცელი ზომიერად შებერილი, პალპაციით ძლიერ მტკივნეული ეპი-
გასტრიუმისა და მარჯვენა მუშა არეში, პერიტონეალური სიმპტომები
უარყოფითი, პერისტალტიკა დუნე, კუჭის მოქმედება ჰქონდა წინა ღა-
მეს ჩვეულებრივი ფერის და კონსისტენციის...) გათვალისწინებით, დი-
აგნოზის ვერიფიცირების მიზნით, რეკომენდებულ იქნა მუცლის ღრუს
ულტრაბგერითი კვლევა. 18:15 სთ. ჩატარებული ულტრაბგერითი კვლე-
ვით: ნაღვლის ბუშტი ოვალური ფორმის, კედლის სისქე – 3.1 მმ, ღრუში
კონკრემენტები ზომით 8-11 მმ; პანკრეასის კონტური სადა, ექოგენობა
ჰომოგენური, ექოსტრუქტურა ნვრილმარცვლოვანი, ზომები: თავი-30
მმ, სხეული-15 მმ, კუდი – 26 მმ (ექიმი ვ. გ-ი, სერტიფიკატი „რადიოლო-
გია“). 2016 წლის 01 აგვისტოს 22:00 სთ (კლინიკაში მიყვანიდან 4 საათში)
მკურნალი ექიმის გ. ვ-ას ჩანაწერის მიხედვით: პაციენტი უჩიოდა ძლიე-
რი ინტენსივობის ტკივილს მუცლის ზედა ნახევარში, გულისრევის შეგ-
რძნებას, საერთო სისუსტეს. დიაგნოზით: „დაუზუსტებელი ტკივილი
მუცლის არეში“, პაციენტი მოთავსდა ზოგად ქირურგიულ განყოფილე-
ბაში (დანიშნულება $\text{NaCl } 0.9\%-500.0$, რინგერი 500.0, სპაზმალგონი 5.0,
ნო-შპა 2.0). 2016 წლის 02 აგვისტოს 11:00 სთ (ჰოსპიტალიზაციიდან 18
საათში და ქირურგიულ განყოფილებაში მკურნალობიდან 13 საათში) ექიმ
ვ. ვ-ას ჩანაწერის მიხედვით: პაციენტის ზოგადი მდგომარეობა გაუა-

რესდა, ტკივილის ინტენსივობამ ძლიერი იმატა, უჩიოდა გულისრევის შეგრძნებას, პირის სიმშრალეს, საერთო სისუსტეს, ერთჯერადად-ღებინება. 15:00 სთ. (პაციენტის მდგომარეობის გაუარესებიდან და პერიტონეუმის გაღიზიანების ნიშნების გამოვლენიდან 4 საათის შემდეგ) ჩატარებული ულტრაბგერითი კვლევის („...პანკრეასის თავის მიმდებარედ, კუჭუკანა არეში, პარაპანკრეატულად ვლინდებოდა არაერთგვაროვანი ექოგენობის გამონაჟონი, შემოფარგლული კუჭუკანა არეში“) საფუძველზე დაისვა დიაგნოზი: „მწვავე მუცელი“ და დაიგეგმა სასწრაფო ოპერაციული მკურნალობა (ლაპარატომია, რევიზია, ოპერაციის საბოლოო მასშტაბი და ტაქტიკა უნდა გადაწყვეტილიყო ინტრაოპერაციულად (ექიმი ვ. ვ-ა). ოპერაციის პროტოკოლის №318 მიხედვით: 2016 წლის 02 აგვისტოს 17:00 სთ.-20:00 სთ. (ჰოსპიტალიზაციიდან დაახლოებით 23 საათში და პაციენტის მდგომარეობის გაუარესებიდან/პერიტონეუმის გაღიზიანების ნიშნების გამოვლენიდან 6 საათში) ენდოტრაქეალური ნარკოზით, ჩატარდა ოპერაცია: „ლაპაროტომია, ულცეროზოფია, ქოლეცისტექტომია, მუცლის ღრუს სანაცია, დრენირება-ტამპონირება, ლაპაროსტომის ფორმირება“. ინტრაოპერაციული დიაგნოზი: „თორმეტგოჯა ნაწლავის პერფორაცია“. ოპერაციის პროტოკოლის №195 მიხედვით: 2016 წლის 05 აგვისტოს 11:00 სთ. – 12:45 სთ. ჩატარდა ოპერაცია: „გეგმიური სანაციური რელაპაროტომია, მუცლის ღრუს სანაცია, დრენირება, ტამპონირება“, მუცელი დაიხურა ყრუდ. ინტრაოპერაციული დიაგნოზი: „თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის პერფორაცია, ოპერაცია-ულცეროზოფია, ქოლეცისტექტომია, მუცლის ღრუს სანაცია-დრენირება“ (ოპერატორი ექიმი ვ. ვ-ა). 2016 წლის 06 აგვისტოს 16:20 სთ. – 17:00 სთ. ექიმ ი. კ-ის ჩანაწერის მიხედვით: კარდიომონიტორზე დაფიქსირდა ასისტოლია. რეანიმაციული ღონისძიების მიუხედავად, 2016 წლის 06 აგვისტოს 17:00 სთ. დაფიქსირდა პაციენტის ბიოლოგიური სიკვდილი. დასკვნის კლინიკური დიაგნოზი: ძირითადი დაავადება: „თორმეტგოჯა ნაწლავის მწვავე წყლულის პერფორაცია“; ძირითადი დაავადების გართულება: „სუნთქვის მწვავე უკმარისობა, სეპტიური შოკი, გულსისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა, გულის გაჩერება“ მკურნალი ექიმი ი. კ-ე.

დამდგარ შემთხვევაზე (№1394341944), შპს „ა...ის“ მიმართ განსაზღვრულმა ფინანსურმა სანქციამ (დამატებითი ფინანსური ჯარიმა) სულ შეადგინა 5046.00 (ხუთი ათას ორმოცდაექვსი) ლარი.

2017 წლის 31 ივლისს, შპს „ა...ის“ დირექტორმა ი. ბ-ემ ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს და სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს 2017 წლის 30 ივნისის №კ/რ-901-84 რევიზიის აქტის ბათილად ცნობა მოითხოვა. სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს 2017 წლის 21 აგვისტოს

№02/54082 გადაწყვეტილებით შპს „ა...ის“ ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ საქმეზე დადგინებულ ფაქტობრივ გარემოებებზე, მტკიცებულებებსა და წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნებზე მითითებით აღნიშნა, რომ სადავო ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტებით სამედიცინო დაწესებულების მიერ არასათანადო მკურნალობის განეცხადების ფაქტი დადგინდა ისე, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს თავის გადაწყვეტილებაში საფუძვლიანად არ უმსჯელია საქმეზე წარდგენილ დოკუმენტაციაზე. ადმინისტრაციულმა ორგანომ სრულყოფილად არ გამოიკვლია საქმის გარემოებები, არ დაადგინა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტები, მოპასუხეზე ისე მიიღო სადავო გადაწყვეტილება, რომ არ შეუფასებია წარდგენილი მტკიცებულებები ერთობლიობაში და სათანადოდ არ დაუსაბუთებია მიღებული გადაწყვეტილება. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილების საფუძვლები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 27 ნოემბრის განჩინებით, სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს საპროცესო უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 11 დეკემბრის განჩინებით სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატის შეფასებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები და მართებული შეფასება მისცა მათ. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციულ ორგანომ ისე მიიღო სადავო გადაწყვეტილებები, რომ სრულყოფილად არ გამოიკვლია საქმის გარემოებები, არ დაადგინა და არ შეაფასა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 11 დეკემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასა-

ჩივრა სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 31 ივლისის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს საკასაციო საჩივარი.

კასატორი მიუთითებს შპს „ა...ში“ პაციენტ ვ. ს-ის მკურნალობის მე-2 ეპიზოდის (01.08.16 წ. – 06.08.16 წ.) მიმართ გამოთქმულ შენიშვნებზე, არასრულყოფილი – სადიაგნოსტიკო ღონისძიებებისა და დავიანებული ოპერაციული მკურნალობის თაობაზე და აღნიშნავს, რომ განერიდან 54 საათში ჰოსპიტალიზაციისას (01.08.16 წ. 18:03 სთ.), მიღების მორიგე ექიმის მიერ დადგენილი დიაგნოზის („მწვავე მუცელი“) მიუხედავად, არ ჩატარდა ურგენტულ შემთხვევაში, დიაგნოზის ვერიფიცირებისთვის მოწოდებული სადიაგნოსტიკო ღონისძიებები: მუცლის ღრუს რენტგენოლოგიური და კომპიუტერულ-ტომოგრაფიული კვლევები (რაზედაც მიუთითებდნენ რეცენზენტები).

რაც შეეხება ჩარევის დროულობას, მუცლის ღრუს საკონტროლო ულტრაბერითი კვლევა ჩატარდა პაციენტის მდგომარეობის გაუარესებიდან/პერიტონეუმის გაღიზიანების ნიშნების გამოვლენიდან (02.08.16 წ. 11:00 სთ.) 4 საათში (15:00 სთ.); ოპერაცია ჩატარდა (02.08.16 წ. 17:00 სთ. – 20:00 სთ.) ჰოსპიტალიზაციიდან 23 საათში, პაციენტის მდგომარეობის გაუარესებიდან/პერიტონეუმის გაღიზიანების ნიშნების გამოვლენიდან 6 საათში და სასწრაფო ოპერაციული მკურნალობის გადაწყვეტილების მიღებიდან 2 საათში. „სამედიცინო ჩარევების კლასიფიკაციისა და ამბულატორიული სერვისის მიმწოდებლის მინიმალური მოთხოვნების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური მინისტრის №01-25/ნ ბრძანებით (19.06.2013 წ.) დამტკიცებული „სამედიცინო ჩარევების კლასიფიკაციის“, თანახმად, ჩარევა იყო „სასწრაფო-დაყოვნებული ინტერვენცია“, თუმცა, მკურნალობის მეორე ეპიზოდში (01.08.16 წ.) განეული სამედიცინო დახმარება იყო დავიანებული, ვინაიდან სასწრაფო ოპერაცია 12-გოჯა ნაწლავის პერფორაციის გამო, დაიწყო პაციენტის კლინიკაში შემოსვლიდან 23 საათში. სასწრაფო ოპერაცია გაკეთდა მდგომარეობის დამძიმების და გაუარესების შემდეგ.

01.08.16 წ. ინტრაოპერაციულად გამოვლენილი გართულებებმა (ინფილტრატის გავრცელება) განაპირობა ოპერაციის ტექნიკური სირთუ-

ლევები (რეზექციის შესრულება ტექნიკურად შეუძლებელი გახდა), რის გამოც განხორციელდა („ლაპაროტომია, ულცეროზოფია, ქოლეცისტექტომია, მუცლის ღრუს სანაცია, დრენირება-ტამპონირება, ლაპაროსკომის ფორმირება“) და დადგა განმეორებითი ჩარევის/ოპერაციის საჭიროება: 05.08. 16 წ. 11:00 სთ. – 12:45 სთ. ჩატარდა ოპერაცია: „გეგმიური სანაციური რელაპაროტომია, მუცლის ღრუს სანაცია, დრენირება, ტამპონირება“, მუცელი დაიხურა ყრუდ (ინტრაოპერაციული დიაგნოზი: „თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის პერფორაცია, ოპერაცია-ულცეროზოფია, ქოლეცისტექტომია, მუცლის ღრუს სანაცია-დრენირება“). ამასთან, აღსანიშნავია, რომ შპს „ა...ის“ მიერ არ/ვერ იქნა საპირწონე დასკვნა წარმოდგენილი, რომლითაც დასაბუთებულად გააქარწყლებდა სააგენტოს პოზიციას.

სასამართლოს თავის დასაბუთებაში არ გამოუყენებია „საექიმო საქმიანობის შესახებ“, „პაციენტის უფლებების შესახებ“ და „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონები, რომლის დანაწესიც, არ ათავისუფლებს სამედიცინო სერვისის მიმწოდებელ ფიზიკურ (დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტი) თუ იურიდიულ (სამედიცინო დაწესებულება) პირს, სამედიცინო/საექიმო საქმიანობის (პროფესიული მოვალეობის აღსრულება) განხორციელებისას, იხელმძღვანელოს „პაციენტის უფლებების შესახებ“, „საექიმო საქმიანობის შესახებ“ და „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული, პაციენტის ჯანმრთელობის დაცვის ძირითადი პრინციპებით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 14 დეკემბრის განჩინებით სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით.

სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის განხილვა შედგა 2023 წლის 22 თებერვალს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 12 აპრილის განჩინებით სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, საქმის მასალების გაცნობის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებუ-

ლობის და საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო პირველ რიგში მიუთითებს, რომ განსახილველ საქმეში დავის საგანს პაციენტ ვ. ს-ისათვის, შპს ა...ში“ განუთლი (01.08.16 წ. 18:03 – 2.08.16 წ. 20:10 სთ.) სამედიცინო მომსახურების არასრულად/არაჯეროვნად მიჩნევის გამო, მოსარჩელის მიმართ ფინანსური სანქციის 5046 ლარის ოდენობით (პაციენტისათვის განუთლი სამედიცინო მომსახურების – 1682 ლარის სამმაგი ოდენობა) განსაზღვრის კანონიერება და მოპასუხისათვის ექსპერტიზის ხარჯების დაკისრების საფუძვლიანობა წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს სადავო პერიოდში მოქმედ „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომლის მე-4 მუხლის „ა“-„გ“ და „კ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის პრინციპებია: ა) მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების საყოველთაო და თანაბარი ხელმისაწვდომობა სახელმწიფოს ნაკისრი სახელმწიფო სამედიცინო პროგრამებით გათვალისწინებული ვალდებულების ფარგლებში; ბ) ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა, პაციენტის პატივის, ღირსებისა და მისი ავტონომიის აღიარება; გ) ექიმისა და სხვა სამედიცინო პერსონალის დამოუკიდებლობა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ფარგლებში; კ) პირველადი ჯანმრთელობის დაცვის, მათ შორის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების პრიორიტეტულობა, მათში სახელმწიფო და კერძო ს...ების მონაწილეობა, საოჯახო მედიცინისა და ოჯახის ექიმის ინსტიტუტის განვითარება და მასზე დაფუძნებული სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

მითითებული კანონის მე-5 მუხლის თანახმად, საქართველოს მოქალაქესა და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირს უფლება აქვთ, ისარგებლონ დადგენილი წესით დამტკიცებული ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული სამედიცინო დახმარებით, რასაც განახორციელებს სათანადო სამედიცინო საქმიანობის სამართალსუბიექტი, განურჩევლად საკუთრებისა და სამართლებრივი ფორმისა.

სადავო პერიოდში მოქმედი, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36-ე დადგენილებით დამტკიცებული საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის პირველი მუხლის თანახმად, პროგრამის მიზანია: ა) ჯანმრთელობის დაზღვევის არმქონე საქართველოს მოსახლეობისათვის შექმნას ფინანსური უზრუნველყო-

ფა სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობისათვის, კერძოდ: ა.ა) პირველადი ჯანდაცვის მომსახურებაზე მოსახლეობის გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა; ა.ბ) ამბულატორიული მომსახურების მოხმარების გაზრდა ძვირადღირებული და მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალური მომსახურების მოხმარების რაციონალიზაციის მიზნით; ა.გ) მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება გადაუდებელ და გეგმიურ სტაციონარულ და ამბულატორიულ მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით. ბ) ამ დადგენილების 2¹ მუხლის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის №218 ან/და 2012 წლის 7 მაისის №165 დადგენილებებით განსაზღვრული შესაბამისი მოსარგებლეებისათვის შექმნას ფინანსური უზრუნველყოფა იმავე დადგენილებებით განსაზღვრული სადაზღვევო ვაუჩერის შესაბამის სამედიცინო მომსახურებებზე; გ) ჯანმრთელობის დაზღვევის არმქონე ვეტერანებისთვის შექმნას ფინანსური უზრუნველყოფა ამ დადგენილებით განსაზღვრული სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობისათვის.

ამავე პროგრამის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1.3-ის მე-2 პუნქტით განსაზღვრული პირობების მოსარგებლეები არიან საპენსიო ასაკის საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის, პირადობის ნეიტრალური მოწმობის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირები, საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირები, საქართველოში თავშესაფრის მაძიებელი პირები, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები, ასევე, საპენსიო ასაკის სახელმწიფო პენსიის მიმღები პირები, გარდა ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მოსარგებლეებისა.

მითითებული პროგრამა განსაზღვრავს, რომ პროგრამის ზედამხედველობა მოიცავს პროგრამის განხორციელებაზე ზედამხედველობას პროგრამით განსაზღვრული ღონისძიებების ეფექტიანი შესრულების მიზნით. პროგრამის ზედამხედველობას ახორციელებენ პროგრამის განმახორციელებელი (იმ პერიოდში – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო) და რეგულირების სააგენტო, დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში. პროგრამით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურების ზედამხედველობის სახეობები განისაზღვრება შემთხვევათა ტიპების შესაბამისად. თავის მხრივ, შემთხვევები კლასიფიცირდება შემდეგ ტიპებად: ა) გადაუდებელი სამედიცინო მომსახურება (ამბულატორიული და სტაციონარული); ბ) გეგმიური ამბულატორიული მომსახურება; გ) გეგმიური სტაციონარული მომსახურება. შემთხვევათა ზედამხედველობა მათ შორის მოიცავს მიმწოდებლის მიერ სამედიცინო მომსახურების გაწევისას ამავე დადგენილების №1 დანართის მე-20

მუხლის მე-5 პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების კონტროლს, რევიზიას ახორციელებს რეგულირების სააგენტო (მუხლი 9). რევიზიისას შესაძლებელია, გამოყენებული იქნეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის სამართლებრივი აქტით დამტკიცებული კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციები (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტები (პროტოკოლები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და რეცენზენტთა დასკვნები. რევიზიის დასრულების შემდეგ დგება აქტი, რომელსაც ხელს აწერენ სარევიზიო ჯგუფის წევრები და მიმწოდებელი მხარის პასუხისმგებელი პირები. აღმოჩენილი დარღვევების შემთხვევაში, აქტის საფუძველზე, მიმწოდებელს დაეკისრება ანაზღაურებული თანხის სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნება ან/და დამატებითი ფინანსური ჯარიმის გადახდა. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი მხარის წარმომადგენელი უარს აცხადებს აქტის ხელმოწერაზე, აქტში უნდა გაკეთდეს შესაბამისი შენიშვნა (მუხლი 16).

პროგრამის მე-19 მუხლის (მუხლი 19. საჯარიმო სანქციები) მე-9 პუნქტით დადგენილია, რომ იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელმა პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებაზე უარი განუცხადა პროგრამის მოსარგებლეს, ან მომსახურება გაუწია დაგვიანებით (მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გარდა), ან არასრულად, ან არაჯეროვნად, მიმწოდებელი იხდის ჯარიმას გასანევი/განეული მომსახურების ღირებულების სამმაგი ოდენობის სახით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს 2017 წლის 30 ივნისის №კ/რ-901-84 რევიზიის აქტის შესაბამისად, პაციენტ ვ. ს-ისათვის, შპს ა...ში“ განეული (01.08.16 წ. 18:03 სთ. – 2.08.16 წ. 20:10 სთ.) სამედიცინო მომსახურება არ ჩაითვალა სრულად/ჯეროვნად, რის გამოც მოსარჩელის მიმართ განისაზღვრა ფინანსური სანქცია 5046 ლარის ოდენობით (პაციენტისათვის განეული სამედიცინო მომსახურების – 1682 ლარის სამმაგი ოდენობა).

საქართველოს უზენაესი სასამართლო, მისი საკასაციო როლის და მიღებული ვადანყვეთილების სისწორის შემოწმების ფარგლების გათვალისწინებით აღნიშნავს, რომ საქმეზე ფაქტების დადგენა ქვედა ინსტანციის სასამართლოთა პრეროგატივაა, საკასაციო სასამართლო ამოწმებს ქვედა ინსტანციის სასამართლოთა მხრიდან კანონის გამოყენების და უკვე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისა და კანონთან რელაციის სისწორეს (საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 24 ნოემბრის №ბს-985(კ-20) განჩინება). განსახილველ საქმეში, სადავო საკითხი გა-

მოიწვევა სპეციფიკურობით და დაკავშირებულია სამედიცინო სფეროსთან, რომელიც მოითხოვს შესაბამისი საკითხის სიღრმისეულ და დეტალურ ცოდნას. ასეთ პირობებში, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სწორად შეფასებისათვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საქმეზე წარმოდგენილ კვალიფიციურ საექსპერტო დასკვნებს (არსებობის შემთხვევაში), მათ გამოკვლევასა და ურთიერთშედარებას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმეზე წარმოდგენილ რეცენზიებსა და სამედიცინო დასკვნებზე:

2017 წლის 08 მაისს საქართველოს ქირურგთა ასოციაციის პროფესორ – ბ. მ-ისა და ზოგადი ქირურგი – ი. კ-ის მიერ გაცემული №01-222 რეცენზიის მიხედვით, „მკურნალობის მეორე ეპიზოდში (01.08.16 წ.) განეული სამედიცინო დახმარება იყო ადეკვატური, მაგრამ დაგვიანებული, ვინაიდან სასწრაფო ოპერაცია თორმეტგოჯა ნაწლავის პერფორაციის გამო დაიწყო პაციენტის კლინიკაში შესვლიდან 23 საათში“.

2017 წლის 20 ივნისს საქართველოს ქირურგთა ასოციაციის პროფესორ – ბ. მ-ისა და ზოგადი ქირურგი – ი. კ-ის მიერ დამატებით გაცემული №01-240 რეცენზიის მიხედვით, როგორც ჩანანერებიდან ირკვეოდა – მკურნალობის პირველ ეპიზოდში (24.07.16-30.07.16 წ.) სადიაგნოსტიკო ღონისძიებები იყო დანიშნული დროულად და ადეკვატურად. დადგენილი დიაგნოზით: მწვავე პანკრეატიტი (მათ შორის დადასტურებული კომპიუტერული ტომოგრაფიით) მკურნალობა ჩატარდა ადეკვატურად და სრულად პაციენტი დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში გაენერა ბინაზე. ამ მკურნალობის მეორე ეპიზოდში (01.08.16 – 06.08.16) განეული სამედიცინო დახმარება იყო ადეკვატური, მაგრამ დაგვიანებული, ვინაიდან სასწრაფო ოპერაცია თორმეტგოჯა ნაწლავის პერფორაციის გამო დაიწყო პაციენტის კლინიკაში შესვლიდან 23 საათში, რაც საგანგებოდ მითითებული იყო მათსავე პირველ რეცენზიაში. როგორც ჩანანერებიდან ირკვეოდა ოპერაციის დაგვიანება გამოწვეული იყო მკურნალი ექიმის (თუ ექიმების) მოსაზრებით რომ მოხდა პანკრეატიტის (პირველი დიაგნოზი) გამწვავება, გართულება და შესაბამისად დაიწყო კონსერვატიული მკურნალობა. დინამიკაში დაკვირვებით, მდგომარეობის დამძიმების და გაუარესების შემდეგ გაკეთდა სასწრაფო ოპერაცია, შესაძლებელია სასწრაფოდ გაკეთებული მუცლის ღრუს მიმოხილვითი რენტგენოგრაფია ან კომპიუტერული ტომოგრაფია, რაც აუცილებელი იყო ურგენტულ სიტუაციაში და მათი დასკვნის საფუძველზე უნდა დაჩქარებულიყო ქირურგიული მკურნალობა. მსჯელობა ეყრდნობოდა სავარაუდო მოსაზრებებს, რის გამოც ობიექტური მიზეზის (თუ მიზეზების) დადგენა თუ რატომ დაგვიანდა ოპერაცია, იმის გათვალისწინებით, რომ მკურნალობის პირველ ეპიზოდში, მოქმედებები

(გამოკვლევა, მკურნალობა) იყო დროული, შეუძლებელი იყო. პასუხი მიღებული უნდა ყოფილიყო მკურნალი ქირურგის ახსნა-განმარტების საფუძველზე, სადაც ის დაასაბუთებდა თუ რა მიზეზით დაგვიანდა (ან არ დაგვიანდა) სასწრაფო ოპერაცია.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქმეზე ასევე წარდგენილია ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც ეწინააღმდეგება ზემოაღნიშნულ რეცენზიაში მითითებულ შეფასებებს. კერძოდ, დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტიზის ცენტრის – შპს „გ...ის“ მიერ 2017 წლის 14 აგვისტოს გაცემული №01-2-/21 დასკვნის მიხედვით, ექსპერტიზაზე წარდგენილი სამედიცინო დოკუმენტაციის მონაცემებით ა...ში (01.08.2016 – 06.08.2016 წ.) გ. ს-ის მიმართ წარმოებული ძირითადი კვლევები და სადიაგნოსტიკო პროცედურები ჩატარებული იყო სწორად და ეფექტურად. შესაძლებელი იყო დამატებითი კვლევების ჩატარება – მიმოხილვითი X-ray და კონტრასტული CT, თუმცა ისინიც ნაკლებ ინფორმაციული იქნებოდა დაავადების არატიპიური და არაცხადი კლინიკური მიმდინარეობის გამო, ვინაიდან სახეზე იყო თორმეტგოჯა ნაწლავის მწვავე წყლულის უკანა და არა წინა კედლის პერფორაცია, რომელიც როგორც წესი იძლევა მკაფიო და სწრაფ კლინიკურ სურათს (ძლიერი უეცარი ტკივილი, პერიტონიტი, თავისუფალი აირი მუცლის ღრუში და ა.შ.). ამავდროულად გასათვალისწინებელი იყო ერთი კვირით ადრე დადასტურებული და გადატანილი მწვავე პანკრეატიტი, რის გამოც პაციენტს უკვე ჩატარებული ჰქონდა მკურნალობა იმავე სამედიცინო დაწესებულებაში. ოპერაციული ჩარევები წარმოებული იყო ადექვატურად, სათანადო მასშტაბით და მოცულობით. პირველი ოპერაცია ჩატარებული იყო ჰოსპიტალიზაციიდან 23 საათში, ხოლო პაციენტის მდგომარეობის გაუარესების და დიაგნოზის დაზუსტების შემდეგ 6 საათში, რაც შეესაბამებოდა 2013 წლის 19 ივნისის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01-25/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სამედიცინო ჩარევების კლასიფიკაციისა და ამბულატორიული სერვისის მიმწოდებლების მინიმალური მოთხოვნების განსაზღვრის შესახებ“ დანართი №2 – სამედიცინო ინტერვენციების კლასიფიკაციის შესახებ, რომლის მეორე პუნქტით განსაზღვრული იყო, რომ სასწრაფო-დაუყოვნებელი ინტერვენციის გადწყვეტილება (რომელსაც მიეკუთვნებოდა აღნიშნული შემთხვევა) უნდა ყოფილიყო მიღებული არა უგვიანეს 24 საათისა, პირველი რიგის შემანარჩუნებელი მკურნალობის დასრულებიდან.

თბილისის საქალაქო სასამართლოში მოწმის სახით დაკითხულმა, პროფესორმა – ბ. მ-ემ განმარტა შემდეგი „რეცენზია ინერება ექიმებისათვის. გადაუდებელი დახმარება, სამედიცინო ლიტერატურის თანახმად, ხორციელდება 2-6-8-24 საათში. ცნობილია, რომ რაც უფრო დაგ-

ვიანებულია მკურნალობა, მით უფრო დიდი რისკია დაავადების გართულების. პაციენტის კლინიკაში შესვლიდან 23 საათში ჩატარებული ოპერაცია 24 საათიან ვადაში იყო ჩატარებული. პაციენტი ვ. ს-ისათვის 23 საათში ჩატარებული ოპერაცია ექიმების გულგრილობად ვერ იქნებოდა მიჩნეული, რადგან პაციენტის დაავადების მიმდინარეობა იყო შენიღბული პანკრეატიტით, სულ სხვა დაავადებით, თუმცა ეს ორივე დაავადება ანატომიურად ერთ ზონაში იყო, რაც აძნელებდა გამიზნულ დიაგნოსტიკას. ბ. მ-ემ აჩვენა, რომ მას, როგორც რეცენზენტს, არავითარი პრეტენზია არ გააჩნდა არც სამკურნალო დაწესებულების მიმართ და არც ექიმების მიმართ. პაციენტის სამედიცინო ისტორიიდან გამომდინარე, პირველი დაავადების მკურნალობა იყო სწორი, რაც გამოიხატა პაციენტის მდგომარეობის გაუმჯობესებაში, სახლში განერაში. რაც შეეხება პაციენტის მეორე მიმართვას კლინიკისადმი, პანკრეატიტს ჰქონდა რეციდივი, შესაძლებელი იყო დაავადების განმეორება მკურნალობის მიუხედავად. ვ. ს-ისათვის ოპერაცია დაგვიანებული იყო იმიტომ, რომ შენიღბული იყო კლინიკური მიმდინარეობა დაავადებისა და გასარკვევი იყო თუ რომელი დაავადება ჰქონდა პაციენტს, ამ შემთხვევაში ექიმის ბრალეულობა, ექიმის დაგვიანება არ იყო სახეზე, სწორი დიაგნოსტიკისათვის საჭირო იყო ის დრო რაც გასული იყო ოპერაციის ჩატარებამდე და შესაძლოა 2 დღეც კი დასჭირდეს დაავადების დაზუსტებას, რათა სწორი დიაგნოზი დაისვას. მოწმემ მიუთითა, რომ მეორე ჰოსპიტალიზაციაში დაავადება რომ ყოფილიყო პანკრეატიტი და გაკეთებულიყო ოპერაცია, პაციენტი რომც გადარჩენილიყო, მაინც იქნებოდა ექიმების შეცდომა. ვ. ს-ისათვის 23 საათზე ადრე ოპერაციის ვერ გაკეთებოდა ვერანაირად, დაგვიანება არ იყო არც კლინიკისა და არც ექიმების ბრალი. ისეთი ორი მაკონკურირებელი დაავადება იყო, რომლებიც საჭიროებდა სკურპულოზურ განცალკევებას ერთმანეთისაგან, მაშინ როდესაც პანკრეასი და თორმეტგოჯა ნაწლავი ანატომიურად უახლოესად არიან ერთმანეთთან. პანკრეასის ანთებისას კატეგორიულად იკრძალება დანის მიკარება განსხვავებით პერფორაციისაგან“.

საკასაციო სასამართლო აქვე მიუთითებს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 11 დეკემბრის სასამართლო სხდომაზე დაიკითხა ი. კ-ე, რომელმაც განმარტა, რომ მართალია რეცენზიაზე მისი ხელმოწერა იყო, თუმცა განსახილველ საკითხზე ვერ გააკეთებდა შესაბამის განმარტებებს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს თავისი სარჩელი და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები. მოპასუხე ვალდებულია წა-

რადგინოს წერილობითი პასუხი (შესაგებელი) და შესაბამისი მტკიცებულებები. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომელიც ადგენს, რომ სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა, ხოლო, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების ინსტიტუტს აქვს არა მარტო საპროცესო-სამართლებრივი, ისე მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობაც. შესაბამისი ფაქტის დაუმტკიცებლობის არახელსაყრელი შედეგები უნდა დაეკისროს იმ მხარეს, რომელსაც ამ ფაქტის დამტკიცება ევალებოდა.

განსახილველ შემთხვევაში, საქმეზე წარმოდგენილია ურთიერთსაწინააღმდეგო შინაარსის მქონე სამედიცინო შეფასებები, რომელთაგან ერთი ნაწილი მიუთითებს ექიმის/სამედიცინო დაწესებულების მხრიდან მიწოდებული სამედიცინო სერვისის დაგვიანებაზე/არაჯეროვანებაზე, ხოლო მეორე ნაწილი განუვლი მკურნალობის ჯეროვანებაზე. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსხვავებული დასკვნების არსებობის პირობებში, საკითხის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, კომპეტენტურმა ადმინისტრაციულმა ორგანომ საკითხის ხელახლა სრულყოფილად შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად სადავო საკითხთან დაკავშირებით უნდა გამოსცეს ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

საკასაციო სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ საქმეზე წარმოდგენილი – შპს „ვ...ის“ №01-2-/21 დასკვნა მომზადებულია 2017 წლის 14 აგვისტოს, სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს 2017 წლის 30 ივნისის №კ/რ-901-84 რევიზიის აქტის მიღების შემდგომ და 2017 წლის 21 აგვისტოს №02/54082 გადაწყვეტილების მიღებამდე, თუმცა ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებაში არ არის შეფასებული აღნიშნული დასკვნა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო აქტები გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე. ამასთან, იმ პირობებში, როდესაც სადავო საკითხი გამორჩევა სპეციფიკურობით და დაკავშირებულია სამედიცინო სფეროს-

თან, რომელიც მოითხოვს შესაბამისი საკითხის სიღრმისეულ და დეტალურ ცოდნას, ხოლო სადავო აქტი არ შეიცავს ადმინისტრაციული ორგანოს სათანადო დასაბუთებას, საკასაციო სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს 2017 წლის 30 ივნისის № კ/რ-901-84 რეგვიზის აქტის სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნობას (ამ მიმართებით საკასაციო სასამართლო მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილებაზე, საქმეზე – CASE OF LOPES DE SOUSA FERNANDES v. PORTUGAL (Application no. 56080/13), § 198-199.).

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96.1 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასების და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. ამავდემუხლის მეორე ნაწილის თანახმად, დაუშვებელია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძველად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, უფლებამოსილია, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად, ბათილად ცნოს იგი და ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. აღნიშნული დანაწესის გამოყენების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს სასამართლოს მხრიდან საქმის გარემოებების გამოკვლევისა და სადავო საკითხის არსებითად გადაწყვეტის შეუძლებლობა. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით მინიჭებულ უფლებამოსილებას სასამართლო იყენებს იმ შემთხვევაში, როცა სასამართლო წესით ვერ ხერხდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და შეფასება. მათი დადგენა მხოლოდ ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილებიდან გამომდინარე ან აღნიშნული საკითხი მის დისკრეციას განეკუთვნება. შესაბამისად, შეუძლებელი ხდება სასამართლოს მიერ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალური კანონიერების შეფასება. (საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალა-

ტის 2018 წლის 13 დეკემბრის №ბს-681-681(კ-18) გადაწყვეტილება).

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენების წინაპირობები. შესაბამისად, სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად უნდა იქნეს ცნობილი სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს 2017 წლის 30 ივნისის №კ/რ-901-84 რევიზიის აქტი და ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა დაევალოს საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

რაც შეეხება, სასარჩელო მოთხოვნას სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს 2017 წლის 21 აგვისტოს №02/54082 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციულ საჩივარს, როგორც უფლების დაცვის საშუალებას, მხარისათვის განსაკუთრებული ინტერესი გააჩნია. ადმინისტრაციული წარმოება ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების გადამოწმებას როგორც ფორმალური, ისე მატერიალური თვალსაზრისით. ამდენად, სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს (სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს) გასაჩივრებული აქტის კანონიერებისა და მიზანშეწონილობის გადამოწმების ვალდებულება წარმოეშვა მაღალი ხარისხით, თუმცა საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის შესახებ გადაწყვეტილებით დგინდება, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ არ გამოიკვლია საქმეში არსებული მტკიცებულებები, დამატებით არ შეაფასა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და არ გააკეთა დასაბუთებული დასკვნა სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს 2017 წლის 30 ივნისის №კ/რ-901-84 რევიზიის აქტის კანონიერებასთან დაკავშირებით. ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სახეზეა სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს 2017 წლის 21 აგვისტოს №02/54082 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე, არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს საკასაციო საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების საფუძველი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53.3 მუხლის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად

შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. ამავე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადანყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადანყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 10.2 მუხლის თანახმად, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმის გარემოებების სათანადო გამოკვლევის გარეშე, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია აანაზღაუროს პროცესის ხარჯები მის სასარგებლოდ გადანყვეტილების გამოტანის შემთხვევაშიც. ამდენად, სადავო საკითხის ასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე გადანყვეტის პირობებში, სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს შპს „ა...ის“ სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის სახით პირველი ინსტანციის სასამართლოში გადახდილი 100 ლარის ანაზღაურება.

ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილის თანახმად, პროცესის ხარჯები მოიცავს სასამართლოს ხარჯებს და სასამართლოს გარეშე ხარჯებს, სასამართლოს ხარჯი კი მოიცავს სახელმწიფო ბაჟს და საქმის განხილვასთან დაკავშირებულ ხარჯებს. ამავე კოდექსის 44-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯია ექსპერტებისათვის მისაცემი თანხები. საქმეში წარმოდგენილია დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტიზის ცენტრის „ვ...ი“-სა და მოსარჩელეს შორის 2017 წლის 26 ივლისს დადებული ხელშეკრულება №07/12. ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოს ღირებულება შეადგენს 750 ლარს. ამდენად, მოპასუხეს – სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უნდა დაეკისროს მოსარჩელის მიერ ექსპერტიზის ჩატარებისათვის გაწეული ხარჯების 750 (შვიდას ორმოცდაათი) ლარის გადახდა.

ასევე, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოსარჩელეს, თბილისის საქალაქო სასამართლოში აღძრულ სარჩელზე 2017 წლის 08 სექტემბერს გადახდილი აქვს სახელმწიფო ბაჟი 151,40 (ას ორმოცდათერთმეტი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარის ოდენობით, საიდანაც 51.40 ლარი არის ბიუჯეტში ზედმეტად გადახდილი თანხა და ექვემდებარება მოსარჩელისათვის დაბრუნებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, ამავე კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილით და 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 257-ე და 411-ე მუხლებით და

გ ა ლ ა ნ ე შ ი ტ ა:

1. სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 11 დეკემბრის განჩინება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. შპს „ა...ის“ სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

4. სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს 2017 წლის 30 ივნისის №კ/რ-901-84 რევიზიის აქტი და სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს დავალოს, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შეფასების და გამოკვლევის შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა;

5. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს 2017 წლის 21 აგვისტოს №02/54082 გადაწყვეტილება;

6. სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს შპს „ა...ის“ სასარგებლოდ დაეკისროს მის მიერ საქალაქო სასამართლოში სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 100 (ასი) ლარის და ექსპერტიზის ჩატარებისათვის განეული ხარჯების 750 (შვიდას ორმოცდაათი) ლარის ანაზღაურება;

7. შპს „ა...ის“ დაუბრუნდეს მის მიერ სარჩელზე 2017 წლის 08 სექტემბერს გადახდილი სახელმწიფო ბაჟის თანხიდან – 151.40 (ას ორმოცდათერთმეტი ლარი და 40 თეთრი) ლარიდან (საგადასახადო დავალება №1, ხაზინის ერთიანი ანგარიშის რეკვიზიტები: ბანკის დასახელება – ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, სახაზინო კოდი 300773150), ზედმეტად გადახდილი თანხა – 51.41 (ორმოცდათერთმეტი ლარი და 41 თეთრი) ლარი;

8. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**პაციენტისთვის განუხლები მომსახურების არაჯეროვნად
მიჩნევა და ჯარიმის დაკისრების საფუძველიანობა**

**გადანყვებითილება
საქართველოს სახელმთ**

№ბს-446(კ-22)

25 ივლისი, 2023 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: გ. მაკარიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
თ. ოქროპირიძე,
ქ. ცინცაძე**

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრი-
ვი აქტების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

1. შპს „...ის“ წარმომადგენელმა სასარჩელო განცხადებით მიმართა
ბოლნისის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხის – სსიპ სამედიცინო და
ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელემ მოითხოვა: ა) ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ სამედი-
ცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს 2020 წლის 3
თებერვლის №ს/რ-115-13 რევიზიის აქტი; ბ) ბათილად იქნეს ცნობილი
სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს
2020 წლის 9 ივნისის №02/6538 გადანყვეტილება საჩივრის დაკმაყო-
ფილებაზე უარის თქმის შესახებ.

მოსარჩელის განმარტებით, პაციენტი ი. ს-ის სამედიცინო დოკუმენ-
ტაცია სარეცენზიოდ გადაეგზავნა სსიპ ... უნივერსიტეტს. რეცენზენ-
ტთა დასკვნის გათვალისწინებით, შპს „...ს“ დაეკისრა ჯარიმა საქარ-
თველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილების
მე-19 მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე 30 931,2 ლარის ოდენობით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის
პირველ, მე-2 და მე-6 პუნქტებზე, ამავე მუხლის მე-7 პუნქტის „ა“ ქვე-
პუნქტზე, 96-ე მუხლზე მითითებით მოსარჩელე აღნიშნავს, რომ რევი-
ზიის აქტში არ არის განმარტებული, თუ რომელი სამართლებრივი ნორ-
მის საფუძველზე განაცხადეს რეცენზენტებმა ინფექციონისტის ჩარ-
თვის მიზანშეწონილობის შესახებ. ასევე, რევიზიის აქტში არ არის და-
საბუთებული, თუ რა დადებითი შედეგი შეიძლება გამოეღო ინფექცი-
ონისტის ჩართვას. უცნობია ჩატარდა თუ არა ადმინისტრაციული წარ-
მოება სადავო საკითხთან დაკავშირებით. აქტის გამომცემი ორგანოს
მიერ დარღვეულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექ-

სის მე-13 მუხლი, რადგან სააგენტოს წარმომადგენლების მიერ საკითხის შესწავლა განხორციელდა კლინიკაში, მათ წარედგინათ მხოლოდ ექიმ-სპეციალისტთა ახსნა-განმარტებები, ხოლო შპს „...ისათვის“ სრულიად უცნობი იყო რეცენზენტთა ჩართულობის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მის მიერ რეცენზენტებსა და სააგენტოს წარედგინებოდათ შპს „...ის“ სამართლებრივი არგუმენტაცია კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით. მხარისთვის მოსაზრების წარდგენის უფლების შეზღუდვაზე გამონაკლისს ადგენს კანონი, თუმცა დაინტერესებულ პირს უნდა ეცნობოს ადმინისტრაციული წარმოების შესახებ, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მისი მონაწილეობა საქმეში. მოსარჩელეს ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ არავითარი შეტყობინება არ მიუღია. შესაბამისად, მოსარჩელემ ვერ შეძლო კანონმდებლობით მინიჭებული უფლების რეალიზება – ადმინისტრაციული ორგანოსთვის წარედგინა მოსაზრებები, ასევე რეცენზენტთა დასკვნის საპასუხო არგუმენტები.

2. ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 1 მარტის გადაწყვეტილებით შპს „...ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სადავო საკითხის გადაწყვეტილად, ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს 2020 წლის 3 თებერვლის №ს/რ-115-13 რევიზიის აქტი და 2020 წლის 9 ივნისის №02/6538 გადაწყვეტილება. მოპასუხე სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს დაევალა, ბოლნისის რაიონული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შედეგად, ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

სასამართლომ მიუთითა საქმეზე დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: ა) სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტომ 2020 წლის 3 თებერვალს მიიღო №ს/რ-115-13 რევიზიის აქტი, რომლის თანახმად, საქართველოს მთავრობის №36 დადგენილების „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ №1 დანართის მე-19 მუხლის მე-9 პუნქტის გათვალისწინებით, რევიზიის შედეგად ბიუჯეტში გადასახდელმა თანხამ შეადგინა 30931.2 ლარი; ბ) სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს 2020 წლის 3 თებერვლის №ს/რ-115-13 რევიზიის აქტი გასაჩივრებულ იქნა №25641 ადმინისტრაციული საჩივრით და მოთხოვნილ იქნა ზემოაღნიშნული რევიზიის აქტის და მოსარჩელე შპს „...ის“ მიმართ დაკისრებული თანხების გადახდის ვალდებულების გაუქმება; გ) სსიპ სამედიცინო და ფარ-

მაცვეტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს 2020 წლის 9 ივნისის №02/6538 გადაწვეტილებით შპს „...ის“ ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა; დ) საქმეზე დაკითხული მონმის – გ. ა-ას განმარტებით, პროფესიით ექიმი და მუშაობს კლინიკა „...ში“ ანესთეზიისა და რეანიმაციის განყოფილების ნელინდნახევრის წინ იგი გაეცნო პაციენტის ისტორიას, რომელიც ეხებოდა დაავადებულ პაციენტს, რომელმაც სამი-ოთხი დღის დაგვიანებით მიმართა კლინიკას, იგი იმყოფებოდა რეანიმაციულ განხორციელებაში, პირველ ეტაპზე მოხდა მდგომარეობის სტაბილიზაცია, მაგრამ მალევე წინა პლანზე წავიდა ინფექციური გართულებები, სუნთქვის უკმარისობა, პაციენტი გადაყვანილ იქნა ხელოვნურ სუნთქვაზე, მკურნალობის დროს რამდენჯერმე შეიცვალა ანტიბიოტიკები, მიუხედავად აღნიშნულისა, ინფექციის დაძლევა ვერ მოხერხდა და პაციენტი გარდაიცვალა კლინიკა „...ში“. მისივე განმარტებით, პაციენტის მკურნალობა ნაწარმოებია სწორად, რაც შეეხება ანტიბიოტიკების ცვლილებას, აღნიშნულს რეგულაციები უშვებს, როდესაც ადამიანი იმყოფება რეანიმაციულ განყოფილებაში, მკურნალ რეანიმატოლოგს აქვს უფლება, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება ანტიბიოტიკის შეცვლასთან დაკავშირებით. მისივე განმარტებით, თავისივე დასკვნაში გააკეთა შენიშვნა, მასზედ, რომ ვინაიდან ანტიბიოტიკების ცვლილებამ არ მოიტანა შედეგი, მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ ყოფილიყო სეფსოლოგის, ინფექციონისტის კონსულტაცია. ინფექციონისტის ჩაურთველობა არ ნიშნავდა არასათანადო, არა-ჯეროვან მკურნალობის ჩატარებას. მოცემულ შემთხვევაში ინფექციონისტის კონსულტაცია ვერ შეცვლიდა მდგომარეობას.

„საქეიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონზე, „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილების დანართი №1-ით დამტკიცებულ „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ პირველი მუხლის „ა“ პუნქტზე, მე-3 მუხლზე, მე-4 მუხლის პირველ პუნქტზე, მე-20 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“ და „მ“ ქვეპუნქტებზე, მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტზე, მე-9 მუხლის პირველ, მე-2 და მე-4 პუნქტებზე, მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტზე, მე-16 მუხლის პირველ, მე-2, მე-3, მე-5 პუნქტებზე, მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტსა და ამავე მუხლის მე-9 პუნქტზე მითითებით სასამართლომ აღნიშნა, რომ სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტომ 2020 წლის 3 თებერვალს მიიღო №ს/რ-115-13 რევიზიის აქტი, რომლის თანახმად, საქართველოს მთავრობის №36 დადგენილების „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ №1 დანარ-

თის მე-19 მუხლის მე-9 პუნქტის გათვალისწინებით, რევიზიის შედეგად ბიუჯეტში გადასახდელმა თანხამ შეადგინა 30 931.2 ლარი.

ზემოაღნიშნული დადგენილების მე-20 მუხლის მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტზე, მე-19 მუხლის მესამე პუნქტის „ზ“ და „გ.ა“ ქვეპუნქტებზე, 15¹ მუხლის მე-2 პუნქტზე მითითებით სასამართლომ აღნიშნა, რომ სასამართლო ადმინისტრაციულ ორგანოს უტოვებს საბოლოო გადაწყვეტილების – ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის პრეროგატივას. ასევე, იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო დაადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის უკანონობასა და მოსარჩელის სუბიექტური უფლების ხელყოფას, ავალებს ადმინისტრაციულ ორგანოს გამოსცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რამდენადაც სასამართლო არ არის უფლებამოსილი, თვითონ განახორციელოს ადმინისტრაციული ორგანოსადმი კანონით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილსა და ამავე კოდექსის 96-ე მუხლზე მითითებით სასამართლომ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ სადავო საკითხთან დაკავშირებით მოსარჩელეს ისე უთხრა უარი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, რომ არ გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები და მათი ობიექტური შეფასების საფუძველზე არ მიიღო გადაწყვეტილება, კერძოდ, სადავო აქტი დაუსაბუთებელია და არ იძლევა პასუხს კონკრეტულად, რომელი მტკიცებულება, თუ გარემოება წარმოშობდა შპს „...ის“ მიმართ გამოყენებული საჯარიმო სანქციის აუცილებლობას. აღნიშნული გარემოება კი, საბოლოო ჯამში, მიუთითებს იმაზე, რომ სადავო აქტის მიღებისას მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ არ განახორციელა ადმინისტრაციული აქტის საფუძველად არსებული გარემოებების სათანადოდ გამოკვლევა და შეფასება. სრულყოფილად არ ჩაატარა ადმინისტრაციული წარმოება, არ გამოიკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები.

3. ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 1 მარტის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე სრულად უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 30 ივნისის განჩინებით სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 1 მარტის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქმეზე დადგენილ შემდეგ გარემოებებზე: ა) სტაციონარული პაციენტის სამედიცინო ბარათის (№ 1/54/37) მიხედვით, პაციენტი – ი. ს-ი (5 წლის) 15.01.18წ 18:30 სთ-ზე ჰოსპიტალიზირებულ იქნა შპს „...ში“, დიაგნოზით: „სუნთქვის მწვავე უკმარისობა“. სამედიცინო ბარათში ექიმ გ. ა-ის (სახ. სერტიფიკატი „ანესთეზიოლოგია-რეანიმატოლოგია“) ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ პაციენტს დაავადება დაეწყო სამი დღის წინ, ერთეული ხველით, ჭირვეულობით, აღარ იღებდა საკვებსა და სითხეს. ხველა გახდა ინტენსიური, გაძნელდა სუნთქვა, გამოიხატა ქოშინი, დაერთო ციანოზი, ცხელებამ იმატა 39.6°C. ანტიპირეტული საშუალების ფონზე პაციენტი მივარდა, გახდა ადინამიური, აჭრელდა, რის გამოც მოყვანილ იქნა კლინიკაში. პაციენტის ზოგადი მდგომარეობა კლინიკაში შესვლისას იყო უკიდურესად მძიმე, რაც განპირობებული იყო სუნთქვის მძიმე უკმარისობით. პაციენტს აღენიშნებოდა ერთეული სუნთქვა R-4-7), ნევროლოგიურად ცნობიერება იყო შეცვლილი, დიფუზური ციანოზი, მარმარილოსებრი სიჭრელე, შენებით ცივი, ცნობიერება შეცვლილი. Cor-ტონები მკვეთრად მოყრუებული. ანამნეზს ამძიმებდა ბავშვთა ცერებრული დამბლა ფსიქომოტორული განვითარების შეფერხებით. Cor-ტონები მკვეთრად მოყრუებული. Pulmo – აუსკულტაციით ორმხრივ მკვეთრად შესუსტებული სუნთქვის ფონზე ორივე ზედაპირზე კრეპიტაციული ხიხინი, ზემო წილებში მტვინავი ხიხინი. ჩატარდა ზედა სასუნთქი გზების სანაცია. დაწყებულ იქნა ვენტილაცია ამბუს თვითშლადი ტომრით. გამოხატული ჰიპოგლიკემიის გამო, ინტრავენურად შეყვანილ იქნა გლუკოზა. პაციენტი მოთავსდა რეანიმაციისა და ინტენსიური თერაპიის დეპარტამენტში, დიაგნოზით: „სუნთქვის მწვავე უკმარისობა“. მკურნალობაში ჩაერთო დოფამინი. დაინიშნა და ჩატარდა შემდეგი კლინიკო-ლაბორატორიული კვლევები: სისხლის საერთო ანალიზი, სისხლის ბიოქიმიური ანალიზი (CRP, Creatinini, ALT, AST, E-Stat, HCV), გულმკერდის რენტგენოგრაფია. რენტგენოგრამაზე გამოვლინდა ინფილტრაციული ცვლილებები, რის გამოც დაწყებულ იქნა ანტიბიოტიკოთერაპია. 16.01.18წ.-17.01.18წ. პაციენტის ზოგადი მდგომარეობა იყო უკიდურესად მძიმე. გრძელდებოდა ოქსიგენო და აეროზოლო თერაპია, მოცულობითი მხარდაჭერა კრისტალოიდური ხსნარებით. მიეწოდებოდა ჟანგბადი სველი წესით. მიმდინარეობდა ვიტალური პარამეტრების მუდმივი კონტროლი. ჩატარდა ერთი.მასის ტრანსფუზია, დინამიკაში დასტაბილურდა ჰემოგლობინ-ჰემატოკრიტის მაჩვენებლები, შემცირდა კრეატინინი. 18.01.18წ. პაციენტის მდგომარეობა დინამიკაში გაუარესდა. მოიმატა სუნთქვის მწვავე უკმარისობის ნიშნებმა, ჩატარებული რენტგენოლოგიური დასკვნის მიხედვით: მარჯვნივ პრეჰილარულად გამოისახა ინფილტრაციული ცვლილებები, მარცხნივ პილუსი გაფართოებული და ინფილტრირებული, ჰიპოვენტილირებული უბანი

ჰომოგენური დაჩრდილვის ხარჯზე, სინუსები თავისუფალი. პირის ღრუ-დან ჰემორაგიული ხასიათის გამონაჟონის ინტენსივობამ დინამიკაში იმა-ტა. ასევე, ჰემორაგიული გამონაჟონი დაფიქსირდა ცენტრალური ვენის კათეტერის ირგვლივ. შეიცვალა ანტიბიოტიკოთერაპია (მეროპენე-მი+ვანკომიცინი) გამოვლენილი მკვეთრი კოაგულაციური დარღვევების გამო განხორციელდა აგ ჭრანსფუზია. სუნთქვის უკმარისობის გაღ-რმავებისა და ზოგადი კლინიკური მონაცემების გათვალისწინებით პა-ციენტი გადაყვანილ იქნა ფ.ხ.ვ-ზე (21:00სთ). თრომბოციტოპენიის გამო ჩატარდა თრომბომასის ტრანსფუზია. მდგომარეობა რჩებოდა მძიმე. 19.01.18წ. - 11.02.18წ. პაციენტის მდგომარეობა იყო მძიმე. მიუხედავად მკურნალობისა, რენტგენოლოგიური და აუსკულტაციური მონაცემები მნიშვნელოვანი გაუმჯობესების გარეშე. კრიტიკული ანემიის გამო მიმ-დინარეობდა ერთი.მასისი ტრანსფუზია, ჩატარდა ნახველის და ცენტრა-ლური ვენის კათეტერის ბაქტერიოლოგიური კვლევა. ბაქტერიული კულ-ტურის ზრდა არ აღინიშნა. პაციენტის ზოგადი მდგომარეობა იყო პროგ-ნოზულად არაკეთილსაიმედო. პერიოდულად ხორციელდებოდა ტრაქე-ობრონქული ხის სანაცია, საიდანაც მიიღებოდა სისხლის შემცველი უხ-ვი რაოდენობის სეკრეტი. Cor-ტონები მოყრუებული, რითმული. Pulmo – აუსკულტაციით ორმხრივ მკვეთრად შესუსტებული სუნთქვის ფონზე დიფუზურად სხვადასხვა კალიბრის სველი ხიხინი. 03.02.18წ ჩატარებუ-ლი რენტგენოლოგიური კვლევაში გამოიხატა გაძლიერებული სისხლძარ-ღვოვანი სურათი, მარჯვნივ პრეჰილარულად გამოისახა ინფილტრაცი-ული ცვლილებები, მარცხნივ შუა ველში – კარდიალურად არაჰომოგე-ნური დაჩრდილვა, ჰილუსები მცირედ უსტრუქტურო, გაძლიერებული, მარჯვნივ სინუსი არ ნათდებოდა სრულად. 09.02.18 პაციენტის მდგომა-რეობა დინამიკაში გაუარესდა. 09.02.18წ ჩატარებული რენტგენოგრამა მკვეთრი ცვლილებების გარეშე. ჰემოდინამიკის სტაბილიზაციის მიზ-ნით უგრძელდებოდა ინოტროპული მხარდაჭერა. სისხლის საერთო ანა-ლიზში გამოვლინდა ღრმა ლეიკოპენია, ანემია, თრომბოციტოპენია, CRპ-265.5. 12.02.18წ. ჩატარებულ რენტგენოგრამაზე გამოვლინდა მარცხენა ფილტვის ველებში სრული ჰომოგენური დაჩრდილვა, ხოლო მარცხნივ ფილტვის ველში – სრული არაჰომოგენური დაჩრდილვა, სინუსები არ ნათდებოდა. მდგომარეობა შეფასდა სეპტიცემიად, მკურნალობაში შე-ტანილ იქნა ცვლილებები. ჰემოდინამიკის სტაბილიზაცია იყო გაძნელე-ბული, საჭიროებდა მასიურ ინფუზიურ თერაპიას. ნევროლოგიური სტა-ტუსი იყო უცვლელი. 13.02.18წ. 09:15 სთ-ზე პაციენტს აღენიშნა მყარი ჰიპოტენზია, ტენდეცია ბრადიკარდიის კენ, რასაც მოჰყვა გულის გაჩე-რება. საინტუბაციო მილიდან აღინიშნა ვარდისფერი, ქაფიანი ნახველი, უხვი რაოდენობით, დაწყებული გულ-ფილტვის რეანიმაციის მიუხედა-ვად, 10:00 სთ-ზე დაფიქსირდა ბიოლოგიური სიკვდილი. დასკვნითი დი-

აგნოზი: „სუნთქვის მწვავე უკმარისობა, პნევმონია დაუზუსტებელი, ბავშვთა ცერებრული დამბლა, მწვავე რესპირატორული დისტრეს სინდრომი, ანემია დაუზუსტებელი, კოაგულაციური დეფექტი დაუზუსტებელი, თრომბოციტოპენია დაუზუსტებელი, სეპტიცემია დაუზუსტებელი“; ბ) პაციენტი ი. ს-ის სამედიცინო დოკუმენტაცია სარეცენზიოდ (ანესთეზიოლოგია და რეანიმატოლოგია) გადაეგზავნა სსიპ „... უნივერსიტეტს“. სამედიცინო დოკუმენტაციის რეცენზიის დასკვნის მიხედვით: „იმის გათვალისწინებით, რომ პაციენტის მდგომარეობა, კონკრეტულად კი ფილტვების ვენტილაციური ფუნქცია, ასევე ფილტვების რენტგენოლოგიური და აუსკულტაციური მონაცემები, მიმდინარე ანტიბიოტიკოთერაპიის ფონზე არ უმჯობესდებოდა, მიზანშეწონილი იქნებოდა მკურნალობაში ინფექციონისტიის ჩართვა“; გ) სარეცენზიო დასკვნის გათვალისწინებით, სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტომ 2020 წლის 3 თებერვალს მიიღო №ს/რ-115-13 რევიზიის აქტი, რომლის თანახმად, საქართველოს მთავრობის №36 (21.02.2013წ) დადგენილების „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ №1 დანართის მე-19 მუხლის მე-9 პუნქტის გათვალისწინებით (იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელმა პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებაზე უარი განუცხადა პროგრამის მოსარგებლეს, ან მომსახურება გაუნია დაგვიანებით (მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გარდა), ან არასრულად, ან არაჯეროვნად, მიმწოდებელი იხდის ჯარიმას გასანევი/განეული მომსახურებისთვის განმახორციელების მიერ პროგრამით ასანაზღაურებელი/ანაზღაურებული თანხის ღირებულების სამმაგი ოდენობის სახით), დაწესებულებას დაეკისრა ჯარიმა ასანაზღაურებელი/ანაზღაურებული თანხის (10 310.40 ლარი) სამმაგი ოდენობით (სულ 30 931.2 ლარი); დ) სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს 2020 წლის 3 თებერვლის №ს/რ-115-13 რევიზიის აქტი ადმინისტრაციული საჩივრით გაასაჩივრა შპს „...ის“ წარმომადგენელმა, რომელმაც მოითხოვა რევიზიის აქტის ბათილად ცნობა და სამედიცინო დაწესებულების მიმართ დაკისრებული თანხების გადახდის ვალდებულების გაუქმება; ე) სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს 2020 წლის 9 ივნისის №02/6538 გადაწყვეტილებით შპს „...ის“ ადმინისტრაციული საჩივარი, არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატის განმარტებით, „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილება დეტალურად და იმპერატიულად ადგენს სააგენტოს მიერ რევიზიის დაწყების წინაპირობებს. სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს სადავოდ ქცეული, 2020 წლის 3 თე-

ბერგლის №ს/რ-115-13 რევიზიის აქტის თანახმად, შპს „...ში“ რევიზია დაწყებულ იქნა ქვემო ქართლის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის 2018 წლის 8 აგვისტოს №04-14/5834 წერილის საფუძველზე, თუმცა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საქმეში არ არის წარმოდგენილი მითითებული წერილი, შესაბამისად, ვერ დგინდება, თუ რა იყო მითითებული ამ წერილში, რითი იყო ახსნილი და რატომ იქნა მიჩნეული მიზანშეწონილად შპს „...ში“ რევიზიის ჩატარება.

პალატის მითითებით, გასაჩივრებული აქტები შინაარსობრივად სრულად ეყრდნობა სსიპ ... უნივერსიტეტის სამედიცინო დოკუმენტაციის რეცენზიას, რომელსაც ხელს აწერს მხოლოდ ერთი პირი, კლინიკა „...ის“ ანესთეზიისა და რეანიმაციის განყოფილების ... - გ. ა-ა. ამდენად, უდავოა, რომ დასკვნა პაციენტ ი. ს-ის მკურნალობის პროცესში ინფექციონისტის ჩართვის მიზანშეწონილობის შესახებ, წარმოადგენს მხოლოდ ექიმ გ. ა-ას პირად მოსაზრებას. იმის გათვალისწინებით, რომ სადავო საკითხი მიეკუთვნება მედიცინის სფეროს და მის შესაფასებლად საჭიროა სპეციალური ცოდნა, აქტის დასაბუთებად საკმარისი არ არის მხოლოდ ექიმ გ. ა-ას მოსაზრების გაზიარება. ადმინისტრაციულ ორგანოს წერილობით დასაბუთებაში უნდა მიეთითებინა იმ გარემოებებზე, თუ რით იქნა გამყარებული გ. ა-ას დასკვნა და რა არგუმენტების მოშველიებით იქნა გამოორიცხული საწინააღმდეგო პოზიციის მტკიცების შესაძლებლობა. მხოლოდ და მხოლოდ „...ის“ ანესთეზიისა და რეანიმაციის განყოფილების ...ის, გ. ა-ას მოსაზრება არ ქმნიდა საკმარის საფუძველს და არ ანიჭებდა ადმინისტრაციულ ორგანოს უფლებამოსილებას, ემსჯელა და მიეღო სადავო გადაწყვეტილება მოსარჩელისთვის საჯარიმო სანქციის დაკისრების შესახებ.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებზე, 53-ე მუხლის პირველ და მე-5 ნაწილებზე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილზე მითითებით პალატამ აღნიშნა, რომ სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს 2020 წლის 3 თებერვლის №ს/რ-115-13 რევიზიის აქტი და 2020 წლის 9 ივნისის №02/6538 გადაწყვეტილება გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების სათანადოდ გამოკვლევისა და შეფასების გარეშე.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 30 ივნისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

საკასაციო საჩივრის თანახმად, სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს, რომელიც სწავლობს პაცი-

ენტათვის განეულ სამედიცინო დახმარების ხარისხს, ხელშეკრულე-
ბა აქვს დადებული სსიპ ... უნივერსიტეტთან, რომელსაც სამედიცინო
დახმარების ხარისხის შესაფასებლად ეგზავნება პაციენტის სამედი-
ცინო დოკუმენტაცია, შესაბამისი მასალა (პრეპარატი, კტ. კვლევები
და ა.შ.), ექიმთა ახსნა-განმარტებები და მასში გამოთქმული შენიშვნე-
ბის საფუძველზე, შესაბამისი დარგის ექიმ-სპეციალისტთა ჩართულო-
ბით, კეთდება დასკვნა (რეცენზია). აღნიშნული ექსპერტები (რეცენ-
ზენტები) თავისი საქმიანობის ფარგლებში ხელმძღვანელობენ ქვეყა-
ნაში აღიარებული გაიდლაინით, პროტოკოლებით, არიან დამოუკიდე-
ბელნი, ობიექტურნი და ყოველგვარი სუბიექტური შეხედულების გა-
რეშე იძლევიან შესაბამის დასკვნას.

განსახილველ შემთხვევაში, სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული
საქმიანობის რეგულირების სააგენტოს უფროსის (№02-549/მ
21.09.2018წ.) ბრძანებისა და ქვემო ქართლის სოციალური მომსახურე-
ბის სამხარეო ცენტრის წერილის (№04-14/5834 08.08.2018წ.) საფუძ-
ველზე, შესწავლილ იქნა შპს „...ში“ პაციენტი. ს-ისათვის საყოველთაო
ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განეუ-
ლი სამედიცინო დახმარების საკითხი.

რეცენზენტთა დასკვნის თანახმად, „იმის გათვალისწინებით, რომ
პაციენტის მდგომარეობა, კონკრეტულად კი, ფილტვების ვენტილა-
ციური ფუნქცია, ასევე ფილტვების რენტგენოლოგიური და აუსკულ-
ტაციური მონაცემები, მიმდინარე ანტიბიოტიკოთერაპიის ფონზე არ
უმჯობესდებოდა, მიზანშეწონილი იქნებოდა მკურნალობაში ინფექ-
ციონისტის ჩართვა“. ამდენად, რეცენზიის დასკვნაში ერთმნიშვნელოვ-
ნად არის მითითებული, რა არგუმენტებზე დაყრდნობით არის დასკვნა
გამოტანილი, კერძოდ: „პაციენტის მდგომარეობა, კონკრეტულად კი
ფილტვების ვენტილაციური ფუნქცია, ასევე ფილტვების რენტგენო-
ლოგიური და აუსკულტაციური მონაცემები, მიმდინარე ანტიბიოტიკო-
თერაპიის ფონზე არ უმჯობესდებოდა“. აღნიშნული ცალსახად მიუთი-
თებს, რომ რეცენზენტს შესწავლილი აქვს როგორც რენტგენოლოგიუ-
რი დასკვნა, ასევე პაციენტის ობიექტური მდგომარეობის ამსახველი
მონაცემები და დასკვნა ინფექციონისტის ჩართვის მიზანშეწონილო-
ბაზე მოცემულ მონაცემებზე დაყრდნობით გამოიტანა. შესაბამისად,
სწორედ აღნიშნული დასკვნის საფუძველზე იქნა მიღებული სადავოდ
გამხდარი 03.02.20წ №ს/რ-115-13 რევიზიის აქტი, რომლის საწინააღ-
მდეგ დასკვნა მოწინააღმდეგე მხარის მიერ საქმის განხილვის არ-
ცერთ ეტაპზე არ იქნა წარმოდგენილი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შესწავლილი მასალებითა და რეცენ-
ზიის დასკვნით, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ რეგულირების საა-
გენტოს დისკრეციულ უფლებას წარმოადგენს სამედიცინო მომსახუ-

რების არასრულად/არაჯეროვნად მიჩნევა, დადგინდა, რომ შპს „...ში“ პაციენტ ი. ს-ისთვის განეული სამედიცინო მომსახურება უნდა ჩაითვალოს არასრულად/არაჯეროვნად.

ადმინისტრაციულმა ორგანომ გადაწყვეტილების მიღებისას სრულად დაიცვა კანონით დადგენილი ვადები. მხარეს არ შეუზღუდა მისთვის მინიჭებული უფლებები, ადმინისტრაციულ საჩივარში მითითებულ ყველა სადავო გარემოებაზე გასცა ადეკვატური, დასაბუთებული პასუხი, განმარტა მიღებული გადაწყვეტილების საფუძვლები და შესაბამისად, არ არსებობს მისი გაუქმების არც ფაქტობრივი და არც სამართლებრივი საფუძვლები. სადავოდ გამხდარი გადაწყვეტილების მიღებისას რეგულირების სააგენტომ იხელმძღვანელა წარმოდგენილი რეცენზიის დასკვნით და მიიჩნია, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაცია სრულად ქმნიდა საფუძველს შპს „...ში“ პაციენტ ი. ს-ისთვის განეული სამედიცინო მომსახურება ჩათვლილიყო არასრულად/არაჯეროვნად. აღნიშნულის საწინააღმდეგო დასკვნა ან თუნდაც მოსაზრება ადმინისტრაციული აქტის შედგენისა და ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის ეტაპზე წარმოდგენილი არ ყოფილა.

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 25 მაისის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 7 ივნისის განჩინებით სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა განისაზღვრა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული (გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები), ხოლო ამავე კოდექსის 411-ე მუხლის თანახ-

მად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები (საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება).

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაუშვა სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორმა – სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტომ დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება) წარმოადგინა.

განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს 2020 წლის 3 თებერვლის №ს/რ-115-13 რევიზიის აქტისა და მასზე წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს 2020 წლის 9 ივნისის №02/6538 გადაწყვეტილების კანონიერების შეფასება.

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ა“-„გ“ და „კ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის პრინციპებია: ა) მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების საყოველთაო და თანაბარი ხელმისაწვდომობა სახელმწიფოს ნაკისრი სახელმწიფო სამედიცინო პროგრამებით გათვალისწინებული ვალდებულების ფარგლებში; ბ) ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა, პაციენტის პატივის, ღირსებისა და მისი ავტონომიის აღიარება; გ) ექიმისა და სხვა სამედიცინო პერსონალის დამოუკიდებლობა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ფარგლებში; კ) პირველადი ჯანმრთელობის დაცვის, მათ შორის გადაუდებელი სამედიცინო დახ-

მარების პრიორიტეტულობა, მათში სახელმწიფო და კერძო სექტორების მონაწილეობა, საოჯახო მედიცინისა და ოჯახის ექიმის ინსტიტუტის განვითარება და მასზე დაფუძნებული სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. კანონის მე-5 მუხლის თანახმად, საქართველოს მოქალაქესა და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირს უფლება აქვთ, ისარგებლონ დადგენილი წესით დამტკიცებული ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული სამედიცინო დახმარებით, რასაც განახორციელებს სათანადო სამედიცინო საქმიანობის სამართალსუბიექტი, განურჩევლად საკუთრებისა და სამართლებრივი ფორმისა.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36-ე დადგენილებით დამტკიცებული საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის პირველი მუხლის თანახმად, საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის (შემდგომში – პროგრამა) მიზანია: ა) საქართველოს მოსახლეობისათვის შექმნას ფინანსური უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობისათვის, კერძოდ: ა.ა) პირველადი ჯანდაცვის მომსახურებაზე მოსახლეობის გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა; ა.ბ) ამბულატორიული მომსახურების მოხმარების გაზრდა ძვირადღირებული და მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალური მომსახურების მოხმარების რაციონალიზაციის მიზნით; ა.გ) მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება გადაუდებელ და გეგმურ სტაციონარულ და ამბულატორიულ მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით; ბ) ამ დადგენილების 2¹ მუხლის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის №218 ან/და 2012 წლის 7 მაისის №165 დადგენილებებით განსაზღვრული შესაბამისი მოსარგებლეებისათვის შექმნას ფინანსური უზრუნველყოფა იმავე დადგენილებებით განსაზღვრული სადაზღვევო ვაუჩერის შესაბამის სამედიცინო მომსახურებებზე; გ) ჯანმრთელობის დაზღვევის არმქონე ვეტერანებისთვის შექმნას ფინანსური უზრუნველყოფა ამ დადგენილებით განსაზღვრული სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობისათვის.

ამავე პროგრამის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1.3-ის მე-2 პუნქტით განსაზღვრული პირობების მოსარგებლეები არიან 0-5 წლის (ჩათვლით) ასაკის საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის, პირადობის ნეიტრალური მონომობის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირები. ასევე, საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირები, საქართველოში თავშესაფრის მაძიებელი პირები, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები, გარდა ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრუ-

ლი მოსარგებლებისა;

საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის მე-19 მუხლის (საჯარიმო სანქციები) მე-9 პუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელმა პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებაზე უარი განუცხადა პროგრამის მოსარგებლეს, ან მომსახურება გაუნია დაგვიანებით (მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გარდა), ან არასრულად, ან არაჯეროვნად, მიმწოდებელი იხდის ჯარიმას გასანევი/განეული მომსახურებისთვის განმახორციელებლის მიერ პროგრამით ასანაზღაურებელი/ანაზღაურებული თანხის ღირებულების სამმაგი ოდენობის სახით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ საქმეში შესაფასებელ გარემოებას, მოსარჩელის მიერ პაციენტისთვის განეული მომსახურების არასრულად/არაჯეროვნად მიჩნევისა და მისთვის ჯარიმის დაკისრების საფუძვლიანობა წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმეზე დადგენილ შემდეგ გარემოებებზე: ა) სტაციონარული პაციენტის სამედიცინო ბარათის (№1/54/37) მიხედვით, პაციენტი – ი. ს-ი (5 წლის) 15.01.18წ 18:30 სთ-ზე ჰოსპიტალიზირებულ იქნა შპს „...ში“, დიაგნოზით: „სუნთქვის მწვავე უკმარისობა“. სამედიცინო ბარათში ექიმ გ. ა-ის (სახ. სერტიფიკატი „ანესთეზიოლოგია-რეანიმატოლოგია“) ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ პაციენტს დაავადება დაეწყო სამი დღის წინ, ერთეული ხველით, ჭირვეულობით, აღარ იღებდა საკვებსა და სითხეს. ხველა გახდა ინტენსიური, გაძნელდა სუნთქვა, გამოიხატა ქოშინი, დაერთო ციანოზი, ცხელებამ იმატა 39.6°C. ანტიპირეტული საშუალების ფონზე პაციენტი მივარდა, გახდა ადინამიური, აჭრელდა, რის გამოც მოყვანილ იქნა კლინიკაში. პაციენტის ზოგადი მდგომარეობა კლინიკაში შესვლისას იყო უკიდურესად მძიმე, რაც განპირობებული იყო სუნთქვის მძიმე უკმარისობით. პაციენტს აღენიშნებოდა ერთეული სუნთქვა R-4-7), ნევროლოგიურად ცნობიერება იყო შეცვლილი, დიფუზური ციანოზი, მარმარილოსებრი სიჭრელე, შენებით ცივი, ცნობიერება შეცვლილი. Cor-ტონები მკვეთრად მოყრუებული. ანამნეზს ამძიმებდა ბავშვთა ცერებრული დამბლა ფსიქომოტორული განვითარების შეფერხებით. Cor-ტონები მკვეთრად მოყრუებული. Pulmo – აუსკულტაციით ორმხრივ მკვეთრად შესუსტებული სუნთქვის ფონზე ორივე ზედაპირზე კრეპიტიული ხიხინი, ზემო წილებში მსტვინავი ხიხინი. ჩატარდა ზედა სასუნთქი გზების სანაცია. დაწყებულ იქნა ვენტილაცია ამბუს თვითშლადი ტომრით. გამოხატული ჰიპოგლიკემიის გამო, ინტრავენურად შეყვანილ იქნა გლუკოზა. პაციენტი მოთავსდა რეანიმაციისა და ინტენსიური თერაპიის დეპარტამენტში, დიაგნოზით: „სუნთქვის მწვავე უკმარისობა“. მკურნალობაში ჩაერთო დოფამინი. დაინიშნა და ჩატარდა შემდეგი კლინიკო-ლაბორატორიული კვლევები: სისხლის საერთო ანალიზი, სისხლის ბიოქიმიური

ანალიზი (CRP, Creatinini, ALT, AST, E-Stat, HCV), გულმკერდის რენტგენოგრაფია. რენტგენოგრაფიაზე გამოვლინდა ინფილტრაციული ცვლილებები, რის გამოც დაწყებულ იქნა ანტიბიოტიკოთერაპია. 16.01.18წ. - 17.01.18წ. პაციენტის ზოგადი მდგომარეობა იყო უკიდურესად მძიმე. გრძელდებოდა ოქსიგენო და აეროზოლო თერაპია, მოცულობითი მხარდაჭერა კრისტალოიდური ხსნარებით. მიენოდებოდა ჟანგბადი სველი ნესით. მიმდინარეობდა ვიტალური პარამეტრების მუდმივი კონტროლი. ჩატარდა ერთი.მასის ტრანსფუზია, დინამიკაში დასტაბილურდა ჰემოგლობინ-ჰემატოკრიტის მაჩვენებლები, შემცირდა კრეატინინი. 18.01.18წ. პაციენტის მდგომარეობა დინამიკაში გაუარესდა. მოიმატა სუნთქვის მწვევა უკმარისობის ნიშნებმა, ჩატარებული რენტგენოლოგიური დასკვნის მიხედვით: მარჯვნივ პრეჰილარულად გამოისახა ინფილტრაციული ცვლილებები, მარცხნივ ჰილუსი გაფართოებული და ინფილტრირებული, ჰიპოვენტილირებული უბანი ჰომოგენური დაჩრდილვის ხარჯზე, სინუსები თავისუფალი. პირის ღრუდან ჰემორაგიული ხასიათის გამონაჟონის ინტენსივობამ დინამიკაში იმატა. ასევე, ჰემორაგიული გამონაჟონი დაფიქსირდა ცენტრალური ვენის კათეტერის ირგვლივ. შეიცვალა ანტიბიოტიკოთერაპია (მეროპენემი+ვანკომიცინი) გამოვლენილი მკვეთრი კოაგულაციური დარღვევების გამო განხორციელდა აგვ ტრანსფუზია. სუნთქვის უკმარისობის გაღრმავებისა და ზოგადი კლინიკური მონაცემების გათვალისწინებით პაციენტი გადაყვანილ იქნა ფ.ხ.ვ-ზე (21:00სთ). თრომბოციტოპენიის გამო ჩატარდა თრომბომასის ტრანსფუზია. მდგომარეობა რჩებოდა მძიმე. 19.01.18წ. - 11.02.18წ. პაციენტის მდგომარეობა იყო მძიმე. მიუხედავად მკურნალობისა, რენტგენოლოგიური და აუსკულტაციური მონაცემები მნიშვნელოვანი გაუმჯობესების გარეშე. კრიტიკული ანემიის გამო მიმდინარეობდა ერთი.მასის ტრანსფუზია, ჩატარდა ნახველის და ცენტრალური ვენის კათეტერის ბაქტერიოლოგიური კვლევა. ბაქტერიული კულტურის ზრდა არ აღინიშნა. პაციენტის ზოგადი მდგომარეობა იყო პროგნოზულად არაკეთილსაიმედო. პერიოდულად ხორციელდებოდა ტრაქეობრონქული ხის სანაცია, საიდანაც მიიღებოდა სისხლის შემცველი უხვი რაოდენობის სეკრეტი. Cor-ტონები მოყრუებული, რითმული. Pulmo – აუსკულტაციით ორმხრივ მკვეთრად შესუსტებული სუნთქვის ფონზე დიფუზურად სხვადასხვა კალიბრის სველი ხიხინი. 03.02.18წ ჩატარებული რენტგენოლოგიური კვლევაში გამოიხატა გაძლიერებული სისხლძარღვოვანი სურათი, მარჯვნივ პრეჰილარულად გამოისახა ინფილტრაციული ცვლილებები, მარცხნივ შუა ველში – კარდიალურად არაჰომოგენური დაჩრდილვა, ჰილუსები მცირედ უსტრუქტურო, გაძლიერებული, მარჯვნივ სინუსი არ ნათდებოდა სრულად. 09.02.18 პაციენტის მდგომარეობა დინამიკაში გაუარესდა. 09.02.18წ ჩა-

ტარებული რენტგენოგრამა მკვეთრი ცვლილებების გარეშე. ჰემოდინამიკის სტაბილიზაციის მიზნით უგრძელდებოდა ინოტროპული მხარდაჭერა. სისხლის საერთო ანალიზში გამოვლინდა ღრმა ლეიკოპენია, ანემია, თრომბოციტოპენია, CRP-265.5. 12.02.18წ. ჩატარებულ რენტგენოგრამაზე გამოვლინდა მარცხენა ფილტვის ველებში სრული ჰომოგენური დაჩრდილვა, ხოლო მარცხნივ ფილტვის ველში – სრული არაჰომოგენური დაჩრდილვა, სინუსები არ ნათდებოდა. მდგომარეობა შეფასდა სეპტიცემიად, მკურნალობაში შეტანილ იქნა ცვლილებები. ჰემოდინამიკის სტაბილიზაცია იყო გაძნელებული, საჭიროებდა მასიურ ინფუზიურ თერაპიას. ნევროლოგიური სტატუსი იყო უცვლელი. 13.02.18წ. 09:15 სთ-ზე პაციენტს აღენიშნა მყარი ჰიპოტენზია, ტენდენცია ბრადიკარდიისკენ, რასაც მოჰყვა გულის გაჩერება. საინტუბაციო მილიდან აღინიშნა ვარდისფერი, ქაფიანი ნახველი, უხვი რაოდენობით, დაწყებული გულ-ფილტვის რეანიმაციის მიუხედავად, 10:00 სთ-ზე დაფიქსირდა ბიოლოგიური სიკვდილი. დასკვნითი დიაგნოზი: „სუნთქვის მწვავე უკმარისობა, პნევმონია დაუზუსტებელი, ბავშვთა ცერებრული დამბლა, მწვავე რესპირატორული დისტრეს სინდრომი, ანემია დაუზუსტებელი, კოაგულაციური დეფექტი დაუზუსტებელი, თრომბოციტოპენია დაუზუსტებელი, სეპტიცემია დაუზუსტებელი“; ბ) პაციენტი ი. ს-ის სამედიცინო დოკუმენტაცია სარეცენზიოდ (ანესთეზიოლოგია და რეანიმატოლოგია) გადაეგზავნა სსიპ „... უნივერსიტეტს“. სამედიცინო დოკუმენტაციის რეცენზიის დასკვნის მიხედვით: „იმის გათვალისწინებით, რომ პაციენტის მდგომარეობა, კონკრეტულად კი ფილტვების ვენტილაციური ფუნქცია, ასევე ფილტვების რენტგენოლოგიური და აუსკულტაციური მონაცემები, მიმდინარე ანტიბიოტიკოთერაპიის ფონზე არ უმჯობესდებოდა, მიზანშეწონილი იქნებოდა მკურნალობაში ინფექციონისტის ჩართვა“; გ) სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს 2020 წლის 3 თებერვლის №ს/რ-115-13 რევიზიის აქტით დაწესებულებას დაეკისრა ჯარიმა ასანაზღაურებელი/ანაზღაურებული თანხის (10310.40 ლარი) სამმაგი ოდენობით (სულ 30931.2 ლარი); დ) სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს 2020 წლის 3 თებერვლის №ს/რ-115-13 რევიზიის აქტი ადმინისტრაციული საჩივრით გაასაჩივრა შპს „...მა“, რომელმაც მოითხოვა რევიზიის აქტის ბათილად ცნობა და სამედიცინო დაწესებულების მიმართ დაკისრებული თანხების გადახდის ვალდებულების გაუქმება; ე) სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს 2020 წლის 9 ივნისის №02/6538 გადაწყვეტილებით შპს „...ის“ ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36-ე დადგე-

ნილებით დამტკიცებული საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის (სადავო სამართალურთიერთობის დროს მოქმედი) მე-16 მუხლის თანახმად, რევიზიას ახორციელებს რეგულირების სააგენტო გეგმური და არაგეგმური ფორმით (1); რევიზია ითვალისწინებს მიმწოდებელ დანესებულებაში პროგრამული შემთხვევის სამედიცინო დოკუმენტაციის შემოწმებას. რევიზია წარმოებს შერჩევითად ან/და საჭიროებისამებრ. რევიზიის შერჩევითი პრინციპით განხორციელების წესი და პირობები განისაზღვრება რეგულირების სააგენტოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, სამინისტროსთან შეთანხმებით. რეგულირების სააგენტოს სარევიზიო ჯგუფი მიმწოდებლისგან ითხოვს საჭირო დოკუმენტაციას და ახორციელებს მის დეტალურ შემოწმებას. რევიზიისთვის საჭირო ინფორმაციას ასევე ითხოვს პროგრამის განმახორციელებლისგანაც. მიმწოდებელი დანესებულება და პროგრამის განმახორციელებელი ვალდებულია, სარევიზიო ჯგუფს მოთხოვნისთანავე წარუდგინოს ყველა საჭირო ინფორმაცია/დოკუმენტაცია და მათი დამოწმებული ქსეროასლები (რევიზიის განმახორციელებლის მოთხოვნის შესაბამისად) (2); რევიზიისას შესაძლებელია, გამოყენებული იქნეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის სამართლებრივი აქტით დამტკიცებული კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციები (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტები (პროტოკოლები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და რეცენზენტთა დასკვნები (5).

საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებების ერთობლიობით, სამედიცინო დოკუმენტაციითა და სარეცენზიო დასკვნის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ რეგულირების სააგენტოს მიერ საკითხის შესწავლა განხორციელდა სამედიცინო დოკუმენტაციისა და რეცენზენტთა დასკვნის ურთიერთშეჯერებით. რეცენზენტთა დასკვნის თანახმად, „იმის გათვალისწინებით, რომ პაციენტის მდგომარეობა, კონკრეტულად კი ფილტვების ვენტილაციური ფუნქცია, ასევე ფილტვების რენტგენოლოგიური და აუსკულტაციური მონაცემები, მიმდინარე ანტიბიოტიკოთერაპიის ფონზე არ უმჯობესდებოდა, მიზანშეწონილი იქნებოდა მკურნალობაში ინფექციონისტი ჩართვა“, რაც არ განხორციელებულა მოსარჩელე სამედიცინო დანესებულების მიერ.

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის თანახმად, მცირეწლოვანი ან გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარის არმქონე პაციენტისათვის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევის აუცილებლობისას ან მისი სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობის დროს სამედიცინო ჩარევის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება მხოლოდ პაციენტის ინტერესების გათვალისწინებით. პაციენტის ინტერესები არის ასევე უპირატესად გასათვალისწინებელი „პა-

ციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონშიც, ასევე საერთაშორისო სამართლის რიგ უმნიშვნელოვანეს წყაროებში/აქტებში (საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 14 მარტის №ბს-1526(კ-18) განჩინება). ასევე ამავე კანონის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სამედიცინო საქმიანობის აღსრულებისას ჯანმრთელობის დაცვის პერსონალმა უნდა იხელმძღვანელოს ეთიკური ფასეულობებით – ადამიანის პატივისა და ღირსების აღიარების, სამართლიანობის, თანაგრძნობის პრინციპებით, აგრეთვე პროფესიული ეთიკის შემდეგი ნორმებით: ა) იმოქმედოს მხოლოდ პაციენტის ინტერესების შესაბამისად; ბ) არ გამოიყენოს თავისი პროფესიული ცოდნა და გამოცდილება ჰუმანიზმის პრინციპების საწინააღმდეგოდ; გ) პაციენტის ინტერესებთან დაკავშირებული პროფესიული გადაწყვეტილებების მიღებისას იყოს თავისუფალი და დამოუკიდებელი, არ იმოქმედოს ანგარებით; დ) იზრუნოს პროფესიული საქმიანობის პრესტიჟის ამაღლებაზე, პატივისცემით მოეპყრას კოლეგებს.

ამასთან, ევროპის სოციალური ქარტიის მე-11 მუხლის თანახმად, ჯანმრთელობის დაცვაზე უფლების ეფექტური განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, მხარეები ვალდებულიებას იღებენ უშუალოდ ან საჯარო ან კერძო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, მიიღონ ზომები, რომლებიც, კერძოდ, მიზნად ისახავენ: ავადმყოფობის გამომწვევი მიზეზების მაქსიმალურად აღმოფხვრას; ჯანმრთელობის განმტკიცებისა და ჯანმრთელობის საკითხებში ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ნახალისებისათვის საკონსულტაციო და საგანმანათლებლო საშუალებების უზრუნველყოფას; შეძლებისდაგვარად ეპიდემიურ, ენდემურ და სხვა დაავადებათა, ისევე როგორც, უბედურ შემთხვევათა აღკვეთას.

ამდენად, ბავშვების ჯანმრთელობის დაცვის აღმატებული ინტერესის შესაბამისად მოქმედებისა და მისთვის უმაღლესი სტანდარტის ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების გაწევის საჭიროების საპირიონედ, მოსარჩელე მხარეს – განეული სამედიცინო მომსახურების საფუძვლიანობისა და უალტერნატივობის შესახებ სათანადო დასაბუთება საქმის არც ადმინისტრაციულ ორგანოში და არც სასამართლოში სამართალწარმოებისას წარმოუდგენია.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, იმ პირობებში, როდესაც სამედიცინო დანებებულებამ ავადმყოფობის მიმდინარეობის გათვალისწინებით მკურნალობის პროცესში არ ჩართო ინფექციონისტი, სახეზეა არასრული/არაჯეროვანი შესრულება. აღნიშნულის გათვალისწინებით არ არსებობდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლით გათვალისწინებული, სადავო აქტების ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი, რის გამოც უნდა დაკ-

მაყოფილდეს სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს საკასაციო საჩივარი, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 30 ივნისის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც შპს „...ს“ სარჩელი არ დაკმაყოფილდება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ აქტის მომზადებისა და გამოცემის წესის აშკარა დარღვევად ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ასეთი დარღვევის არ არსებობის პირობებში განსახილველ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება. ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება აცნობოს დაინტერესებულ მხარეს ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ, პირველ რიგში განპირობებულია იმ გარემოებით, რომ წარმოების დაწყების პირველ სტადიაზე უცნობია საბოლოო შედეგის შესახებ და ვინაიდან ამ შედეგით შესაძლოა გაუარესდეს დაინტერესებული პირის სამართლებრივი მდგომარეობა, მას უნდა მიეცეს შესაძლებლობა მიიღოს მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში და დაიცვას თავისი უფლება უკანონო ხელყოფისაგან. მისმა მონაწილეობამ შესაძლოა გავლენა იქონიოს შედეგზე და მიღებული იქნას განსხვავებული გადაწყვეტილება, ვიდრე ეს მიღებული იქნებოდა მისი დასწრების გარეშე.

განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ შპს „...ს“ ჰქონდა შესაძლებლობა წარედგინა საკუთარი მოსაზრებები სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მიერ რევიზიის აქტის გამოცემისას, თუმცა, ამავე დროს საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელე მონაწილეობას იღებდა ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაში. ამასთან, ცხადია მოსარჩელის ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობა (რევიზიის აქტის გამოცემის დროს) გავლენას ვერ იქონიებდა საბოლოო შედეგზე. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სახეზე არ არის კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც

მოსარჩელეს უარი ეთქვა.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

ამდენად, ზემოაღნიშნული სამართლებრივი საფუძვლებისა და იმის გათვალისწინებით, რომ სარჩელი არ დაკმაყოფილდა საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელეს – შპს „...ის“ უნდა დაეკისროს სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მიერ სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში საქმის განხილვისათვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 1696,56 (150+1546,56) ლარის ანაზღაურება. ამასთან, მოსარჩელის – შპს „...ის“ მიერ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 100 ლარი უნდა ჩაითვალოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 389-ე, 411-ე, 53.1 მუხლებით და

გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 30 ივნისის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. შპს „...ის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

4. შპს „...ის“ მიერ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 100 (ასი) ლარის ოდენობით ჩაითვალოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილად;

5. შპს „...ის“ (ს/კ ...) დაეკისროს სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს სასარგებლოდ, ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში საქმის განხილვისათვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 1696,56 (150+1546,56) (ათას ექვსას ოთხმოცდათექვსმეტი ლარი და ორმოცდათექვსმეტი თეთრი) ლარის ანაზღაურება;

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. განათლების მიღების საკითხთან დაკავშირებით ადმინისტრაციული აქტის კანონიერება

პროფესიული განათლების აქტის კანონიერებასთან დაკავშირებით აქტის კანონიერება

განჩინება საქართველოს სახალხო

№ბს-1185(კ-22)

25 მაისი, 2023 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
გ. აბუსერიძე,
ბ. სტურუა**

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრი-
ვი აქტის ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-
სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალეობა

აღწერილობითი ნაწილი:

2021 წლის 20 ივლისს ნ. ი-იმა სასარჩელო განცხადებით მიმართა
თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლე-
გიას, მოპასუხის – სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნუ-
ლი ცენტრის მიმართ.

მოსარჩელემ მოითხოვა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის 2021 წლის 5 ივლისის №MES 2 21 0000673080 გა-
დანყვეტილების ბათილად ცნობა და მოპასუხისთვის – სსიპ განათლე-
ბის ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრისთვის ახალი ინდივი-
დუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავა-
ლება მოსარჩელის №... პროფესიულ სასწავლებელში 1991-1993 წლებ-
ში მიღებული პროფესიული განათლების აღიარების შესახებ.

მოსარჩელის განმარტებით, 1991 წელს ჩაირიცხა ქ. თბილისის №...
პროფესიულ სასწავლებელში, რომელიც დაამთავრა 1993 წელს. ზემო-
აღნიშნული პროფესიული სასწავლებლის მიერ მის სახელზე გაიცა დიპ-
ლომი, რომელიც დაეკარგა გაურკვეველ ვითარებაში. ნ. ი-იმა 2021 წლის
5 ივნისს მიმართა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ
ცენტრს და მოითხოვა მიღებული პროფესიული განათლების აღიარე-
ბა. ადმინისტრაციულ ორგანოში შეტანილ განცხადებაში მოსარჩელემ
მიუთითა პროფესიული სასწავლებლის სასწავლო ნაწილის მოადგილის

ვინაობა, რომლისგანაც ცენტრს შეეძლო მიეღო ინფორმაცია ნ. ი-ის №... პროფესიულ სასწავლო ცენტრში სწავლის შესახებ. მოსარჩელის განმარტებით, ადმინისტრაციულმა ორგანომ დამატებითი დოკუმენტაციის მოსაძიებლად არ ჩაატარა ადმინისტრაციული მოკვლევა და მოსარჩელეს დაუსაბუთებლად უთხრა უარი პროფესიული განათლების აღიარებაზე. ამდენად, ნ. ი-იმ გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილებით ნ. ი-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2021 წლის 5 ივლისის №MES 2 21 0000673080 გადაწყვეტილება. მოპასუხეს – სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, ნ. ი-ის მიერ თბილისის №... პროფესიულ სასწავლებელში 1991-1993 წლებში მიღებული, პროფესიული განათლების აღიარების შესახებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 5 ივლისის განჩინებით სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ განსახილველი საკითხის გადასაწყვეტად მნიშვნელოვანად მიიჩნია იმ გარემოების დადგენა გააჩნდა თუ არა მოსარჩელეს კანონიერი ნდობა თბილისის №... პროფესიული სასწავლებელში მიღებული პროფესიული განათლების და ...ის კვალიფიკაციის მიმართ. სასამართლომ მიიჩნია, რომ წარსულში მიღებული განათლების აღიარებაზე უარის თქმა სწავლის შედეგების ფაქტობრივი გაბათილება და ავტომატურად არ შეიძლება გახდეს ფიზიკური პირის მიერ უკვე მოპოვებულ/მოსაპოვებელი შრომის უფლების შეზღუდვის საფუძველი. ამასთან, წარსულში მიღებული განათლების აღიარება/არაღიარების საკითხი მხარისათვის აღმჭურველი ბუნებისაა, რომლის საფუძველზეც დაინტერესებულ მხარეს გარკვეული უფლებამოსილება ენიჭება. შესაბამისად, უმაღლესი განათლების აღიარებაზე უარი სა-

მართლებრივი შედეგებით უთანაბრდება აქტის გაუქმებას და ამ დოკუმენტის მიმართ სრული მოცულობით ვრცელდება კანონიერი ნდობის დამცველობითი ფუნქცია.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქმეში არსებული მასალებისა და ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, პირის კერძო ინტერესი – გააჩნდეს პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (დიპლომი), შესაბამისი კვალიფიკაცია, შეძლოს პროფესიით მუშაობა, განახორციელოს როგორც საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული განათლების მიღების, ასევე, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის დამატებითი ოქმით გარანტირებული განათლების უფლების რეალიზაცია, არის უპირატესი იმ საჯარო ინტერესთან შედარებით, რომელიც საქმის მასალების შესწავლისა და მოპასუხის პოზიციიდან გამომდინარე, გულისხმობს მხოლოდ და მხოლოდ განსახილველი საკითხის მომწესრიგებელი მატერიალური კანონმდებლობის ფორმალურ დაცვას.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა მასზედ, რომ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ კვალიფიკაციის მინიჭების დამადასტურებელი საარქივო დოკუმენტაციის მოუძიებლობა და ის გარემოება, რომ ხსენებული დოკუმენტები არც საქართველოს ეროვნულ არქივში არ ინახება, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №98/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის მიზნიდან გამომდინარე, არ შეიძლება გამხდარიყო მოსარჩელის განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ თბილისის №... პროფესიული სასწავლებლის დოკუმენტები თბილისის ცენტრალურ არქივში დაცული არ არის და შეუძლებელიცაა დამატებითი მტკიცებულებებისა და სხვა მონმის ჩვენების მოპოვება, მართებულია პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა მასზედ, რომ სასამართლო სხდომაზე დაკითხული მონმის ჩვენება და სსიპ ქალაქ თბილისის №... საჯარო სკოლის მიერ გაცემული ცნობა მიჩნეულ უნდა იქნეს საკმარის მტკიცებულებად, რათა დადგინდეს ნ. ი-ის მიერ თბილისის №... პროფესიული სასწავლებელში 1991-1993 წლებში მიღებული პროფესიული განათლების და შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭების ფაქტი.

სააპელაციო პალატამ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102.3 მუხლზე დაყრდნობით მიიჩნია, რომ საქმის განხილვის არცერთ ეტაპზე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ წარმოდგენილი არ იქნა ისეთი სახის მტკიცებულება, რომელიც გააბათილებდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით გაკეთებულ სამართლებ-

რივ დასკვნებს. შესაბამისად, სახეზე არ იყო გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებული გარემოებები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 5 ივლისის განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორი საკასაციო საჩივარში მიუთითებს, რომ ცენტრის 2011 წლის 05 ივლისის №MES 2 21 0000673080 გადაწყვეტილება, რომლითაც ნ. ი-ის უარი ეთქვა საგანმანათლებლო საქმიანობაშენწყვეტილ დაწესებულებაში მიღებული განათლების აღიარებაზე, გამოცემულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №98/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესის» შესაბამისად. აღნიშნული წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ცენტრი ახდენს საგანმანათლებლო საქმიანობაშენწყვეტილ დაწესებულებაში განათლებამიღებული იმ პირების განათლების აღიარებას, რომლებიც ვერ ახერხებენ თავიანთი განათლების ან კვალიფიკაციის დადასტურებას, რაც გულისხმობს ამ პირების მიერ განათლების მიღების ფაქტის დადგენას. ამდენად, ცენტრი წარმოადგენს იმ ადმინისტრაციული ორგანოს, რომლის უფლებამოსილებასაც განეკუთვნება, საგანმანათლებლო საქმიანობაშენწყვეტილ დაწესებულებაში განათლებამიღებული იმ პირების მიერ მიღებული განათლების აღიარება, რომლებიც ვერ ახერხებენ განათლების ან კვალიფიკაციის დადასტურებას. „წესის“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, ცენტრი შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შემდეგ აღიარებს განათლებას, ან უარს ამბობს მის აღიარებაზე. ადმინისტრაციული წარმოების შედეგი დამოკიდებულია შესაბამისი გარემოებების დადასტურებაზე. კასატორი მიიჩნევს, რომ ცენტრის 2021 წლის 25 ივლისის №MES 2 21 0000673080 გადაწყვეტილება გამოცემულია კანონის მოთხოვნათა დაცვით. ამდენად, ცენტრის აქტი არ ეწინააღმდეგება კანონს და მატერიალური თვალსაზრისით არ არსებობს მისი ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძვლები.

კასატორი მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მომზადებულია და გამოცემულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით, ცენტრმა აქტის გამოცემამდე ჩაატარა სრულყოფილი ადმინისტრაციული წარმოება, გამოიკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა

გარემოება და ნ. ი-ის მიერ საგანმანათლებლო საქმიანობაშენწყვეტილ დაწესებულებაში მიღებული განათლების აღიარებაზე უარის თქმის შესახებ გადანყვეტილება გამოსცა ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

კასატორი აღნიშნავს, რომ ნ. ი-ის მიერ მიღებული განათლების თაობაზე, ინფორმაციის მოძიების მიზნით ცენტრმა 2021 წლის 04 ივნისს მიმართა სსიპ – საქართველოს ეროვნულ არქივს. სსიპ – საქართველოს ეროვნული არქივის № 14/63236 (№551010; 10.06.2021წ.) კორესპონდენციის თანახმად, თბილისის №... პროფესიული სასწავლებლის დოკუმენტები თბილისის ცენტრალურ არქივში არ არის დაცული. შესაბამისად, საარქივო დაწესებულება მოკლებული იყო შესაძლებლობას წარმოდგინა ნ. ი-ის სწავლის პერიოდის შესახებ მოთხოვნილი ინფორმაცია.

კასატორი აღნიშნავს, რომ ცენტრმა ვერ მოიპოვა ნ. ი-ის სწავლის პერიოდის შესახებ ინფორმაცია, რის შემდგომაც მიმართა ნ. ი-ის მინდობილ პირს – პ. გ-ის და სთხოვა დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენა, რომელიც დაადასტურებდა პირისთვის კვალიფიკაციის მინიჭების ფაქტს. თუმცა, განმცხადებელს ამგვარი სახის დოკუმენტაცია ადმინისტრაციული წარმოებისა თუ სასამართლოში საქმის განხილვის პროცესში არ წარმოუდგენია. კასატორი მიიჩნევს, რომ იმ პირობებში, როდესაც ცენტრის მიერ ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების შედეგად, ვერ იქნა მოძიებული ზემოაღნიშნული წესის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი დოკუმენტაცია – კერძოდ, კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ ოქმი/ბრძანება ან/და დიპლომის გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალი ან საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული სხვა სახის დოკუმენტი, რომლითაც დადასტურდებოდა პირისთვის კვალიფიკაციის მინიჭების ფაქტი, ცენტრი მოკლებული იყო შესაძლებლობას სადავო საკითხთან დაკავშირებით მიეღო სხვაგვარი გადანყვეტილება.

კასატორი ყურადღებას ამახვილებს სსიპ ქალაქ თბილისის №... საჯარო სკოლის მიერ გაცემულ წერილზე, რომელშიც არ არის აღნიშნული კონკრეტულად რომელ წლებში სწავლობდა ნ. ი-ი №... პროფესიულ სასწავლებელში, ან გაიარა თუ არა მან მოცემული საგანმანათლებლო დაწესებულების სრული კურსი, ასევე მოცემული ცნობით არ დასტურდება ნ. ი-ისთვის რაიმე სახის კვალიფიკაციის მინიჭების ფაქტი. კასატორი ასევე მნიშვნელოვნად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ სსიპ ქალაქ თბილისის №... საჯარო სკოლის მიერ გაცემული ცნობით, ნ. ი-ი №... პროფესიულ სასწავლებელში გადავიდა მე-10 კლასიდან. ამასთან, ადმინისტრაციული წარმოების პროცესში სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, თბილისის №...

საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მონაცემები ფიქსირდება საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის მიერ, 1985 წელს გამოცემულ ცნობარში (ცნობარი საქართველოს სსრ საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში, 1985-86 სასწავლო წელს შემსვლელთათვის). ამავე ცნობარის მიხედვით, სასწავლებელში 8-კლასდამთავრებულთათვის სწავლების ხანგრძლივობა შეადგენდა 3 წელს, ხოლო 10-კლასდამთავრებულთათვის – 1 წელს. კასატორი აღნიშნავს, რომ ორივე ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ ნ. ი-მა 1991-1993 წლებში ისწავლა №... პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში, მაშინ როდესაც სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ნ. ი-ის, როგორც 10-კლასდამთავრებულს 1-წლიანი კურსი უნდა გაეწეო.

კასატორი საკასაციო საჩივარში მიუთითებს, რომ კანონიერი ნდობა წარმოადგენს მატერიალურ-სამართლებრივ ინსტიტუტს. იგი ადმინისტრაციული ორგანოსათვის განკუთვნილი ინსტრუმენტია. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია თავისი მმართველობითი ღონისძიების განხორციელების დროს, უზრუნველყოს კანონიერი ნდობისა და კანონიერების პრინციპების შეპირისპირება და მისი უფლებამოსილების ფარგლებში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება. ამდენად, ცენტრს გაუმართლებლად მიაჩნია ქვედა ინსტანციის სასამართლოების დასკვნები მოსარჩელის კანონიერი ნდობის პრინციპთან დაკავშირებით. კასატორის მოსაზრებით, კანონიერი ნდობა ადმინისტრაციული ორგანოსთვის განკუთვნილი მატერიალურ-სამართლებრივი ინსტიტუტია. ადმინისტრაციული ორგანოა უფლებამოსილი თავისი მმართველობითი ღონისძიების განხორციელებისას, უზრუნველყოს კანონიერი ნდობისა და კანონიერების პრინციპების შეპირისპირება და გადაწყვეტილების მიღება.

კასატორი აღნიშნავს, რომ კანონიერი ნდობის პრინციპით შეზღუდვის პირობებშიც კი ცენტრი ვერ იმსჯელებს იმ ფაქტზე, რომლის არსებობის შესახებ არ არის წარმოდგენილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №98/ბ ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესის“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული საარქივო დოკუმენტაციის დამოწმებული ასლები. კასატორი მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაზე ვერ გავრცელდება კანონიერი ნდობის დამცველობითი ფუნქცია, რადგან საგანმანათლებლო საქმიანობაზე დაწესებული დაწესებულებაში მიღებული განათლების აღიარება-

ზე უარის თქმის შესახებ აქტი არ წარმოადგენს აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებას.

კასატორი ასევე არ იზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების მსჯელობას განსახილველი დავის შემთხვევაში კერძო და საჯარო ინტერესების ურთიერთშეპირისპირებისას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონმდებლობის ფორმალურ დაცვასთან შედარებით კერძო პირის ინტერესის უპირატესობასთან დაკავშირებით. კასატორი აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ იმოქმედა კანონიერების პრინციპის დაცვით და გასაჩივრებული გადაწყვეტილება მიიღო საქმის გარემოებათა სრულყოფილი გამოკვლევის საფუძველზე, მტკიცებულებათა ურთიერთშეჯერებისა და კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. კასატორი აცხადებს, რომ ცენტრს არ შეუზღუდავს მოსარჩელის უმაღლესი განათლების მიღების უფლება და არც წარსულში მიღებული სწავლის შედეგები გაუბათილებია. ადმინისტრაციულმა ორგანო შებოჭილი იყო კანონიერების პრინციპითა და განათლების აღიარების საკითხის მომწესრიგებელი კანონმდებლობით, რაც მოსარჩელესთან მიმართების სხვა გადაწყვეტილების მიღებას გამორიცხავდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 21 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 12 იანვრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და განხილულ იქნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

განსახილველ შემთხვევაში, დავის საგანს წარმოადგენს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2021 წლის 21 ივლისის №MES 2 21 0000673080 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება და მოპასუხის დავალება ნ. ი-ის

მიერ თბილისის №... პროფესიულ სასწავლებელში 1991-1993 წლებში მიღებული პროფესიული განათლების აღიარების შესახებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, ამ კანონის მიზანია განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის მექანიზმების სამართლებრივი საფუძვლების განსაზღვრა. ამავე კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის მიზნით იქმნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (შემდგომში – ცენტრი).

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 25^{-ე} მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ცენტრი ახდენს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების, ლიცენზირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული პირების მიერ მიღებული უმაღლესი განათლების, ლიკვიდირებულ ან საგანმანათლებლო საქმიანობაშენწყვეტილ დაწესებულებაში განათლებამიღებული იმ პირების, რომლებიც ვერ ახერხებენ თავიანთი განათლების ან კვალიფიკაციის დადასტურებას, აგრეთვე საერთაშორისო დაცვის მქონე პირებისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირების – დევნილების მიერ მიღებული განათლების აღიარებას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის №98/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესის“ პირველ მუხლზე, რომლის თანახმად, საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესი (შემდგომში – წესი) არეგულირებს საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურების (გარდა ლეგალიზაციისა და აპოსტილით დამოწმებისა), უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების, ლიცენზირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული პირების მიერ მიღებული უმაღლესი განათლების სახელმწიფო აღიარებისა და ლტოლვილებისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირების – დევნილების, ასევე ლიკვიდირებულ ან საგან-

მანათლებლო საქმიანობაშენწყვეტილ დაწესებულებაში განათლება მიღებული იმ პირების, რომლებიც ვერ ახერხებენ თავიანთი განათლების ან კვალიფიკაციის დადასტურებას, განათლების აღიარების (შემდგომში – განათლების აღიარება) პირობებსა და პროცედურას.

ზემოაღნიშნული წესის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, პირველ გათვალისწინებულ შემთხვევაში განათლების მიღების ფაქტის დადგენის მიზნებისათვის, პირის მიერ პროგრამის სრულად გავლა და მისთვის კვალიფიკაციის მინიჭება დასტურდება კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ ოქმით/ბრძანებით ან/და დიპლომის გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალით ან საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული სხვა სახის დოკუმენტით, რომელიც ადასტურებს პირისათვის კვალიფიკაციის მინიჭების ფაქტს, ხოლო პირის მიერ პროგრამის ნაწილობრივ გავლა – საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ნაწილის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტაციით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მითითებული ნორმატიული აქტი სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს განათლების მიღების ფაქტის დადგენას ავალდებულებს საქმის გარემოებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევის შედეგად, რაც წარმოადგენს დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების წინაპირობას. მითითებული ნორმატიული აქტით გათვალისწინებული უმნიშვნელოვანესი ამოცანების შესასრულებლად ცენტრს მართებს კონკრეტული საკითხის მარეგულირებელი კანონმდებლობის სიღრმისეული, კვალიფიციური, სისტემური და სამართლიანი ანალიზი.

საქმეში დაცული სსიპ ქალაქ თბილისის №... საჯარო სკოლის 2021 წლის 27 სექტემბრის ცნობის თანახმად, ნ. ი-ი სწავლობდა სსიპ ქალაქ თბილისის №... საჯარო სკოლაში პირველი კლასიდან (1981 წლიდან) და 1991 წლის 23 იანვრის №5 პარ.4 ბრძანების საფუძველზე, მე-10 კლასიდან გადავიდა №...-ე პროფესიულ სასწავლებელში.

ნ. ი-მა 2021 წლის 3 ივნისს განცხადებით მიმართა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს და თბილისის №... პროფესიულ სასწავლებელში 1991-1993 წლებში მიღებული პროფესიული განათლების აღიარება მოითხოვა.

დადგენილია, რომ სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის 2021 წლის 10 ივნისის №14/63236 წერილით სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს ეცნობა, რომ თბილისის №... პროფესიული სასწავლებლის დოკუმენტები თბილისის ცენტრალურ არქივში დაცული არ არის. სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის 2021 წლის 21 ივნისის №MES 4 21 0000608183 წერილის თანახმად, თბილისის №... საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მონაცემები ფიქსირდება საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების

სახელმწიფო კომიტეტის მიერ, 1985 წელს გამოცემულ ცნობარში (ცნობარი საქართველოს სსრ საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში 1985-1986 სასწავლო წელს შემსვლელთათვის). ცნობარის მიხედვით სასწავლებელში 8 კლასდამთავრებულთათვის სწავლების ხანგრძლივობა შეადგენდა 3 წელს, ხოლო, 10 კლასდამთავრებულთათვის – 1 წელს. „საქართველოს პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების რეორგანიზაციის შესახებ“ სახალხო განათლების სამინისტროს 1989 წლის 24 ოქტომბრის №630 ბრძანების თანახმად, 1989-1990 სასწავლო წლიდან უნდა განხორციელებულიყო რესპუბლიკის საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების რეორგანიზაცია. მათ შორის, თბილისის №... საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი უნდა რეორგანიზებულიყო თბილისის კავშირგაბმულობის სასწავლებლად. თუმცა, საქართველოს განათლების სამინისტროს 1994 წლის 28 თებერვლის №44 ბრძანებაში, რომლითაც დამტკიცებული იქნა საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისა და პროფესიული ლიცეუმების მოსწავლეთა კონტიგენტის, მიღებისა და გამოშვების 1994 წლის პროგნოზი, აღნიშნული დაწესებულება ფიქსირდება როგორც №... პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2021 წლის 5 ივლისის №MES 2 21 0000673080 გადაწყვეტილებით, ნ. ი-ის უარი ეთქვა საგანმანათლებლო საქმიანობაშენწყვეტილ დაწესებულებაში მიღებული განათლების აღიარებაზე იმ საფუძველით, რომ ადმინისტრაციული წარმოების პროცესში ვერ იქნა მოძიებული, ასევე, მის მიერ არ იყო წარდგენილი თბილისის №... პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში, 1991-1993 წლებში მოსარჩელისთვის კვალიფიკაციის მინიჭების დამადასტურებელი საარქივო დოკუმენტები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 15.02.2022წ. გადაწყვეტილებით ნ. ი-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2021 წლის 5 ივლისის №MES 2 21 0000673080 გადაწყვეტილება. მოპასუხეს – სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, ნ. ი-ის მიერ თბილისის №... პროფესიულ სასწავლებელში 1991-1993 წლებში მიღებული, პროფესიული განათლების აღიარების შესახებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 05.07.2022წ. განჩინებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს ვალდე-

ბულებას წარმოადგენს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევა და სწორედ საქმის გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე გადანყვეტილების მიღება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377.1 მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლო გადანყვეტილებას ამონებს სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. სააპელაციო სასამართლო საკასაციო სასამართლოსგან განსხვავებით პროცესუალურად შებოჭილი არ არის მიიღოს ახალი მტკიცებულებები და დაადგინოს ფაქტობრივი გარემოებები.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს თავისი სარჩელი და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები. მოპასუხე ვალდებულია წარადგინოს წერილობითი პასუხი (შესაგებელი) და შესაბამისი მტკიცებულებები. ამავე კოდექსის მე-4 მუხლით დადგენილი შეჯიბრებითობის პრინციპის თანახმად, ადმინისტრაციული საქმის განხილვისას მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, ამასთან, სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით მიიღოს გადანყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 19.1 მუხლის თანახმად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების გარდა, სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივითაც შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები. შესაბამისად, ადმინისტრაციულ პროცესში განმტკიცებული ინკვიზიციურობის პრინციპის გათვალისწინებით, სასამართლო არა მხოლოდ უფლებამოსილი, არამედ ვალდებულია სრულყოფილად გამოიკვლიოს და შეისწავლოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, საკუთარი ინიციატივით განსაზღვროს გარემოებათა დადგენის საჭიროება და მოიძიოს ამ გარემოებათა დამადასტურებელი ან უარყოფი მტკიცებულებები.

მტკიცების ტვირთს საქმის განხილვის პროცესში ენიჭება არა მარტო საპროცესო-სამართლებრივი, არამედ მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობა, რაც ნიშნავს იმას, რომ ფაქტის დაუმტკიცებლობის ან წარმოდგენილი ფაქტების უარყოფელი გარემოებების წარმოდგენლობის პირობებში გადანყვეტილებით მიღებული უარყოფითი შედეგი ეკისრება იმ მხარეს, რომელმაც ვერ უზრუნველყო და ვერ გაართვა თავი მტკიცების ტვირთს. ადმინისტრაციულ სამართალში მოქმედი ინკვიზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, სასამართლოს აქვს აქტიური როლი, რაც საქმის მართებული გადანყვეტის მიზნებისთვის

საჭირო ინფორმაციისა თუ მტკიცებულებების დამატებით მოძიებაში ვლინდება. სწორედ ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას, აქტიურ სასამართლოს გააჩნია ყველა ის საპროცესო მექანიზმი, რაც აუცილებელია საქმის სრულყოფილი და კომპლექსური განხილვისათვის.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება საკმარისად არ არის დასაბუთებული არც ფაქტობრივი და არც სამართლებრივი თვალსაზრისით. საქმეში დაცული სსიპ ქ. თბილისის №... საჯარო სკოლის 27.09.2021 წ. ცნობის თანახმად, ნ. ი-ი ზემოაღნიშნულ სკოლაში სწავლობდა პირველი კლასიდან და 1991 წლის 23 იანვრის №5 ბრძანების საფუძველზე, მე-9 კლასიდან გადავიდა №... პროფესიულ სასწავლებელში. თბილისის №... საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მონაცემები ფიქსირდება საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის მიერ, 1985 წელს გამოცემულ ცნობარში (ცნობარი საქართველოს სსრ საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში, 1985-86 სასწავლო წელს შემსვლელთათვის). ცნობარის მიხედვით, სასწავლებელში 8-კლასდამთავრებულთათვის სწავლების ხანგრძლივობა შეადგენდა 3 წელს, ხოლო 10-კლასდამთავრებულთათვის – 1 წელს.

პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე დაკითხულმა მოწმემ – ნ. გ-ამ, განმარტა, რომ 1981-2000 წლებში, იგი იყო თბილისის №... პროფესიული სასწავლებლის დირექტორის მოადგილე და დაადასტურა ამავე პროფესიულ სასწავლებელში ნ. ი-ის განათლების მიღების ფაქტის თუმცა კონკრეტულად ვერ გაიხსენა მოსარჩელის სასწავლებელში სწავლის პერიოდი.

განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელეს №... პროფესიულ სასწავლებელში სწავლის დამადასტურებელ მტკიცებულებად წარმოდგენილი აქვს მხოლოდ №... სკოლის ცნობა მასზე, რომ ნ. ი-ი მე-10 კლასიდან გადავიდა №... პროფესიულ სასწავლებელში. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა ნ. ი-ის მიერ პროფესიული განათლების მიღების ფაქტის დასადგენად, სსიპ ქ. თბილისის №... საჯარო სკოლის მიერ გაცემული ცნობა და მოწმის ჩვენება მიიჩნიეს საკმარის მტკიცებულებად.

სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვისას დამატებით უნდა მოპოვოს ნ. ი-ის მიერ №... პროფესიულ სასწავლებელში 1991-1993 წლებში სწავლის დამადასტურებელი მტკიცებულებები, ხოლო მტკიცებულებათა მოპოვების შეუძლებლობის პირობებში იმსჯელოს წარმოდგენილი სკოლის ცნობა რამდენად შეესაბამება საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესის (მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის) მოთხოვნებს, რამდენადაც აღნიშნული წესი

დეტალურად ადგენს ლიკვიდირებულ ან საგანმანათლებლო საქმიანობაშენეყვეტილ დაწესებულებაში განათლების მიღების ფაქტის დადგენის მიზნით წარსადგენ დოკუმენტთა წრეს.

საგულისხმოა, რომ საქმეში არ არის დაცული დოკუმენტი, რომლიც ასახავს ნ. ი-ის №... პროფესიულ სასწავლებელში ჩარიცხვის, სწავლის, მინიჭებული კვალიფიკაციისა თუ დამთავრების შესახებ ინფორმაციას. ამასთან ნიშანდობლივია, რომ მოწმის ჩვენებითაც უტყუარად ვერ დგინდება მოსარჩელის №... პროფესიულ სასწავლებელში სწავლის პერიოდი. ნიშანდობლივია, რომ 8 კლასდამთავრებულთათვის პროფესიულ სასწავლებელში სწავლა 3-წლიანი იყო, ხოლო 10 კლასდამთავრებულთათვის მხოლოდ 1 წელი.

საქართველოს კონსტიტუციის 27.1 მუხლის თანახმად, ყველას აქვს განათლების მიღების და მისი ფორმის არჩევის უფლება. ამავ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მოქალაქეებს უფლება აქვთ კანონით დადგენილი წესით სახელმწიფოს დაფინანსებით მიიღონ პროფესიული და უმაღლესი განათლება.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას მასზედ, რომ წარსულში მიღებული განათლების აღიარებაზე უარის თქმა სწავლის შედეგების ფაქტობრივი გაბათილებაა და ავტომატურად არ შეიძლება გახდეს ფიზიკური პირის მიერ უკვე მოპოვებული/მოსაპოვებელი შრომის უფლების შეზღუდვის საფუძველი. ამასთან, წარსულში მიღებული განათლების აღიარება/არაღიარების საკითხი მხარისათვის აღმჭურველი ბუნებისაა, რომლის საფუძველზეც დაინტერესებულ მხარეს გარკვეული უფლებამოსილება ენიჭება. შესაბამისად, უმაღლესი განათლების აღიარებაზე უარი სამართლებრივი შედეგებით უთანაბრდება აქტის გაუქმებას და ამ დოკუმენტის მიმართ სრული მოცულობით ვრცელდება კანონიერი ნდობის დამცველობითი ფუნქცია. კანონიერი ნდობა დაცვის ღირსია თუ დაინტერესებულმა პირმა დიპლომის საფუძველზე განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის მქონე მოქმედება. მმართველობის კანონიერებისა და დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობის პრინციპის სამართლიანი ბალანსის დაცვის თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დადგინდეს კერძო და საჯარო ინტერესთა შორის ბალანსი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა კანონიერი ნდობის პრინციპზე დაყრდნობით კანონიერების პრინციპთან შეპირისპირებისას, ნ. ი-ის კერძო ინტერესი საჯარო ინტერესთან შედარებით აღმატებულად მიიჩნიეს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობა არსებობს იმ შემთხვევაში, თუ მან ადმინისტრაციულ-სამართლებრივი

აქტის საფუძველზე განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის მოქმედება და უკანონო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობით მას მიაღდება ზიანი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ დამატებითი მტკიცებულებების მოპოვების ფარგლებში ასევე უნდა გამოარკვიოს კანონიერი ნდობის საფუძველზე მოსარჩელემ განახორციელა თუ არა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ქმედება. მნიშვნელოვანია, რომ სააპელაციო სასამართლომ დაადგინოს მოსარჩელე მუშაობს თუ არა იმ კვალიფიკაციით, რაც მან პროფესიულ სასწავლებელში მიიღო.

ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ზემოაღნიშნულ გარემოებათა ერთობლიობა ქმნის საქმის სააპელაციო სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საჭიროებას. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 5 ივლისის განჩინება და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს. საკასაციო სასამართლო თვითონ ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, რადგან არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და სააპელაციო სასამართლოში საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, განსახილველ საქმეზე განეული სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაცი-

ულ საქმეთა პალატის 2022 წლის 5 ივლისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. საპროცესო ხარჯების განაწილების საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**საჯარო სკოლაში დასაქმებული საპენსიო ასაკს მიღწეული პე-
დაგოგისათვის პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსის მინიჭება**

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით**

№ბს-1112(2კ-22) 7 ივნისი, 2023 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა პალატა**

**შემადგენლობა: თ. ოქროპირიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
გ. მაკარიძე**

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრი-
ვი აქტების გამოცემის დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

2020 წლის 15 ივლისს ნ. ბ-მა სარჩელით მიმართა ცაგერის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხეების – ...ის საგანმანათლებლო რესურსცენტრისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიმართ. სარჩელის დაზუსტების შემდეგ, ნ. ბ-მა საბოლოოდ მოითხოვა სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისათვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება, ნ. ბ-ისათვის პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსის მინიჭების თაობაზე და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის, კანონით დადგენილი წესით, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება, ნ. ბ-ისათვის ჯილდოს სახით კუთვნილი თანხის ანაზღაურების შესახებ. დაზუსტებულ მოთხოვნებთან მიმართებაში მოპასუხე მხარეებად ნ. ბ-მა მიუთითა სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარე-

ბის ეროვნული ცენტრი და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

ცაგერის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ნ. ბ-ის სარჩელი; მოპასუხე სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევის საფუძველზე, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, ნ. ბ-ისათვის პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსის მინიჭების თაობაზე; მოპასუხე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაევალა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, პედაგოგზე ჯილდოს სახით თანხის გადაცემის თაობაზე.

ცაგერის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ და სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 11 მაისის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სააპელაციო საჩივრები; გაუქმდა ცაგერის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ნ. ბ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაევალა, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შედეგად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, ნ. ბ-ისთვის პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსის მინიჭების საკითხთან დაკავშირებით; დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატამ მიუთითა საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე და რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების დასაბუთებაში აღნიშნა, რომ „მასწავლებლის საქმიანობის დანყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის“ დამტკიცების შესახებ საქართველო მთავრობის 2015 წლის 20 თებერვლის №68 დადგენილების ამოქმედების დროს (ამოქმედდა 2015 წლის 23 თებერვალს და ძალადაკარგულია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის №241 დადგენილებით) ნ. ბ-ი არ მუშაობდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მასწავლებლად. შესაბამისად, არ არსებობდა მისი სქემაში ავტომატურად ჩართვისა და პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსის მინიჭების წინაპირობა. ამდე-

ნად, ნ. ბ-ი, მიუხედავად მისი მრავალწლიანი პედაგოგიური გამოცდილებისა, სადავო პერიოდში არ წარმოადგენდა პრაქტიკოს მასწავლებელს, შესაბამისი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებიდან გამომდინარე.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 თებერვლის №68 დადგენილებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის“ მიხედვით, მასწავლებლის პროფესიულ განვითარებას განაპირობებდა ეროვნული სასწავლო გეგმა და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი. მასწავლებლის სტატუსები ეფუძნებოდა მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს. სქემის ფარგლებში, განისაზღვრებოდა მასწავლებლების შემდეგი სტატუსები: პრაქტიკოსი მასწავლებელი (ვრცელდებოდა მხოლოდ სქემაში განაწილებულ მოქმედ მასწავლებლებზე); უფროსი მასწავლებელი; წამყვანი მასწავლებელი; მენტორი. მასწავლებლის მიერ სქემით განსაზღვრული სტატუსის მოპოვება, შენარჩუნება ან შეწყვეტა დამოკიდებული იყო მისი პროფესიული საქმიანობის შეფასების შედეგებზე. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი, მასწავლებლის შეფასების ჯგუფის წინადადების გათვალისწინებით, იღებდა გადაწყვეტილებას მასწავლებლისათვის სტატუსის მინიჭების/შენარჩუნების/შეწყვეტის შესახებ. ყოველი მომდევნო სტატუსის მისაღწევად მასწავლებელს უნდა გაეწეოდა პროფესიული განვითარების თანმიმდევრული გზა. მაგ.: იმ შემთხვევაში, თუ პრაქტიკოსი მასწავლებელი 3 წლის განმავლობაში ვერ ჩააბარებდა საგნის გამოცდას, ან უფროსი მასწავლებლის სტატუსის მინიჭებისათვის განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ ვერ დააგროვებდა უფროსი მასწავლებლის სტატუსის მისაღწეხად აუცილებელ კრედიტულებს, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებული იყო, გაენწყვიტა მასთან შრომითი ურთიერთობა და გამოეცხადებინა ვაკანსია.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოქმედი მასწავლებლების განაწილება სქემაში რეგულირდებოდა „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში მასწავლებლების განაწილების წესით“. მასწავლებლები 2015 წლის 20 აგვისტოდან 2015 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით განაწილდებოდნენ სქემაში. სქემაში ჩართვა სავალდებულო იყო საჯარო სკოლის ყველა მასწავლებლისათვის. სქემაში მასწავლებლების განაწილებისას, პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსი მიენიჭებოდა ყველა არასერტიფიცირებულ მოქმედ მასწავლებელს. მოქმედი მასწავლებლების სქემაში განაწილების მიზნით, იქმნებოდა ელექტრონული სისტემა, რომლის მიზანი იყო მოქმედი მასწავლებლების სქემაში განაწილება, მასწავლებ-

ლის საქმიანობის შედეგების ელექტრონული აღრიცხვა, მასწავლებლის შეფასება და მასწავლებლის ელექტრონული პროფესიული საქალაქის მართვა. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მიუხედავად მასწავლებელთა სქემაში ავტომატური განაწილებისა, განაწილების შემდეგ მინიჭებული სტატუსი მასწავლებლებს აკისრებდა გარკვეულ ვალდებულებებს, მაგ.: პრაქტიკოს მასწავლებელს – შესაბამისი მოქმედებების განხორციელებას, დადგენილ ვადაში უფროსი მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად.

სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 თებერვლის №69 დადგენილებით დამტკიცებულ „მოქმედი მასწავლებლებისათვის მასწავლებლის საქმიანობის დანყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით განსაზღვრული სტატუსების მინიჭების წესზე“, რომლის თანახმად, მასწავლებლის შეფასების ჯგუფი, მასწავლებლის შეფასებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით, მასწავლებლისთვის მინიჭებული კრედიტულების საფუძველზე იღებდა გადაწყვეტილებას მასწავლებლისათვის სქემით განსაზღვრული სტატუსის მინიჭების, შენარჩუნებისა და შეწყვეტის შესახებ წინადადების მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისათვის წარდგენის შესახებ. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ვადაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებული იყო, უზრუნველყო მასწავლებლის შეფასების შედეგებისა და მასწავლებლისათვის სქემით განსაზღვრული სტატუსის მინიჭების, შენარჩუნებისა და შეწყვეტის შესახებ წინადადების განთავსება ელექტრონულ სისტემაში.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, უდავოა, რომ ნ. ბ-ი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მასწავლებლად ხელახლა დასაქმდა 2016 წლიდან და იგი სქემაში არ ჩართულა ზემოაღნიშნული პირობების გათვალისწინებით. შესაბამისად, იგი არ ახორციელებდა სქემაში ჩართული პრაქტიკოსი მასწავლებლებისთვის სავალდებულო აქტივობებს, რაც მასწავლებლებს აძლევდათ საშუალებას, შეენარჩუნებინათ არსებული სტატუსი ან/და მოეპოვებინათ უფრო მაღალი. სქემაში ავტომატურად განაწილების პროცესის დასრულების შემდეგ, პრაქტიკოსი მასწავლებლების სტატუსის მინიჭების წესს №69 დადგენილება აღარ ითვალისწინებდა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ხდებოდა უფროსი, წამყვანი ან მენტორი მასწავლებლის სტატუსის შენარჩუნება; ასეთი სტატუსის მინიჭება; მასწავლებლისათვის პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსის/უფ-

როსი მასწავლებლის სტატუსის/წამყვანი მასწავლებლის სტატუსის/მენტორის სტატუსის შეწყვეტა. პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსი წარმოადგენდა დროებით, გარდამავალ ეტაპს, როცა მოქმედ მასწავლებელს ენიჭებოდა შესაძლებლობა, აემაღლებინა სტატუსი, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოხდებოდა მასთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა. ამ სტატუსის მინიჭებით, სახელმწიფომ მოქმედი მასწავლებლები (რომლებიც დადგენილების ამოქმედების დროისთვის ასწავლიდნენ სკოლაში და არ იყვნენ სერტიფიცირებულნი) ჩააყენა არა პრივილეგიურულ მდგომარეობაში, არამედ მისცა მათ პროფესიაში დარჩენის შანსი. აღნიშნულზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ დღეს მოქმედი კანონმდებლობა აღარ იცნობს პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსს. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 26 ივნისის №390 დადგენილებით ცვლილება შევიდა საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის №241 დადგენილებაში (აღნიშნული დადგენილებით ძალადაკარგულად გამოცხადდა №68 დადგენილებით დამტკიცებული სქემა) და დადგენილებით დამტკიცებული „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა“ ჩამოყალიბდა ამ დადგენილების დანართის შესაბამისად. ახალი სქემის მე-5 მუხლით განისაზღვრა მასწავლებლის სტატუსის მხოლოდ შემდეგი სახეები: ა) უფროსი მასწავლებელი; ბ) წამყვანი მასწავლებელი; გ) მენტორი მასწავლებელი.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ვინაიდან დადგენილია ის ფაქტი, რომ ნ. ბ.-ს არ ჰქონდა პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსი, ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ განცხადებების შინაარსზე, რომლებიც ნ. ბ.-მა ჯერ კიდევ 2019 წლის მაისისა და ივნისის თვეებში წარადგინა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში. ნ. ბ.-ი აღიარებდა, რომ არ ჰქონდა პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსი. იგი მისი პროფესიული კარიერის გათვალისწინებით ითხოვდა პრაქტიკოს მასწავლებლად ცნობას, სამომავლო ბენეფიტების მიღების უზრუნველსაყოფად. ნ. ბ.-მა შესაბამისი შინაარსის განცხადებებით სამინისტროს მიმართა „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის №241 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2019 წლის 6 აგვისტოს №371 დადგენილების გამოქვეყნებამდე. სამინისტრომ ნ. ბ.-ის განცხადებები არ განიხილა და მხოლოდ №371 დადგენილების ამოქმედების შემდეგ, 19-21 აგვისტოს გადაუგზავნა სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორს, შესაბამისი რეაგირებისთვის. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 6 აგვისტოს №371 დადგენილებით განსაზღვრული საჯარო სკოლაში დასაქმებული, საპენსიო ასაკს მიღწეული პრაქტიკოსი მასწავლებლისთვის ფულადი ჯილდოს

გაცემის წესის მიხედვით, საჯარო სკოლაში დასაქმებული საპენსიო ასაკს მიღწეული პრაქტიკოსი მასწავლებლის ფულადი ჯილდო წარმოადგენდა „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ასიგნებებიდან სახელმწიფოს მიერ ერთჯერადი გასაცემელის სახით გადახდილ ფულად თანხას, რომელიც მასწავლებელს მიეცემოდა საჯარო სკოლასა და მასწავლებელს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებ(ებ)ის შეწყვეტის საფუძველზე. ფულადი ჯილდოს მიღების მოთხოვნით განცხადების დანერის უფლება ჰქონდა საჯარო სკოლის იმ პრაქტიკოს მასწავლებელს, რომელიც საპენსიო ასაკს მიაღწევდა 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. პრაქტიკოს მასწავლებელს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისა და ფულადი ჯილდოს მიღების თაობაზე განცხადებით უნდა მიემართა იმ საჯარო სკოლის დირექტორისთვის, სადაც დასაქმებული იყო შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, გაურკვეველია, 2019 წლის 6 აგვისტოს №371 დადგენილების ამოქმედებამდე, 2019 წლის 22 მაისს და 2019 წლის 6 ივნისს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის სახელზე ნ. ბ-ის მიერ წარდგენილი განცხადებები რატომ იქნა მიჩნეული ფულადი ჯილდოს მოთხოვნის შესახებ განცხადებებად, იმ პირობებში, როდესაც განცხადებების შინაარსიდან გამომდინარე, ნ. ბ-ი ითხოვდა პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსის მინიჭებას, შემდგომში ჯილდოს მიღების უფლებით სარგებლობისთვის.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის №241 დადგენილებაში საქართველოს მთავრობის 2020 წლის 26 ივნისის №390 დადგენილებით შეტანილი ცვლილებების შედეგად, №241 დადგენილებით დამტკიცებული სქემა ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით. შედეგად, მოქმედი რედაქციით, განსაკუთრებული პედაგოგიური გამოცდილების და მიღწევის მქონე ღვაწლმოსილ მასწავლებელს მინისტრის ინდივიდუალური აქტით შეიძლება მიენიჭოს სქემით განსაზღვრული ერთ-ერთი სტატუსი: უფროსი, წამყვანი და მენტორი. ნ. ბ-მა მინისტრს პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსი მინიჭების თხოვნით მიმართა 2020 წლის 26 ივნისს განხორციელებული ცვლილებების ამოქმედებამდე, თუმცა ახალი რედაქციით აღარ არის გათვალისწინებული პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსის მინიჭების შესაძლებლობა. შესაბამისი ცვლილებების ამოქმედებამდე მოქმედი რედაქციით, „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის №241 დადგენი-

ლება ადგენდა სტატუსის მინიჭების განსაკუთრებულ შემთხვევას – განსაკუთრებული პედაგოგიური გამოცდილების და მიღწევების მქონე ღვაწლმოსილ მასწავლებელს ან/და ზოგად განათლებაში განსაკუთრებული დამსახურების მქონე მასწავლებელს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შეიძლებოდა მინიჭებოდა სქემით განსაზღვრული ერთ-ერთი სტატუსი: პრაქტიკოსი მასწავლებლის, უფროსი მასწავლებლის, წამყვანი მასწავლებლის ან მენტორის. შესაბამისი სტატუსი, სქემაში განანიშნების საფუძველზე, მასწავლებელს ენიჭებოდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ნ. ბ-ის მიერ სამინისტროში პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსის მინიჭების თაობაზე განცხადებების წარდგენის დროს, საქართველოს 2019 წლის 23 მაისის №241 დადგენილება ითვალისწინებდა განსაკუთრებული პედაგოგიური გამოცდილების და მიღწევების მქონე პედაგოგისთვის პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსის მინიჭების შესაძლებლობასაც. იგივე წესი იყო გათვალისწინებული საქართველოს 2019 წლის 23 მაისის №241 დადგენილების ამოქმედებით ძალადაკარგულად გამოცხადებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 თებერვლის №68 დადგენილებითაც. კერძოდ, დადგენილება განსაზღვრავდა სტატუსის მინიჭების განსაკუთრებულ შემთხვევას, როცა განსაკუთრებული პედაგოგიური გამოცდილების და მიღწევების მქონე ღვაწლმოსილ მასწავლებელს ან/და ზოგად განათლებაში განსაკუთრებული დამსახურების მქონე მასწავლებელს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შეიძლებოდა მინიჭებოდა სქემით განსაზღვრული ერთ-ერთი სტატუსი. სქემით განსაზღვრულ სტატუსებს კი, წარმოადგენდა: პრაქტიკოსი მასწავლებელი, უფროსი მასწავლებელი, წამყვანი მასწავლებელი და მენტორი მასწავლებელი.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოებს არ გამოუკვლევიათ და არ შეუფასებიათ, რას ითხოვდა მათგან განმცხადებელი და რას წარმოადგენდა მისი ნამდვილი ნება. განმცხადებლის ნების გამოკვლევა და შეფასება შესაძლებელი იყო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა დაცვით ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების პროცესში. წარდგენილი განცხადებებით ნ. ბ-ი არ უარყოფდა, რომ მას არ აქვს პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსი და ითხოვდა სწორედ ამ სტატუსის მინიჭებას (ინდივიდუალური

ლური ადინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას), მისი პროფესიული გამოცდილების გათვალისწინებით, რათა შეძლოს იმ ბენეფიტებით სარგებლობა, რაც პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსს უკავშირდებოდა ჯილდოს სახით.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლზე, ამავე კოდექსის 96-ე მუხლზე და ყურადღება გაამახვილა ადმინისტრაციული წარმოების სრულყოფილად ჩატარების მნიშვნელობაზე. სააპელაციო პალატის განმარტებით, დაუშვებელია, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას ან უარს აქტის გამოცემაზე საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. ამდენად, პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსის მინიჭების შესახებ ნ. ბ-ის მიერ წარდგენილ განცხადებებზე სამინისტროს მხრიდან შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოების ჩაუტარებლობის პირობებში, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოების დასკვნა, რომ არ არსებობდა ნ. ბ-ის შესაბამისი მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი. ადმინისტრაციულმა ორგანომ არ შეასრულა თავისი ვალდებულება, საკითხის გადაწყვეტამდე გამოეკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება.

სააპელაციო პალატამ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 23-ე, 33-ე მუხლებზე და ჩათვალა, რომ ნ. ბ-ისათვის პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსის მინიჭების საკითხი ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს ადმინისტრაციულ ორგანოს. ამასთანავე, სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ნ. ბ-ისათვის პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსის მინიჭების საკითხის ადმინისტრაციულ ორგანოში გამოსაკვლევადა დაბრუნება, გამორიცხავს საქმის მიმდინარე ეტაპზე მოსარჩელის მეორე მოთხოვნის დაკმაყოფილებას, რომელიც ფულადი ჯილდოს გაცემის თაობაზე აქტის გამოცემის დავალებას შეეხება. პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვის დასრულებამდე, არ არსებობს ფულადი ჯილდოს გაცემის დაკისრების ნაწილში სასარჩელო მოთხოვნის განხილვის სამართლებრივი საფუძველი, ვინაიდან ამ მოცემულობით, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 6 აგვისტოს №371 დადგენილების მიზნებისათვის, ნ. ბ-ი არ წარმოადგენს ჯილდოს მიღებაზე უფლებამოსილ პირს. აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის საფუძველი შესაძლოა წარმოიშვას მხოლოდ შესაბამისი სტატუსის მინიჭების საკითხთან დაკავშირებით, ხელახლა ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების შედეგად, ნ. ბ-ისათვის სასარგებლო გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პა-

ლატის 2022 წლის 11 მაისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ნ. ბ-მა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ.

კასატორი – ნ. ბ-ი ითხოვს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დაგეგმვას, რომლითაც ნ. ბ-ს ჯილდოს სახით აუნაზღაურდება კუთვნილი თანხა. კასატორის განმარტებით, 2022 წლის 11 მაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით მოპასუხეს დაევალი ნ. ბ-ისთვის პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსის მინიჭება, რაც პირდაპირ კავშირშია ჯილდოს გაცემის საკითხთან. სარჩელის იურიდიულ ინტერესსაც სწორედ აღნიშნული წარმოადგენს.

კასატორის – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მოსაზრებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საკასაციო საჩივარი დასაშვებია, ვინაიდან იგი აკმაყოფილებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ მოთხოვნებს. სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რამაც არსებითად იმოქმედა საქმის განხილვის შედეგზე. ამასთანავე, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან.

კასატორი არ ეთანხმება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას იმ ნაწილში, რომლითაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაევალი საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შედეგად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, ნ. ბ-ისათვის პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსის მინიჭების თაობაზე. კასატორის მოსაზრებით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ დაარღვია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები. გასაჩივრებული გადაწყვეტილება გამოიტანილია საქმის გარემოებითა სრულყოფილი შეფასების გარეშე. გადაწყვეტილება იურიდიულად საკმარისად არ არის დასაბუთებული. არ არის გამოკვლეული საქმის მასალები, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-394-ე მუხლების შესაბამისად, სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, თუმცა არასწორად განმარტა იგი, კერძოდ, „საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის №241 დად-

გენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 6 აგვისტოს №371 დადგენილება, რომელიც შეეხება საჯარო სკოლაში დასაქმებული საპენსიო ასაკს მიღწეული პრაქტიკოსი მასწავლებლისათვის ფულადი ჯილდოს გაცემის წესს, საჯარო სკოლასა და მასწავლებელს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებ(ებ)ის შეწყვეტის საფუძველზე. კასატორის განმარტებით, სასამართლოში საქმის განხილვის ეტაპზე არაერთხელ გაესვა ხაზი იმ გარემოებას, რომ მოსარჩელეს სკოლაში არ წარუდგენია განცხადება ხელშეკრულების შეწყვეტის მოთხოვნით და ვერც ექნებოდა, ვინაიდან ნ. ბ-სა და სკოლას შორის 2019 წლის პირველი სექტემბრიდან შეწყვეტილი იყო შრომითი ურთიერთობა. მოსარჩელემ სამინისტროში 2020 წლის პირველ ივნისს წარადგინა განცხადება მისთვის პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსის მინიჭების თაობაზე, ხოლო სამინისტრომ 2020 წლის 9 ივნისის №446889 წერილით მას განუმარტა „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლითაც ნ. ბ-ი ითვლებოდა მასწავლებლის მაძიებლად. შესაბამისად, მას ვერც სტატუსი მიენიჭებოდა და ვერც ჯილდო გაიცემოდა მის სასარგებლოდ.

კასატორის განმარტებით, მოსარჩელის ერთ-ერთ დაზუსტებულ სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა სამინისტროს 2020 წლის 9 ივნისის №446889 წერილის, როგორც პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და ჯილდოს გაცემა. ამასთან, მოპასუხე სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიმართ მოთხოვნას წარმოადგენდა პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსის მინიჭება. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს აღნიშვნულზე არ უმსჯელია. უფრო მეტიც, სასამართლომ მოსარჩელეს გადაწყვეტილებით მიაკუთვნა იმაზე მეტი, ვიდრე იგი სარჩელით ითხოვდა. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მიუხედავად მრავალწლიანი პედაგოგიური გამოცდილებისა, სადავო პერიოდში ნ. ბ-ი არ წარმოადგენდა პრაქტიკოს მასწავლებელს (საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 თებერვალის №68 დადგენილების ამოქმედების დროისათვის ნ. ბ-ი არ მუშაობდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მასწავლებლად, რაც გამოიწვევდა მის ავტომატურად ჩართვას სქემაში და მისთვის პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსის მინიჭებას), თუმცა სააპელაციო სასამართლომ რატომღაც ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის №241 დადგენილება, მისი ამოქმედების დროისათვის ითვალისწინებდა სტატუსის მინიჭების განსაკუთრებულ შემთხვევას. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ქმნის კომისიას, რომელიც შეიმუშავებს და

ამტკიცებს განსაკუთრებული პედაგოგიური გამოცდილების და მიღწევების მქონე ღვანღმოსილი მასწავლებლისათვის ან/და ზოგად განათლებაში განსაკუთრებული დამსახურების მქონე მასწავლებლისათვის სქემით განსაზღვრული ერთ-ერთი სტატუსის მინიჭების წესსა და პირობებს. სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ მხოლოდ მასწავლებლის (ამ შემთხვევაში – მოსარჩელის) სურვილი არ წარმოადგენს საკმარის საფუძველს მისთვის პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსის მისანიჭებლად. სააპელაციო სასამართლოს დეტალურად განემარტა პროცედურა, რომლის დაცვაც მოსარჩელის მხრიდან აუცილებელი იყო (როგორ უნდა წარდგენილიყო განცხადება სტატუსის მისანიჭებლად), იმ შემთხვევაშიც კი, თუ ჩაითვლებოდა, რომ იგი განსაკუთრებული პედაგოგიური დამსახურების და მიღწევების მქონე პირია. დაუსაბუთებელია ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, იმასთან დაკავშირებით, რომ სამინისტრომ ნ. ბ-ის განცხადებები გამოკვლევის გარეშე გადააგზავნა რეაგირებისათვის სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, მისი კომპეტენციის ფარგლებში, პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსის მინიჭების მოთხოვნაზე მოსარჩელეს 2020 წლის 9 ივნისის №446889 წერილით განუმარტა, თუ ვინც შეძლებდა ჯილდოს მიღებას. განმცხადებელს ასევე განემარტა, რომ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, იგი წარმოადგენდა მასწავლებლობის მაძიებელს და მას ვერ მიენიჭებოდა პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კასატორის მოსაზრებით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უკანონო და დაუსაბუთებელია, როგორც სამართლებრივი, ისე ფაქტობრივი თვალსაზრისით. შესაბამისად, არსებობს მისი გაუქმების საფუძველი, იმ ნაწილში, რომლითაც სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და იმ ნაწილში, რომლითაც ნ. ბ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 30 სექტემბრის და 2022 წლის 14 ნოემბრის განჩინებებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ნ. ბ-ისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საკასაციო საჩივრები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა

პალატის 2023 წლის 27 იანვრის განჩინებით დასაშვებად იქნა მიჩნეული ნ. ბ-ისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საკასაციო საჩივრები. ამავე განჩინებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, დადგინდა მხარეთა დასწრების გარეშე საქმის განხილვა.

სამოტივაციო ნაწილი:

საქმის მასალების შესწავლის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებისა და საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ნ. ბ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ საქმეზე მოსარჩელის ინტერესს წარმოადგენს მისთვის, როგორც საჯარო სკოლაში დასაქმებული საპენსიო ასაკს მიღწეული პედაგოგისათვის, კანონმდებლობით დადგენილი წესით, პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსის მინიჭება, იმ მიზნით, რომ მასზე გავრცელდეს საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის №241 დადგენილებით გათვალისწინებული ფულადი ჯილდოს გაცემის წესი.

საქმის მასალებით დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის ქუთაისის ცენტრალური არქივის მიერ 2019 წლის 26 ივლისს გაცემული № AA2019013017-06 საარქივო ცნობის მიხედვით, ქუთაისის ცენტრალურ არქივში დაცული ...ის რაიონის სოფელ ...ის საშუალო სკოლის დოკუმენტებით დასტურდება 1979 წლის ოქტომბრის თვიდან 1980 წლის თებერვლის თვის ჩათვლით აღნიშნულ სკოლაში ნ. ბ-ის უცხო ენის მასწავლებლად მუშაობის ფაქტი. ...ის რაიონის სოფელ ...ის საშუალო სკოლის 1979-1980 წლების ბრძანების წიგნები თანამშრომელთა შესახებ ქუთაისის ცენტრალურ არქივში დაცვაზე არ შესულა, ხოლო ...ის რაიონის განათლების განყოფილების ბრძანების წიგნებში ნ. ბ-ის სამსახურში დანიშვნისა და სამსახურიდან განთავისუფლების ბრძანებები რეგისტრირებული არ არის. ქუთაისის ცენტრალურ არქივში დაცული ...ის სკოლა-ინტერნატის დოკუმენტებით დასტურდება 1980 წლის მაისის თვიდან 1996 წლის თებერვლის თვის ჩათვლით აღნიშნულ სკოლაში ნ. ბ-ის უცხო ენის მასწავლებლად მუშაობის ფაქტი. ...ის სკოლა-ინტერნატის 1980 წლისა და 1996 წლის ბრძანების წიგნებში ნ. ბ-ის სამსახურში დანიშვნისა და სამსახურიდან განთავისუფლების ბრძანებები რეგისტრირებული არ არის.

სსიპ ...ის მუნიციპალიტეტის სოფელ ...ის საჯარო სჯოლის დირექ-

ტორის მიერ გაცემული 2019 წლის 25 ივნისის ცნობის მიხედვით, ნ. ბ-ი 1979-1980 წლებში მუშაობდა ...ის მუნიციპალიტეტის სოფელ ...ის საშუალო სკოლაში, გერმანული ენის მასწავლებლად. 2013 წელს ნ. ბ-ი ასევე მუშაობდა ...ის მუნიციპალიტეტის სოფელ ...ის საჯარო სკოლაში გერმანული ენის მასწავლებლად, ხოლო 2014-2015 წლებში – ამავე სკოლაში, საინფორმაციო მენეჯერად.

სსიპ დაბა ...ის №... საჯარო სკოლის დირექტორის მიერ 2019 წლის 21 აგვისტოს გაცემული ცნობის მიხედვით, ნ. ბ-ი 2005-2011 წლებში მუშაობდა დაბა ...ის №... საჯარო სკოლაში, გერმანული ენის მასწავლებლად და აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტაცია სკოლაში არსებობს. ამავე ცნობაში მითითებულია, რომ ნ. ბ-ის სსიპ დაბა ...ის №... საჯარო სკოლაში მასწავლებლად დანიშვნისა და 2000 წლიდან 2005 წლამდე მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია სკოლაში არ იძებნება.

სსიპ დაბა ...ის №... საჯარო სკოლის დირექტორის მიერ გაცემული 2019 წლის 27 ივნისის ცნობის მიხედვით, ნ. ბ-ი 2016 წლის სექტემბრიდან დღემდე მუშაობს დაბა ...ის №... საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. ამასთან, როგორც მისი პირადი საქმიდან ირკვევა, ნ. ბ-ი 1980-1991 წლებში მუშაობდა ამავე სკოლის ბაზაზე არსებულ ...ის სკოლა-ინტერნატში, აღმზრდელ მასწავლებლად, დაწყებითი კლასების მასწავლებლად და გერმანული ენის მასწავლებლად.

სსიპ დაბა ...ის №... საჯარო სკოლის დირექტორის მიერ გაცემული 2019 წლის 27 აგვისტოს ცნობით დგინდება, რომ 1996 წლიდან 2000 წლამდე ნ. ბ-ი მუშაობდა ...ის №... საშუალო სკოლაში.

საქმეზე წარმოდგენილი სსიპ დაბა ...ის №... საჯარო სკოლის დირექტორის 2016 წლის 15 სექტემბრის №37/ზ ბრძანების მიხედვით, 2016 წლის 15 ნოემბრიდან ნ. ბ-თან დაინიშნა შრომითი ურთიერთობა, მითითებული სკოლის დაწყებითი კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის ვაკანტურ ადგილზე.

საქმეზე წარმოდგენილი ...ის №... საჯარო სკოლასა და ნ. ბ-ს შორის გაფორმებული 2016 წლის 15 სექტემბრის, 2017 წლის პირველი სექტემბრისა და 2018 წლის პირველი სექტემბრის შრომითი ხელშეკრულებებით დგინდება, რომ მითითებულ სკოლაში ნ. ბ-ი 2016 წლის 15 სექტემბრიდან 2017 წლის პირველ სექტემბრამდე დასაქმებული იყო დაწყებითი კლასების მასწავლებლად, 2017 წლის პირველი სექტემბრიდან 2018 წლის პირველ სექტემბრამდე – ასევე დაწყებითი კლასების მასწავლებლად, ხოლო 2018 წლის პირველი სექტემბრიდან 2019 წლის პირველ სექტემბრამდე – ქართულის მასწავლებლად.

...ის მუნიციპალიტეტის ...ის მუზეუმის დირექტორის მიერ 2019 წლის

26 აგვისტოს გაცემული ცნობის მიხედვით, ნ. ბ-ი 2012 წლიდან ნამდვილად მუშაობს აღნიშნულ მუზეუმში პედაგოგ-ექსკურსიამძღოლად.

2019 წლის 22 მაისს ნ. ბ-მა განცხადებით მიმართა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრს. განმცხადებელმა მიუთითა, რომ იგი არის 63 წლის პენსიონერი პედაგოგი. 2016 წლიდან მუშაობს დაბა ...ის №... საჯარო სკოლაში, დაწყებითი კლასების მოქმედ მასწავლებლად. სისტემამ არ მიანიჭა პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსი, თავად კი, ვერ ერკვეოდა, რა პროცედურების დაცვა სჭირდებოდა პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსის მინიჭებას. 2016 წლამდე აქვს სხვა სკოლებში მუშაობის 30 წლიანი სტაჟი. სურს გავიდეს სკოლიდან, როგორც პენსიონერი პედაგოგი და აიღოს ჯილდო, მაგრამ რადგან პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსი არა აქვს, ჯილდოც არ ეკუთვნის. ამავე განცხადებით ნ. ბ-ი ითხოვდა მისი პედაგოგიური მოღვაწეობის გათვალისწინებას მიმდინარე პერიოდში და სკოლიდან გაშვებას იმ ნახალისების ფორმით, რა ფორმითაც გადაიან პრაქტიკოსი პენსიონერი მასწავლებლები.

...ის საგანმანათლებლო რესურსცენტრის 2019 წლის 22 მაისის № MES 9 19 006 18609 მიმართვით ნ. ბ-ის 2019 წლის 22 მაისის განცხადება გადაიგზავნა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში.

2019 წლის 12 ივნისს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარედგინა მინისტრის სახელზე შედგენილი ნ. ბ-ის 2019 წლის 6 ივნისის განცხადება, პედაგოგზე ჯილდოს სახით ორი წლის ხელფასის გაცემის საკითხის განხილვის თაობაზე. აღნიშნულ განცხადებაში ნ. ბ-ი მიუთითებდა, რომ 30 წლის განმავლობაში მუშაობდა სხვადასხვა სკოლაში, მასწავლებლად. 2010 წელს, ოჯახური პირობების გამო, მოუხდა სკოლის დატოვება. 2016 წელს დაიწყო მუშაობა ...ის №... საჯარო სკოლაში და ითვლება მოქმედ მასწავლებლად, ვინაიდან 2015 წლის ბრძანების თანახმად, არ მიენიჭა პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსი. ბოლო სამი წლის განმავლობაში (2016-2019წწ.) იგი არ იყო ჩართული მასწავლებელთა სქემაში, არ ერქვა სტატუსის მქონე მასწავლებელი. თავად ვერ ერკვეოდა, რა პროცედურების გავლა სჭირდებოდა ამ სტატუსის მინიჭებას, რაც ხელს უშლის ჯილდოს აღებაში. აქვს სულ 34-35 წლის მუშაობის სტაჟი. პირნათლად მუშაობდა სკოლებში. განმცხადებელი ითხოვდა მისი სტაჟიდან გამომდინარე, პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსის მინიჭებას, სკოლიდან წასვლისას კუთვნილი ჯილდოს აღების მიზნით.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის 2019 წლის 19 აგვისტოს №MES 6 19

01061504 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში განმცხადებლებისათვის განმარტების გაკეთებისა და შემდგომი რეაგირების მიზნით, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორს გაეგზავნა სამინისტროში შესული სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსცენტრებისა და მოქალაქეების კორესპონდენცია (სამინისტროში რეგისტრაციის №618609, №739120, №637769, №898642, №889080, №988613), საპენსიო ასაკის პრაქტიკოსის სტატუსის არმქონე და სქემაში ჩართვის გარეშე სკოლაში დასაქმებული მასწავლებლებისთვის ფულადი ჯილდოს მოთხოვნის თაობაზე.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის 2019 წლის 21 აგვისტოს №MES 2 19 01073020 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში განმცხადებლისთვის განმარტებების გაკეთებისა და შემდგომი რეაგირების მიზნით, ნ. ბ-ის 2019 წლის 12 ივნისის №739160 წერილი დამატებით გადაეგზავნა სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორს.

პედაგოგიური ჯილდოს შესახებ ინფორმაციის მოთხოვნის პასუხად, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის 2019 წლის 15 ოქტომბრის №MES 8 19 01385994 წერილით ნ. ბ-ს ეცნობა, რომ „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის №241 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 6 აგვისტოს №371 დადგენილების შესაბამისი მუხლის („საჯარო სკოლაში დასაქმებული საპენსიო ასაკის მიღწეული პრაქტიკოსი მასწავლებლის ფულადი ჯილდოს გაცემის წესი“) პირველი პუნქტის მიხედვით, საჯარო სკოლაში დასაქმებული საპენსიო ასაკის მიღწეული პრაქტიკოსი მასწავლებლის ფულადი ჯილდო წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ ერთჯერადი გასაცემლის სახით გადახდილ ფულად თანხას, რომელიც მასწავლებელს მიეცემა საჯარო სკოლასა და მასწავლებელს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებ(ებ)ის შეწყვეტის საფუძველზე. ნ. ბ-ი ვერ მოითხოვდა ფულად ჯილდოს, რადგან იგი არ იყო პრაქტიკოსი მასწავლებელი (ანალოგიური შინაარსისაა სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის 2019 წლის 12 დეკემბრის №MES 4 19 01709107 წერილი ნ. ბ-ისადმი).

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში წარდგენილ განცხადებაში (განცხადებაზე თარიღი მითითებული არ არის, თუმცა მასზე თანდართული ცნობების გათვალისწინებით, განცხადება შედგენილია არაუადრეს 2019 წლის 27 აგ-

ვისტოს) ნ. ბ-მა ქრონოლოგიურად აღწერა თავისი პედაგოგიური გამოცდილება და მიუთითა, რომ 33-წლიანი სტაჟის გათვალისწინებით, მასზე უნდა გავრცელებულიყო 2019 წლის 23 მაისის №241 დადგენილებით განსაზღვრული წესი, საჯარო სკოლაში დასაქმებული, საპენსიო ასაკს მიღწეული პრაქტიკოსი მასწავლებლისათვის ფულადი ჯილდოს გაცემის თაობაზე. მინისტრის დადგენილების საფუძველზე პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსის მინიჭების წესის მოქმედების დროს, იგი ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას – მუშაობდა პედაგოგ-ექსპერტ-სიამლოლად, ...ის მუზეუმში, ასევე მუშაობდა სკოლაში საინფორმაციო მენეჯერად. განმცხადებელმა წარადგინა ცნობები სამუშაო გამოცდილების შესახებ, მოითხოვა მისი საკითხის განხილვა და შესაძლებლობის მიცემა, ესარგებლა 2019 წლის 23 მაისის №241 დადგენილებით განსაზღვრული პირობებით, ჯილდოს მისაღებად.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის 2019 წლის 28 ნოემბრის №MES 6 19 01628992 მიმართვით, ნ. ბ-ის 2019 წლის 26 ნოემბრის №1611248 წერილი, რომელიც შეეხებოდა პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსის მინიჭებას და ფულადი ჯილდოს მიღებას, კომპეტენციის ფარგლებში განმცხადებლისთვის განმარტებების გაკეთებისა და შემდგომი რეაგირების მიზნით, გადაეგზავნა სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორს.

2020 წლის პირველი ივნისის განცხადების მიღების ბარათის მიხედვით (№MES 8 20 0000420555), 2020 წლის პირველ ივნისს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარედგინა მინისტრის სახელზე შედგენილი განცხადება, მოქალაქე ნ. ბ-ისათვის პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსის მინიჭების შესახებ სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტში წარდგენილი 2020 წლის პირველი ივნისის №420555 წერილის პასუხად, ნ. ბ-ს დეპარტამენტის უფროსის 2020 წლის 9 ივნისის №MES 0 20 00446889 წერილით ეცნობა, რომ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 61² მუხლის მიხედვით, პირი, რომელიც 2018-2019 სასწავლო წლის დასაწყისისთვის ასწავლიდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში და მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართული არ იყო, ჩაითვალიდა მასწავლებლობის მაძიებლად. ნ. ბ-ი მითითებულ სქემაში ვერ განაწილდებოდა, ვინაიდან ვერ აკმაყოფილებდა მასწავლებლის განათლების საკმარის მოთხოვნებს. შესაბამისად, მას ავტომატურად მიენი-

ჭა მასწავლებლობის მაძიებლის სტატუსი. ნ. ბ-ს ასევე განემარტა, რომ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის №241 დადგენილებაში 2019 წლის 6 აგვისტოს №371 დადგენილებით განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, ფულადი ჯილდო გაიცემოდა იმ საპენსიო ასაკს მიღწეული პრაქტიკოსი მასწავლებლისათვის, რომელიც დასაქმებული იყო საჯარო სკოლაში, ან რომელსაც 2019-2020 სასწავლო წლის დაწყებამდე შეჩერებული ჰქონდა შრომითი ურთიერთობა. შესაბამისად, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო მოკლებული იყო შესაძლებლობას, დაეკმაყოფილებინა ნ. ბ-ის მოთხოვნა.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა დადგენილად მიიჩნევს, რომ ნ. ბ-ი წლების განმავლობაში, მათ შორის – 2016 წლის სექტემბრიდან 2019 წლის პირველ სექტემბრამდე პერიოდში, ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში. შესაბამისად, ნ. ბ-ი წარმოადგენდა „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ მასწავლებელს და მასზე ვრცელდებოდა როგორც საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 თებერვლის №68 დადგენილებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა“, ისე აღნიშნული დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შემდგომ ამოქმედებული, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის №241 დადგენილებით დამტკიცებული „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა“.

საკასაციო სასამართლო საყურადღებოდ მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმესთან დაკავშირებულ სადავო საკითხებთან მიმართებაში, ნ. ბ-მა პირველად 2019 წლის 22 მაისს წარადგინა განცხადება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში. აღნიშნულ განცხადებაში ნ. ბ-ი ადასტურებდა იმ გარემოებას, რომ მას არ ჰქონდა მინიჭებული პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსი და გააჩნდა სურვილი, სხვა პრაქტიკოსი პენსიონერი მასწავლებლების მსგავსად, მისი პედაგოგიური მოღვაწეობის გათვალისწინებით, სკოლიდან წასულიყო ნახალისების ფორმით. პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსის არქონა მას აბრკოლებდა, მიეღო ჯილდო. ამდენად, მოსარჩელის უპირველეს ინტერესს წარმოადგენდა მისთვის პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსის მინიჭება, სამომავლოდ ჯილდოს აღების მიზნით. ამავე ინტერესის არსებობას ადასტურებს ასევე ნ. ბ-ის მიერ სამინისტროში 2019 წლის 12 ივნისს წარდგენილი განცხადება (განმცხადებელი მიუთითებდა, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში (2016-2019წწ.) არ ყოფილა ჩართული მასწავლებელთა სქემაში, არ არის სტატუსის მქო-

ნე მასწავლებელი და ითხოვს, მისი სტაჟიდან გამომდინარე, პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსის მინიჭებას, რათა სკოლიდან წასვლისას აიღოს კუთვნილი ჯილდო). გარდა ამისა, 2020 წლის პირველი ივნისის განცხადებითაც ნ. ბ-მა მოითხოვა პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსის მინიჭების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ნ. ბ-ის მიერ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში განცხადების პირველად წარდგენის დროს – 2019 წლის 22 მაისს ჯერ კიდევ მოქმედებდა საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 თებერვლის №68 დადგენილებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა“. აღნიშნული ნორმატიული აქტის მეორე თავში მითითებული „ტერმინთა განმარტებების“ მიხედვით, სქემით განსაზღვრულ ერთ-ერთ სტატუსად მიიჩნეოდა პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსი, რომელიც მასწავლებლის შეფასების/სქემაში მასწავლებლების განაწილების საფუძველზე, მასწავლებელს ენიჭებოდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. ამასთან, „პრაქტიკოსი მასწავლებელი“ განმარტებული იყო, როგორც მასწავლებელი, რომელიც გეგმავდა და წარმართავდა საგაკვეთილო პროცესს, „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის №36/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად.

ამავე ნორმატიული აქტის მე-5 თავის შესაბამისად, სქემით განსაზღვრული მასწავლებლების ოთხი სტატუსიდან ერთ-ერთს წარმოადგენდა პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსი, რომელიც ვრცელდებოდა მხოლოდ სქემაში განაწილებულ მოქმედ მასწავლებლებზე. ამავდროულად იყო განსაზღვრული მასწავლებლის სტატუსების მისანიჭებლად/შესანარჩუნებლად აუცილებელი გზები და საშუალებები, ხოლო VI თავი შეეხებოდა მასწავლებელთა კარიერულ წინსვლას და მოქმედი მასწავლებლების სქემაში განაწილებას. კერძოდ, ამ თავში მითითებული იყო, რომ მასწავლებლების პირველადი განაწილება სქემაში განხორციელდებოდა 2015 წლის 20 აგვისტოდან 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შესაძლებელი იყო მასწავლებლების სქემაში განაწილების დამატებითი ვადის დადგენა. „ა“ პუნქტის თანახმად, პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსი მიენიჭებოდა მოქმედ მასწავლებელს, რომელიც

არ იყო სერტიფიცირებული მასწავლებელი და მასწავლებელს, რომელიც არ აკმაყოფილებდა „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს (იგულისხმება უფროსი მასწავლებლისა და წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მიენიჭებისათვის დადგენილი მოთხოვნები).

2019 წლის 22 მაისის განცხადების წარდგენის შემდეგ, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის №241 დადგენილებით ძალადაკარგულად გამოცხადდა ზემოაღნიშნული, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 თებერვლის №68 დადგენილებით დამტკიცებული „სქემა“ და დამტკიცდა ახალი „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა“. 2020 წლის 26 ივნისამდე რედაქციით, აღნიშნული ნორმატიული აქტის შესაბამისად, სქემაში ჩართვა სავალდებულო იყო საჯარო სკოლის ყველა მასწავლებლისათვის. ამავგე ნორმატიული აქტის მეორე თავის შესაბამისად („ტერმინთა განმარტებები“), „სქემით განსაზღვრულ სტატუსად“ მიიჩნეოდა პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსი, ან უფროსი მასწავლებლის სტატუსი, ან წამყვანი მასწავლებლის სტატუსი, ან მენტორის სტატუსი, რომელიც მასწავლებლის შეფასების/სქემაში მასწავლებლების განაწილების საფუძველზე, მასწავლებელს ენიჭებოდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. ამავგე „სქემით“, „პრაქტიკოსი მასწავლებელი“ განმარტებული იყო, როგორც მასწავლებელი, რომელიც გეგმავდა და წარმართავდა საგაკვეთილო პროცესს „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის №40/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმისა და „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის №36/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად („ა“, „ბ“, „გ“ პუნქტები).

მითითებული ნორმატიული აქტის მე-3 თავის შესაბამისად, სქემა განსაზღვრავდა მასწავლებლის ოთხ სტატუსს, რომელთაგან პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსი ვრცელდებოდა მხოლოდ სქემაში განაწილებულ მოქმედ მასწავლებლებზე. სქემით განსაზღვრული სტატუსები ეფუძნებოდა საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგმისა და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს. მასწავლებლის მიერ სქემით განსაზღვრული სტატუსის მოპოვება დამოკიდებული იყო მისი პროფესიული საქმიანობის შეფასების შედეგებზე. მასწავლებელს მიენიჭებოდა ზემოთ ჩამოთვლილი სტატუსები, თუკი იგი დააგროვებდა შესაბამისი სტატუსის მინიჭებისთვის განსაზღვრულ კრედიტულებს.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ უდავო ფაქტობრივ გარემოებას წარმოადგენს მოსარჩელის მასწავლებლად მუშაობა წლების განმავლობაში. ამასთანავე, მან მასწავლებლად მუშაობის პირობებში, სკოლასთან შესაბამისი ხელშეკრულების ვადის ამონურვამდე – 2019 წლის პირველ სექტემბრამდე წარადგინა არაერთი განცხადება სამინისტროში (2019 წლის 22 მაისის, 6 ივნისის განცხადებები, აგვისტოს თვის განცხადება), რომლებითაც უპირველესად სწორედ პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსის მინიჭების ინტერესს გამოთქვამდა. საქმის მასალებით ასევე დადგენილია, რომ მითითებულ განცხადებებს შესაბამისი რეაგირება, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემით არ მოჰყოლია, ხოლო სამინისტროს მხრიდან გაცემული პირველი ინფორმაციული ხასიათის წერილი, რომელიც ზემოაღნიშნულ განცხადებებზე რეაგირებას უკავშირდება, თარიღდება 2019 წლის 15 ოქტომბრით. ამდენად, მოსარჩელისაგან დამოუკიდებელი მიზეზით, მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ მისი მასწავლებლად მუშაობის პერიოდის დასრულებამდე არ მოახდინა რეაგირება შესაბამის განცხადებებზე. საქმის მასალებით და მოპასუხე მხარის წერილებში ასახული არგუმენტებით, შესაბამის მტკიცებულებებზე მითითებით არ არის დადასტურებული იმ დამაბრკოლებელ გარემოებათა უდავოდ არსებობა, რაც მოსარჩელის ინტერესის დაკმაყოფილებას გამორიცხავდა.

საკასაციო პალატა საყურადღებოდ მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ ყველა განცხადებაში, რომელიც ნ. ბ-მა წარადგინა 2019 წლის 22 მაისიდან, ხაზგასმულია მისი ხანგრძლივი სამუშაო სტაჟი და დამსახურებული პედაგოგიური საქმიანობა. მოსარჩელე სწორედ ამ გარემოებების გათვალისწინებით ითხოვს პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსის მინიჭებას.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 თებერვლის №68 დადგენილებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის“ VI თავით გათვალისწინებული იყო სტატუსის მინიჭების განსაკუთრებული შემთხვევა – განსაკუთრებული პედაგოგიური გამოცდილების და მიღწევების მქონე ღვანლმოსილ მასწავლებელს ან/და ზოგად განათლებაში განსაკუთრებული დამსახურების მქონე მასწავლებელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შეიძლება მინიჭებოდა სქემით განსაზღვრული ერთ-ერთი სტატუსი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ქმნიდა კომისიას, რომელიც შეიმუშავებდა და ამტკიცებდა განსაკუთრებული პედაგოგიური გამოცდილების და მიღწევების მქონე ღვანლმოსილი მასწავლებ-

ლისათვის ან/და ზოგად განათლებაში განსაკუთრებული დამსახურების მქონე მასწავლებლისათვის სქემით განსაზღვრული ერთ-ერთი სტატუსის მინიჭების წესსა და პირობებს.

ამავე წესს ადგენს საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის №241 დადგენილებით დამტკიცებული „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა“. საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს აღნიშნულ „სქემაში“ სტატუსის მინიჭების განსაკუთრებულ შემთხვევასთან დაკავშირებული ჩანაწერის იმ რედაქციაზე, რომელიც მოქმედებდა მოსარჩელის მიერ ადმინისტრაციულ ორგანოებში შესაბამისი განცხადებების წარდგენის დროს. კერძოდ, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის №241 დადგენილებით დამტკიცებული „სქემა“ სტატუსის მინიჭების განსაკუთრებულ შემთხვევაში მოიაზრებდა განსაკუთრებული პედაგოგიური გამოცდილების და მიღწევების მქონე ღვანღმოსილ მასწავლებელს ან/და ზოგად განათლებაში განსაკუთრებული დამსახურების მქონე მასწავლებელს, რომელსაც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შეიძლებოდა მინიჭებოდა სქემით განსაზღვრული ერთ-ერთი სტატუსი (თავის მხრივ, „სქემით“ განსაზღვრულ ერთ-ერთ სტატუსს წარმოადგენდა პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსი).

საკასაციო პალატა საყურადღებოდ მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ სადავო პერიოდში სტატუსის მინიჭების განსაკუთრებული შემთხვევა, სქემით განსაზღვრული ერთ-ერთი სტატუსის (მათ შორის – პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსის) მინიჭების წინაპირობად ადგენდა განსაკუთრებულ პედაგოგიურ გამოცდილებას, მიღწევებს და დამსახურებებს. ასეთ შემთხვევაში, მასწავლებლის მიერ სქემით განსაზღვრული სტატუსის მოპოვება დამოკიდებული არ იყო მისი პროფესიული საქმიანობის შეფასების შედეგებზე (შესაბამისი სტატუსის მინიჭებისთვის განსაზღვრული კრედიტულების დაგროვებაზე და ა.შ.). საკასაციო პალატა საქმის მასალებით დადასტურებულად მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელესთან მიმართებაში სახეზე იყო მისთვის პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსის მინიჭების განსაკუთრებული შემთხვევა (საწინააღმდეგო გარემოებების არსებობას მოპასუხე მხარე ვერ ადასტურებს), თუმცა როგორც აღინიშნა, შესაბამისი სტატუსის მინიჭების მოთხოვნის შემცველ არაერთ განცხადებაზე, კანონით დადგენილ ვადაში სამინისტროს რეაგირება არ მოუხდენია. წარდგენილ განცხადებებთან დაკავშირებული მიმოწერა (2019 წლის 22 მაისიდან 2020 წლის 9 ივნისამდე) ისე დასრულდა, რომ სამინისტროს არ გამოუცია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, მოსარჩელისათვის პრაქტი-

კოსი მასწავლებლის სტატუსის მინიჭების თაობაზე. უსაფუძვლოა მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან იმ გარემოებაზე ხაზგასმამა, რომ მოსარჩელე ვერ აკმაყოფილებდა მასწავლებლის განათლების საკმარის მოთხოვნებს, პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსის მისანიჭებლად, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელე, როგორც საპენსიო ასაკს მიღწეული პედაგოგი, მოტივირებულია, პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსი მიიღოს არა სამომავლოდ წინსვლისა და უფრო მაღალი სტატუსის მისანიჭებლად, არამედ, მისთვის, როგორც დამსახურებული, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში დასაქმებული პედაგოგისათვის, შესაბამისი ნორმატიული აქტით განსაზღვრული უპირატესობის მოსაპოვებლად (ფულადი ჯილდოს მისაღებად). საკასაციო პალატის მოსაზრებით, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მოსარჩელის განცხადებების რეალური შინაარსი, მათი წარდგენის მომენტიცათვის ამართლებდა მის ინტერესს – ხანგრძლივი სამუშაო სტაჟიდან და დამსახურებული პედაგოგიური საქმიანობიდან გამომდინარე, მიეღო პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსი, შემდგომში ჯილდოს მიღების მიზნით. მოცემულ შემთხვევაში, არარელევანტურია ის გარემოება, რომ პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსის მისანიჭებლად, მოსარჩელეს უნდა დაეკმაყოფილებინა საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 თებერვლის №68 დადგენილებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის“ პირობა - „სქემის“ დამტკიცების დროს უნდა ყოფილიყო მოქმედი მასწავლებელი. მოსარჩელე თავადვე ადასტურებს იმ გარემოებას, რომ მითითებული პერიოდისათვის ნამდვილად არ წარმოადგენდა საგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმებულ პედაგოგს და შესაბამისად, მას ვერ მიენიჭებოდა პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსი. ნ. ბ-მა ამ გარემოებისაგან დამოუკიდებლად გამოხატა ინტერესი, მინიჭებოდა პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსი – 2016 წლიდან იგი კვლავ დასაქმდა სკოლაში და მასწავლებლად მუშაობის პირობებში, სკოლასთან შესაბამისი ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე – 2019 წლის პირველ სექტემბრამდე წარადგინა არაერთი განცხადება სამინისტროში, მისთვის, როგორც განსაკუთრებული პედაგოგიური გამოცდილების მქონე პირისათვის პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით. ამდენად, მოთხოვნა ნ. ბ-ისათვის პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსის მინიჭების თაობაზე საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ნ. ბ-ის მიერ მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოებში არაერთი განცხადების წარდგენის პროცესში, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის №241 დადგენილებით დამტკიცებულ „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და

კარიერული წინსვლის სქემაში“ განხორციელდა ცვლილება და 2019 წლის 6 აგვისტოს №371 დადგენილებით ამოქმედდა „საჯარო სკოლაში დასაქმებული საპენსიო ასაკს მიღწეული პრაქტიკოსი მასწავლებლისთვის ფულადი ჯილდოს გაცემის წესი“. აღნიშნული „წესი“ მოქმედებდა 2020 წლის 26 ივნისამდე და მოიცავდა ნ. ბ-ის მხრიდან სამინისტროში წარდგენილი განცხადებების პერიოდს, რომლებიც შეეხებოდა მისთვის პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსის მინიჭებას და ჯილდოს გაცემას.

2020 წლის 26 ივნისამდე საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის №241 დადგენილებით გათვალისწინებული „ჯილდოს გაცემის წესით“, საჯარო სკოლაში დასაქმებული საპენსიო ასაკს მიღწეული პრაქტიკოსი მასწავლებლის ფულადი ჯილდო განმარტებული იყო, როგორც „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონით განსაზღვრული ასიგნებებიდან სახელმწიფოს მიერ ერთჯერადი გასაცემელის სახით გადახდილი ფულადი თანხა, რომელიც მასწავლებელს მიეცემოდა საჯარო სკოლასა და მასწავლებელს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებ(ებ)ის შეწყვეტის საფუძველზე. ფულადი ჯილდოს მიღების მოთხოვნით განცხადების დაწერის უფლება ჰქონდა საჯარო სკოლის იმ პრაქტიკოს მასწავლებელს, რომელიც საპენსიო ასაკს მიაღწევდა 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. საჯარო სკოლაში დასაქმებული საპენსიო ასაკს მიღწეული პრაქტიკოსი მასწავლებლისთვის ფულადი ჯილდოს გაცემის წესს, პირობებს, ეტაპებსა და ვადებს ადგენდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. ამ თავით გათვალისწინებული შემთხვევების შესახებ ფულადი ჯილდოს ოდენობის დაანგარიშებასა და გაცემასთან დაკავშირებით გადწყვეტილებას იღებდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

ამდენად, ზემოაღნიშნული საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის №241 დადგენილებით დამტკიცებულ „სქემაში“ 2019 წლის 6 აგვისტოს განხორციელებული ცვლილებით ამოქმედებული „ჯილდოს გაცემის წესი“, შესაბამისი ფულადი ჯილდოს გაცემის სუბიექტად ადგენდა საჯარო სკოლაში დასაქმებულ, საპენსიო ასაკს მიღწეულ, პრაქტიკოსი სტატუსის მქონე მასწავლებელს. მოცემულ შემთხვევაში, უდავოა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში განცხადების პირველად წარდგენისას – 2019 წლის 22 მაისს მოსარჩელე იყო მოქმედი მასწავლებელი – შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, ქართულის მასწავლებლად დასაქმებული იყო ...ის №... საჯარო სკოლაში. ასევე დადგენილია, რომ განცხადების წარდგენისას მოსარ-

ჩელე იყო საპენსიო ასაკს მიღწეული პირი („სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, პენსიაზე უფლება ქალებს წარმოეშობათ 60 წლიდან. მოსარჩელე 2019 წლის 22 მაისს იყო 63 წლის). ამასთანავე, მოსარჩელის ...ის №... საჯარო სკოლაში ქართულის მასწავლებლად დასაქმება დასტურდება 2019 წლის პირველ სექტემბრამდე. შესაბამისი ცვლილების ამოქმედების დროს, ჯილდოს მისაღებად მოსარჩელე არ აკმაყოფილებდა მხოლოდ ერთ პირობას – მას არ ჰქონდა მინიჭებული პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსი, თუმცა უდავოა, რომ 2019 წლის 6 აგვისტოს შემდეგ, მოსარჩელე არაერთი განცხადებით, უშედეგოდ ცდილობდა შესაბამისი სტატუსის მინიჭებას, სწორედ იმ მიზნით, რომ გამხდარიყო ფულადი ჯილდოს მიღების სრულფასოვანი სუბიექტი (2019 წლის 26 ნოემბრის, 2020 წლის პირველი ივნისის განცხადებები).

საკასაციო პალატა თვლის, რომ იმ პირობებში, როდესაც საფუძვლიანად არის მიჩნეული ნ. ბ-ის მოთხოვნა, მისთვის პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსის მინიჭების თაობაზე, ასევე საფუძვლიანია მოთხოვნა, პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსიდან გამომდინარე, ნ. ბ-ის სასარგებლოდ ფულადი ჯილდოს გაცემის თაობაზე.

საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ რეალური შესაძლებლობა, სრულად დაკმაყოფილდეს მოსარჩელის მოთხოვნა (დაევალოს მოპასუხეს მისთვის პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსის მინიჭებისა და ფულადი ჯილდოს გაცემის შესახებ აქტების გამოცემა) არსებობს მხოლოდ მოცემული სამართალურთიერთობის მარეგულირებელი ნორმატიული აქტის იმ რედაქციის ნორმების გამოყენების შემთხვევაში, რომლებიც მოქმედებდა ნ. ბ-ის მხრიდან სადავო პერიოდში შესაბამისი პრეტენზიების შემცველი განცხადებების წარდგენის დროს. როგორც აღინიშნა, მოსარჩელის საბოლოო მიზანს, მისთვის, როგორც განსაკუთრებული დამსახურების მქონე პედაგოგისათვის, პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსის მინიჭების პირობებში ჯილდოს მიღება წარმოადგენს. „ჯილდოს გაცემის ნესი“, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის №241 დადგენილებით დამტკიცებულ „სქემაში“ 2019 წლის 6 აგვისტოს ამოქმედდა და გაუქმდა 2020 წლის 26 ივნისს. ამასთანავე, მოსარჩელესა და მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის სადავო საკითხებთან მიმართებაში მიმონერა 2019 წლის 22 მაისიდან 2020 წლის 9 ივნისამდე გაგრძელდა და შესაბამისი აქტის გამოცემის მიზნით, წარმოების ჩატარების გარეშე დასრულდა. ამ პირობებში, საკასაციო პალატა თვლის, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 23-ე მუხლით აღძრული სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობასთან მიმართებაში, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 თებერვლის №68 დადგენილებით დამტკიცებული „სქემის“ შე-

საბამის ნორმებთან ერთად, რელევანტურია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის №241 დადგენილებით დამტკიცებული „სქემის“ 2020 წლის 26 ივნისამდე მოქმედი რედაქციის ნორმების გათვალისწინება. საგულისხმოა, რომ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის №241 დადგენილებით დამტკიცებული „სქემა“, 2020 წლის 26 ივნისიდან განსაკუთრებულ შემთხვევებში აღარ მოიაზრებს პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსის მინიჭების შესაძლებლობას. კერძოდ, მითითებული თარიღით ახალი რედაქციით დამტკიცებული „სქემის“ 25-ე მუხლის პირველი პუნქტი ადგენს, რომ განსაკუთრებული პედაგოგიური გამოცდილებისა და მიღწევების მქონე ღვანდმოსილ მასწავლებელს/სპეციალურ მასწავლებელს ან/და ზოგად განათლებაში განსაკუთრებული დამსახურების მქონე მასწავლებელს/ სპეციალურ მასწავლებელს, სქემის 26-ე მუხლით განსაზღვრული წესის შესაბამისად, შეიძლება, მიენიჭოს სქემის მე-5 და მე-17 მუხლებით განსაზღვრული მასწავლებლის/სპეციალური მასწავლებლის ერთ-ერთი სტატუსი. თავის მხრივ, „სქემის“ მე-5 მუხლით, მასწავლებლის სტატუსის სახეებად განსაზღვრულია უფროსი მასწავლებელი, წამყვანი მასწავლებელი და მენტორი მასწავლებელი, ხოლო მე-17 მუხლი ადგენს სპეციალური მასწავლებლის სტატუსის სახეებს: პრაქტიკოსი სპეციალური მასწავლებელი; უფროსი სპეციალური მასწავლებელი; წამყვანი სპეციალური მასწავლებელი; მენტორი სპეციალური მასწავლებელი (განსაკუთრებულ შემთხვევებში პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსის მინიჭების შესაძლებლობა აღარ დადგენილა მითითებულ ნორმატიულ აქტში 2020 წლის 26 ივნისის შემდგომ განხორციელებული ცვლილებებითაც). საკასაციო პალატის მოსაზრებით, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, იმ პირობებში, როდესაც შესაბამისი განცხადებების წარდგენისას მოქმედი რეგულაციები მოსარჩელის ინტერესის რეალურად დაკმაყოფილების შესაძლებლობას იძლეოდა და მოპასუხე სამინისტროს მხრიდან განცხადებებს დროული რეაგირება არ მოჰყოლია, მოსარჩელისათვის პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსის მინიჭების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა სამინისტროს უნდა დაევალოს 2020 წლის 26 ივნისის საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის №241 დადგენილებით დამტკიცებულ „სქემაში“ შესაბამისი ცვლილებების განხორციელებამდე არსებული წესების შესაბამისად.

საკასაციო პალატა ასევე საგულისხმოდ მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის №241 დადგენილებით დამტკიცებული „სქემა“ 2020 წლის 26 ივნისიდან აღარ ითვალისწინებს შესაძლებლობას – შესაბამისი სტატუსის მინიჭების პირობებში, პედაგოგმა მიიღოს ჯილდო, რაც მოცემულ დავაზე მოსარჩე-

ლის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს (პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსის მინიჭების შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილება მისთვის წარმოადგენს მხოლოდ მეორე მოთხოვნის – ჯილდოს მიღების დაკმაყოფილების საშუალებას). ამდენად, მოსარჩელისაგან დამოუკიდებელი მიზეზით, შესაბამის განცხადებებზე ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან დროული რეაგირების არარსებობის გამო, „სქემის“ დღეს მოქმედი რედაქცია ვეღარ უზრუნველყოფს მისი მიზნის მიღწევის შესაძლებლობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ როგორც პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსის მინიჭების, ისე პრაქტიკოსი მასწავლებლისთვის ფულადი ჯილდოს გაცემის საკითხთან მიმართებაში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა გამოსცეს საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის №241 დადგენილებით დამტკიცებული „სქემის“ 2020 წლის 26 ივნისამდე მოქმედი რეგულაციების გათვალისწინებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობს, ხოლო ნ. ბ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს; უნდა გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 11 მაისის გადაწყვეტილება და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე, საქმეზე მიღებული ახალი გადაწყვეტილებით ნ. ბ-ის სარჩელი სრულად უნდა დაკმაყოფილდეს; უნდა დაევალოს მოპასუხე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემა, ნ. ბ-ისათვის პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსის მინიჭებისა და მისთვის ფულადი ჯილდოს ანაზღაურების თაობაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა ღ ა ნ ე ვ ი ტ ა :

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. ნ. ბ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
3. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 11 მაისის გადაწყვეტილება და მიღე-

ბულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

4. ნ. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს;

5. დაევალოს მოპასუხე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, ნ. ბ-ისათვის პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსის მინიჭების თაობაზე;

6. დაევალოს მოპასუხე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, ნ. ბ-ისათვის ფულადი ჯილდოს ანაზღაურების თაობაზე;

7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საზღვაო მეცნიერების ბაკალავრის კვალიფიკაციით დიპლომის ნამდვილობა

განჩინება საქართველოს სახელით

№ბს-177(კ-22)

25 ივლისი, 2023 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: გ. მაკარიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
თ. ოქროპირიძე**

კასატორის მოთხოვნა: გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება

აღწერილობითი ნაწილი:

1. მ. მ-ამ სასარჩელო განცხადებით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელემ მოითხოვა: ა) ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2019 წლის 20 მარტის №05/517 წერილი (მომართვა); ბ) სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დაევალოს, გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლითაც მ. მ-ას აღუდგება მეორე მექანიკოსის

კომპეტენციის დიპლომი და დაშვებულ იქნება უფროსი მექანიკოსის კვალიფიკაციის ასამაღლებელ გამოცდაზე.

სარჩელის თანახმად, მ. მ-ამ, 8-წლიანი საშუალო განათლების მიღების შემდეგ, 1985 წელს, სწავლა განაგრძო ...ში ...ის სპეციალობით. 1987 წელს გაიარა პრაქტიკა მ/ტ „გენერალ მ-ეზე“ (3,5 თვე), 1988 წელს – მ/ტ „ბათუმი“ (3 თვე), ხოლო 1988-1990 წელს მოსარჩელემ გაიარა სამხედრო სავალდებულო სამსახური. 2005 წელს მ. მ-ამ სწავლა გააგრძელა ...ში დაუსწრებელ ფაკულტეტზე ...ის სპეციალობით, თუმცა სწავლის დაწყებიდან რამდენიმე დღეში განცხადებით მიმართა ადმინისტრაციას და მოითხოვა გადაეყვანათ გემების ...ის კათედრაზე. ადმინისტრაციამ განცხადება ჩაიბარა და უთხრეს, რომ გაატარებდნენ რეგისტრაციაში. 2009 წელს მ. მ-ამ აიღო დიპლომი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ მან მიიღო ...ის ბაკალავრის წოდება. მ. მ-ამ მიმართა საზღვაო ადმინისტრაციას და მოითხოვა მორიგე მექანიკოსის გამოცდაზე დაშვება. მოსარჩელემ გამოცდა ჩააბარა და მიიღო კომპეტენციის სერტიფიკატი. 18-თვიანი სტაჟის დაგროვების შემდეგ მოსარჩელემ კვლავ განცხადებით მიმართა სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს, რათა დაეშვათ მეორე მექანიკოსის გამოცდაზე. გამოცდის ჩაბარების შედეგად მოსარჩელემ მიიღო მეორე მექანიკოსის სერტიფიკატი. 26-თვიანი სტაჟის დაგროვების შემდეგ, 2015 წლის 25 ივნისს, მ. მ-ამ ისევ მიმართა მოპასუხეს უფროსი მექანიკოსის გამოცდაზე დაშვების მოთხოვნით, რაზეც უარი განუცხადეს, იმ საფუძველით, რომ მის სახელზე შეცდომით იყო გაცემული ...ის დიპლომი და რეალურად მისი სასწავლო დიპლომი არის ...ის სპეციალობის. მ. მ-ამ შეიტანა განცხადება ...ში და ჩაირიცხა ... სასწავლებელში. 2016 წელს საბუთები გადაიტანა ...ში და 2017 წლის 5 აგვისტოს ჩააბარა სახელმწიფო გამოცდა, ხოლო 21 აგვისტოს აიღო ცნობა, რომ მან დაამთავრა ...ის უნივერსიტეტი გემების ...ის განხრით. აღნიშნული ცნობა მ. მ-ამ წარადგინა სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოში და მიმართა განცხადებით, რომ დაეშვათ მეორე მექანიკოსის გამოცდაზე, რაზეც ისევ მიიღო უარი და მას განუმარტეს, რომ ვინაიდან 2015 წლის 21 აგვისტოს ბრძანებით გაუქმებული იყო მასზე გაცემული მეორე მექანიკოსის კომპეტენციის სერტიფიკატი, მეზღვაურის წიგნაკით სააგენტოს არ ჰქონდა უფლება, მ. მ-ა დაეშვა მეორე მექანიკოსის გამოცდაზე. პროტესტის მიუხედავად, რომ ეს ბრძანება შეეხებოდა მეორე მექანიკოსის და არა მორიგე მექანიკოსის სერტიფიკატის გაუქმებას, სააგენტოს იურისტმა განუცხადა, რომ ბრძანებაში იგულისხმება მორიგე მექანიკოსის კომპეტენციის სერტიფიკატიც და მთელი ნამუშევარი – სტაჟი, რაც 2010 წლიდან 2017 წლამდე მუშაობით დააგროვა მ. მ-ამ, არ ჩაეთვალა.

მოსარჩელე აღნიშნავს, რომ საერთაშორისო კონვენციის თანახმად,

მეზღვაურების და ვახტის დგომის შესაბამისი დიპლომის კანდიდატს ევალუა, მხოლოდ ბოლო 5 წლის განმავლობაში თეორიული ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტის და სტაჟის წარდგენა, რომელიც ასევე დასტურდება, საზღვაო აკადემიის მიერ გაცემული დიპლომით და გემებზე მუშაობის სტაჟით, რეკომენდაციებით. ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილებით (საქმე №3-11/18), უდავოდ და ცალსახად დადგინდა, რომ მ. მ-ას გააჩნია მეორე მექანიკოსის (...ი, შეკეთება მომსახურება, ...) მუშაობის სტაჟი და კომპეტენციის სერტიფიკატი (6.6 პუნქტის მე-9 აზვაცი). 2019 წლის 25 თებერვალს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს განცხადებით მიმართა მ. მ-ას წარმომადგენელმა და მოითხოვა, რომ გამოეცათ შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლითაც მ. მ-ას აღუდგებოდა მეორე მექანიკოსის კომპეტენციის სერტიფიკატი და ის დაეშვათ უფროსი მექანიკოსის კვალიფიკაციის ასამაღლებელ გამოცდაზე, რაზეც სააგენტოს დირექტორმა 2019 წლის 20 მარტს გამოსცა №05/517 წერილი, რომლითაც უარი განაცხადა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. აღნიშნული წერილი არის უსაფუძვლო, უკანონო და უნდა გაუქმდეს, რადგანაც მისი მიღებისას მოპასუხეს არ მოუხდენია საქმის გარემოებათა გამოკვლევა, მათი შეფასება და ურთიერთშეჯერება. სააგენტომ მხედველობაში არ მიიღო და სათანადოდ არ შეაფასა ის გარემოება, რომ მ. მ-ას უკვე გააჩნდა შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დიპლომი, გემების ...ის სპეციალობით და მეორე მექანიკოსად მუშაობის სტაჟი, რაც საკმარისი იყო უფროსი მექანიკოსის კვალიფიკაციის ასამაღლებელ გამოცდაზე დასაშვებად.

2. ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილებით მ. მ-ას სარჩელი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიმართ, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისა და ახალი აქტის გამოცემის თაობაზე, არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ა) მ. მ-ამ 1988 წელს დაამთავრა ...ის სასწავლებლის სრული კურსი, ...ის სპეციალობით, მიიღო ...ის პროფესია და 30 ივნისს გაცემული №... დიპლომის საფუძველზე მიენიჭა, 1-ლი კლასის ...ის, მე-2 კლასის ...ის კვალიფიკაცია; ბ) მ. მ-ამ 2015 წლის 18 ივნისს განცხადებით მიმართა სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს, კომპეტენციის სერტიფიკატის (უფროსი მექანიკოსის) მისაღებად. მ. მ-ას მიერ წარდგენილი იქნა სსიპ ...ის მიერ 2006 წლის 10 ივნისს გაცემული №... დიპლომი, რომლის თანახმად ...ო ფაკულტეტის 2006 წლის 10 ივნისის №26 საოქ-

მო გადაწყვეტილებით, მ. მ-ას მინიჭებული აქვს ...ის კვალიფიკაციით, ...ა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ გადამოწმებულ იქნა სსიპ ...ში, მ. მ-აზე გაცემული აღნიშნული დიპლომის ნამდვილობა, კერძოდ, 2015 წლის 25 ივნისს სააგენტომ №05/1682 წერილით მიმართა ...ას, მ. მ-აზე გაცემული განათლების დიპლომის ნამდვილობის დადასტურებასთან დაკავშირებით და ...დან 2015 წლის 29 ივნისს მიღებული №01-01/2051 წერილით დადგინდა, რომ მ. მ-ას სახელზე 2006 წელს ...ის მიერ ...ის კვალიფიკაციით, №... დიპლომი არ გაცემულა. აღნიშნულის შემდეგ, სააგენტომ 2015 წლის 20 ივლისს №05/915 წერილით მიმართა სამართალდამცავ ორგანოებს შემდგომი რეაგირებისათვის, მიაწოდა ინფორმაცია, მ. მ-ას განათლების დიპლომის სავარაუდო ფიქტიურობასთან დაკავშირებით და აღნიშნულ საქმეზე დღემდე მიმდინარეობს გამოძიება; გ) სსიპ ...ის მიერ 2008 წლის 30 ივნისს მ. მ-ას სახელზე გაცემულია №... დიპლომი, რომლის თანახმად ...ო ფაკულტეტის 2008 წლის 30 ივნისის №16 საოქმო გადაწყვეტილებით, მ. მ-ას მინიჭებული აქვს ...ის სპეციალობით, ...ა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი; დ) სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის, მ. ა-ის მიერ 2015 წლის 21 აგვისტოს მიღებული №01/01/45 ბრძანებით, იმ საფუძველით, რომ არ დადასტურდა მ. მ-ას სახელზე 2006 წელს აკადემიის მიერ ...ის კვალიფიკაციით №... დიპლომის ნამდვილობა, გაუქმებული იქნა სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ მ. მ-აზე 2012 წლის 4 მაისს გაცემული №... მეორე მექანიკოსის (...ი, ...ა, ...ი) კომპეტენციის სერტიფიკატი, 2012 წლის 4 მაისს გაცემული კომპეტენციის სერტიფიკატის დადასტურება №... და 2013 წლის 30 ივლისს გაცემული მეზღვაურის წიგნაკი № ...; ე) მ. მ-ამ 2016 წლის 5 იანვარს განცხადება შეიტანა სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოში, ...ის კომპეტენციის სერტიფიკატის მიღების შესახებ. სააგენტომ მიიღო გადაწყვეტილება, მ. მ-ას მიერ წარდგენილი, საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების დიპლომის საფუძველზე ის დაეშვა გამოცდაზე. აღნიშნული კომპეტენციის სერტიფიკატის მიღების შემდეგ, 2016 წლის 18 იანვარს მ-ამ მიმართა სააგენტოს განცხადებით, მეზღვაურის წიგნაკის მისაღებად. მ-ას მოთხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა და სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ მასზე გაიცა მეზღვაურის წიგნაკი, ...ის კომპეტენციის სერტიფიკატის საფუძველზე; ვ) მ. მ-ამ განცხადება შეიტანა შპს „...ში“ და ჩაირიცხა უკრაინის ქ. ... სასწავლებელში, საიდანაც 2016 წელს საბუთები გადმოიტანა ...ში, ხოლო 2017 წლის 5 აგვისტოს ჩააბარა სახელმწიფო გამოცდა. შპს „...ის“ 2017 წლის 24 აგვისტოს №05/353 ცნობის თანახმად, მ. მ-ა სწავლობდა ამ სასწავლო დაწესებულებაში, აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურზე საზღვაო-საინჟინრო ფაკულტეტის „...ის“ სა-

განმანათლებლო პროგრამაზე და 2017 წლის 21 აგვისტოს საკვალიფიკაციო სხდომის №18/17 ოქმის საფუძველზე მას მიენიჭა საზღვაოსნო მეცნიერების (...) ბაკალავრის კვალიფიკაცია; ზ) მ. მ-ამ სარჩელი აღძრა ბათუმის საქალაქო სასამართლოში, სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიმართ, რომლითაც მოითხოვა „სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ მ. მ-აზე გაცემული კომპეტენციის სერტიფიკატის, კომპეტენციის სერტიფიკატის დადასტურების და მეზღვაურის ნიგნაკის გაუქმების თაობაზე“ 2015 წლის 21 აგვისტოს №01/01/45 ბრძანების ბათილად ცნობა. ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილებით (საქმე №3-11/18), მ. მ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა; თ) შპს „...ის“ 2017 წლის 24 აგვისტოს №05/353 ცნობა მ. მ-ამ 2019 წლის 25 თებერვალს წარადგინა სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოში და მიმართა განცხადებით, რომლითაც მოითხოვა მეორე მექანიკოსის კომპეტენციის სერტიფიკატის აღდგენა და უფროსი მექანიკოსის გამოცდაზე დაშვება. სააგენტოს 2019 წლის 20 მარტის №05/517 წერილით მ. მ-ას მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ განმარტა, რომ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, მეზღვაურის პროფესიის დასაწყებად, იმისათვის, რომ მეზღვაურს მიენიჭოს ექსპლუატაციის ან მართვის დონის კვალიფიკაცია, აუცილებელია რამდენიმე კრიტერიუმის დაკმაყოფილება, კერძოდ, მას უნდა ჰქონდეს შესაბამისი საკვალიფიკაციო გამოცდა ჩაბარებული, უნდა გააჩნდეს გემზე ნაოსნობისა და წვრთნის გავლის სტაჟი, შესაბამისი საზღვაო განათლება, ასევე, უნდა ჩააბაროს უფლებამოსილ ორგანოში სათანადო გამოცდა (გასაუბრება).

სასამართლომ მიუთითა „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 და 21-ე მუხლებზე, „მეზღვაურების მომზადების, დიპლომირებისა და ვახტის განევის შესახებ“ გაეროს 1978 წლის საერთაშორისო კონვენციის III/2 რეგლამენტზე და განმარტა, რომ უფროსი მექანიკოსის სერტიფიცირებისათვის აუცილებელი პირობაა, მეორე მექანიკოსად მუშაობის განსაზღვრული ოდენობის სტაჟის ქონა, რომელიც კანდიდატის მიერ დაგროვებული უნდა იყოს, შესაბამისი საზღვაო განათლების და უკვე არსებული სერტიფიკატით გემზე მუშაობის პირობებში. მ. მ-ას მეორე მექანიკოსად გემზე მუშაობის სტაჟი დაგროვებული ჰქონდა არანამდვილი საზღვაო განათლების დიპლომით გემზე მუშაობის პირობებში და მეორე მექანიკოსის იმ კომპეტენციით, რაც უფლებამოსილი ორგანოს, სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ გაუქმებულ იქნა 2015 წლის 21 აგვის-

ტოს №01/01/45 ბრძანებით. მართალია, სახეზეა მ. მ-ას მეორე მექანიკოსად გემზე ფაქტობრივი მუშაობის სტაჟი, თუმცა მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული, უფროსი მექანიკოსის კომპეტენციის სერტიფიცირებისათვის, ამ სტაჟს არ გააჩნია შესაბამისი სამართლებრივი მდგენელი, რამდენადაც ის დაგროვებულია არასათანადო საზღვაო განათლების და უკანონოდ, გაუქმებულად შეფასებული კომპეტენციის სერტიფიკატის მოქმედების და მისი გამოყენების პირობებში. გამოცდაზე გასასვლელად ყველა შემთხვევაში სავალდებულოა მეორე მექანიკოსის კომპეტენციის სერტიფიკატის წარდგენა, რაც მ. მ-ას არ გააჩნია, რამდენადაც სააგენტოს დირექტორის 2015 წლის 21 აგვისტოს №01/01/45 ბრძანებით ის გაუქმებული აქვს.

მოსარჩელემ 2019 წლის 25 თებერვალს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოში წარდგენილი განცხადებით გაუქმებული სერტიფიცირების აღდგენა მოითხოვა, თუმცა ამ მოთხოვნაზე სააგენტოს მიერ სწორად ეთქვა უარი, რადგან, კანონიერ ძალაში შესული ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილებით (საქმე №3-11/18) კანონიერად იქნა შეფასებული, სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს 2015 წლის 21 აგვისტოს №01/01/45 ბრძანება, რომლითაც კონკრეტული საფუძველით გაუქმდა მ. მ-აზე გაცემული მეორე მექანიკოსის კომპეტენციის სერტიფიკატი, კომპეტენციის სერტიფიკატის დადასტურება და მეზღვაურის წიგნაკი, ხოლო მოსარჩელეს ამასთან დაკავშირებით არ გააჩნდა ახალი გარემოება, რაც გაუქმებული სერტიფიცირების აღდგენის საფუძველი გახდებოდა. ის გარემოება, რომ მ. მ-ამ 2019 წლის 25 თებერვალს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს წარუდგინა ახლად მიღებული საზღვაო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, შპს „...ის“ 2017 წლის 24 აგვისტოს №05/353 ცნობა, რომლის თანახმად, მ. მ-ა სწავლობდა აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურზე საზღვაო-საინჟინრო ფაკულტეტის „...ის“ საგანმანათლებლო პროგრამაზე და 2017 წლის 21 აგვისტოს საკვალიფიკაციო სხდომის №18/17 ოქმის საფუძველზე მიენიჭა საზღვაოსნო მეცნიერების (...ა) ბაკალავრის კვალიფიკაცია, მეორე მექანიკოსის გაუქმებული სერტიფიკატის აღდგენის ავტომატური საფუძველი ვერ გახდებოდა. ამასთან, ახალი დიპლომი და მიღებული განათლება გავლენას ვერ იქონიებს იმ სტაჟზე, რაც შესაბამისი საზღვაო განათლების არარსებობის პირობებში იქნა დაგროვებული მ. მ-ას მიერ და ვერ გამოდგება ამ მხრივ სტაჟის ლეგიტიმაციისათვის, უფროსი მექანიკოსის კვალიფიკაციის სერტიფიცირების გავლის მიზნით. მ. მ-ას მიერ მეორე მექანიკოსად მუშაობის ფაქტობრივი სტაჟი ვერ დაუკავშირდება, შპს „...ში“ მიღებულ საზღვაო განათლების დოკუმენტს იმ მნიშვნელობით, რომ მისთვის სასურველი კვალიფიკაციის ამაღლების და შესაბამისი სერ-

ტიფიკატის მიღების სამართლებრივი საფუძველი შეექმნას.

3. ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა მ. მ-ას მიერ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 16 ივნისის განჩინებით მ. მ-ას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელი დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილება.

პალატამ მიუთითა „მეზღვურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „პ“, „ჟ“, „ს“, „უ“ და „ზ“³⁸ ქვეპუნქტებზე და განმარტა, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს მის მიერვე გამოცემული აქტის კანონიერებისა და მიზანშეწონილობის გადამოწმების ვალდებულება წარმოეშობა, როდესაც ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი ამ აქტის კანონშესაბამისობასთან დაკავშირებით და ეს წარმოადგენს მმართველობითი ორგანოების მიერ ერთგვარი კონტროლის განხორციელების სამართლებრივ ფუნქციას. მ. მ-ამ 2019 წლის 25 თებერვალს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიმართა განცხადებით, რომლითაც მოითხოვდა მეორე მექანიკოსის კომპეტენციის დიპლომის აღდგენა და უფროსი მექანიკოსის გამოცდაზე დაშვება. სააგენტოში მან წარადგინა შპს „...ის“ 2017 წლის 24 აგვისტოს №05/353 ცნობა, რომლის თანახმად, მ. მ-ა სწავლობდა აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურზე საზღვაო-საინჟინრო ფაკულტეტის „...ის“ საგანმანათლებლო პროგრამაზე და 2017 წლის 21 აგვისტოს საკვალიფიკაციო სხდომის №18/17 ოქმის საფუძველზე მიენიჭა საზღვაოსნო მეცნიერების (...ა) ბაკალავრის კვალიფიკაცია. სააგენტოს 2019 წლის 20 მარტის №05/517 წერილით მ. მ-ამ მიიღო უარი იმ საფუძველით, რომ მას არ გააჩნდა შესაბამისი განათლების დიპლომი, მექანიკოსის კვალიფიკაციით და მის მიერ ნაოსნობის სტაჟის დაგროვება მოხდა იმ კვალიფიკაციის მიხედვით, რომელიც მას არ ჰქონია ან მიღებული ჰქონდა წესის დარღვევით. შესაბამისად, არარსებული კვალიფიკაციის საფუძველზე მიღებული ნაოსნობის სტაჟი და მის სახელზე გაცემული ყველა სერტიფიკატი გაუქმებული იყო და ყალბი დოკუმენტის საფუძველზე მიღებული ნაოსნობის სტაჟი სააგენტოს მიერ ვერ იქნებოდა გათვალისწინებული. მექანიკოსის კვალიფიკაციით ნაოსნობის სტაჟი მ. მ-ას მიღებული ჰქონდა ყალბი დიპლომის გამოყენებით, რომელიც მასზე არ ყოფილა გაცემული. ზემოაღნიშნული წერილით მ. მ-ას განემარტა, რომ სააგენტოს 2015 წლის 21 აგვისტოს №01/01/45 ბრძანებით გაუქმებულ იქნა მასზე გაცემული მეორე მექანიკოსის კომპეტენციის სერტიფიკატი, კომპეტენციის სერტიფიკატის დადასტურება, მეზღვურის ნიგნაკი და სააგენტოს არ ჰქონდა უფლება ეცნო კანონდარღვე-

ვით მიღებული ნაოსნობის სტაჟი კომპეტენციის სერტიფიკატის აღების სამართლებრივ საფუძვლად და დაეშვა მ. მ-ა უფროსი მექანიკოსის გამოცდაზე.

პალატამ მიუთითა „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებზე, ასევე განმარტა, რომ მიითითებული კანონის მე-20 და 21-ე მუხლებით დადგენილია 750 კვტ-დან 3000 კვტ-მდე და მეტი სიმძლავრის მთავარი ამძრავი მექანიზმის მქონე გემის უფროსი მექანიკოსის (და მეორე მექანიკოსის) სერტიფიკატის გაცემის წესი, რომელიც ყველა შემთხვევაში მოითხოვს მეორე მექანიკოსად მუშაობის არანაკლებ 16 (და 24) თვის სტაჟს და შესაბამის საზღვაო განათლებას, ასევე, სათანადო წვრთნის გავლას და STCW-ის კოდექსის A – III/2 ნაწილით დადგენილი კომპეტენციის სტანდარტებთან შესაბამისობას. უფროსი მექანიკოსის სერტიფიცირების სავალდებულო მინიმალური მოთხოვნები განსაზღვრულია მეზღვაურების მომზადების, დიპლომირებისა და ვახტის გაწევის შესახებ გაეროს 1978 წლის საერთაშორისო კონვენციის (STCW, რომელსაც საქართველო მიუერთდა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 15 ნოემბრის დადგენილების საფუძველზე; ძალაშია 1994 წლის 14 ივლისიდან) III/2 რეგლამენტით, რომლის თანახმად, უფროსი მექანიკოსის სერტიფიცირების მისაღებად კანდიდატს უნდა ჰქონდეს მეორე მექანიკოსის დიპლომით (სერტიფიცირების) გემზე მუშაობის მინიმუმ 36 თვის დამტკიცებული სტაჟი, არანაკლებ 12 თვის ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობით.

პალატის განმარტებით, უფროსი მექანიკოსის სერტიფიცირებისათვის აუცილებელი პირობაა, მეორე მექანიკოსად მუშაობის განსაზღვრული ოდენობის სტაჟის ქონა, რომელიც კანდიდატის მიერ დაგროვებული უნდა იყოს, შესაბამისი საზღვაო განათლების და უკვე არსებული სერტიფიკატით გემზე მუშაობის პირობებში. დადგენილია, რომ მ. მ-ამ 1988 წელს დაამთავრა ქ. ...ის სასწავლებლის სრული კურსი და 30 ივნისს გაცემული №... დიპლომის საფუძველზე მიენიჭა 1-ლი კლასის ...ის, მე-2 კლასის ...ის კვალიფიკაცია. 2005 წელს მან სწავლა განაგრძო სსიპ ...ში, დაუსწრებელ ფაკულტეტზე და პარალელურად მუშაობდა ზღვაოსნობაში. 2015 წლის 18 ივნისს მ. მ-ამ განცხადებით მიმართა სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს, კომპეტენციის სერტიფიკატის (უფროსი მექანიკოსის) მისაღებად და წარადგინა სსიპ ...ის მიერ 2006 წლის 10 ივნისს გაცემული №... დიპლომი, რომლის თანახმად, ...ო ფაკულტეტის 2006 წლის 10 ივნისის №26 ოქმი გადანყვეტილებით, მას მინიჭებული აქვს ...ის კვალიფიკაციით, ...ა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. აღნიშნულის შემდეგ, მ. მ-ამ ჩააბარა შესაბამისი გამოცდები და სააგენტოში აიღო მექანიკოსის კომპეტენციის სერტიფიკატი, ხოლო ...ად მუ-

შაობის 18-თვიანი სტაჟის დაგროვების შემდეგ, ისევ მიმართა განცხადებით საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, რომ დაეშვათ მეორე მექანიკოსის გამოცდაზე, რისი დასტურიც მიიღო და გამოცდის ჩაბარების შემდგომ, 2012 წლის 4 მაისს, აიღო მეორე მექანიკოსის (...ი, ...ა, ...ი) კომპეტენციის სერტიფიკატი, სერტიფიკატის დადასტურება და შესაბამისი მეზღვაურის წიგნაკი, შემდეგ კი, ამის საფუძველზე განაგრძო მუშაობა მეორე მექანიკოსის პოზიციაზე და დაუგროვდა გარკვეული ოდენობის სტაჟი.

პალატამ მიუთითა „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლზე და განმარტა, რომ სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ გადამოწმდა სსიპ ...აში მ. მ-აზე 2006 წელს გაცემული ...ის კვალიფიკაციის დამადასტურებელი №... დიპლომის ნამდვილობა და სააგენტოს დირექტორის 2015 წლის 21 აგვისტოს №01/01/45 ბრძანებით, იმ საფუძველით, რომ არ დადასტურდა დიპლომის ნამდვილობა, გაუქმებულ იქნა მ. მ-აზე 2012 წლის 4 მაისს გაცემული №... მეორე მექანიკოსის კომპეტენციის სერტიფიკატი, 2012 წლის 4 მაისს გაცემული კომპეტენციის სერტიფიკატის დადასტურება №... და 2013 წლის 30 ივლისს გაცემული მეზღვაურის წიგნაკი №.... ამდენად, მ. მ-ას მიერ მეორე მექანიკოსად გემზე მუშაობის სტაჟი დაგროვებული ჰქონდა სწორედ არანამდვილო საზღვაო განათლების დიპლომით გემზე მუშაობის პირობებში და მეორე მექანიკოსის იმ კომპეტენციით, რაც უფლებამოსილი ორგანოს, სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ გაუქმდა 2015 წლის 21 აგვისტოს №01/01/45 ბრძანებით. მ. მ-ამ სარჩელი აღძრა ბათუმის საქალაქო სასამართლოში, სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიმართ, რომლითაც მოითხოვა სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ მ. მ-აზე გაცემული კომპეტენციის სერტიფიკატის, კომპეტენციის სერტიფიკატის დადასტურების და მეზღვაურის წიგნაკის გაუქმების თაობაზე 2015 წლის 21 აგვისტოს №01/01/45 ბრძანების ბათილად ცნობა. სასამართლოს 2018 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილებით (საქმე №3-11/18), მ. მ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა და სააგენტოს დირექტორის 2015 წლის 21 აგვისტოს №01/01/45 ბრძანება კანონშესაბამის აქტად იქნა მიჩნეული.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მართალია, სახეზეა მ. მ-ას მეორე მექანიკოსად გემზე ფაქტობრივი მუშაობის სტაჟი, თუმცა მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული, უფროსი მექანიკოსის კომპეტენციის სერტიფიცირებისათვის, ამ სტაჟს არ გააჩნია შესაბამისი სამართლებრივი მდგენელი, რამდენადაც ის დაგროვებულია არასათანადო საზღვაო განათლების და უკანონოდ, გაუქმებულად შეფასებული კომპეტენციის სერტიფიკატის მოქმედების და მისი გამოყენების პირობებში. მოსარჩელემ 2019 წლის 25 თებერვალს სსიპ საზღვაო ტრან-

სპორტის სააგენტოში წარდგენილი თავისი განცხადებით გაუქმებული სერტიფიცირების აღდგენა მოითხოვა, რაზეც სააგენტოს მიერ სწორად ეთქვა უარი, რადგანაც კანონიერ ძალაში შესული ბათუმის საქალაქო სასამართლოს 13.07.2018წ. გადაწყვეტილებით (საქმე №3-11/18), კანონიერად იქნა შეფასებული სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს 2015 წლის 21 აგვისტოს №01/01/45 ბრძანება, რომლითაც კონკრეტული საფუძველით გაუქმდა მ. მ-აზე გაცემული მეორე მექანიკოსის კომპეტენციის სერტიფიკატი, კომპეტენციის სერტიფიკატის დადასტურება და მეზღვაურის წიგნაკი, ხოლო მოსარჩელეს ამასთან დაკავშირებით არ გააჩნდა ახალი გარემოება, რაც გაუქმებული სერტიფიცირების აღდგენის საფუძველი გახდებოდა. ის გარემოება, რომ მ. მ-ამ 2019 წლის 25 თებერვალს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს წარუდგინა ახლად მიღებული საზღვაო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, შპს „...ის“ 2017 წლის 24 აგვისტოს №05/353 ცნობა, რომლის თანახმად, მ. მ-ა სწავლობდა აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურზე საზღვაო-საინჟინრო ფაკულტეტის „...ის“ საგანმანათლებლო პროგრამაზე და 2017 წლის 21 აგვისტოს საკვალიფიკაციო სხდომის №18/17 ოქმის საფუძველზე მიენიჭა, საზღვაოსნო მეცნიერების (...ა) ბაკალავრის კვალიფიკაცია, მეორე მექანიკოსის გაუქმებული სერტიფიკატის აღდგენის ავტომატური საფუძველი ვერ გახდებოდა. ამასთან, ახალი დიპლომი და მიღებული განათლება გავლენას ვერ იქონიებს იმ სტაჟზე, რაც შესაბამისი საზღვაო განათლების არარსებობის პირობებში იქნა დაგროვებული მ. მ-ას მიერ და ვერ გამოდგება ამ მხრივ სტაჟის ლეგიტიმაციისათვის, უფროსი მექანიკოსის კვალიფიკაციის სერტიფიცირების გავლის მიზნით.

სააპელაციო პალატის განმარტებით, მ. მ-ას მიერ მეორე მექანიკოსად მუშაობის ფაქტობრივი სტაჟი ვერ დაუკავშირდება, შპს „...ში“ მიღებულ საზღვაო განათლების დოკუმენტს იმ მნიშვნელობით, რომ მისთვის სასურველი კვალიფიკაციის ამაღლების და შესაბამისი სერტიფიკატის მიღების სამართლებრივი საფუძველი შეექმნას.

4. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 16 ივნისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. მ-ამ.

კასატორის მითითებით, სასამართლომ არასწორად მიიჩნია დადგენილად ფაქტობრივი გარემოება, რომ სსიპ ...ის მიერ მ. მ-აზე გაცემული დიპლომი ...ის კვალიფიკაციით არის ყალბი, ვინაიდან მოცემული დიპლომის ნამდვილობის შესახებ სსიპ ...ას (ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში), ისევე როგორც საქართველოს განათლების სამინისტროს არანაირი მოკვლევა და ადმინისტრაციული წარმოება არ ჩაუტარებია, მათ შორის, არ დაუდგენია თუ რომელი დიპლომია ყალბი – მ. მ-

აზე გაცემული თუ სხვა მეზღვაურზე იგივე სერიითა და ნომრით გაცემული დიპლომი. სსიპ ...ის მიერ გაცემული დიპლომი და სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ გაცემული მეზღვაურის კომპეტენციის დამადასტურებელი სერტიფიკატი და მეზღვაურის წიგნაკი არის აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლის მიმართაც მ. მ-ას გააჩნია კანონიერი ნდობა. სასამართლოს არცერთ ინსტანციას არ გამოუკვლევია ჰქონდა თუ არა მ. მ-ას კანონიერი ნდობა აღნიშნული აქტების მიმართ. ასევე, არც ადმინისტრაციული ორგანოს და არც სასამართლოს მსჯელობის საგანი არ გამხდარა აქტის ბათილად ცნობით მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურების საკითხი. ამასთან საყურადღებოა, რომ შპს „...ის“ 2017 წლის 24 აგვისტოს №05/353 ცნობის თანახმად, მ. მ-ა სწავლობდა აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურზე საზღვაო-საინჟინრო ფაკულტეტის „...ის“ საგანმანათლებლო პროგრამაზე და 2017 წლის 21 აგვისტოს საკვალიფიკაციო სხდომის №18/17 ოქმის საფუძველზე მიენიჭა, საზღვაოსნო მეცნიერების (...ა) ბაკალავრის კვალიფიკაცია.

კასატორის მოსაზრებით, 2015 წლის 15 მარტს გაცემული ინდოსამენტი არის თავად სააგენტოს მიერ დასტური პანამის საზღვაო ადმინისტრაციის კითხვაზე, რითაც დაადასტურეს მ. მ-ას ყველა დოკუმენტის ნამდვილობა (მ. მ-ასადმი კუთვნილებისა და კანონიერების ფაქტი). სააგენტომ 2015 წლის 21 აგვისტოს №01/01/45 ბრძანებით გააუქმა 2012 წლის 4 მაისს გაცემული მეორე მექანიკოსის კომპეტენციის დამადასტურებელი სერტიფიკატი, თუმცა აღნიშნა, რომ მ. მ-ას სერტიფიკატს ჰქონდა დარჩენილი ვადა 2017 წლის 4 მაისამდე.

კასატორის მითითებით ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება (საქმე №3-11/18, 6.6 პუნქტის მე-9 აბზაცი) ადგენს, რომ მ. მ-ას გააჩნია მეორე მექანიკოსის (...ი,ი) მუშაობის სტაჟი და კომპეტენციის სერტიფიკატი.

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 8 აპრილის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული მ. მ-ას საკასაციო საჩივარი.

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 5 აპრილის განჩინებით მ. მ-ას საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით.

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 7 ივნისის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესა-

ბამისად, მ. მ-ას საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მი-
სი განხილვა განისაზღვრა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, მხარეთა ახ-
სნა-განმარტებების მოსმენის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერე-
ბისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად
მიიჩნევს, რომ მ. მ-ას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნა-
წილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა
განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოე-
ბათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის
პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწ-
ვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელა-
ციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების
ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქ-
მეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკი-
ცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-
ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხ-
ლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად,
ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას
საკასაციო სასამართლომ საფუძვლად უნდა დაუდოს სამართლებრივი
შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის.
საქმე ხელახლა განსახილველად შეიძლება დაუბრუნდეს სააპელაციო
სასამართლოს იმავე ან სხვა შემადგენლობას.

განსახილველ საქმეზე დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემო-
ებები: 1. მ. მ-ამ 1988 წელს დაამთავრა ... სასწავლებლის სრული კურ-
სი, მიიღო ...ის პროფესია და 1988 წლის 30 ივნისს გაცემული №... დიპ-
ლომის თანახმად, მიენიჭა პირველი კლასის ...ის, მეორე კლასის ...ის
კვალიფიკაცია; 2. სსიპ ...ის მიერ 2006 წლის 10 ივნისს გაცემულია №...
დიპლომი, რომლის თანახმად, ...ო ფაკულტეტის 2006 წლის 10 ივნისის
№26 საოქმო გადაწყვეტილებით მ. მ-ას მინიჭებული აქვს ...ის კვალი-
ფიკაციით, ...ა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი; 3. სსიპ ...ის მიერ 2008
წლის 30 ივნისს მ. მ-ას სახელზე გაცემულია №... დიპლომი, რომლის
თანახმად ...ო ფაკულტეტის 2008 წლის 30 ივნისის №16 საოქმო გადაწ-
ვეტილებით, მ. მ-ას მინიჭებული აქვს ...ის სპეციალობით, ...ა ბაკალავ-
რის აკადემიური ხარისხი; 4. 2015 წლის 18 ივნისს მ. მ-ამ განცხადებით
მიმართა სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს, კომპეტენციის სერ-
ტიფიკატის (უფროსი მექანიკოსის) მისაღებად. მ. მ-ას მიერ წარდგენი-
ლი იქნა სსიპ ...ის მიერ 2006 წლის 10 ივნისს გაცემული №... დიპლომი; 5.

2015 წლის 25 ივნისს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტომ №05/1682 წერილით მიმართა სსიპ ...ის ...ას, მ. მ-აზე გაცემული განათლების დიპლომის ნამდვილობის დადასტურებასთან დაკავშირებით; 6. სსიპ ...ის ...ის 2015 წლის 29 ივნისის №01-01/2051 წერილით სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ეცნობა, რომ მ. მ-ას სახელზე 2006 წელს ...ის მიერ ...ის კვალიფიკაციით დიპლომი არ გაცემულა; 7. „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონის 62-ე მუხლის (გაყალბებისა და სხვა უკანონო ქმედებების თავიდან აცილება) საფუძველზე, 2015 წლის 20 ივლისს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტომ №05/1915 წერილით მიმართა აჭარის ა.რ მთავარ სამმართველოს და მიაწოდა სსიპ ...ის ...ის 2015 წლის 29 ივნისის №01-01/2051 წერილით მიღებული ინფორმაცია; 8. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის 2018 წლის 3 თებერვლის №MIA71800272561 წერილით სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ეცნობა, რომ მიმდინარეობს გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე მ. მ-ას მიერ ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადებისა და გამოყენების ფაქტზე. სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარებულია საგამოძიებო მოქმედებები, თუმცა მ. მ-ას მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა არ დაწყებულა; 9. სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2015 წლის 21 აგვისტოს №01/01/45 ბრძანებით, იმ საფუძველით, რომ არ დადასტურდა, მ. მ-ას სახელზე 2006 წელს აკადემიის მიერ ...ის კვალიფიკაციით გაცემული №... დიპლომის ნამდვილობა, გაუქმებული იქნა სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ მ. მ-აზე 2012 წლის 4 მაისს გაცემული მეორე მექანიკოსის კომპეტენციის №... სერტიფიკატი, 2012 წლის 4 მაისს გაცემული კომპეტენციის სერტიფიკატის დადასტურება №... და 2013 წლის 30 ივლისს გაცემული მეზღვაურის წიგნაკი № ...; 10. შპს „...ის“ 2017 წლის 24 აგვისტოს №05/353 ცნობის თანახმად, მ. მ-ა სწავლობდა შპს „...ში“ აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურზე საზღვაო-საინჟინრო ფაკულტეტის „...ის“ საგანმანათლებლო პროგრამაზე და 2017 წლის 21 აგვისტოს საკვალიფიკაციო კომისიის სხდომის №18/17 ოქმის საფუძველზე მიენიჭა საზღვაოსნო მეცნიერებების (...ა) ბაკალავრის კვალიფიკაცია; 11. მ. მ-ამ სარჩელი აღძრა ბათუმის საქალაქო სასამართლოში სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიმართ, რომლითაც მოითხოვა სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ მ. მ-აზე გაცემული კომპეტენციის სერტიფიკატის, კომპეტენციის სერტიფიკატის დადასტურების და მეზღვაურის წიგნაკის გაუქმების თაობაზე 2015 წლის 21 აგვისტოს №01/01/45 ბრძანების ბათილად ცნობა. ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილებით (საქმე №3-11/18), მ. მ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა;

12. მ. მ-ამ 2019 წლის 25 თებერვალს განცხადებით მიმართა სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს, მოითხოვა მეორე მექანიკოსის კომპეტენციის სერტიფიკატის აღდგენა და უფროსი მექანიკოსის გამოცდაზე დაშვება. სააგენტოს 2019 წლის 20 მარტის №05/517 წერილით მ. მ-ას უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმ საფუძველით, რომ მის მიერ სტაჟის დაგროვება მოხდა იმ კვალიფიკაციის მიხედვით, რომელიც მას არ მიუღია. შესაბამისად, მის მიერ ყალბი დოკუმენტის საფუძველზე მიღებული ყველა ნაოსნობის სტაჟი, არ იქნა გათვალისწინებული სააგენტოს მიერ, ვინაიდან ნაოსნობის სტაჟი მექანიკოსის კვალიფიკაციით მიღებული აქვს იმ განათლების დიპლომის შესაბამისად, რომელიც მასზე არ გაცემულა.

საკასაციო პალატა მიუთითებს „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომელიც განსაზღვრავს საქართველოში მეზღვაურთა განათლების, წვრთნისა და სერტიფიცირების უნიფიცირებულ სტანდარტებსა და წესებს, აგრეთვე საზღვაო-საგანმანათლებლო დაწესებულების მონიტორინგის, საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულების აღიარებისა და მონიტორინგის, სამედიცინო დაწესებულების შერჩევისა და მონიტორინგის სისტემებს. კანონი შემუშავებულია განათლების მიღებასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობისა და მეზღვაურთა განათლების, წვრთნისა და სერტიფიცირების თაობაზე არსებული საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების, მათ შორის, „მეზღვაურების მომზადების, დიპლომირებისა და ვახტის გაწევის შესახებ“ 1978 წლის საერთაშორისო კონვენციის გათვალისწინებით და ეფუძნება მათ ძირითად პრინციპებს (1-ლი მუხლი 1-ლი და მე-3 პუნქტები).

ზემოაღნიშნული კანონის 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მეზღვაურის პროფესია არის რეგულირებადი პროფესია, ხოლო საზღვაო უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები - რეგულირებადი აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები. აღნიშნულის შესაბამისად, ამ კანონის მიზანია მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების ეფექტიანი და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სისტემის ჩამოყალიბების უზრუნველყოფა, მაღალკვალიფიციურ მეზღვაურთა წვრთნის, მათი ცოდნის გაღრმავებისა და პროფესიული უნარჩვევების გაუმჯობესების პროცესის ხელშეწყობა.

მიუთითებული კანონის მე-2 მუხლი განსაზღვრავს მეზღვაურთა შემადგენლობას, კერძოდ, (1) ამ კანონის მიზნებისათვის მეზღვაურთა შემადგენლობა მოიცავს კაპიტანს, ოფიცერსა და რიგითს; (3) ოფიცერი არის გემის ეკიპაჟის წევრი, გარდა კაპიტანისა და რიგითისა, რომელსაც აქვს სათანადო კომპეტენცია, რაც დასტურდება შესაბამისი სერტიფიკატით ამ კანონის, კონვენციისა და STCW-ის კოდექსის შესაბამი-

სად; (4) ოფიცერთა შემადგენლობაში შედიან: ა) კაპიტნის (საგემბანე) თანაშემწე: ა.ა) კაპიტნის უფროსი თანაშემწე; ა.ბ) სავახტო თანაშემწე; ბ) მექანიკოსი: ბ.ა) უფროსი მექანიკოსი; ბ.ბ) მეორე მექანიკოსი; ბ.გ) სავახტო მექანიკოსი; გ) ელექტროტექნიკოსი. (6) უფროსი მექანიკოსი არის სამანქანე განყოფილების რანგით ყველაზე მაღალი ოფიცერი, რომელიც პასუხისმგებელია გემის ამძრავ მექანიზმებზე, მექანიკური მოწყობილობებისა და ელექტრომოწყობილობების ექსპლუატაციასა და მომსახურებაზე და რომლის კომპეტენცია შეესაბამება კონვენციის III თავით გათვალისწინებულ მოთხოვნებს; (7) მეორე მექანიკოსი არის უფროსი მექანიკოსის რანგით მომდევნო სამანქანე განყოფილების ოფიცერი, რომელზედაც გადადის უფროსი მექანიკოსის პასუხისმგებლობა მის მიერ საკუთარი მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში და რომლის კომპეტენცია შეესაბამება კონვენციის III თავით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

„მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის მიხედვით, კომპეტენციის სერტიფიკატი არის კაპიტანზე, ოფიცერსა და GMDSS-ის რადიოოპერატორზე ამ კანონის დებულებათა შესაბამისად გაცემული და დადასტურებული სერტიფიკატი, რომელიც მის მფლობელს უფლებას აძლევს, იმსახუროს ამ თანამდებობაზე და შეასრულოს პასუხისმგებლობის ამ დონისათვის გათვალისწინებული ფუნქციები. ამავე პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის თანახმად, დადასტურების სერტიფიკატი არის სააგენტოს მიერ კონვენციის I/2 რეგლამენტისა და ამ კანონის მე-9 მუხლის თანახმად გაცემული და მოქმედი დოკუმენტი, ხოლო ამავე პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე ნაოსნობის სტაჟი განიმარტება როგორც კონვენციის I/1 რეგლამენტის 26-ე პუნქტისა და ამ კანონის შესაბამისად განსაზღვრული გემზე მუშაობის პერიოდი, რომელიც საჭიროა სერტიფიკატის ან სხვა კომპეტენციის მისაღებად ან/და არსებულის განსაახლებლად. ამავე პუნქტის „ჰ“ ქვეპუნქტის თანახმად, შესაბამისი საზღვაო განათლება არის საზღვაო განათლება, რომელიც მოიცავს: მართვის ან ექსპლუატაციის დონის კომპეტენციის მისაღებად – საზღვაო-საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად მინიჭებულ კვალიფიკაციას, ხოლო დამხმარე დონის კომპეტენციის მისაღებად – „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად მინიჭებულ სათანადო კვალიფიკაციას.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ჰ“ ქვეპუნქტის თანახმად, საზღვაო უმაღლესი განათლება არის უმაღლესი განათლება, რომელიც უზრუნველყოფს საზღვაოსნო მეც-

ნიერებებში სათანადო კომპეტენციის გამომუშავებას და დასტურდება კვალიფიკაციის შესაბამისი დოკუმენტით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ და „ი“ ქვეპუნქტებზე, რომელთა თანახმად, სააგენტოს ფუნქციაა კომპეტენციის/კვალიფიკაციის და ამ კანონით გათვალისწინებული სხვა სერტიფიკატების გაცემა, აღიარება ან/და დადასტურება, ასევე, კომპეტენციის/კვალიფიკაციის და ამ კანონით გათვალისწინებული სხვა სერტიფიკატების მიღებისათვის საჭირო გამოცდების ჩატარების წესის განსაზღვრა, გამოცდების ორგანიზება და ჩატარება.

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ მ. მ-აზე გაცემული იყო მეორე მექანიკოსის კომპეტენციის სერტიფიკატი. სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2015 წლის 21 აგვისტოს №01/01/45 ბრძანებით, იმ საფუძველზე, რომ არ დადასტურდა, მ. მ-ას სახელზე 2006 წელს აკადემიის მიერ ...ს კვალიფიკაციით გაცემული №... დიპლომის ნამდვილობა, გაუქმებულ იქნა სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ მ. მ-აზე გაცემული მეორე მექანიკოსის კომპეტენციის სერტიფიკატი, 2012 წლის 4 მაისს გაცემული კომპეტენციის სერტიფიკატის დადასტურება და 2013 წლის 30 ივლისს გაცემული მეზღვაურის წიგნაკი. განსახილველი დავის ფარგლებში მოპასუხე მხარეს სადავოდ არ გაუხდია ის გარემოება, რომ გარდა შესაბამისი საზღვაო განათლებისა, მოსარჩელე აკმაყოფილებდა მეორე მექანიკოსის კომპეტენციის სერტიფიკატის მიღებისათვის კანონით დადგენილ სხვა მოთხოვნებს – კომპეტენციის სერტიფიკატის გაუქმებას საფუძველად დაედო მხოლოდ ...ის კვალიფიკაციით შესაბამისი საზღვაო განათლების არარსებობა. ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 13 ივლისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით მ. მ-ას სარჩელი, „სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ მ. მ-აზე გაცემული კომპეტენციის სერტიფიკატის, კომპეტენციის სერტიფიკატის დადასტურების და მეზღვაურის წიგნაკის გაუქმების თაობაზე“ 2015 წლის 21 აგვისტოს №01/01/45 ბრძანების ბათილად ცნობის მოთხოვნით, არ დაკმაყოფილდა.

საკასაციო პალატა მიუთითებს „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის მიხედვით, სააგენტო გასცემს შესაბამის სერტიფიკატს, თუ პირი აკმაყოფილებს ასაკის, განათლების, ნაოსნობის სტაჟის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, წერთვისა და კომპეტენციის შეფასების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით და კონვენციით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

მითითებული კანონის მე-20 მუხლის თანახმად, (1) 3000 კვტ ან 3000

კვტ-ზე მეტი სიმძლავრის მთავარი ამძრავი მექანიზმის მქონე გემის უფროს მექანიკოსს და მეორე მექანიკოსს უნდა ჰქონდეთ კომპეტენციის სერტიფიკატი; (2) პირს უფლება აქვს, ამ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად მიიღოს კომპეტენციის სერტიფიკატი, თუ: ა) იგი აკმაყოფილებს სავახტო მექანიკოსისათვის ამ კანონის 22-ე მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებს და: ა.ა) უფროსი მექანიკოსის კომპეტენციის სერტიფიკატის მისაღებად აქვს მეორე მექანიკოსად მუშაობის არანაკლებ 16 თვის სტაჟი; ა.ბ) მეორე მექანიკოსის კომპეტენციის სერტიფიკატის მისაღებად აქვს სავახტო მექანიკოსად მუშაობის არანაკლებ 16 თვის დამტკიცებული ნაოსნობის სტაჟი; ბ) მას აქვს შესაბამისი საზღვაო განათლება, გავლილი აქვს სათანადო წვრთნა და შეესაბამება STCW-ის კოდექსის A-III/2 ნაწილით დადგენილ კომპეტენციის სტანდარტებს.

ზემოაღნიშნული კანონის სადავო პერიოდში მოქმედი 22-ე მუხლის მიხედვით, 1. 750 კვტ ან 750 კვტ-ზე მეტი სიმძლავრის მთავარი ამძრავი მექანიზმის მქონე გემის ვახტიანი სამანქანე განყოფილების ან პერიოდულად უვახტო სამანქანე განყოფილების სავახტო მექანიკოსს უნდა ჰქონდეს კომპეტენციის სერტიფიკატი. 2. პირს უფლება აქვს, მიიღოს ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული კომპეტენციის სერტიფიკატი, თუ: ა) იგი არის 18 წელს მიღწეული ქმედუნარიანი პირი; ბ) მას გავლილი აქვს 12-თვიანი კომბინირებული საწარმოო წვრთნა და აქვს დამტკიცებული ნაოსნობის სტაჟი, როგორც აღიარებული საწვრთნელი პროგრამის ნაწილი, რომელიც შეესაბამება STCW-ის კოდექსის A-III/1 ნაწილის მოთხოვნებს და დაფიქსირებულია მეზღვაურის წვრთნის სააღრიცხვო წიგნაკში, ან სხვაგვარად აქვს გავლილი 36-თვიანი კომბინირებული საწარმოო წვრთნა და აქვს დამტკიცებული ნაოსნობის სტაჟი, მათ შორის, სამანქანე განყოფილებაში მუშაობის არანაკლებ 30 თვის დამტკიცებული ნაოსნობის სტაჟი; გ) იგი ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში მითითებული ნაოსნობის სტაჟის მიღების დროს ასრულებდა სამანქანე განყოფილებაში ვახტზე დგომის ვალდებულებებს მთავარი მექანიკოსის ან კვალიფიციური მექანიკოსის ზედამხედველობით არანაკლებ 6-თვიან პერიოდში; დ) იგი შეესაბამება STCW-ის კოდექსის A-VI/1 ნაწილის მე-2 პუნქტით, A-VI/2 ნაწილის პირველი-მე-4 პუნქტებით, A-VI/3 ნაწილის პირველი-მე-4 პუნქტებითა და A-VI/4 ნაწილის პირველი-მე-3 პუნქტებით დადგენილ კომპეტენციის სტანდარტებს.

მითითებული კანონის 62-ე მუხლის თანახმად, (1) სააგენტო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს მისთვის ცნობილი ნებისმიერი არაკომპეტენტურობის, უკანონო ქმედების ან უშიშროების ზომების უგულებელყოფის მოკვლევას, რომელიც ჩადენილია მის მიერ გაცემული სერტიფიკატის მფლობელის მიერ. გაყალბების თავიდან აცილების მიზნით სააგენტო ასევე უზრუნველყოფს

შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას გაცემული სერტიფიკატის ჩამორთმევასთან, სერტიფიკატის მოქმედების ვადის შეჩერებასთან და სერტიფიკატის გაუქმებასთან დაკავშირებით. (2) სააგენტო ვალდებულია მისთვის ცნობილი გაყალბების ყოველი ფაქტის შესახებ აცნობოს კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს შესაბამის სამსახურს და შესაბამის სამართალდამცავ ორგანოს.

მოცემულ შემთხვევაში სადავო საკითხს წარმოადგენს მოპასუხის მიერ მიღებული 2019 წლის 20 მარტის №05/517 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება, რომლითაც მ. მ-ას უარი ეთქვა მექანიკოსის კომპეტენციით მიღებული ნაოსნობის სტაჟების გათვალისწინებასა და უფროსი მექანიკოსის კომპეტენციის მისაღებ გამოცდაზე დაშვებაზე იმ საფუძვლით, რომ მოსარჩელის მიერ სტაჟის დაგროვება მოხდა კვალიფიკაციის შესაბამისად, რომელიც მას არ მიუღია ან მიიღო კანონდარღვევით. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დგინდება, რომ მოპასუხემ ისარგებლა „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონის 62-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილებით და ...ისაგან მოითხოვა მ. მ-ას სახელზე ...ის კვალიფიკაციით გაცემული დიპლომის ნამდვილობის დადასტურება. როგორც მოპასუხე მხარის ახსნა-განმარტებითა და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დგინდება, სააგენტოს პოზიციას მ. მ-ას სახელზე 2006 წელს ...ის კვალიფიკაციით გაცემული დიპლომის არანამდვილობის შესახებ, საფუძვლად დაედო სსიპ ...ის 2015 წლის 29 ივნისის №01-01/2051 მომართვა, რომელშიც აღნიშნულია, რომ აკადემიის მიერ 2006 წელს მოსარჩელეზე დიპლომი ...ის კვალიფიკაციით არ გაცემულა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 17.2 მუხლის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ სარჩელის წარდგენის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელმაც გამოსცა ეს აქტი. მითითებული ტვირთის ადმინისტრაციული ორგანოსათვის დაკისრება არ ათავისუფლებს მის პროცესუალურ მოწინააღმდეგე მხარეს – მოსარჩელეს სასარჩელო მოთხოვნის დასაბუთების ვალდებულებისაგან. მოსარჩელემ უნდა დაასაბუთოს სასარჩელო მოთხოვნა და წარმოადგინოს სარჩელში მითითებული იმ გარემოებების არსებობის დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომლებსაც ემყარება სარჩელი (სსკ-ის 102.1 მუხ.). მოცემული კოდექსის 17.1 მუხლის მიხედვით, მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს თავისი სარჩელი და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-19 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საქართველოს სამოქა-

ლაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების გარდა, სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივითაც შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2015 წლის 21 აგვისტოს №01/01/45 ბრძანებით, გაუქმებულ იქნა სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ მ. მ-აზე გაცემული მეორე მექანიკოსის კომპეტენციის სერტიფიკატი, 2012 წლის 4 მაისს გაცემული კომპეტენციის სერტიფიკატის დადასტურება და 2013 წლის 30 ივლისს გაცემული მეზღვაურის წიგნაკი, თუმცა საყურადღებოა, რომ მ. მ-ას სახელზე 2006 წელს აკადემიის მიერ ...ის კვალიფიკაციით გაცემული №... დიპლომი არ გაუქმებულა. ამასთან, საქმის განხილვის ამ ეტაპზე, არც ამ დოკუმენტის სიყალბეა დადგენილი სათანადო წესით.

საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ შპს „...ის“ 2017 წლის 24 აგვისტოს №05/353 ცნობის თანახმად, მ. მ-ა სწავლობდა შპს „...ში“ აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურზე საზღვაო-საინჟინრო ფაკულტეტის „...ის“ საგანმანათლებლო პროგრამაზე და 2017 წლის 21 აგვისტოს საკვალიფიკაციო კომისიის სხდომის №18/17 ოქმის საფუძველზე მიენიჭა საზღვაოსნო მეცნიერებების (...) ბაკალავრის კვალიფიკაცია.

საკასაციო სასამართლო პირველ რიგში განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას გამოკვლეულ უნდა იქნეს ზემოაღნიშნული სხდომის ოქმის საფუძველზე გაცემულია თუ არა სათანადო წესით მ. მ-ას სახელზე დიპლომი საზღვაოსნო მეცნიერებების (...) ბაკალავრის კვალიფიკაციით და აღნიშნული კვალიფიკაცია იძლევა თუ არა იმ დასკვნის გაკეთების საფუძველს, რომ მ. მ-ას უფროსი მექანიკოსის კომპეტენციის მისაღებად აქვს შესაბამისი საზღვაო განათლება.

საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს განმარტებას, რომ ახალი დიპლომი და მიღებული განათლება გავლენას ვერ იქონიებს იმ სტაჟზე, რაც შესაბამისი საზღვაო განათლების არარსებობის პირობებში იქნა დაგროვებული მ. მ-ას მიერ და ვერ გამოდგება ამ მხრივ სტაჟის ლეგიტიმაციისათვის, უფროსი მექანიკოსის კვალიფიკაციის სერტიფიცირების გავლის მიზნით, კერძოდ, მხარეთა შორის დავას არ იწვევს ის ფაქტი, რომ მ. მ-ას სახელზე გაცემული მეორე მექანიკოსის კომპეტენციის სერტიფიკატი, 2012 წლის 4 მაისს გაცემული კომპეტენციის სერტიფიკატი დადასტურება და 2013 წლის 30 ივლისს გაცემული მეზღვაურის წიგნაკი კანონით დადგენილი წესით იყო გაცემული უფლებამოსილი ორგანოების მიერ. ასევე დადგენილია, რომ №... დიპლომის სიყალბე ამ ეტაპზე დადასტურებული არ არის. შესაბამისად, საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ მოსარჩელეს სტაჟი დაგ-

როგებულები აქვს შესაბამისი საზღვაო განათლების არარსებობის პირობებში. ამავდროულად, შპს „...ის“ 2017 წლის 24 აგვისტოს №05/353 ცნობის თანახმად, მ. მ-ას ამჟამად მინიჭებული აქვს საზღვაოსნო მეცნიერებების (...ა) ბაკალავრის კვალიფიკაცია. ყოველივე აღნიშნული კი ერთობლიობაში, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, არ ქმნის იმ დასკვნის გამოტანის საფუძველს, რომ მ. მ-ას მიერ მეორე მექანიკოსად მუშაობის ფაქტობრივი სტაჟი ვერ დაუკავშირდება, შპს „...ში“ მიღებულ საზღვაო განათლების დოკუმენტს იმ მნიშვნელობით, რომ მისთვის სასურველი კვალიფიკაციის ამაღლების და შესაბამისი სერტიფიკატის მიღების სამართლებრივი საფუძველი შეექმნას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება არ არის დასაბუთებული, სასამართლომ სრულყოფილად არ გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები და არ მისცა მათ სწორი სამართლებრივი შეფასება, განჩინება მოკლებულია სათანადო სამართლებრივ და ფაქტობრივ წანამძღვრებს, გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების წინაპირობაა. საქმის ხელახალი განხილვისას სასამართლომ სრულყოფილად უნდა გამოიკვლიოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები და მისცეს მათ სწორი სამართლებრივი შეფასება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 390-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მ. მ-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაცი-

ულ საქმეთა პალატის 2021 წლის 16 ივნისის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. სასამართლო ხარჯები განანილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის გადანყვითლების კანონიერება

გადანყვითლება საქართველოს სახელით

№ბს-375(კ-22)

9 ოქტომბერი, 2023 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: გ. მაკარიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
თ. ოქროპირიძე,
ქ. ცინცაძე**

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ლ. დ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიმართ.

მოსარჩელემ მოითხოვა (დაზუსტებული სასარჩელო მოთხოვნა): ა) ბათილად იქნეს ცნობილი 2019 წლის საგნის გამოცდის, საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციების დადასტურებისათვის ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების (I-IV) ტესტის/ტესტების შეფასებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი საპრეტენზიო განცხადების განმხილველი საგნობრივი კომისიის 2019 წლის 26 აგვისტოს გადაწყვეტილება (აპლიკანტი – ლ.დ-ე, ნაშრომის შტრიხ-კოდი – ..., ჩაითვალოს, რომ ლ. დ-ემ აღნიშნული საგნობრივი კომპეტენციის დამადასტურებელი ტესტირების შედეგად მიიღო 25 ქულა); ბ) დაევალოს მოპასუხეს – სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ

ცენტრს გამოსცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი აპელანტ ლ. დ-ისთვის 1 (ერთი) კრედიტ ქულის მინიჭების შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 11 მარტის გადაწყვეტილებით ლ. დ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა. ბათილად იქნა ცნობილი 2019 წლის საგნის გამოცდის, საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციების დადასტურებისათვის ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების (I-IV) ტესტის/ტესტების შეფასებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი საპრეტენზიო განცხადების განმხილველი საგნობრივი კომისიის 2019 წლის 26 აგვისტოს გადაწყვეტილება (აპლიკანტი – ლ. დ-ე, ნაშრომის შტრიხკოდი – ..., 10.2 დავალების ნაწილში; ჩაითვალოს, რომ ლ. დ-ემ აღნიშნული საგნობრივი კომპეტენციის დამადასტურებელი ტესტირების შედეგად მიიღო 25 ქულა). დაევალა სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს, გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი აპელანტ ლ. დ-ისთვის 1 (ერთი) კრედიტ ქულის მინიჭების შესახებ.

სასამართლომ მიუთითა შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: ა) სსიპ ...ის ქალაქ ქუთაისის №... საჯარო სკოლის დირექტორის 2019 წლის 29 ნოემბრის დახასიათებით ირკვევა, რომ ლ. დ-ემ 1990 წლის 25 სექტემბერს დაიწყო მუშაობა ქალაქ ქუთაისის ...ის გიმნაზიაში დაწყებითი კლასების პედაგოგად. 1998 წელს, გიმნაზიის რეორგანიზაციის შემდეგ, მუშაობა გააგრძელა ...ის სახელობის №... დაწყებით სკოლაში. 2009 წლის 14 სექტემბრიდან მუშაობა გააგრძელა სსიპ ...ის ქალაქ ქუთაისის №... საჯარო სკოლაში, სადაც დღემდე მოღვაწეობს. მისი პედაგოგად მუშაობის სტაჟი 32 წელს შეადგენს; ბ) ლ. დ-ემ მონაწილეობა მიიღო 2019 წლის საგნის გამოცდის, საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციების დადასტურებისათვის ორგანიზებულ ტესტირებაში და მიიღო შემდეგი შეფასება: ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა და ბუნებისმეტყველება (I-IV) – 24 ქულა, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 25 ქულა, გადასალახი ქულის მისაღწევად დააკლდა 1 ქულა. ამასთან, 9.2, 9.3, 10.2 და 42.2 დავალებები შეფასდა 0 (ნული) ქულით, ხოლო 50-ე დავალება 9 ქულით (მაქსიმალური ქულა – 11); გ) 2019 წლის 19 აგვისტოს, ლ. დ-ემ, მისი ნაშრომის 9.2, 9.3, 10.2, 42.2 და 50-ე დავალებების შეფასებასთან დაკავშირებით, სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში წარადგინა საპრეტენზიო განცხადება №... 2019 წლის საგნის გამოცდის, საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციების დადასტურებისათვის ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების (I-IV) ტესტის/ტესტების შეფასებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი საპრეტენზიო განცხადების განმხილველი საგნობრივი კომისიის 2019 წლის 26 აგვისტოს გადაწყვეტილებით

ლ.დ-ის საპრეტენზიო განაცხადი/საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გა-
საჩივრებულ დავალებებში მის მიერ მიღებული შეფასებები დარჩა უც-
ვლელი; დ) 2019 წლის 24 სექტემბერს, ლ. დ-ის წარმომადგენელმა – თ.
ნ-ემ განცხადებით მიმართა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სა-
სამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს, რომლსაც სთხოვა, ეცნო-
ბებინა ჰყავდათ თუ არა შესაბამისი სპეციალისტი, რომელიც განახორ-
ციელებდა პრაქტიკოს მასწავლებელთა საგნობრივი და პროფესიული
კომპეტენციების დასადასტურებელ ტესტირებაში, კერძოდ, ქართულ
ენასა და ლიტერატურის ტესტირებაში (დანყებითი საფეხური 1-4) მო-
ნაწილე კონკურსანტის ნაშრომის შეფასებას და გაცემდა თუ არა ბიუ-
რო აღნიშნული სახის ნაშრომების შეფასების დასკვნას. აღნიშნული წე-
რილის პასუხად, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო
ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2019 წლის 08 ნოემბრის №5007144919
წერილით თ.ნ-ეს ეცნობა, რომ სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული
ბიურო, როგორც სახელმწიფო საექსპერტო დაწესებულება, მოკლებუ-
ლია შესაძლებლობას, ჩაატაროს ექსპერტიზა პრაქტიკოს მასწავლე-
ბელთა ტესტირებაში მონაწილე კონკურსანტის ნაშრომის შეფასება-
ზე; ე) 2019 წლის 24 ოქტომბერს ლ.დ-ის წარმომადგენელმა – თ.ნ-ემ
განცხადებით მიმართა სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითა-
რების ეროვნული ცენტრის დირექტორს და სთხოვა, ეცნობებინა ჰყავ-
დათ თუ არა ისეთი დამოუკიდებელი სპეციალისტი, რომელიც ახორცი-
ელებდა პრაქტიკოს მასწავლებელთა საგნობრივი და პროფესიული კომ-
პეტენციების დასადასტურებელ ტესტირებაში, კერძოდ, ქართულ ენა-
სა და ლიტერატურის ტესტირებაში (დანყებითი საფეხური 1-4) მონა-
წილე კონკურსანტის ნაშრომის შეფასებას დამოუკიდებლად, თავისი
კომპეტენციის ფარგლებში და ჰქონდა თუ არა მათ დაწესებულებაში
მომუშავე რომელიმე პირს შესაბამისი კომპეტენცია, რათა გაეცა დას-
კვნა ზემოთ ხსენებულ ტესტირებაში მონაწილე მასწავლებლის ნაშ-
რომების შეფასების შესახებ. აღნიშნულ წერილზე სსიპ მასწავლებელ-
თა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის პა-
სუხი საქმეში წარმოდგენილი არ არის; ვ) საქმეში წარმოდგენილია ქა-
ლაქ ქუთაისის ...ის №... საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერა-
ტურის პედაგოგის მ. ა-ას ანალიზი ლ. დ-ის ნაშრომთან დაკავშირებით,
სადაც იგი მსჯელობს ლ.დ-ის ნაშრომის მე-10 და 50-ე დავალებებთან
მიმართებით, კერძოდ, 10.2 დავალებასთან დაკავშირებით, სპეციალის-
ტი განმარტავს, რომ ლ.დ-ეს ძალიან კარგად აქვს შესრულებული დავა-
ლება. ამასთან, ლირიული ნაწარმოების აღქმა, მით უფრო გალაკტიო-
ნისა, სხვადასხვაგვარია მკითხველისთვის. ეს არაა მათემატიკა და მშრ-
ალი ციფრების მეცნიერება, რომელთა კომბინაციით აუცილებლად ზუს-
ტი ციფრით გამოხატული პასუხი უნდა მიიღოს. პედაგოგი მიიჩნევს, რომ

ლ. დ-ის პასუხი ლოგიკური და თანმიმდევრულია და ის იმსახურებს 2 ქულიდან 1 ქულას მაინც. ნაშრომის 50-ე დავალებასთან დაკავშირებით კი, სადაც მოსარჩელემ დაიმსახურა 2-დან 1 ქულა, სპეციალისტი უთითებს, რომ ნაშრომში არ არის ზედაპირული მსჯელობა, დასკვნა ლოგიკურად გამომდინარეობს მსჯელობიდან, მონაკვეთები ლოგიკურად უკავშირდება ერთმანეთს. ნაშრომში ჩანს ლოგიკური და არგუმენტირებული მსჯელობის უნარები, შესაბამისად, სპეციალისტის აზრით, სამართლიანობა მოითხოვს, რომ ამ კრიტერიუმის მიხედვით 1-ის ნაცვლად 2 ქულა დაინეროს. პედაგოგი მიიჩნევს, რომ ლ.დ-ის ნაშრომი წარმოდგენილია მაღალი ხარისხით და შეფასების კრიტერიუმების სრული დაცვით და თუ ნაშრომი დამატებით დამუშავდება სპეციალისტის, კერძოდ, კომპეტენტური პროფესიონალის მიერ, რომელსაც ექნება შესაბამისი სერტიფიკატი და ხარისხი, დაადასტურებს იმ ფაქტს, რომ ლ.დ-ეს არათუ დააკლდა 1 ქულა ბარიერის გადასალახად, არამედ მან მოიპოვა დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი, რაც გათვალისწინებული იყო ბარიერის გადალახვისათვის. სპეციალისტი თვლის, რომ 1 ქულის დაკლება, როგორც პირველადი გასწორების, ისე აპელაციის მხრიდან, ხელოვნური ბარიერია და მიიჩნევს, რომ პედაგოგ ლ.დ-ისათვის სამართლიანობის აღდგენა იქნება მოტივაცია მისი 32-წლიანი პედაგოგიური მოღვაწეობის გაგრძელების, რაც გამოიხატება ქვეყანაში განათლების უმაღლესი დონის განვითარებაში; ზ) საქმეში წარმოდგენილია ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის – მ. ც-ის დასაბუთება ლ.დ-ის ნაშრომთან დაკავშირებით, ნაშრომის მე-10 და 50-ე დავალებებთან მიმართებით, კერძოდ, 10.2 დავალებასთან დაკავშირებით, სპეციალისტი განმარტავს, რომ დავალების შესრულებისას პედაგოგმა ლ.დ-ემ მიაგნო ფრაზას, რომელშიც ავტორი ბუნების სურათში ადამიანის მონაწილეობას აჩვენებს. მისი განმარტებით, „ხმა ისმის საკრავების“, სწორედ ეს სტრიქონი გამოხატავს ლექსის კომპოზიციურ მთლიანობაში ადამიანის ჩართულობას, რაკი გამსწორებლის მიერ სწორ პასუხად ჩათვლილ ფორმატში ტექსტის ბოლო სტრიქონში იმავე აქტივობაზეა საუბარი („დაღალული წყდება ხმა საკრავების“), ხოლო პედაგოგს ამოცნობილი აქვს კომპოზიციაში ადამიანის თანამონაწილეობა. (ის უკრავს – „ხმა საკრავების“) აპლიკანტს შიძლება ჩაეთვალოს კითხვის I ნაწილი და მოემატოს 1 ქულა, რადგან სწორედ „საკრავების ხმა“ განსაზღვრავს აქაც (ბოლო სტრიქონში) ადამიანის თანამონაწილეობას ბუნების პროცესში. რაც შეეხება 50-ე დავალებას II კრიტერიუმის ნაწილში, სადაც მაქსიმალურ ქულად გათვალისწინებულია 3, მ.ც-ი მიიჩნევს, რომ ლ.დ-ის ნაშრომი ამ კრიტერიუმის პირობას სავსებით აკმაყოფილებს, მსჯელობა თანმიმდევრულია, მოყვანილია დამაჯერებელი, მრავალფეროვანი, ორიგინალური არგუმენტები, მაგალითები, განხილული კონტრარ-

გუმენტები, რის გამოც, ნაშრომი ამ ნაწილში იმსახურებს არა 2, არამედ 3 ქულას. ამავე დავალების V კრიტერიუმთან (სინტაქსი, მორფოლოგია, პუნქტუაცია) დაკავშირებით კი, სპეციალისტი უთითებს, რომ რადგან ნაშრომში არ არის დაშვებული ბევრი შეცდომა, საერთო ჯამში, ნაშრომი სინტაქსურად გამართულია, შესრულებულია თანამედროვე ქართულის სალიტერატურო ნორმების დაცვით, ამიტომ შესაძლებლად მიიჩნევა აქაც მოემატოს 1 ქულა და დაენეროს მაქსიმალური – 2 ქულა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 14 მარტის №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგნის გამოცდის ჩატარების, საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციების დადასტურების წესის“ მე-19 მუხლის მე-3 და მე-6 პუნქტებზე, მე-2 მუხლის „უ“ და „ზ“ ქვეპუნქტებზე, მე-20 მუხლზე, 24-ე მუხლის მე-2 პუნქტზე, 27-ე მუხლის მე-2 პუნქტზე მითითებით სასამართლომ აღნიშნა, რომ სასამართლოს განხილვის საგანს იმ ფაქტის შესწავლა წარმოადგენს, ლ.დ-ის ნამუშევარი იძლეოდა თუ არა ქულის მომატების შესაძლებლობას საგნობრივი კომისიის მხრიდან. საპრეტენზიო განცხადების წარდგენის დროს, ლ.დ-ე სადავოდ ხდიდა ნაშრომის 9.2, 9.3, 10.2, 42.2 და 50-ე დავალებების შეფასებას, ხოლო სასამართლოში საქმის განხილვის ეტაპზე, იგი აპელირებდა ნაშრომის 10.1, 10.2 და 50-ე დავალებებზე, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ 10.1 დავალების ნაწილში საგნობრივ კომისიას არ უმსჯელია, მოცემულ ნაწილზე ვერც სასამართლომ იმსჯელა და შემოიფარგლა მხოლოდ 10.2 და 50-ე დავალებების შეფასებით.

სასამართლოს განმარტებით, მე-10 დავალების პირობა იყო შემდეგი: „ნაიკითხეთ გალაკტიონ ტაბიძის ლექსი და შეასრულეთ 10.1 და 10.2 დავალებები: „ლაჟვარდ ცაზე დღეა თეთრი კრავების, დასავლეთის კარი ჩატყდა ზმორებით; უნაზესი ისმის ხმა საკრავების, ბალებს იქით, სადღაც, გადაშორებით. მზის გადასვლამ სივრცეები დაწმინდა. იბინდება, იბინდება მთანმინდა... ...ციდან მთებზე ეშვებიან კრავები, დაღალული წყდება ხმა საკრავების“. 10.2 დავალების პირობა იყო შემდეგი: „ამოწერეთ ორი ტაეპი, რომლებიც ლექსის კომპოზიციურ მთლიანობაში ადამიანის მონაწილეობას გვიჩვენებს. იმსჯელეთ, რა მხატვრული ეფექტის მისაღწევად იყენებს ავტორი მათ“. აღნიშნულ დავალებაზე მოსარჩელემ წერილობით შემდეგი პასუხი გასცა: „უნაზესი ისმის ხმა საკრავების“, „ბალებს იქით, სადღაც, გადაშორებით“. ეპითეტი, იყენებს იმისთვის, რომ ეს ბუნებრივი მოვლენა, ლამაზად, ხატოვნად შეადაროს ბუნების საოცარ სილამაზეს, ადამიანის განწყობას. ამ კრიტერიუმში ლ.დ-ის ნაშრომი შეფასებულია 0 ქულით. სქემის მიხედვით კი, 0 ქულა იწერება მაშინ, როდესაც: – შეცდომითაა ამოწერილი ტაეპები და მსჯელობა მცდარია; – არ არის ამოწერილი ტაეპები და მსჯელობა მცდარია. მოცემულ შემთხვევაში, სქემის თანახმად, სწორ პასუხად

მიჩნეულია შემდეგი ტაეპები: „უნაზესი ისმის ხმა საკრავების“, „დაღალული წყდება ხმა საკრავების“. მოპასუხე მიიჩნევს, რომ აპლიკანტს ამონერილი აქვს 2 ტაეპი, რომელიც სწორედაც, რომ ვერ აერთიანებს, ვერ კრავს ლექსის კომპოზიციურ სურათს, რის გამოც, დავალების ამ ნაწილში, ლ.დ-ეს სამართლიანად უწერია 0 ქულა.

სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის პოზიცია მოცემულ საკითხთან დაკავშირებით და ყურადღება გაამახვილა სქემაზე, რომლის თანახმად, აღნიშნულ დავალებაში 1 ქულა იწერება შემდეგ შემთხვევებში: – სწორად არის ამოცნობილი და ამონერილი შესაბამისი ტაეპები ლექსიდან („უნაზესი ისმის ხმა საკრავების“, „დაღალული წყდება ხმა საკრავების“), თუმცა წარმოდგენილი მსჯელობა ზედაპირული და სქემატურია; – სწორად არის ამოცნობილი და ამონერილი შესაბამისი ტაეპები ლექსიდან („უნაზესი ისმის ხმა საკრავების“, „დაღალული წყდება ხმა საკრავების“), თუმცა არ არის წარმოდგენილი მსჯელობა; – არ ჩანს ამონერილი ორი სტრიქონი, თუმცა წარმოდგენილია სქემატური მსჯელობა ავტორის მხატვრული ჩანაფიქრის შესახებ. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელეს სწორად აქვს ამოცნობილი და ამონერილი ერთი ტაეპი („უნაზესი ისმის ხმა საკრავების“) და განვითარებული აქვს ზედაპირული მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, თუ რა მხატვრული ეფექტის მისაღწევად იყენებს ავტორი მათ. ამავე საკითხთან მიმართებით, საყურადღებოა საქმეში წარმოდგენილი, ქალაქ ქუთაისის ...ის №... საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგის – მ. ა-ას ანალიზი, სადაც იგი 10.2 დავალებასთან დაკავშირებით განმარტავს, რომ ლ. დ-ეს ძალიან კარგად აქვს შესრულებული დავალება. ამასთან, ლირიული ნაწარმოების აღქმა, მით უფრო გალაკტიონისა, სხვადასხვაგვარია მკითხველისთვის. ეს არაა მათემატიკა და მშრალი ციფრების მეცნიერება, რომელთა კომბინაციით აუცილებლად ზუსტი ციფრით გამოხატული პასუხი უნდა მიიღო. პედაგოგი მიიჩნევს, რომ ლ. დ-ის პასუხი ლოგიკური და თანმიმდევრულია და ის იმსახურებს 2 ქულიდან 1 ქულას მაინც. საყურადღებოა ასევე, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის – მ. ც-ის დასაბუთება ლ. დ-ის ნაშრომთან დაკავშირებით, კერძოდ, 10.2 დავალებასთან მიმართებით სპეციალისტი განმარტავს, რომ დავალების შესრულებისას პედაგოგმა ლ. დ-ემ მიაგნო ფრაზას, რომელშიც ავტორი ბუნების სურათში ადამიანის მონაწილეობას აჩვენებს. მისი განმარტებით, „ხმა ისმის საკრავების“, სწორედ ეს სტრიქონი გამოხატავს ლექსის კომპოზიციურ მთლიანობაში ადამიანის ჩართულობას, რაკი გამსწორებლის მიერ სწორ პასუხად ჩათვლილ ფორმატში ტექსტის ბოლო სტრიქონში იმავე აქტივობაზეა საუბარი („დაღალული წყდება ხმა საკრავების“), ხოლო პედაგოგს ამოცნობილი აქვს კომპოზიციაში ადამიანის თანამონაწილეობა (ის უკრავს –

„ხმა საკრავების“) აპლიკანტს შეიძლება ჩაეთვალოს კითხვის I ნაწილი და მოემატოს 1 ქულა, რადგან სწორედ „საკრავების ხმა“ განსაზღვრავს აქაც (ბოლო სტრიქონში) ადამიანის თანამონაწილეობას ბუნების პროცესში.

სასამართლოს განმარტებით, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ორი სპეციალისტის წერილობითი განმარტება, სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში, სასამართლოს აძლევს შესაძლებლობას დაასკვნას, რომ ლ. დ-ის ნაშრომი, 10.2 დავალების ნაწილში, იმსახურებდა 1 ქულის მომატებას, რაც საკმარისი საფუძველია იმისათვის, რომ აღნიშნულ ნაწილში ბათილად ყოფილიყო ცნობილი სადავო – 2019 წლის საგნის გამოცდის, საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციების დადასტურებისათვის ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების (I-IV) ტესტის/ტესტების შეფასებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი საპრეტენზიო განცხადების განმხილველი საგნობრივი კომისიის 2019 წლის 26 აგვისტოს გადაწყვეტილება აპლიკანტ ლ. დ-ის ნაწილში.

ნაშრომის 50-ე დავალებასთან დაკავშირებით სასამართლომ მიიჩნია, რომ საგნის გამოცდაზე, საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციების დადასტურების ტესტირების შედეგად მიღებული ქულა, გასაჩივრებული ტესტის შემთხვევაში, შეფასებული იყო სწორად შემდეგ გარემოებათა გამო: 50-ე დავალება (ანალიტიკური წერა) ფორმულირებული იყო შემდეგნაირად: „1989 წელს გადაღებულ ფილმში „მკვდარი პოეტების საზოგადოება“, მოქმედება ვითარდება ქალაქ ველტონის ვაჟთა კოლეჯში. ტრადიცია, ღირსება, დისციპლინა და სრულყოფილება – ეს ის ოთხი საყრდენია, რომლებზეც ველტონის აკადემია დგას. მოსწავლეები კი კოლეჯს, „ველტონის“ ნაცვლად, „ჰელტონს“ (hellton – ჯოჯოხეთური) უწოდებენ. კოლეჯში ახლად მოსული ლიტერატურის მასწავლებელი მისტერ კიტინგი პირველსავე გაკვეთილზე ამოახვეინებს მოსწავლეებს სახელმძღვანელოს იმ გვერდს, რომელზეც პოეზიის სტანდარტული, ქრესტომათიული, სქემატური განმარტებაა მოცემული და სთავაზობს, თითოეულმა თავისებურად გაიაზროს პოეზიის არსი, თითოეული თავისი გზით მივიდეს პოეზიის განცდამდე. სხვა ეპიზოდში, კიტინგის მითითებით, მოსწავლეები წრეზე დადიან – თითოეული განსხვავებული, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მანერით. ისმის მასწავლებლის ხმა: „მე მინდა, თქვენ საკუთარი გზა იპოვოთ, საკუთარი გზა საკუთარი ნაბიჯებით, რიტმით, ნებისმიერი მიმართულებით...“, „ბიჭებო, ეცადეთ, იპოვოთ საკუთარი ხმა...“, „ნუ დაემორჩილებით ამ მდგომარეობას – თავი დააღწიეთ!“ გაიაზრეთ მოცემული ინფორმაცია, განაზოგადეთ სათქმელი და იმსჯელეთ: – რა პრობლემაზეა მინიშნება მოცემულ ტექსტში? – რა განაპირობებს ამ პრობლემას

და რა შედეგებს იწვევს ის? – რა შეიძლება დავსახოთ ამ პრობლემის გადაჭრის გზად? აღნიშნულ დავალებაში მოსარჩელეს მიღებული აქვს უმაღლესი 11 ქულიდან 9 ქულა. მას მაქსიმალურ ქულაზე თითო ქულით ნაკლები აქვს მე-2 (მსჯელობა და არგუმენტაცია) და მე-5 (სინტაქსი, მორფოლოგია, პუნქტუაცია) კრიტერიუმებში. შესაბამისად, სასამართლომაც მხოლოდ ამ ნაწილში იმსჯელა, კერძოდ, სქემის თანახმად, 3 ქულით ფასდება ესე, როდესაც: „მოცემულია საკითხის შესახებ თანმიმდევრული მსჯელობა, მოყვანილია დამაჯერებელი, მრავალფეროვანი, ორიგინალური არგუმენტები, მაგალითები, განხილული კონტრარგუმენტები“. ნაშრომის მიხედვით კი ჩანს, რომ მართალია, მოცემულია საკითხის შესახებ თანმიმდევრული მსჯელობა და მოყვანილია არგუმენტები, თუმცა, მოსარჩელე მიჯაჭვულია დავალების პირობას და ვერ ახერხებს საკითხის განზოგადებას, ასევე ნაშრომში არ გვხვდება მსჯელობა არც კონტრარგუმენტების შესახებ, რის გამოც მან დაიმსახურა 2 ქულა. რაც შეეხება მე-5 კომპონენტს (სინტაქსი, მორფოლოგია, პუნქტუაცია), აღნიშნულ ნაწილში სასამართლომ გაიზიარა მოპასუხის მსჯელობა და მიიჩნია, რომ ნაშრომში დაფიქსირებულია ენობრივი შეცდომის ისეთი შემთხვევები, რომლებიც მსუბუქ გადაცდომად ვერ იქნება განხილული, რაც თავის მხრივ, გამორიცხავს მაქსიმალური – 2 ქულით შეფასებას, ვინაიდან სქემის მიხედვით, 2 ქულით მხოლოდ მაშინ ფასდება ნაშრომი, როდესაც: „არ არის დაშვებული ან დაშვებულია მხოლოდ უმნიშვნელო სინტაქსური, ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური და პუნქტუაციური შეცდომები, დაცულია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები“.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო აქტით გადანყვეტილი დავის მთავარი საკითხი – ქულის მომატებაზე უარი, 10.2 დავალების ნაწილში არაადექვატურია, რასაც ასევე ამყარებს საქმეში მტკიცებულების სახით წარმოდგენილი ორი სპეციალისტისა და სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოწვეული კონკრეტული დარგის სპეციალისტის განმარტება.

სასამართლომ მიიჩნია, რომ 2019 წლის საგნის გამოცდის, საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციების დადასტურებისათვის ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების (I-IV) ტესტის/ტესტების შეფასებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი საპრეტენზიო განცხადების განმხილველი საგნობრივი კომისიის 2019 წლის 26 აგვისტოს გადანყვეტილება (გასაჩივრებულ ნაწილში, 10.2 დავალების შეფასების ნაწილში), როგორც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, კანონის მოთხოვნათა დარღვევით არის მიღებული, იგი ხელყოფს მოსარჩელის კანონიერ ინტერესებს, რაც პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს მას, რის გამოც გასაჩივრებული

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილად უნდა იქნეს ცნობილი. შესაბამისად, სასამართლოს მიერ ასევე დაკმაყოფილდა მეორე სასარჩელო მოთხოვნა და მოპასუხეს – სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს დაევალა გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ლ.დ-ისთვის 1 (ერთი) კრედიტ ქულის მინიჭების შესახებ.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილებით სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. ლ.დ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილად იქნა ცნობილი აპლიკანტი ლ.დ-ის, ნაშრომის შტრიხკოდი – ..., 10.2 დავალების ნაწილში და ჩაითვა, რომ ლ.დ-ემ აღნიშნული საგნობრივი კომპეტენციის დამადასტურებელი ტესტირების შედეგად მიიღო 25 ქულა. შესაბამისად, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი წარადგინა მხოლოდ სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა, სააპელაციო ინსტანციით დავის განხილვისას ნაშრომის შეფასების კანონიერება განხორციელდა მხოლოდ 10.2 ტესტური დავალების ნაწილში.

სააპელაციო პალატამ მიუთითა საქმის მასალებით დადგენილ შემდეგ გარემოებებზე: ა) ლ.დ-ემ მონაწილეობა მიიღო 2019 წლის საგნის გამოცდის, საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციების დადასტურებისათვის ორგანიზებულ ტესტირებაში და მიიღო შემდეგი შეფასება: ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა და ბუნებისმეტყველება (I-IV) – 24 ქულა, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 25 ქულა, გადასალახი ქულის მისაღწევად დააკლდა 1 ქულა. ამასთან, 9.2, 9.3, 10.2 და 42.2 დავალებები შეფასდა 0 (ნული) ქულით, ხოლო 50-ე დავალება 9 ქულით (მაქსიმალური ქულა – 11). 2019 წლის 19 აგვისტოს, ლ.დ-ემ, მისი ნაშრომის 9.2, 9.3, 10.2, 42.2 და 50-ე დავალებების შეფასებასთან დაკავშირებით, სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში წარადგინა საპრეტენზიო განცხადება №...; ბ) მე-10 დავალების პირობა იყო შემდეგი: „ნაიკითხეთ გალაკტიონ ტაბიძის ლექსი და შეას-

რუлет 10.1 და 10.2 დავალებები: ლაჟვარდ ცაზე დღეა თეთრი კრავების, დასავლეთის კარი ჩატყდა ზმორებით; უნაზესი ისმის ხმა საკრავების, ბალებს იქით, სადღაც, გადაშორებით. მზის გადასვლამ სივრცეები დაწმინდა. იბინდება, იბინდება მთაწმინდა..... ციდან მთებზე ეშვებიან კრავები, დაღალული წყდება ხმა საკრავების. აღნიშნული ლექსის მიხედვით, 10.2 დავალების პირობა იყო: „ამონერეთ ორი ტაეპი, რომლებიც ლექსის კომპოზიციურ მთლიანობაში ადამიანის მონაწილეობას გვიჩვენებს. იმსჯელეთ, რა მხატვრული ეფექტის მისაღწევად იყენებს ავტორი მათ“; გ) აღნიშნულ დავალებაზე მოსარჩელემ წერილობით შემდეგი პასუხი გასცა: „უნაზესი ისმის ხმა საკრავების“, „ბალებს იქით, სადღაც, გადაშორებით“. ეპითეტი, იყენებს იმისთვის, რომ ეს ბუნებრივი მოვლენა, ლამაზად, ხატოვნად შეადაროს ბუნების საოცარ სილამაზეს, ადამიანის განწყობას. მოცემულ ნაწილში ლ. დ-ის ნაშრომი შეფასდა 0 ქულით; დ) 2019 წლის საგნის გამოცდის, საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციების დადასტურებისათვის ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების (I-IV) ტესტის/ტესტების შეფასებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი საპრეტენზიო განცხადების განმხილველი საგნობრივი კომისიის 2019 წლის 26 აგვისტოს გადაწყვეტილებით ლ. დ-ის საპრეტენზიო განაცხადი/საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებულ დავალებებში მის მიერ მიღებული შეფასებები დარჩა უცვლელი.

პალატამ მიუთითა საკასაციო სასამართლოს 2019 წლის 7 მარტის გადაწყვეტილებაზე (საქმე №ბს-797(კ-18)), სადაც საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ „საგამოცდო კომისიის მიერ ნაშრომის შეფასება კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებათა რიგს განეკუთვნება, რომელშიც სასამართლოს კონტროლი გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. სასამართლო ფლობს დავის გადაწყვეტის სრულ იურისდიქციას, თუმცა სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით განსხვავდება ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული სფეროს რეგულირების ხარისხი, სასამართლო კონტროლის სიმჭიდროვე, ინტენსივობა. შესაბამისად, სასამართლოს კონტროლი ამ პირობებში უნდა იყოს სათანადო და თანაზომიერი, დასაცავი ობიექტის მნიშვნელობიდან გამომდინარე არ არის გამორიცხული დისკრეციის მიმართ გამკაცრებული ტესტის გამოყენება (სუსგ 13.02.2013წ. №ბს-448-443(კ-12)). გამოცდის შედეგთან დაკავშირებით პრეტენზიის წარდგენის შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია შეაფასოს გადაწყვეტილების მიღების პროცედურული მხარე, კანონმდებლობით განსაზღვრული დისკრეციული უფლებამოსილების საზღვრების გამოყენების დაცულობა და მიზანთან მისი შესაბამისობის სისწორე, შეფასების საყოველთაოდ მიღებული მასშტაბის, თანასწორობის პრინციპის დაცულობა

ბა (გამოსაცდელი პირების არათანაბარ მდგომარეობაში ჩაყენება (მაგ. მოფიქრებისათვის ნაკლები დროის მიცემა, გამოცდის არასამუშაო გარემოში წარმართვა)), ფაქტების სწორად დადგენის მოთხოვნის, გამოცდის პროცედურული წესების დაცულობა. სასამართლო კონტროლი მოიცავს აგრეთვე ისეთ საკითხებს, რომელიც უკავშირდება გამომცდელის მიერ გამოცდისათვის განსაზღვრული დანაწესის გაუთვალისწინებლობას, არასწორი ფაქტობრივი გარემოებებით ხელმძღვანელობას (მაგ. გამომცდელი საგამოცდო კითხვას გამოცდასთან შეუსაბამო შინაარს აძლევს, დასმული კითხვა ცდება პროგრამის ფარგლებს და სხვ.), საგამოცდო ტესტის, მისი შინაარსობრივი წყობის, დასმული კითხვისა და მასზე სწორად მიჩნეული პასუხის აშკარად შეუსაბამობას, გამომცდელის მიერ გაცნობიერებულად საკითხისადმი კავშირში არმყოფი მოსაზრებებით მოქმედებას. გამომცდელის შეფასებაზე სასამართლო კონტროლი დასაშვებია, როდესაც შეფასება შესაძლოა საგნის სპეციფიკაში ჩაღრმავების გარეშე, იმ შემთხვევაში, როდესაც გამომცდელის შეფასება ემყარება მეცნიერულ – პროფესიული მოსაზრებების ისეთ აშკარა და გონივრულ ზღვარს გადამცდარ არასწორ გააზრებასა და შეფასებას, რომლის შედეგი ყოვლად დაუსაბუთებელი, ირაციონალური და მიუღებელია სასამართლოსათვის“.

პალატის მითითებით, ლ. დ-ე სადავოდ არ ხდის პროცედურულ საკითხს, არ უთითებს თანასწორობის პრინციპის დარღვევით იდენტურ შემთხვევაში სხვების მიმართ განსხვავებული გადაწყვეტილების მიღებას, ადმინისტრაციული ორგანოს არსებული პრაქტიკის სანიშნაღმდეგო გადაწყვეტილების მიღებას, მოსარჩელე არ ეთანხმება დავალებაზე გაცემული პასუხის შეფასებას. მხედველობაშია მისაღები, რომ სასამართლო კონტროლს თავისი საზღვრები აქვს, რადგან შეფასების პროცესს მრავალი ისეთი ელემენტი ახლავს, რომელიც არ ექვემდებარება ზუსტ შეფასებას (გამომცდელის სუბიექტური შთაბეჭდილება, გამომცდელის პროფესიული თავისებურებების ზემოქმედება შეფასებაზე და სხვ.). გამოცდის ჩატარება დაკავშირებული არის შეფასების აუცილებლობასთან, გამომცდელის მიხედულებასთან, რომელიც წარმოადგენს ამ საქმიანობის, შეფასებითი კატეგორიების გამოყენების უცილობელ ელემენტს, შესაბამისად, ამ სფეროში რეგულაციას მიზნად აქვს არა მიხედულების სრული აღმოფხვრა, არამედ მისი თვითნებობაში გადაზრდის თავიდან აცილება, დისკრეციის სფეროს შეზღუდვა. დისკრეციის სფეროს შეზღუდვა ზოგადად დადებითი პროცესია, თუმცა მიხედულების სრული იგნორირება, სრული კონტროლი გამოიწვევდა კონკრეტული პასუხის სპეციფიკურობის, მიზანშეწონილობის ფაქტორის გათვალისწინების უარყოფას, ორგანოს საქმიანობის არაეფექტურობას. კომისიის სადავო გადაწყვეტილება უკავშირდება მაღალკვალიფი-

ციური სპეციალისტებისაგან დაკომპლექტებული კომისიის საგნობრივ კომპეტენციას, ერთჯერად სიტუაციას, რომლის რეკონსტრუქცია და გადამოწმება მოსამართლის მიერ შეუძლებელია (გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გამოსაცდელის ცოდნის დონეს სახელდობრ გამოცდის ჩატარების მომენტისათვის და არა მის შემდეგ), შემფასებელი ახდენს შეფასებას საგამოცდო საკითხების სირთულეების გათვალისწინებით და საერთო შედეგების შეფასების საფუძველზე (შეფასება თავის თავში შეიცავს შედარების ელემენტს, შეფასება შესაბამისობაში უნდა იყოს სხვა აპლიკანტების მიერ მიღებულ შეფასებებთან, ამდენად, გასათვალისწინებელია გამოსაცდელის საშუალო დონე, საგამოცდო ნიშანი იმ ურთიერთობათა სისტემის ნაწილია, რომელიც გარკვეულწილად არის საგამოცდო პრაქტიკის, გამომცდელთა გამოცდილებისა და წარმოდგენების შედეგი), რაც საგამოცდო გადანყვეტილებისათვის ქმნის შეფასების თავისუფალ სივრცეს (იხ. აგრეთვე სუსგ 08.07.04ფ., №ბს-94-11-კს-04; 20.10.10ფ. №ბს-342-331(კ-10); 25.03.09ფ. №ბს-1448-1406(კს-08); 20.07.11ფ. №ბს-1805-1760(კ-10)). დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელება ადმინისტრაციულ ორგანოს ანიჭებს შესაძლებლობას კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადანყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადანყვეტილება (სზაკ-ის მე-2 მუხ. „ლ“ ქვ.პ.). შეფასების ფართო ველის აღიარება იწვევს გადანყვეტილების მიღების დისკრეციული სივრცის აღიარებას. მოცემულ შემთხვევაში, სახეზეა ადმინისტრაციული დისკრეციული უფლებამოსილება სპეციალიზებულ სფეროში. გამომცდელის გადანყვეტილების სრული სასამართლო შემოწმების დაშვების შემთხვევაში, გამოცდების მიღების ფუნქცია უცილობლად მთლიანად სასამართლოში გადაინაცვლებს. სასამართლო არ არის უფლებამოსილი იკისროს გამომცდელის ფუნქცია და შეაფასოს მოსარჩელის სპეციალური ცოდნა. დისკრეციული უფლებამოსილება ადმინისტრაციულ ორგანოს აძლევს მოქმედების თავისუფლებას, თუმცა არ ქმნის სამართლისგან სრულიად თავისუფალ სივრცეს, ასეთ პირობებში მოქალაქეს არ ერთმევა უფლება მოითხოვოს მის მიმართ უშეცდომო გადანყვეტილების მიღება. არ არსებობს სრულიად დისკრეციული უფლებამოსილება, ისევე როგორც სრული მონესრიგება. გარემოებათა სიმრავლის, სფეროს თავისებურებების გათვალისწინებით სასამართლო შემოწმების მასშტაბი ცვალებადია. ორგანოს მიხედულების სფეროს გაფართოებას იწვევს განუსაზღვრელი ცნებები. საგამოცდო წარმოება მოიცავს ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას და შეფასების პროცესთან დაკავშირებულ განუსაზღვრელ ცნებებს. ასეთი ორმაგი დატვირთვის მონესრიგება განაპირობებს დისკრეციული უფლებამოსილების სპეციფიკას. განუსაზღვრელი, ზოგადი სამართლებრივი ტერმინები არ გულისხმობს ადმინისტრაციული ორგა-

ნოს არჩევანის სრულ თავისუფლებას, უშეცდომო დისკრეციული გადაწყვეტილებების მიღების, პირის უფლებების დაცვის მოთხოვნიდან გამომდინარე, ასეთი ტერმინები სწორად უნდა განიმარტოს, ცნებების განმარტების სისწორე ექვემდებარება სასამართლო კონტროლს, თუმცა საგამოცდო წარმოების მოწესრიგება ანიჭებს ადმინისტრაციულ ორგანოს გარკვეულ თავისუფლებას ამ ცნებების შემადგენლობის განმარტებისას და სასამართლო კონტროლიც ამ თავისებურების გათვალისწინებით ხორციელდება. საგამოცდო კომისია თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას ადგენს, თუ როდის არის სახეზე წესით დადგენილი წინაპირობა – გააზრებული ცოდნა, ნაწილობრივი ცოდნა, რომლებიც სრულად არ არიან განსაზღვრულები და თავის მხრივ, უქმნიან საგამოცდო კომისიას გარკვეულწილად შეფასების თავისუფალ სივრცეს, რაც დამახასიათებელია საგამოცდო პროცესისათვის. შეფასების გარკვეული თავისუფლების მიუხედავად, ცხადია, რომ მისი გამოყენება ობიექტურად და სამართლიანად უნდა ხდებოდეს. დისკრეციული უფლებამოსილების სპეციფიკური პროცესი წინააღმდეგობაში არ უნდა მოვიდეს მოქალაქეთა დარღვეული უფლების სასამართლო წესით აღდგენის ინტერესთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში, და უნდა ექვემდებარებოდეს სასამართლო კონტროლს. მმართველობის ყველა აქტი, მათ შორის დისკრეციული უფლებამოსილებიდან გამომდინარე გადაწყვეტილება, ექვემდებარება სასამართლო კონტროლს. სზაკ-ის 7.2 მუხლის შესაბამისად, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას არ დაიშვება პირის ძირითადი უფლებისა და კანონიერი ინტერესების შელახვა. დისკრეცია არ წარმოადგენს სასამართლო ხელისუფლების კონტროლისაგან თავისუფალ სივრცეს (სუსგ 11.04.12წ. №ბს-1655-1627(კ-11), 20.10.10წ. №ბს-342-331(კ-10)), ადმინისტრაციული ორგანოს მიხედულება უკიდევანო არ არის და მის ფარგლებში თვითნებობის, დისკრიმინაციის, დისკრეციული უფლებამოსილების გადაჭარბების ან არამიზნობრივი გამოყენების გამოვლენა დაუშვებელია, ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეცია არ ნიშნავს თანასწორობის ან კანონიერების პრინციპის უგულვებელყოფას, დისკრეციული უფლებამოსილება სამართლებრივად შებოჭილი თავისუფლებაა. დისკრეციული უფლებამოსილების ცნებისათვის იმანენტურია მისი სამართლებრივი ბოჭვა, რაც სასამართლო კონტროლის პირობებშია შესაძლებელი. მოცემულ შემთხვევაში, დისკრეციული ველის შეზღუდვის, ამ სფეროში ერთგვარი ინტერვენციის, სასამართლო კონტროლის გაფართოების შესაძლებლობას გარკვეულწილად იძლევა სასერტიფიკაციო გამოცდის შეფასების სქემა.

სასამართლოს მითითებით, სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის 2019 წლის 12 აგვისტოს №139/19 ბრძანებით დამტკიც-

და 2019 წლის საგნის გამოცდის, საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციების დადასტურებისათვის შეფასების სქემები ამ ბრძანების დანართების შესაბამისად. აღნიშნული სქემის თანახმად № 10.2 დავალების მაქსიმალურ შეფასებას წარმოადგენდა 2 ქულა, რომელიც ინერებოდა იმ შემთხვევაში თუ სწორად იყო ამოცნობილი და ამოწერილი შესაბამისი ტაეპები – „უნაზესი ისმის ხმა საკრავების, დაღალული წყდება ხმა საკრავების“ – წარმოდგენილი იყო დამაჯერებელი მსჯელობა ავტორის მხატვრული ჩანაფიქრის შესახებ. 1 ქულა ინერება იმ შემთხვევაში თუ: 1) სწორად არის ამოცნობილი და ამოწერილი შესაბამისი ტაეპები ლექსიდან (უნაზესი ისმის ხმა საკრავების, დაღალული წყდება ხმა საკრავების), თუმცა წარმოდგენილი მსჯელობა ზედაპირული და სქემატურია; 2) სწორად არის ამოცნობილი და ამოწერილი შესაბამისი ტაეპები ლექსიდან (უნაზესი ისმის ხმა საკრავების, დაღალული წყდება ხმა საკრავების), თუმცა არ არის წარმოდგენილი მსჯელობა; 3) არ ჩანს ამოწერილი ორი სტრიქონი, თუმცა წარმოდგენილია სქემატური მსჯელობა ავტორის მხატვრული ჩანაფიქრის შესახებ. 0 ქულა ინერება იმ შემთხვევაში, თუ 1) შეცდომითაა ამოწერილი ტაეპები და მსჯელობა მცდარია; 2) არ არის ამოწერილი ტაეპები და მსჯელობა მცდარია.

სააპელაციო პალატის განმარტებით, 10.2 დავალება განეკუთვნება ე.წ. ღია ტიპის დავალებას, ასეთ დავალებას არ აქვს თანდართული სავარაუდო პასუხები, რის გამოც მნიშვნელობა ენიჭება დასაბუთებას. დასაბუთება, განმარტება უფრო მაღალი სააზროვნო დონის მაჩვენებელია, ვიდრე დასახელება, აღწერა, ის ავლენს აპლიკანტის ანალიზის, სინთეზისა და შეფასების უნარებს. განსახილველ შემთხვევაში, დასაბუთებულია აპელანტის პოზიცია იმის თაობაზე, რომ აპლიკანტი ვალდებული იყო წარმოედგინა დამაჯერებელი მსჯელობა ავტორის მიზანდასახულობის შესახებ – ეჩვენებინა ადამიანისა და ბუნების ჰარმონიული თანახმიერობის, ადამიანის, როგორც ბუნების განუყოფელი ნაწილის მხატვრული სურათის შესახებ მსჯელობა. ასევე, ამოეცნო და ამოეწერა 2 ტაეპი (უნაზესი ისმის ხმა საკრავების, დაღალული წყდება ხმა საკრავების), რომლებიც ლექსის კომპოზიციურ ერთიანობაში ადამიანის მონაწილეობას გვიჩვენებს ან წარმოედგინა სქემატური მსჯელობა ავტორის მხატვრული ჩანაფიქრის შესახებ. საქმეში წარმოდგენილი 2019 წლის საგნის გამოცდის, საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციების დადასტურების ტესტირების შეფასების სქემის მიხედვით, (რომელიც არაა სადავო), ქულის მინიჭების სავალდებულო კრიტერიუმებად დადგენილია, რომ: 1) აპლიკანტის მიერ სწორად უნდა ყოფილიყო ამოცნობილი და ამოწერილი შესაბამისი ტაეპები – უნაზესი ისმის ხმა საკრავების, დაღალული წყდება ხმა საკრავების, და ასევე წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო დამაჯერებელი მსჯელობა ავტორის მხატვრუ-

ლი ჩანაფიქრის შესახებ (2 ქულა); და 2) აპლიკანტის მიერ თუ სწორად იქნებოდა ამოცნობილი და ამონერილი შესაბამისი ტაეპები ლექსიდან (უნაზესი ისმის ხმა საკრავების, დაღალული წყდება ხმა საკრავების), მაგრამ წარმოდგენილი მსჯელობა ზედაპირული და სქემატური იქნებოდა; ან სწორად იქნებოდა ამოცნობილი და ამონერილი შესაბამისი ტაეპები ლექსიდან (უნაზესი ისმის ხმა საკრავების, დაღალული წყდება ხმა საკრავების), მაგრამ არ იქნებოდა წარმოდგენილი მსჯელობა; ან ნაშრომში არ ჩანდა ამონერილი ორი სტრიქონი (ტაეპები), მაგრამ წარმოდგენილი იქნებოდა სქემატური მსჯელობა ავტორის მხატვრული ჩანაფიქრის შესახებ, დავალება შეფასდებოდა 1 (ერთი) ქულით.

სააპელაციო პალატის განმარტებით, საქმეში წარმოდგენილი არც ერთი მტკიცებულება არ მიუთითებს, რომ ლ. დ-ის მიერ შესრულებულ 10.2 დავალებაში გაცემული პასუხი აკმაყოფილებს შეფასების სქემით ქულის მინიჭებისათვის დადგენილ რომელიმე კრიტერიუმს, საქალაქო სასამართლოს მხრიდან კი, სქემით დადგენილი შეფასების კრიტერიუმების გაცდენა, პალატის აზრით, არ წარმოადგენს სასამართლოს კომპეტენციას. სადავო აქტით გადაწყვეტილი დავის მთავარი საკითხი – ქულის მომატებაზე უარი ადეკვატურია, ადგილი არ აქვს თვითნებობას, დისკრეციული უფლებამოსილების გადაცილებას, მოსარჩელის მიმართ დისკრიმინაციულ მიდგომას და გადაწყვეტილება შეესაბამება დადგენილი შეფასების სქემის მოთხოვნებს.

სააპელაციო პალატის განმარტებით, მოსარჩელის წარმომადგენლებისა და პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელეს სწორად აქვს ამოცნობილი და ამონერილი ერთი ტაეპი („უნაზესი ისმის ხმა საკრავების“) და განვითარებული აქვს ზედაპირული მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, თუ რა მხატვრული ეფექტის მისაღწევად იყენებს ავტორი მათ, რაც მათი შეხედულებით აპლიკანტს უნდა ჩაეთვალოს კითხვის | ნაწილი და მოემატოს 1 ქულა, დაუსაბუთებელია, რადგან 2019 წლის მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდის შეფასების სქემა იძლევა გარკვეული მასშტაბით შეფასების გადამოწმების შესაძლებლობას, სქემაში მოცემულია შეფასების ზოგადი მასშტაბი. განსახილველ შემთხვევაში სახეზე არ არის შეცდომა დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში, რამდენადაც ადმინისტრაციული ორგანო ნაშრომის შეფასებისას მოქმედებდა კონკრეტული სქემის მიხედვით და იმ პირობებში, როდესაც აპლიკანტს ამონერილი აქვს ორი სწორი ტაეპიდან მხოლოდ ერთი და ზოგადი მსჯელობა ადმინისტრაციულ ორგანოს შეფასებული აქვს მისთვის მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, შეუძლებელია მსჯელობა აპლიკანტისათვის ერთი ქულის მომატების შესაძლებლობაზე. აღნიშნულს კი, თავის მხრივ, ვერ გადა-

წონის საქმის მასალებში წარმოდგენილი ქალაქ ქუთაისის ...ის №... სა-
ჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგის მ. ა-ს ანა-
ლიზი.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-
თა პალატის 2021 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილება საკასაციო წე-
სით გაასაჩივრა ლ. დ-ემ.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრე-
ბული გადაწყვეტილება უკანონოა, ვინაიდან პალატამ საპროცესო სა-
მართლოს ნორმების დარღვევით მიიღო გადაწყვეტილება. დაუსაბუ-
თებელია სასამართლოს მსჯელობა 10.2 დავალების შეფასების სქემას-
თან დაკავშირებით და განმარტება, თუ რა შემთხვევაში ეკუთვნოდა
ლ. დ-ის ნაშრომს ერთი ქულა. ნაშრომის 10.2 დავალების საკითხზე მსჯე-
ლობისას პალატა თითქოს შეფასების კრიტერიუმებს დაეყრდნო (რად-
გან ვერ გასცდებოდა მოქმედების არეალს), თუმცა სასამართლომ იმ-
სჯელა მხოლოდ 1 კრედიტქულის კრიტერიუმზე ნაწილობრივ და არა
სრულ ჩამონათვალზე. შესაბამისად, მსჯელობის გარეშე დატოვა 0 ქუ-
ლის მინიჭების კრიტერიუმები. 0 ქულა მიეკუთვნებოდა ნაშრომს თუ:
ა) შეცდომითაა ამოწერილი ტაეპები და მსჯელობა მცდარია; ბ) არ არის
ამოწერილი ტაეპები და მსჯელობა მცდარია. სქემის მიხედვით, ლ.დ-
ემ ერთი ტაეპი სწორად ამოიწნო და ამოწერა („უნაზესი ისმის ხმა საკ-
რავების“), ასევე განვითარებული აქვს ზედაპირული მსჯელობა იმას-
თან დაკავშირებით, თუ რა მხატვრული ეფექტის მისაღწევად იყენებს
ავტორი მათ. შესაბამისად, გამოირიცხა 0 ქულით შეფასების კრიტერი-
უმი.

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა პალატის 2022 წლის 15 აპრილის განჩინებით საქართველოს ადმი-
ნისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესა-
ბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული
ლ. დ-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა
პალატის 2023 წლის 22 სექტემბრის განჩინებით, ლ. დ-ის საკასაციო
საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო სა-
ჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილე-
ბის კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს,
რომ ლ. დ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარე-
მოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი

მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო საქმეზე გადაწყვეტილებას თვითონ მიიღებს, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოში დაბრუნების საფუძვლები. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება შესაძლებელია დასაბუთებული იყოს აგრეთვე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების ნორმებისა და მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა.

საქმის მასალებით დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ა) ლ. დ-ე მონაწილეობდა 2019 წლის საგნის გამოცდის, საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციების დადასტურებისათვის ორგანიზებულ ტესტირებაში და მიიღო შემდეგი შეფასება: ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა და ბუნებისმეტყველება (I-IV) – 24 ქულა, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 25 ქულა, გადასალახი ქულის მისაღწევად დააკლდა 1 ქულა. ამასთან, 9.2, 9.3, 10.2 და 42.2 დავალებები შეფასდა 0 (ნული) ქულით, ხოლო 50-ე დავალება 9 ქულით (მაქსიმალური ქულა – 11); ბ) 2019 წლის 19 აგვისტოს ლ. დ-ემ მის ნაშრომის 9.2, 9.3, 10.2, 42.2 და 50-ე დავალებების შეფასებასთან დაკავშირებით, სისპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში წარადგინა საპრეტენზიო განცხადება №.... 2019 წლის საგნის გამოცდის, საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციების დადასტურებისათვის ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების (I-IV) ტესტის/ტესტების შეფასებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი საპრეტენზიო განცხადების განმხილველი საგნობრივი კომისიის 2019 წლის 26 აგვისტოს გადაწყვეტილებით ლ. დ-ის საპრეტენზიო განაცხადი/საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებულ დავალებებში მის მიერ მიღებული შეფასებები დარჩა უცვლელი; გ) საქმეში წარმოდგენილია ქალაქ ქუთაისის ...ის №... საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგის – მ. ა-ის ანალიზი ლ. დ-ის ნაშრომთან დაკავშირებით, სადაც იგი მსჯელობს ლ. დ-ის ნაშრომის მე-10 დავალებასთან მიმართებით. ანალიზში აღნიშნულია შემდეგი: „პედაგოგ ლ. დ-ეს უნერია: „უნაზესი ისმის ხმა საკრავების, ბალებს იქით, სადღაც გადამორებით...“, ხოლო ტესტის შემდგენელს სწორ პასუხად აღქმული აქვს შემდეგი: „უნაზესი ისმის ხმა საკრავების, დაღალული წყდება ხმა საკრავების“... დიდი ლოგიკა არც ამ საორიენტაციო

პასუხსა და საკითხის დასამაში იგრძნობა, თუ ადამიანის მონაწილეობას ვეძებთ ლექსის ამ ნაწილში, რატომ არ შეიძლება ადამიანი, „ბაღებს იქით, სადღაც“ ... რომ იყოს, ის ადამიანი, რომელიც საკრავის უნაზეს ხმას გამოსცემს ... იმ ლოგიკით, დავალების შემდგენელი, რომ გულისხმობს: „დალალული წყდება ხმა საკრავების“. სპეციალისტი განმარტავს, რომ ლ. დ-ეს ძალიან კარგად აქვს შესრულებული დავალება. ლირიული ნაწარმოების აღქმა, მით უფრო გალაკტიონისა, სხვადასხვაგვარია მკითხველისთვის. ეს არაა მათემატიკა და მშრალი ციფრების მეცნიერება, რომელთა კომბინაციით აუცილებლად ზუსტი ციფრით გამოხატული პასუხი უნდა მიიღო. ლ. დ-ის პასუხი იმსახურებს 2 ქულიდან 1 ქულას მაინც; დ) საქმეში წარმოდგენილია ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის – მ. ც-ის შეფასება ლ. დ-ის 10.2. ნაშრომთან დაკავშირებით. სპეციალისტი განმარტავს, რომ დავალების შესრულებისას პედაგოგმა ლ. დ-ემ მიაგნო ფრაზას, რომელშიც ავტორი ბუნების სურათში ადამიანის მონაწილეობას აჩვენებს. მისი განმარტებით, „ხმა ისმის საკრავების“, სწორედ ეს სტრიქონი გამოხატავს ლექსის კომპოზიციურ მთლიანობაში ადამიანის ჩართულობას, რაკი გამსწორებლის მიერ სწორ პასუხად ჩათვლილ ფორმატში ტექსტის ბოლო სტრიქონში იმავე აქტივობაზეა საუბარი („დალალული წყდება ხმა საკრავების“), ხოლო პედაგოგს ამოცნობილი აქვს კომპოზიციაში ადამიანის თანამონაწილეობა (ის უკრავს – „ხმა საკრავების“) აპლიკანტს შეიძლება ჩაეთვალოს კითხვის I ნაწილი და მოემატოს 1 ქულა, რადგან სწორედ „საკრავების ხმა“ განსაზღვრავს აქაც (ბოლო სტრიქონში) ადამიანის თანამონაწილეობას ბუნების პროცესში.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამომწებებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში. განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს 2019 წლის საგნის გამოცდის, საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციების დადასტურებისათვის ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების (I-IV) ტესტის/ტესტების შეფასებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი საპრეტენზიო განცხადების განმხილველი საგნობრივი კომისიის 2019 წლის 26 აგვისტოს გადაწყვეტილების (მოსარჩელე მოითხოვს, ჩაითვალოს, რომ ლ. დ-ემ საგნობრივი კომპეტენციის დამადასტურებელი ტესტირების შედეგად მიიღო 25 ქულა) კანონიერების შეფასება და სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დავალდებულება ლ. დ-ისთვის 1 (ერთი) კრედიტქულის მინიჭების შესახებ. საყურადღებოა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილებით, სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის სააპელაციო საჩივრის ფარგლებში, განხილულ

იქნა მხოლოდ 10.2 დავალების ნაწილში ლ.დ-ის ნაშრომის შეფასება. შესაბამისად, წინამდებარე საკასაციო საჩივრის ფარგლებშიც საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხოლოდ დავალების ამ ნაწილში მოპასუხის მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების საკითხზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 14 მარტის №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგნის გამოცდის ჩატარების, საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციების დადასტურების წესი“ (ძალადაკარგულია – 13.09.2019, №193/ნ) განსაზღვრავდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის (შემდგომში – ცენტრი) მიერ საგნის გამოცდის ჩატარებასთან, საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციების დადგენასთან დაკავშირებულ საკითხებს (მუხ. 1); დასახელებული წესის 7.2 მუხლის თანახმად, ტესტირების ჩატარებას უზრუნველყოფს ცენტრი. მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა.დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ტესტირება ტარდება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ შემდეგ საგნებში – ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა და ბუნებისმეტყველება (I-IV კლასები). მე-8 მუხლის შესაბამისად, ტესტირების თითოეული ნაწილისათვის ტესტებს, შეფასების ზოგად კრიტერიუმებსა და შეფასების სქემებს შეიმუშავებს ცენტრი (1); ტესტირების შეფასების ზოგადი კრიტერიუმები და ტესტის მაქსიმალური ქულები დგინდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ტესტირების დაწყებამდე (2); ტესტირების ჩატარების შემდეგ თითოეული საგნის/პროფესიული უნარების შესაბამისად, ცენტრი ქმნის პირველადი შეფასების სქემებს. შეფასების სქემები საბოლოოდ ფორმირდება და ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მტკიცდება აპლიკანტთა ნაშრომების პირველადი გასწორების შემდგომ (3). ამავე ბრძანების მე-2 მუხლის „ჟ“ პუნქტის თანახმად, შეფასების სქემა განიმარტება, როგორც ცენტრის მიერ ეროვნული სასწავლო გეგმის, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტისა და შეფასების ზოგადი კრიტერიუმების შესაბამისად შედგენილი დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც ხორციელდება აპლიკანტების ნაშრომების გასწორება.

2017 წლის 14 მარტის №46/ნ ბრძანების თანახმად, ტესტირება მიმდინარეობს ცენტრის მიერ დადგენილი პროცედურებით (15.1 მუხლი). ცენტრი, ტესტირებების სრულად დასრულებიდან არაუგვიანეს 15 დღისა, უზრუნველყოფს გამოყენებული ტესტური დავალებებისა და შეფასების სქემების განთავსებას ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე (მე-17 მუხლი). აპლიკანტს უფლება აქვს, საპრეტენზიო განაცხადი ამ თავით დადგენილი წესით წარადგინოს ტესტირების პროცედურის დადგენილი წესის დარღვევის ფაქტის თაობაზე ან/და ტესტის შეფასებას-

თან დაკავშირებით (მე-20 მუხლი). ტესტირების პროცედურის დადგენილი წესის დარღვევის ფაქტის თაობაზე საპრეტენზიო განაცხადის წარდგენა ხდება საგამოცდო ცენტრში (21.1 მუხლი).

დასახელებული წესის 24-ე მუხლის შესაბამისად, ტესტირების პროცედურის დადგენილი წესის დარღვევის ფაქტის თაობაზე წარდგენილი საპრეტენზიო განაცხადები განიხილება საპრეტენზიო კომისიის მიერ (1); ტესტის შეფასებასთან დაკავშირებით წარდგენილი საპრეტენზიო განაცხადები განიხილება შესაბამისი საგნობრივი კომისიის მიერ (2); ტესტის შეფასებასთან დაკავშირებით წარდგენილი საპრეტენზიო განაცხადების განხილვისას საგნობრივი კომისიისთვის ცნობილი არ უნდა იყოს აპლიკანტის ვინაობა (3); საგნობრივი კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც მონაწილეობდა ტესტის შედგენაში ან მიმდინარე წელს არის გამსწორებელი (4).

წესის 27-ე მუხლის თანახმად, ტესტის შეფასებასთან დაკავშირებით წარდგენილი საპრეტენზიო განაცხადი, ნაშრომთან ერთად გადაეცემა შესაბამის საგნობრივ კომისიას, რომლის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი განისაზღვრება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (1); საპრეტენზიო განაცხადის განხილვისას, საგნობრივი კომისია უფლებამოსილია იმსჯელოს მხოლოდ საპრეტენზიო განაცხადში მითითებული ტესტური დავალების/დავალებების ფარგლებში, ტესტური დავალების/დავალებების შეფასების სისწორეზე და საპრეტენზიო განაცხადების წარმოდგენის ვადის დასრულებიდან 20 დღის ვადაში მიიღოს შემდეგი გადაწყვეტილება/გადაწყვეტილებები: ა) აპლიკანტისთვის ქულის მომატების შესახებ; ბ) აპლიკანტისთვის ქულის დაკლების შესახებ; გ) აპლიკანტისთვის ქულის უცვლელად დატოვების შესახებ (2); საგნობრივი კომისია ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას, მისი მიღებიდან ორი დღის ვადაში გადასცემს ცენტრის დირექტორს (3); საგნობრივი კომისიის გადაწყვეტილებები ცენტრის მიერ განთავსდება ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე, საპრეტენზიო განაცხადების წარმოდგენის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 25 დღის ვადაში. საგნობრივი კომისიის გადაწყვეტილებები, საგამოცდო ბარათის კოდის გამოყენებით, ხელმისაწვდომია მხოლოდ დაინტერესებული პირისათვის (4).

მოცემულ შემთხვევაში, სასამართლოს განხილვის საგანს წარმოადგენს 10.2 დავალების ნაწილში ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების კანონიერების შეფასება და იმ ფაქტის შესწავლა, რომლის ნამუშევარი იძლეოდა თუ არა ქულის მომატების შესაძლებლობას საგნობრივი კომისიის მხრიდან.

საქმის მასალებით დგინდება, რომ მე-10 დავალების პირობა იყო შემდეგი: „ნაიკითხეთ გალაკტიონ ტაბიძის ლექსი და შეასრულეთ 10.1

და 10.2 დავალებები: ლაჟვარდ ცაზე დღეა თეთრი კრავების, დასავლეთის კარი ჩატყდა ზმორებით; უნაზესი ისმის ხმა საკრავების, ბალებს იქით, სადღაც, გადაშორებით. მზის გადასვლამ სივრცეები დაწმინდა. იბინდება, იბინდება მთანმინდა... ...ციდან მთებზე ეშვებიან კრავები, დაღალული წყდება ხმა საკრავების“. 10.2 დავალების პირობა იყო: „ამონერეთ ორი ტაეპი, რომლებიც ლექსის კომპოზიციურ მთლიანობაში ადამიანის მონაწილეობას გვიჩვენებს. იმსჯელეთ, რა მხატვრული ეფექტის მისაღწევად იყენებს ავტორი მათ“.

აღნიშნულ დავალებაზე მოსარჩელემ წერილობით შემდეგი პასუხი გასცა: „უნაზესი ისმის ხმა საკრავების“, „ბალებს იქით, სადღაც, გადაშორებით“. ეპითეტი, იყენებს იმისთვის, რომ ეს ბუნებრივი მოვლენა, ლამაზად, ხატოვნად შეადაროს ბუნების საოცარ სილამაზეს, ადამიანის განწყობას“. მოცემულ დავალებაში ლ.დ-ის ნაშრომი შეფასებულია 0 ქულით.

ასევე დადგენილია, რომ 2019 წლის საგნის გამოცდის, საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციების დადასტურების შეფასების სქემის თანახმად, სწორ პასუხად მიჩნეულია შემდეგი ტაეპები: „უნაზესი ისმის ხმა საკრავების“, „დაღალული წყდება ხმა საკრავების“. ამავე შეფასების სქემის მიხედვით, 0 ქულა იწერება როდესაც: – შეცდომითაა ამონერილი ტაეპები და მსჯელობა მცდარია; – არ არის ამონერილი ტაეპები და მსჯელობა მცდარია. დავალებაში 1 ქულა იწერება შემდეგ შემთხვევებში: – სწორად არის ამოცნობილი და ამონერილი შესაბამისი ტაეპები ლექსიდან („უნაზესი ისმის ხმა საკრავების“, „დაღალული წყდება ხმა საკრავების“), თუმცა წარმოდგენილი მსჯელობა ზედაპირული და სქემატურია; – სწორად არის ამოცნობილი და ამონერილი შესაბამისი ტაეპები ლექსიდან („უნაზესი ისმის ხმა საკრავების“, „დაღალული წყდება ხმა საკრავების“), თუმცა არ არის წარმოდგენილი მსჯელობა; – არ ჩანს ამონერილი ორი სტრიქონი, თუმცა წარმოდგენილია სქემატური მსჯელობა ავტორის მხატვრული ჩანაფიქრის შესახებ. ამავე სქემის შესაბამისად, მაქსიმალური – 2 ქულა იწერება იმ შემთხვევაში, თუ სწორად არის ამოცნობილი და ამონერილი შესაბამისი ტაეპები – „უნაზესი ისმის ხმა საკრავების“, „დაღალული წყდება ხმა საკრავების“, წარმოდგენილია დამაჯერებელი მსჯელობა ავტორის მხატვრული ჩანაფიქრის შესახებ. მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო მიიჩნევს, რომ აპლიკანტს ამონერილი აქვს 2 ტაეპი, რომელიც ვერ აერთიანებს, ვერ კრავს ლექსის კომპოზიციურ სურათს, რის გამოც, დავალების ამ ნაწილში, ლ. დ-ეს მიღებული აქვს 0 ქულა.

საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლზე, რომლის თანახმად, მხარეები ადმინისტრაციული საქმის განხილვისას სარგებლობენ საქართველოს სა-

მოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა დადასტურდეს ეს ფაქტები. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. ამავე კოდექსის 105-ე მუხლის მიხედვით, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

ზემოაღნიშნულ სამართლებრივ საფუძვლებზე დაყრდნობით, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმის განხილვისას არავითარი მტკიცებულება არ იძენს წინასწარ დადგენილ ძალას. შესაბამისად, სასამართლო ვალდებულია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მტკიცებულებებს საკუთარი შინაგანი რწმენით აფასებდეს, რომელიც თავის მხრივ, მტკიცებულებათა ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას უნდა ემყარებოდეს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქმეში წარმოდგენილია ქალაქ ქუთაისის ...ის №... საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგის – მ. ა-ის ანალიზი ლ. დ-ის ნაშრომთან დაკავშირებით, სადაც იგი მსჯელობს ლ. დ-ის ნაშრომის მე-10 დავალებასთან მიმართებით. სპეციალისტი განმარტავს, რომ ლ. დ-ეს ძალიან კარგად აქვს შესრულებული დავალება და პასუხი იმსახურებს მინიმუმ 1 ქულას. ასევე, საქმეში წარმოდგენილია ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის – მ. ც-ის შეფასება ლ. დ-ის 10.2. ნაშრომთან დაკავშირებით. სპეციალისტის განმარტებით, დავალების შესრულებისას ლ. დ-ეს ამოცნობილი აქვს დავალების მთავარი პირობა – კომპოზიციაში ადამიანის თანამონაწილეობა, რაც იძლევა საშუალებას ჩაეთვალოს კითხვის I ნაწილი და მოემატოს 1 ქულა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს სზაკ-ის მე-2 მუხლის პირველი

ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილება განიმარტება, როგორც უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადანყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადანყვეტილება. ამავე კოდექსის მე-6 მუხლის შესაბამისად, თუ ადმინისტრაციულ ორგანოს რომელიმე საკითხის გადასაწყვეტად მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, იგი ვალდებულია ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში (1); ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განახორციელოს დისკრეციული უფლებამოსილება მხოლოდ იმ მიზნით, რომლის მისაღწევადაც მინიჭებული აქვს ეს უფლებამოსილება (2). მე-7 მუხლის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას არ შეიძლება გამოიყენოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისათვის მიყენებული ზიანი არსებითად აღემატება იმ სიკეთეს, რომლის მისაღებადაც იგი გამოიცა (1); დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა (2).

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დისკრეციული უფლებამოსილება ადმინისტრაციულ ორგანოს აძლევს მოქმედების თავისუფლებას, თუმცა არ ქმნის სამართლისგან სრულიად თავისუფალ სივრცეს, ასეთ პირობებში მოქალაქეს არ ერთმევა უფლება მოითხოვოს მის მიმართ უშეცდომო გადანყვეტილების მიღება. არ არსებობს სრულიად დისკრეციული უფლებამოსილება, ისევე როგორც სრული მონესრიგება. გარემოებათა სიმრავლის, სფეროს თავისებურებების გათვალისწინებით სასამართლო შემოწმების მასშტაბი ცვალებადია. ორგანოს მიხედულების სფეროს გაფართოებას იწვევს განუსაზღვრელი ცნებები. საგამოცდო წარმოება მოიცავს ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას და შეფასების პროცესთან დაკავშირებულ განუსაზღვრელ ცნებებს. ასეთი ორმაგი დატვირთვის მონესრიგება განაპირობებს დისკრეციული უფლებამოსილების სპეციფიკას. განუსაზღვრელი, ზოგადი სამართლებრივი ტერმინები არ გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოს არჩევანის სრულ თავისუფლებას, უშეცდომო დისკრეციული გადანყვეტილებების მიღების, პირის უფლებების დაცვის მოთხოვნიდან გამომდინარე, ასეთი ტერმინები სწორად უნდა განიმარტოს, ცნებების განმარტების სისწორე ექვემდებარება სასამართლო კონტროლს, თუმცა საგამოცდო წარმოების მონესრიგება ანიჭებს ადმინისტრაციულ ორგანოს გარკვეულ თავისუფლებას ამ ცნებების შემადგენლობის განმარ-

ტებისას და სასამართლო კონტროლიც ამ თავისებურების გათვალისწინებით ხორციელდება. საგამოცდო კომისია თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას ადგენს თუ როდის არის სახეზე წესით დადგენილი წინაპირობა – გააზრებული ცოდნა, ნაწილობრივი ცოდნა, რომლებიც სრულად არ არიან განსაზღვრულები და თავის მხრივ, უქმნიან საგამოცდო კომისიას გარკვეულწილად შეფასების თავისუფალ სივრცეს, რაც დამახასიათებელია საგამოცდო პროცესისათვის. შეფასების გარკვეული თავისუფლების მიუხედავად, ცხადია, რომ მისი გამოყენება ობიექტურად და სამართლიანად უნდა ხდებოდეს. დისკრეციული უფლებამოსილების სპეციფიკური პროცესი წინააღმდეგობაში არ უნდა მოვიდეს მოქალაქეთა დარღვეული უფლების სასამართლო წესით აღდგენის ინტერესთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში, და უნდა ექვემდებარებოდეს სასამართლო კონტროლს. მმართველობის ყველა აქტი, მათ შორის დისკრეციული უფლებამოსილებიდან გამომდინარე გადაწყვეტილება, ექვემდებარება სასამართლო კონტროლს. სზაკ-ის 7.2 მუხლის შესაბამისად, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას არ დაიშვება პირის ძირითადი უფლებისა და კანონიერი ინტერესების შელახვა. დისკრეცია არ წარმოადგენს სასამართლო ხელისუფლების კონტროლისაგან თავისუფალ სივრცეს (სუსგ 11.04.12წ. №ბს-1655-1627(კ-11), 20.10.10წ. №ბს-342-331(კ-10)), ადმინისტრაციული ორგანოს მიხედულება უკიდევანო არ არის და მის ფარგლებში თვითნებობის, დისკრიმინაციის, დისკრეციული უფლებამოსილების გადაჭარბების ან არამიზნობრივი გამოყენების გამოვლენა დაუშვებელია, ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეცია არ ნიშნავს თანასწორობის ან კანონიერების პრინციპის უგულვებელყოფას, დისკრეციული უფლებამოსილება სამართლებრივად შებოჭილი თავისუფლებაა. დისკრეციული უფლებამოსილების ცნებისათვის იმანენტურია მისი სამართლებრივი ბოჭვა, რაც სასამართლო კონტროლის პირობებშია შესაძლებელი. მოცემულ შემთხვევაში დისკრეციული ველის შეზღუდვის, ამ სფეროში ერთგვარი ინტერვენციის, სასამართლო კონტროლის გაფართოების შესაძლებლობას გარკვეულწილად იძლევა სასერტიფიკაციო გამოცდის შეფასების სქემა (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 7 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №ბს-797(კ-18)).

ზემოაღნიშნული შეფასების სქემაზე მითითებით, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ 10.2 დავალება, თავის თავში, მოიცავს კიდევ 2 ქვედავლებას, რომელთაგანაც პირველი არ არის ე.წ. ღია დავალება, ხოლო მეორე – ე.წ. ღია დავალებაა, რომელიც იძლევა აპლიკანტის მხრიდან მსჯელობის შესაძლებლობას. შესაბამისად, მხოლოდ ის გარემოება, რომ აპლიკანტს ამოწერილი აქვს 2 ტაეპი, რომელიც ვერ აერთიანებს, ვერ კრავს ლექსის კომპოზიციურ

სურათს, ან 2 ტაეპიდან ერთი ტაეპი არასწორადაა ამონერილი, არ იძლევა ნაშრომის პირდაპირ 0 ქულით შეფასების შესაძლებლობას. საყურადღებოა, რომ მოსარჩელეს სწორად აქვს ამოცნობილი და ამონერილი ორიდან ერთი ტაეპი („უნაზესი ისმის ხმა საკრავების“). ამასთანავე, აპლიკანტს განვითარებული აქვს მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, თუ რა მხატვრული ეფექტის მისაღწევად იყენებს ავტორი მათ („ეპითეტი, იყენებს იმისთვის, რომ ეს ბუნებრივი მოვლენა, ლამაზად, ხატოვნად შეადაროს ბუნების საოცარ სილამაზეს, ადამიანის განწყობას“). შესაბამისად, სასამართლოს მოსაზრებით, 10.2 დავალების მეორე ქვედავლება ვერ შეფასდება ერთმნიშვნელოვნად მცდარად, ვინაიდან მეორე ქვედავლების მსჯელობის ნაწილში ერთმნიშვნელოვანი, ერთადერთი ცალსახა პასუხი არ არსებობს. აპლიკანტი პასუხობს დავალების მოთხოვნას და შეძლებისდაგვარად ავითარებს მსჯელობას. აღნიშნულის გათვალისწინებით, დაუსაბუთებელია სადავოდ გამხდარ 10.2 დავალებაში ლ. დ-ის 0 (ნული) ქულით შეფასება.

ამდენად, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, ასევე ლ.დ-ის ნაშრომის 10.2 დავალებასთან დაკავშირებით საქმეში წარმოდგენილი ქალაქ ქუთაისის ...ის №... საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგის – მ. ა-ის ანალიზი და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის – მ. ც-ის დასაბუთება, სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში, იძლევა დასკვნის შესაძლებლობას, რომ სადავო საკითხი გადანყდეს მოსარჩელის სასარგებლოდ და დაევალოს მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი აპელანტ ლ. დ-ისთვის 1 (ერთი) კრედიტულის მინიჭების შესახებ.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ განსახილველი საქმის გარემოებები განსხვავდება სააპელაციო პალატის მიერ მითითებულ საქმეზე არსებული გარემოებებისგან (სუს 07.03.2019წ. გადანყვეტილება საქმეზე №ბს-797(კ-18)), რამეთუ განსახილველ შემთხვევაში, სასამართლო არ ახდენს მოსარჩელის სპეციალური ცოდნის შეფასებას. კონკრეტულ საქმეზე საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ შეფასების სქემა არასწორად მიუსადაგა მოსარჩელის ნაშრომს და შესაბამისად, არასწორად განსაზღვრა დავალების ქულა, რასაც ასევე ადასტურებს საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მხარის მიერ წარმოდგენილი შეფასებები.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გადანყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადანყვეტილება იურიდიულად არ არის საკმაოდ დასაბუთებული (გადანყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი). სსკ-ის 411-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო თავად მიიღებს გადანყვეტილებას საქ-

მეზე, თუ არ არსებობს სსკ-ის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების საფუძველი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და მათი სამართლებრივი ანალიზის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და სსკ-ის 411-ე მუხლის საფუძველზე, მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება ლ. დ-ის სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ლ. დ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53.1 მუხლის პირველ წინადადებაზე, რომლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

ამდენად, იმის გათვალისწინებით, რომ სარჩელი დაკმაყოფილდა სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს უნდა დაეკისროს ლ. დ-ის მიერ სარჩელსა და საკასაციო საჩივარზე საქმის განხილვისათვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – $(100+300) 400$ (ოთხასი) ლარის ანაზღაურება. ამასთან, სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 150 ლარის ოდენობით უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილად.

საქმეში წარმოდგენილი სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითრებით დასტურდება, რომ 2019 წლის 2 დეკემბერს მოსარჩელის მიერ დაზუსტებულ სარჩელზე დამატებით გადახდილია სახელმწიფო ბაჟი 200 (ორასი) $(100+100)$ ლარის ოდენობით, ხოლო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებაზე – 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. გათვალისწინებით იმისა, რომ სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტების შემდგომ მოსარჩელეს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება არ მოუთხოვია და აღნიშნულზე სასამართლოს არსებითად არ უმსჯელია, ამასთან, მოსარჩელეს თავდაპირველი სარჩელის აღძვრისას გადახდილი ჰქონდა სახელმწიფო ბაჟი, ზემოაღნიშნული 250 (ორასორმოცდაათი) ლარი მოსარჩელეს უნდა დაუბრუნდეს, როგორც სარჩელზე შედემატად გადახდილი სახელმწიფო ბაჟი.

რაც შეეხება მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ წარმომად-

გენლის დახმარებისათვის განეული ხარჯის დაკისრებას, საკასაციო სამართლო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლზე მითითებით აღნიშნავს, რომ განსახილველი საქმის მიმდინარეობისას მოსარჩელე წარმოდგენილი იყო ადვოკატით. ამავ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტისა, ხოლო არაქონებრივი დავის შემთხვევაში – განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, 2 000 ლარამდე ოდენობით. ამგვარი ხარჯების ოდენობა უნდა განისაზღვროს მხარის მიერ სამართლოში წარდგენილი ფაქტობრივად განეული ხარჯების ოდენობის დამადასტურებელი მტკიცებულებების საფუძველზე, თუმცა აღნიშნული უპირობოდ არ წარმოადგენს იმის საფუძველს, რომ სარჩელის მთლიანად ან/და ნაწილობრივ დაკმაყოფილების შემთხვევაში მოპასუხე მხარეს, მოსარჩელის სასარგებლოდ წარმომადგენლის მომსახურებისათვის განეული ხარჯი დაეკისროს იმ ოდენობით, რა ოდენობითაც აქვს მხარეს წარმოდგენილი იურიდიული მომსახურების გადახდის საფასურის დამადასტურებელი მტკიცებულება, რადგან წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯის ოდენობის განსაზღვრისას მოქმედებს გონივრული და სამართლიანი შეფასების სტანდარტი, რა დროსაც მხედველობაში უნდა იქნას მიღებული დავის საგანი (საქმის კატეგორია), საქმის სირთულე, განხილვის ხანგრძლივობა და ა.შ. ეს დებულება სამართლებრივი ურთიერთობის ამოსავალი პრინციპია, რომელიც ყოველი კონკრეტული საქმის გადანწყვეტის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული. განსახილველ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილია 2019 წლის 11 სექტემბრის სალაროს შემოსავლის ორდერი №..., რომლითაც დასტურდება, რომ მოსარჩელის მიერ გადახდილია იურიდიული მომსახურების საფასური ჯამში 550 (ხუთას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით (მიმღები – ო. კ-ე). შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ დავის სირთულის, მნიშვნელობიდან და ხანგრძლივობიდან (მოსარჩელის ინტერესებს სამივე ინსტანციის სასამართლოში იცავდა წარმომადგენელი) გამომდინარე, სარჩელის დაკმაყოფილების პირობებში, ადვოკატის მომსახურებისათვის განეული ხარჯის 550 (ხუთას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით განსაზღვრა გონივრულია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე, 53-ე მუხლებით და

გ ა ლ ა ნ ე წ ი ტ ა :

1. ლ. დ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ლ. დ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს;
4. ბათილად იქნეს ცნობილი 2019 წლის საგნის გამოცდის, საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციების დადასტურებისათვის ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების (I-IV) ტესტის/ტესტების შეფასებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი საპრეტენზიო განცხადების განმხილველი საგნობრივი კომისიის 2019 წლის 26 აგვისტოს გადაწყვეტილება აპლიკანტის – ლ. დ-ის (ნაშრომის შტრიხკოდი – ...) 10.2 დავალების ნაწილში;
5. დაევალოს სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს, გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი აპელანტ ლ. დ-ისთვის 1 (ერთი) კრედიტულის მინიჭების შესახებ და ჩაითვალოს, რომ ლ. დ-ემ საგნობრივი კომპეტენციის დამადასტურებელი ტესტირების შედეგად მიიღო 25 ქულა;
6. სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს დაეკისროს ლ. დ-ის მიერ სარჩელსა და საკასაციო საჩივარზე საქმის განხილვისათვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 400 (ოთხასი) ლარის ანაზღაურება;
7. სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს, ლ. დ-ის სასარგებლოდ დაეკისროს წარმომადგენლის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯის ანაზღაურება 550 (ხუთას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით;
8. ლ. დ-ეს (პირადი ნომერი: ...), დაუბრუნდეს თ. ნ-ის (პირადი ნომერი: ...) მიერ 2019 წლის 02 დეკემბერს №0 საგადასახადო დავალებით (რეფერენსი №...) სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 100 (ასი) ლარი (მიმღები – ხაზინის ერთიანი ანგარიში, სხვა შემოსულობები (თვითმმართველი ქალაქი თბილისი); მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი: 300773150; მიმღები ბანკი/ხაზინა – ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური, ბანკის კოდი: TRESGE22; გადახდის დანიშნულება – სახელმწიფო ბაჟი სასამართლოში განსახილველ საკითხებზე; დამატებითი ინფორმაცია – ლ. დ-ის პ/ნ ... ადმინისტრაციულ საქმეზე);
9. ლ. დ-ეს (პირადი ნომერი: ...), დაუბრუნდეს თ. ნ-ის (პირადი ნომერი: ...) მიერ 2019 წლის 02 დეკემბერს №0 საგადასახადო დავალებით (რეფერენსი №...) სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 100 (ასი) ლარი (მიმღები – ხაზინის ერთიანი ანგარიში, სხვა შემოსულობები (თვითმმართველი ქალაქი თბილისი); მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი: 300773150; მიმღები ბანკი/ხაზინა – ფინანსთა სამინისტროს სახაზინო

სამსახური, ბანკის კოდი: TRESGE22; გადახდის დანიშნულება – სახელმწიფო ბაჟი სასამართლოში განსახილველ საკითხებზე; დამატებითი ინფორმაცია – ლ. დ-ის პ/ნ ... ადმინისტრაციულ საქმეზე);

10. ლ. დ-ეს (პირადი ნომერი: ...), დაუბრუნდეს თ. ნ-ის (პირადი ნომერი: ...) მიერ 2019 წლის 02 დეკემბერს №0 საგადასახადო დავალებით სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 50 (ორმოცდაათი) ლარი (მიმღები – ხაზინის ერთიანი ანგარიში, სხვა შემოსულობები (თვითმმართველი ქალაქი თბილისი); მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი: 300773150; მიმღები ბანკი/ხაზინა – ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური, ბანკის კოდი: TRESGE22; გადახდის დანიშნულება – სახელმწიფო ბაჟი სასამართლოში განსახილველ საკითხებზე; დამატებითი ინფორმაცია – ლ. დ-ის პ/ნ ... ადმინისტრაციულ საქმეზე (სარჩელის უზრუნველყოფა));

11. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

გააკლავრის დიპლომის ნამდვილობის დადასტურებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების კანონიერება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-1205(კ-21)

6 თებერვალი, 2024 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ბ. სტურუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
გ. მაკარიძე**

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და ახალი აქტის გამოცემის დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

2020 წლის 10 თებერვალს კ. მ-ემ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის – სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, 2008 წლიდან სწავლა განაგრძო ს...სთან არსებულ უნივერსიტეტში „მ...ში“ ... ფაკულტეტის ...ის ფაკულტეტის ...

კურსზე, რომელიც დაამთავრა ... წელს. 2019 წლის 17 დეკემბერს კ. მ-ემ განცხადებით მიმართა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს და მოითხოვა შპს „მ...ის“ მიერ 2010 წლის 21 ივნისს კ. მ-ის სახელზე გაცემული MIG №000087 ...ს დიპლომის ნამდვილობის დადასტურება. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2020 წლის 17 იანვრის MES 6 20 00039751 გადაწყვეტილებით კ. მ-ეს უარი ეთქვა მის სახელზე გაცემული MIG №000087 ...ს დიპლომის ნამდვილობის დადასტურებაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ ...ს დიპლომის ნამდვილობის დადასტურებაზე უარის თქმის შესახებ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2020 წლის 17 იანვრის MES 6 20 00039751 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და მოპასუხისათვის შპს „მ...ის“ (ს...) მიერ კ. მ-ის სახელზე გაცემული MIG №000087 ...ს დიპლომის ნამდვილობის დადასტურების თაობაზე, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 27 მაისის გადაწყვეტილებით კ. მ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2018 წლის 25 დეკემბრის MES 3 18 01657637 სამსახურებრივი ბარათის თანახმად, საქართველოს განათლების სამინისტრომ 1991 წლის 19 სექტემბერს გასცა უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის №01-17-08/2068 ლიცენზია, რომლითაც ნება დართო ს...ს, რეგისტრაციაში გაეტარებინა ასოციაციასთან დაარსებული უმაღლესი სასწავლებელი, როგორც ფასიანი უმაღლესი სასწავლებელი.

ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს 1997 წლის 16 მაისის დადგენილებით (სარეგისტრაციო №4/4-1142) რეგისტრაციაში გატარდა შპს „მ...“. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 88-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, ლიცენზირებული ან კანონით ლიცენზირებულად ჩათვლილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ 2005-2006 სასწავლო წლის დაწყებამდე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული, საგანმანათლებლო პროგრამის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტები აღიარებულია სახელმწიფოს მიერ.

საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა აკრედიტაციის საბჭოს 2005 წლის 4 თებერვლის №2-19/204 გადაწყვეტილებით ს... „მ...ს“ მიენიჭა ინსტიტუციური აკრედიტაცია 2007-2008 სასწავლო წლის დაწყებამდე.

სსიპ განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის საბჭოს 2007 წლის 22 ნოემბრის №62/ს გადაწყვეტილებით, სა... „მ...ს“ უარი ეთქვა ინსტიტუციური აკრედიტაციის მინიჭებაზე. თუმცა, იმ დროისთვის მოქმედი „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, მისი საგანმანათლებლო პროგრამები კანონმდებლობით ჩარიცხული სტუდენტებისთვის ჩაითვალა აკრედიტებულად 2009-2010 სასწავლო წლის დაწყებამდე.

უსდ კ...ის რეგიონალური ქვედანაყოფის და პერსპექტიული განვითარების დეპარტამენტის №073 ცნობით დასტურდება, რომ წვევამდელი კ. მ-ე არის უმაღლესი სასწავლო დაწესებულების „კ...ის“ მე-... კურსის სტუდენტი. 2008 წლის 8 დეკემბრის ხელშეკრულების საფუძველზე, კ. მ-ე გახდა უმაღლესი სასწავლებლის „მ...ის“ ... კურსის სტუდენტი. კ. მ-ეს, „მ...ის“ ... ფაკულტეტის 2010 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილებით, მიენიჭა ...ის ...ს აკადემიური ხარისხი და მის სახელზე გაიცა MIG №000087 დიპლომი.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2020 წლის 17 იანვრის MES 6 20 00039751 გადაწყვეტილებით კ. მ-ეს უარი ეთქვა მის სახელზე გაცემული MIG №000087 ...ს დიპლომის ნამდვილობის დადასტურებაზე იმ საფუძველით, რომ კანონმდებლობით დადგენილი წესის გვერდის ავლით სტუდენტის სტატუსის მოპოვებას (ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაუბარებლობით) და ინსტიტუციური აკრედიტაციის/ავტორიზაციის გავლის გარეშე განხორციელებული საგანმანათლებლო მომსახურების შედეგად გაცემულ უმაღლესი განათლების დიპლომს არ ცნობდა სახელმწიფო და მსგავს დიპლომს სახელმწიფო არ უკავშირებდა იმ სამართლებრივ შედეგებს, რომლებიც გამომდინარეობდა სახელმწიფოს მხრიდან აღიარებული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტებიდან – დიპლომებიდან. კ. მ-ემ 2006 წელს მონაწილეობა მიიღო ერთიან ეროვნულ გამოცდებში, თუმცა ვერ მოიპოვა სწავლის გაგრძელების უფლება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, კ. მ-ე „მ...ის“ ... კურსის სტუდენტად ჩაირიცხა 2008 წელს, ხოლო მასზე ...ს დიპლომი გაიცა 2010 წელს. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის (ჩარიცხვის პერიოდში მოქმედი რედაქცია) თანახმად კი, აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, აგრეთვე ამ კანონის 66¹ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ახალდაფუძნებულ ლიცენზირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესიული და აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამით პირველ საფეხურზე სწავლის უფლება აქვს

მხოლოდ იმ აბიტურიენტს, რომელმაც გაიარა შესაბამისი ერთიანი ეროვნული გამოცდები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. ამავე მუხლის მე-9 პუნქტის მიხედვით, გამოცდების ეროვნული ცენტრი ადგენს ეროვნულ გამოცდებგავლილი აბიტურიენტების სიებს, რომლებმაც უფლება მოიპოვეს, ისწავლონ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფაკულტეტზე პროფესიული უმაღლესი განათლების ან აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის პროგრამით, და უგზავნის სიებს შესაბამის ფაკულტეტებს, ხოლო მე-10 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება და ფაკულტეტი ვალდებული არიან აბიტურიენტები მიიღონ მხოლოდ ამ მუხლის მე-9 და 9¹ პუნქტებით განსაზღვრული სიების მიხედვით, გარდა ამავე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისა. საქმის მასალებით კი, დადგენილია, რომ 2008 წლის 8 დეკემბრის ხელშეკრულების საფუძველზე, კ. მ-ე უმაღლესი სასწავლებლის „მ...ის“ ... კურსის სტუდენტი გახდა, ისე რომ მას ერთიანი ეროვნული გამოცდები არ ჩაუბარებია, რასაც თავად მოსარჩელე მხარეც არ ხდის სადავოდ. ამასთან, საქალაქო სასამართლოს განმარტებით, იმ გარემოებაზე აპელირება, რომ უნივერსიტეტს კ. მ-ის ჩარიცხვის ეტაპზე არ მოუთხოვია ეროვნული გამოცდების ჩაბარება და მისი ჩარიცხვა მხოლოდ უსდ კ...ის რეგიონალური ქვედანაყოფის და პერსპექტიული განვითარების დეპარტამენტის №073 ცნობის საფუძველზე განხორციელდა, არ ნიშნავს იმას, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების ვალდებულება მოსარჩელეს არ გააჩნდა, მაშინ, როცა ამგვარ ვალდებულებას პირდაპირ ადგენდა ჩარიცხვის პერიოდში მოქმედი „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის პირველი პუნქტი.

საქალაქო სასამართლომ „მ...ის“ მიერ კ. მ-ის სახელზე 2010 წელს გაცემული MIG №000087 ...ს დიპლომის მიმართ მოსარჩელის კანონიერ ნდობასთან დაკავშირებით, განმარტა, რომ დიპლომი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, არ წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, არამედ იგი არის უკვე არსებული ფაქტის (აქტის) სპეციალური დოკუმენტის სახით დაფიქსირება, რეალაქტია, რომელიც მხარისათვის აღმჭურველი ბუნებისაა და რომლითაც დაინტერესებულ მხარეს გარკვეული უფლებამოსილება ენიჭება. სასამართლოს განმარტებით, კანონიერი ნდობის ობიექტია ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის შედეგები, რომლებიც შეიძლება არსებობდნენ, როგორც ადმინისტრაციული აქტის, ასევე მოქმედებების (რეალაქტის) სახით. მოცემულ შემთხვევაში, დაცვის ობიექტია სახელმწიფოს მიერ განხორციელებული აღმჭურველი ბუნების

მოქმედებებიც, მათ შორის დიპლომი. თუმცა, აღნიშნული არ უნდა იქნეს გაგებული იმგვარად, რომ დიპლომის მიმართ პირის კანონიერი ნდობა ნებისმიერ შემთხვევაში არსებობს.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის მე-4 ნაწილზე, რომლის თანახმად, დაუშვებელია კანონსაწინააღმდეგო აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, თუ დაინტერესებულ მხარეს კანონიერი ნდობა აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არსებითად არღვევს სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან სხვა პირის კანონიერ უფლებებს ან ინტერესებს, ხოლო ამავე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობა არსებობს იმ შემთხვევაში, თუ მან ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე განახორციელა ... მნიშვნელობის მოქმედება და უკანონო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობით მას მიადგება ზიანი. კანონიერი ნდობა არ არსებობს, თუ მას საფუძველად უდევს დაინტერესებული მხარის უკანონო ქმედება.

მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობს მოსარჩელის კანონიერი ნდობის გამომრიცხავი გარემოება, ვინაიდან კ. მ-ემ „მ...ში“ სწავლის უფლება მოიპოვა არა კანონის თანახმად, საყოველთაოდ დადგენილი წესით, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გზით, არამედ, ეროვნული გამოცდების ჩაბარების გვერდის ავლით, მხოლოდ უნივერსიტეტის ბრძანების საფუძველზე. ამდენად, მოსარჩელე მხარის აპელირება „მ...ის“ მიერ 2010 წელს კ. მ-ის სახელზე გაცემული MIG №000087 ...ს დიპლომის მიმართ მოსარჩელის კანონიერი ნდობის არსებობის თაობაზე, სასამართლომ უსაფუძველოდ მიიჩნია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 27 მაისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა კ. მ-ემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 28 აპრილის განჩინებით კ. მ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 27 მაისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მითითება, რომ მას 2008 წელს, შპს „მ...ის“ ... კურსზე სწავლის უფლების მოსაპოვებლად, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების ვალდებულება არ გააჩნდა, ვინაიდან ჩარიცხვის ეტაპზე უნივერსიტეტს ასეთი წინაპირობა არ ჰქონდა დადგენილი და ამასთან ჩარიცხვა მოხდა უსდ კ...ის რეგონალური ქვედანაყოფის და პერსპექტიული განვითარების დეპარტა-

მენტის №073 ცნობის საფუძველზე. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის უფლების მოპოვების ამგვარ საგამონაკლისო შემთხვევას, ჩარიცხვის პერიოდში მოქმედი „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი არ ადგენდა.

სააპელაციო პალატამ ასევე არ გაიზიარა აპელანტის მითითება, რომ მან წარმატებით ჩააბარა ერთიანი ეროვნული გამოცდები და ყურადღება გაამახვილა საქმეში წარმოდგენილ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის 2020 წლის 10 მარტის № MES 4 20 00289266 წერილზე, რომლითაც დასტურდება, რომ კ. მ-მ მონაწილეობა მიიღო 2006 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებში, ყველა საგანში გადალახა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, თუმცა ვერ მოიპოვა სწავლის გაგრძელების უფლება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ 2005 წლიდან პროფესიული და აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამით პირველ საფეხურზე სწავლის უფლებას აბიტურიენტები მოიპოვებდნენ ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების შესაბამისად. ამასთანავე, სააპელაციო პალატის განმარტებით, ერთიან ეროვნულ გამოცდებში მხოლოდ მონაწილეობა არ არის საკმარისი სწავლის უფლების მოსაპოვებლად, არამედ მიღებული ქულების შესაბამისად გამოცდების ეროვნული ცენტრი ადგენს ეროვნულ გამოცდებგავლილი აბიტურიენტების სიებს, რომლებმაც უფლება მოიპოვეს, ისწავლონ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფაკულტეტზე პროფესიული უმაღლესი განათლების ან აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის პროგრამით. შესაბამისად, აბიტურიენტს, ერთი მხრივ, მონაწილეობა უნდა მიეღო ერთიან ეროვნულ გამოცდებში და გადაეღებინა მინიმალური ზღვარი, მეორე მხრივ კი, მის მიერ მიღებული შედეგი საკმარისი უნდა ყოფილიყო გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ მომზადებულ სიაში მოხვედრისთვის, რასაც უკავშირდებოდა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვა, აღნიშნულს კი კ. მ-ესთან მიმართებით ადგილი არ ჰქონია, ანუ მას არ მოუპოვებია სტუდენტის სტატუსი, მიუხედავად გამოცდების წარმატებით ჩაბარებისა.

სააპელაციო პალატის განმარტებით, მნიშვნელობა არ ჰქონდა იმ ფაქტს, რომ კ. მ-ე შპს „მ...ში“ ჩარიცხვამდე სწავლობდა უცხოურ დაწესებულებაში, კერძოდ, ... უნივერსიტეტში, ვინაიდან აპელანტი პირველად ირიცხებოდა ქართულ დაწესებულებაში და შესაბამისად, დაცული უნდა ყოფილიყო ქართული საკანონმდებლო მოთხოვნები (ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე სტუდენტის სტატუსის მოპოვება) და მხოლოდ შემდგომ დაწყებულიყო შესაბამისი პროცედურები საგნების ჩათვლის თაობაზე. გარდა აღნიშნულისა, საქმის მასალებით

დადგენილია, რომ საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა აკრედიტაციის საბჭოს 2005 წლის 4 თებერვლის №2-19/204 გადაწყვეტილებით ს... „მ...ს“ მიენიჭა ინსტიტუციური აკრედიტაცია 2007-2008 სასწავლო წლის დაწყებამდე. სსიპ – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის საბჭოს 2007 წლის 22 ნოემბრის №62/ს გადაწყვეტილებით, სა... „მ...ს“ უარი ეთქვა ინსტიტუციური აკრედიტაციის მინიჭებაზე. (შესაბამისად, ამ პერიოდიდან, ამ დაწესებულებას საერთოდ არ ჰქონდა ახალი სტუდენტების მიღების უფლება) თუმცა, იმ დროისათვის მოქმედი „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, მისი საგანმანათლებლო პროგრამები, უკვე კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩარიცხული სტუდენტებისათვის, ჩაითვალა აკრედიტებულად 2009-2010 სასწავლო წლის დაწყებამდე. შესაბამისად, დაწესებულების სამართლებრივი სტატუსის გათვალისწინებით, შპს „მ...ს“ მიერ 2009-2010 წლებიდან განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამები არ იყო აღიარებული სახელმწიფოს მიერ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის განმარტებით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა, მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, შეამოწმა აპელანტთან დაკავშირებული მონაცემების შესაბამისობა კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან და სათანადო გარემოებებზე მითითებით დაადგინა, რომ არ არსებობდა 2010 წლის 21 ივნისს, შპს „მ...ს“ მიერ კ. მ-ის სახელზე გაცემული MIG №000087 ...ს დიპლომის ნამდვილობის დადასტურების სამართლებრივი საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 28 აპრილის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა კ. მ-ემ.

კასატორის განმარტებით, სასამართლომ არ გამოიყენა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 24 მარტის №162 ბრძანება „უმაღლესი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის – დიპლომის ფორმისა და მისი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 2 ნოემბრის №1030 ბრძანება „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის დებულების სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრის წესისა და ინსტიტუციური აკრედიტაციის საფასურის ზღვრული ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“. აღნიშნული ნორმატიული აქტების საფუძველზე, ცენტრისთვის ცნობილ უნდა ყოფილიყო ყველა ის პროცესი, რომლებიც

მიმდინარეობს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში და აქედან გამომდინარე, მათი თანხმობისა და ინფორმირებულობის გარეშე შეუძლებელია სტუდენტის მიღება, მისი სასწავლო პროცესებში მონაწილეობა და შემდეგ დიპლომის გაცემა.

სააპელაციო სასამართლომ განჩინებაში სამართლებრივ გარემოებებთან დაკავშირებით წარმოდგენილი მტკიცებულებები არასწორად განმარტა და შესაბამისად არასწორად მიუთითა „განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლზე, რომლითაც დადგენილია ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება. 2008 წლის 8 დეკემბერს ხელშეკრულების საფუძველზე, კ. მ-ე გახდა უმაღლესი სასწავლებლის „მ...ის“ ... კურსის სტუდენტი, მაგრამ სასამართლოს განმარტება, რომ მას არ ჩაუბარებია ერთიანი ეროვნული გამოცდა სინამდვილეს არ შეესაბამება. კასატორის მითითებით, სასამართლოში წარდგენილ იქნა და საქმეს დაერთო შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს კ. მ-ის მხრიდან ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარებას და აღნიშნული გამოცდების შედეგებს. შედეგები საკმაოდ კარგია და ამას ცენტრიც აღიარებს. შესაბამისად, სასამართლოს მხრიდან იმაზე აპელირება, რომ მოსარჩელეს არ ჩაუბარებია ერთიანი ეროვნული გამოცდები არამართებულია. ასევე არასწორია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლზე მითითებაც. ამასთან, 2008 წელს გაფორმებული ხელშეკრულების მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, განსაკუთრებულ შემთხვევაში „მ...ს“ 1991 წლის 19 სექტემბრის №01-17-08/20 ლიცენზიის საფუძველზე, შეეძლო იმ აბიტურიენტების მიღება, რომლებიც გავიდნენ ერთიან ეროვნულ გამოცდაზე, მიიღეს დადებითი შეფასება და ვერ მიიღეს სტუდენტის სტატუსი. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ კურსდამთავრებულები მიიღებდნენ უნივერსიტეტის მ...ის ლიცენზირებულ დიპლომს. კასატორის მოსაზრებით, თუ აღნიშნული ჩანაწერი კანონისა და იმ დროს და დღეს მოქმედი ნორმატიული აქტების საფუძველზე, უკანონო იყო და არ იძლეოდა ლიცენზირებული დიპლომის გაცემის უფლებას, ცენტრი ამის თაობაზე ინფორმირებული უნდა ყოფილიყო და იმ ეტაპზევე უნდა შეეზღუდა ამგვარი ქმედება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 29 დეკემბრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული კ. მ-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 20 ივნისის განჩინებით კ. მ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და საქმის განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ კ. მ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც კ. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმეზე დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2018 წლის 25 დეკემბრის MES 3 18 01657637 სამსახურებრივი ბარათის თანახმად, საქართველოს განათლების სამინისტრომ 1991 წლის 19 სექტემბერს გასცა უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის №01-17-08/2068 ლიცენზია, რომლითაც ნება დართო ს...ს, რეგისტრაციაში გაეტარებინა ასოციაციასთან დაარსებული უმაღლესი სასწავლებელი, როგორც ფასიანი უმაღლესი სასწავლებელი.

ქ.თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს 1997 წლის 16 მაისის დადგენილებით (სარეგისტრაციო №4/4-1142) რეგისტრაციაში გატარდა შპს „მ...“.

საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა აკრედიტაციის საბჭოს 2005 წლის 4 თებერვლის №2-19/204 გადაწყვეტილებით ს... „მ...ს“ მიენიჭა ინსტიტუციური აკრედიტაცია 2007-2008 სასწავლო წლის დაწყებამდე.

სსიპ განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის საბჭოს 2007 წლის 22 ნოემბრის №62/ს გადაწყვეტილებით, სა... „მ...ს“ უარი ეთქვა ინსტიტუციური აკრედიტაციის მინიჭებაზე. თუმცა, იმ დროისთვის მოქმედი „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, მისი საგანმანათლებლო პროგრამები, კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩარიცხული სტუდენტებისთვის ჩაითვალა აკრედიტებულად 2009-2010 სასწავლო წლის დაწყებამდე.

უსდ კ...ის რეგიონალური ქვედანაყოფის და პერსპექტიული განვითარების დეპარტამენტის №073 ცნობით დასტურდება, რომ წვევამდელი კ. მ-ე არის უმაღლესი სასწავლო დაწესებულების „კ...ის“ მე...

კურსის სტუდენტი. 2008 წლის 8 დეკემბრის ხელშეკრულების საფუძველზე, კ. მ-ე გახდა უმაღლესი სასწავლებლის – „მ...ის“ ... კურსის სტუდენტი. კ. მ-ეს, „მ...ის“ ... ფაკულტეტის ... წლის 21 ივნისის გადაწყვეტილებით, მიენიჭა ...ის ...ს აკადემიური ხარისხი და მის სახელზე გაიცა MIG №000087 დიპლომი.

2019 წლის 17 დეკემბერს კ. მ-ემ განცხადებით მიმართა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს და მოითხოვა შპს „მ...ის“ მიერ ... წლის 21 ივნისის კ. მ-ის სახელზე გაცემული MIG №000087 ...ს დიპლომის ნამდვილობის დადასტურება.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2020 წლის 17 იანვრის MES 6 20 00039751 გადაწყვეტილებით კ. მ-ეს უარი ეთქვა მის სახელზე გაცემული MIG №000087 ...ს დიპლომის ნამდვილობის დადასტურებაზე.

კ. მ-ემ 2006 წელს მონაწილეობა მიიღო ერთიან ეროვნულ გამოცდებში, თუმცა ვერ მოიპოვა სწავლის გაგრძელების უფლება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2020 წლის 5 თებერვლის №19231 ცნობის თანახმად, მოსარჩელე კ. მ-ე 2015 წლის 1 აგვისტოდან დღემდე არის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურე.

განსახილველი დავის ფარგლებში სასამართლოს შეფასების საგანს კ. მ-ისათვის შპს „მ...ის“ (ს... „მ...“) მიერ კ. მ-ის სახელზე გაცემული MIG №000087 ...ს დიპლომის ნამდვილობის დადასტურებაზე უარის თქმის შესახებ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2020 წლის 17 იანვრის MES 6 20 00039751 გადაწყვეტილების კანონიერება წარმოადგენს. მოსარჩელე ითხოვს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისთვის შპს „მ...ის“ (ს... „მ...“) მიერ კ. მ-ის სახელზე გაცემული MIG №000087 ...ს დიპლომის ნამდვილობის დადასტურების თაობაზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალებას. სადავო აქტის თანახმად, კ. მ-ე შპს „მ...ში“ (ს... „მ...“) ჩაირიცხა კანონმდებლობით დადგენილი წესის გვერდის ავლით, მას არ მოუპოვებია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების უფლება კანონმდებლობით დადგენილი წესით – ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლით. სადავო აქტში ასევე მითითებულია, რომ არ არსებობს შპს „მ...ის“ (ს... „მ...“) მიერ 2009-2010 სასწავლო წლიდან განხორციელებული საგანმანათლებლო საქმიანობის შედეგად გაცემული ...ს დიპლომის ნამდვილობის დადასტურების სამართლებრივი საფუძველი, ვინაიდან ინსტიტუტს ინსტიტუციური აკრედიტაცია მინიჭებული ჰქონდა 2007-2008 სასწავლო წლის დაწყებამდე. სსიპ განათლების აკრედიტაციის

ეროვნული ცენტრის უმაღლესი საგანმანათლებლო აკრედიტაციის საბჭოს 2007 წლის 22 ნოემბრის №62/ს გადაწყვეტილებით, სა... „მ...ს“ უარი ეთქვა ინსტიტუციური აკრედიტაციის მინიჭებაზე. თუმცა იმ დროისთვის მოქმედი „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, მისი საგანმანათლებლო პროგრამები, კანონმდებლობით ჩარიცხული სტუდენტებისთვის, ჩაითვალა აკრედიტებულად 2009-2010 სასწავლო წლის დაწყებამდე. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „მ...ის“ (ს... „მ...“) მიერ 2009-2010 სასწავლო წლის დასაწყისიდან განხორციელებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები არ არის აღიარებული სახელმწიფოს მიერ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში დიპლომის ნამდვილობის დადასტურებაზე მოსარჩელეს უარი ეთქვა: 1. სრულად არააკრედიტებულ (არაღიარებულ) რეჟიმში მიღებული განათლებისა და 2. ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, სტუდენტის სტატუსის მოპოვების საფუძვლით.

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზანს განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის მექანიზმების სამართლებრივი საფუძვლების განსაზღვრა წარმოადგენს, რომლის მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ადგენს, რომ განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის მიზნით იქმნება საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, რომელიც ამავე კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, უზრუნველყოფს საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებას. მითითებული კანონის სადავო აქტის გამოცემის დროს მოქმედი რედაქციის მე-5 მუხლის მიხედვით, ცენტრი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში: ა) ხელს უწყობს განათლების ხარისხის გაუმჯობესებას, რისთვისაც შეიმუშავებს რეკომენდაციებს; ბ) ახორციელებს ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების (გარდა საჯარო სამართლის იურიდიული პირისა – ტექნოლოგიური ინსტიტუტისა) ავტორიზაციას და მათი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციას; ბ¹) ახორციელებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციას; გ) უზრუნველყოფს საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებას; დ) ახორციელებს უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებას; ე) ამონმებს მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტის -- განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის – ენობრივ სისწორეს; ზ) ახორციელებს ცენტრის დებულებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

აღნიშნული კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოში გა-

ცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისას განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ადგენს პირის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სრულად ან ნაწილობრივ გავლის, აგრეთვე მისთვის კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ სათანადო დოკუმენტის გაცემის ფაქტს და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან მათ შესაბამისობას. ხოლო, ამავე კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ამტკიცებს საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესსა და საფასურს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №98/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებასა და განათლების აღიარებას ახდენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების, საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და ამ წესის შესაბამისად. მითითებული წესის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, საქართველოში გაცემული უმაღლესი/პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის ან საგანმანათლებლო პროგრამის გავლის/მიღებული შეფასებების დამადასტურებელი დოკუმენტის ნამდვილობის დადასტურების მიზნით, პირის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სრულად ან ნაწილობრივ გავლისა და პირისათვის კვალიფიკაციის მინიჭების/მიღებული შეფასებების თაობაზე სათანადო დოკუმენტის გაცემის ფაქტს ადასტურებს პირის სახელზე გაცემული ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შესაბამისი დოკუმენტი, ხოლო საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის დროს ცენტრი ამონმებს საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის უფლებამოსილებას, სწავლის პერიოდისა და საგანმანათლებლო დოკუმენტის სახელმწიფო აღიარებას და ამ დოკუმენტში კვალიფიკაციის ასახვისას, მის შესაბამისობას საქართველოში არსებულ კვალიფიკაციებთან.

ამრიგად, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი წარმოადგენს იმ ადმინისტრაციულ ორგანოს, რომლის უფლებამოსილებასაც განეკუთვნება სადავო საკითხის მოწესრიგება მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე. ამასთან, კანონმდებლობა სსიპ განათ-

ლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებას ავალდებულებს საქმის გარემოებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევის შედეგად, რაც წარმოადგენს დასაბუთებული გადანაცვტილების მიღების წინაპირობას. მითითებული ნორმატიული აქტით გათვალისწინებული ამოცანების შესასრულებლად ცენტრს მართებს კონკრეტული შემთხვევა გადანაცვტიოს საკითხის მარეგულირებელი კანონმდებლობის სიღრმისეული, კვალიფიციური, სისტემური და სამართლიანი გამოყენების შედეგად.

ამასთან, 2005 წლიდან ამოქმედდა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლითაც დადგინდა საქართველოში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელების პირობები, უმაღლესი განათლების მართვისა და დაფინანსების პრინციპები და წესი, ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, მათი დაფუძნების, საქმიანობის, რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის, აგრეთვე, ლიცენზირებისა და აკრედიტაციის წესი. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებით, განათლების სისტემაში განხორციელდა ძირეული ცვლილებები, დაწესდა სტუდენტის სტატუსის მოპოვება მხოლოდ ერთიანი ეროვნული გამოცდების მეშვეობით, ამასთან, შემოღებულ იქნა განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი – ინსტიტუციური აკრედიტაცია, რომელსაც მოჰყვებოდა პროგრამული აკრედიტაცია. ამავე კანონის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის (ჩარიცხვის პერიოდში მოქმედი რედაქცია) თანახმად, აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, აგრეთვე ამ კანონის 66¹ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ახლად დაფუძნებულ ლიცენზირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესიული და აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამით პირველ საფეხურზე სწავლის უფლება აქვს მხოლოდ იმ აბიტურიენტს, რომელმაც გაიარა ერთიანი ეროვნული გამოცდები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. იმავე მუხლის მე-9 პუნქტის მიხედვით, გამოცდების ეროვნული ცენტრი ადგენს ეროვნულ გამოცდებგავლილი აბიტურიენტების სიებს, რომლებმაც უფლება მოიპოვეს, ისწავლონ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფაკულტეტზე პროფესიული უმაღლესი განათლების ან აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის პროგრამით, და უგზავნის სიებს შესაბამის ფაკულტეტებს. მე-10 პუნქტის თანახმად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება და ფაკულტეტი ვალდებულია აბიტურიენტები მიიღოს მხოლოდ ამ მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული სიის მიხედვით, გარდა ამ

მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძირითადად ეფუძნება იმ გარემოებას, რომ კ. მ-ემ საქართველოში სწავლა განაგრძო ერთიანი ეროვნული გამოცდების გვერდის ავლით, რაც ეწინააღმდეგება იმ დროისთვის, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვისთვის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. ამასთან, მან სწავლა განაგრძო არააკრედიტებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რაც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად გამორიცხავდა შპს „მ...ის“ მიერ მოსარჩელის სახელზე გაცემული დიპლომის ცნობას.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის სერტიფიკატით 3-797546, დასტურდება, რომ კ. მ-ემ 2006 წელს გაიარა ერთიანი ეროვნული გამოცდები და მიიღო შემდეგი შეფასება: ზოგადი უნარები – 58 ქულა (სკალირებული ქულა – 157.2), ქართული ენა და ლიტერატურა – 57.00 ქულა (სკალირებული ქულა – 147.2), უცხოური ენა – 75.00 ქულა (სკალირებული ქულა – 163,6.9). ამის შემდგომ მოსარჩელე კ. მ-ემ 2006 წელს ჩააბარა უსდ ... უნივერსიტეტში და მოიპოვა სწავლის უფლება. 2008 წლის 8 დეკემბრიდან კი, სწავლა განაგრძო საქართველოში არსებულ უმაღლესი სასწავლებელში – „მ...ში“. აღნიშნული დასტურდება უმაღლეს სასწავლებელ „მ...სა“ და კ. მ-ის შორის 2008 წლის 8 დეკემბერს დადებული ხელშეკრულებით, რომლის თანახმად, მოსარჩელე – კ. მ-ე გახდა უმაღლეს სასწავლებელ „მ...ის“ ... კურსის სტუდენტი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 28 მარტის №127 ბრძანებით (ძალადაკარგულია განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 18.02.2011წ. №19/6 ბრძანებით) დამტკიცებული ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებაზე, რომლის V¹ თავი ეხებოდა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სტუდენტების გადაყვანის და აღდგენის წესით ჩარიცხვას. მოცემულ თავში არსებული 22² მუხლის (გადაყვანის წესით ჩარიცხვის უფლების მქონე სტუდენტი) პირველი პუნქტის მიხედვით, სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადაყვანის წესით ჩარიცხვის უფლება ჰქონდა აკრედიტებულ სტუდენტს, სწავლების მეორე წლიდან, კერძოდ, თუ იგი: ა) სწავლობდა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში; ბ) სწავლობდა იმ არააკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელშიც გავლილი საგანმანათლებლო პროგრამა მას კანონმდებლო-

ბით დადგენილი წესით აკრედიტებულად ეთვლებოდა. 22² მუხლის (სტუდენტის გადაყვანის წესით ჩარიცხვისათვის აუცილებელი მოთხოვნები) მე-2 პუნქტი კი ადგენდა, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩარიცხულ სტუდენტთა სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადაყვანის წესით ჩარიცხვა, თუ მსურველთა რაოდენობა აღემატება მიმღები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გადაყვანის წესით ჩარიცხვისათვის გამოქვეყნებული ადგილების რაოდენობას, აგრეთვე „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებამდე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ან არაკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხულ სტუდენტთა სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადაყვანის წესით ჩარიცხვა მიმღებ დაწესებულებაში არსებულ გადაყვანის წესით ჩარიცხვისათვის გამოყოფილ ადგილებზე შესაძლებელი იყო, თუ ა) არსებობდა მიმღები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წერილობითი მოტივირებული გადანაცვტილება სტუდენტის მიერ ათვისებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური ცნობის შესახებ; ბ) მიმღები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ჩატარებული წერილობითი გამოცდის შედეგად დასტურდებოდა, რომ პირს ათვისებული ჰქონდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი პროგრამა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ კ. მ-ეს 2006 წელს უკრაინაში უკვე მოპოვებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი ლეგიტიმურად და კანონიერად, უკრაინის კანონმდებლობით დადგენილი წესით და აღნიშნული სადავო არ გამხდარა მოცემული დავის არცერთ ეტაპზე. აგრეთვე მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის და მიღწეული შედეგების ცნობაზე უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოებს უარი არ განუცხადებიათ.

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ კ. მ-ეს სწავლა არ დაუწყია ხელახლა, პირველი კურსიდან, არამედ მან გააგრძელა სხვა ქვეყნის უმაღლეს სასწავლებელში დაწყებული განათლების მიღების პროცესი.

რაც შეეხება ინსტიტუციური აკრედიტაციის/ავტორიზაციის გავლის გარეშე განხორციელებული საგანმანათლებლო მომსახურების შედეგად გაცემულ უმაღლესი განათლების დიპლომის აღიარებას, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი იყო, რომ სახელმწიფო ცნობდა მხოლოდ აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების და „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66³ მუხლის

მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ახალდაფუძნებული ლიცენზირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემულ დიპლომს. დასახელებული კანონის მე-2 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის მიხედვით აკრედიტაცია არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ან/და საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსის (სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის უფლების) დადგენის პროცედურა. ამ პროცედურას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებთან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (ინსტიტუციური აკრედიტაცია) ან/და საგანმანათლებლო პროგრამის (პროგრამული აკრედიტაცია) შესაბამისობის დადგენით. მითითებული კანონის (სადავო პერიოდში მოქმედი რედაქცია) 66-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, გადაწყვეტილებას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკრედიტაციის შესახებ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის საფუძველზე იღებს განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის საბჭო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკრედიტაციის შესახებ შეიძლება იყოს ოთხი სახის: ა) აკრედიტაციის მინიჭების შესახებ; ბ) აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ; გ) აკრედიტაციის პირობით მინიჭების შესახებ; დ) აკრედიტაციის გაუქმების შესახებ. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად კი, აკრედიტაციის პირობით მინიჭების შემთხვევაში ბრძანებაში მითითებული უნდა იყოს აკრედიტაციის მინიჭების პირობის შესრულების წესი. პირობითი აკრედიტაციის მინიჭების შემთხვევაში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას არ ჰქონდა სტუდენტთა მიღების უფლება.

საგულისხმოა, რომ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის გარდამავალი დებულებებით, კერძოდ, 88-ე მუხლის 1¹ პუნქტით განისაზღვრა, რომ ლიცენზირებული ან კანონით ლიცენზირებულად ჩათვლილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ 2005–2006 სასწავლო წლის დაწყებამდე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული, საგანმანათლებლო პროგრამის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტი აღიარებულია სახელმწიფოს მიერ, ამ დაწესებულების აკრედიტაციის მიუხედავად. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად კი, „საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა აკრედიტაციის საბჭოს დებულებისა და პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 20 ივლისის №418 ბრძანებულების შესაბამისად

აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ჩაითვალა ინსტიტუციური აკრედიტაციის მქონედ 2007-2008 სასწავლო წლის დაწყებამდე. ამდენად, სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩაითვალა იმ დაწესებულებების სტუდენტებზე 2007-2008 სასწავლო წლის დაწყებამდე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული, საგანმანათლებლო პროგრამის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელთაც ზემოაღნიშნული ბრძანებულების შესაბამისად უარი ეთქვათ აკრედიტაციის მინიჭებაზე.

კონკრეტულ შემთხვევაში საქმის მასალებით დადგენილია, რომ საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებათა აკრედიტაციის საბჭოს 2005 წლის 4 თებერვლის №2-19/204 გადაწყვეტილებით ს... „მ...ს“ მიენიჭა ინსტიტუციური აკრედიტაცია 2007-2008 სასწავლო წლის დაწყებამდე.

სსიპ განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის საბჭოს 2007 წლის 22 ნოემბრის №62/ს გადაწყვეტილებით, სა... „მ...ს“ უარი ეთქვა ინსტიტუციური აკრედიტაციის მინიჭებაზე. თუმცა, იმ დროისთვის მოქმედი „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, მისი საგანმანათლებლო პროგრამები, ჩაითვალა აკრედიტებულად 2009-2010 სასწავლო წლის დაწყებამდე. მოსარჩელე კ. მ-ემ კი, სა... „მ...ში“ სწავლა განაგრძო 2008 წლის დეკემბერში, შესაბამისად, მოსარჩელე ჩარიცხულ იქნა აკრედიტებულ სასწავლო დაწესებულებაში.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დიპლომის აღიარებასთან დაკავშირებულ საქმეებზე უმეტეს შემთხვევაში შესაფასებელია დიპლომის მიმართ კანონიერი ნდობის არსებობის საკითხი. სამართლებრივი სახელმწიფოს არსებითი ელემენტია სამართლებრივი სტაბილურობა, რომელიც უპირატესად ნდობის დაცვას ნიშნავს. სტაბილურობა გარანტირებულია უკეთეს გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ორგანოს გადაწყვეტილებები იძენს შეუცვლელ ხასიათს. კანონიერი ნდობის პრინციპი იცავს პირს ადმინისტრაციული ორგანოს სამართლებრივი შეცდომისა და მომავალში განსახორციელებელი მოქმედებების შეუსრულებლობისგან (სუსგ №ბს-623-610(კ-14), 21.01.2016წ.). კანონიერი ნდობის საფუძველს ქმნის არა მხოლოდ აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (სზაკ-ის 60¹ მუხლის მე-4, მე-5, მე-6 ნაწილები), არამედ ადმინისტრაციული ორგანოს მოქმედებაც (რეალაქტი). კანონიერი ნდობის ობიექტია სახელმწიფოს მიერ განხორციელებული აღმჭურველი ბუნების მოქმედებები. კანონიერი ნდობა დაცვის ღირსია, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც საკითხი უფლების მიმნიჭებელ აქტებსა და მოქმედებებს ეხება. სსიპ განათლების ხა-

რისხის განვითარების ეროვნული ცენტრის გადაწყვეტილება მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, თავისი სამართლებრივი შედეგებით (პირს ერთმევა პროფესიული მიზნებისთვის დიპლომის გამოყენების უფლება), უთანაბრდება აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმებას, რამეთუ წარსულში მიღებული სწავლის შედეგების არალიარება წარმოადგენს სწავლის შედეგის დე-ფაქტო გაბათილებას, შესაბამისად, დიპლომის გაცემის მიმართ სრული მოცულობით მოქმედებს კანონიერი ნდობის პრინციპი (სუსგ №ბს-1265(კ-19), 05.03.2020წ.; სუსგ №ბს-470(კ-19), 23.04.2019წ.; სუსგ №ბს-812(კ-18), 04.10.2018წ.). კანონიერი ნდობა დაცვის ღირსია, თუ დაინტერესებულმა მხარემ დიპლომის საფუძველზე განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის მოქმედება. მმართველობის კანონიერების პრინციპისა და დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობის პრინციპის სამართლიანი ბალანსის დაცვისთვის თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დადგინდეს კერძო და საჯარო ინტერესთა შორის ბალანსი, უკანონო ქმედების სიმძიმე, დროის ის პერიოდი, რაც ადმინისტრაციული ორგანოს მოქმედების შემდეგ გავიდა. კ. მ-ის ... დიპლომის ნამდვილობის დადასტურებით სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესის ხელყოფა არ იკვეთება, ამასთან დაცულია მოსარჩელის უფლება და კანონიერი ინტერესი – ჰქონდეს დიპლომი და სრულად განახორციელოს პროფესიული საქმიანობა. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კანონიერი ნდობის არსებობას და დაცვას დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის უფლებათა დაცვის, სამართლებრივი სტაბილურობისა და უსაფრთხოების კუთხით. ოფიციალური გადაწყვეტილებებისადმი ნდობის დაცვაზე უარი სახელმწიფოს საქმიანობის კანონიერების პრინციპის სასარგებლოდ განსაკუთრებულად დასაბუთებული და უკიდურესად აუცილებელი უნდა იყოს, რაც კონკრეტულ შემთხვევაში არ იკვეთება. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კანონიერი ნდობის დაცვა არ ხდება, თუ ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება არსებითად არღვევს სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან სხვა პირის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს, დაინტერესებული მხარის უკანონო მოქმედება (მხარის მიერ ყალბი დოკუმენტების წარდგენა, არასწორი ინფორმაციის მიწოდება, ზეწოლა, მოტყუება, ქრთამის მიცემა და სხვ.), რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია (სუსგ №ბს-1065(კ-20), 20.10.2021წ.).

მხედველობაშია მისაღები ასევე ის დრო, რომელიც გავიდა სამართლებრივი შედეგის წარმოშობის შემდეგ (სუსგ 03.02.2015წ. №ბს-428-423(კ-14); სუსგ 20.01.2015წ. №ბს-367-363(კ-14)). საქმის მასალებით დასტურდება, რომ დიპლომი გაიცა 2010 წლის 21 ივნისს, ხოლო მის დადასტურებაზე კ. მ-ეს უარი ეთქვა 2020 წლის 17 იანვარს. ამდენად, სადავო აქტით ფაქტობრივად უქმდება 10 წლის წინ წარმოშობილი და

მთელი ამ პერიოდის განმავლობაში უწყვეტად არსებული სამართლებრივი შედეგი (აკადემიური ხარისხის მინიჭება), რაც გამართლებული იქნებოდა იმ პირობებში, თუ სამართლებრივი შედეგების შენარჩუნება გამოიწვევდა სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან სხვა პირის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევას. პირის კანონიერი ნდობის დაცვა, მოცემულ შემთხვევაში განპირობებულია პირის მნიშვნელოვანი პატივსაღები ინტერესით, სადავო აქტი თავისი სამართლებრივი შედეგით კასატორს ართმევს დიპლომის პროფესიული მიზნებისთვის გამოყენების უფლებას, აუქმებს წარსულში განვლილი სწავლის შედეგებს. საქმეზე არ იკვეთება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილით, 60¹ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული რომელიმე გარემოების არსებობა, რომელიც კანონიერ ნდობას გამორიცხავდა (ყალბი დოკუმენტის, არასწორი ინფორმაციის წარდგენა, ზეწოლა, მოტყუება, ქრთამის მიცემა და სხვა). ამდენად, დიპლომის გაცემის მიმართ მოქმედებს კანონიერი ნდობის პრინციპი (სუსგ 05.03.2020წ. №ბს-470(კ-19); 04.10.2018წ. №ბს-812(კ-18)). კ. მ-ის „მ...ის“ ... ფაკულტეტის 2010 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილებით მიენიჭა ...ის ...ს აკადემიური ხარისხი და გაიცა MIG №000087 დიპლომი. ამასთან, მოსარჩელე კ. მ-ე 2015 წლის 1 აგვისტოდან დღემდე არის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურე. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ შპს „მ...ის“ აკრედიტაციის საკითხი (ხელშეკრულების გაფორმების დროს სასწავლებელს გაგრძელებული ჰქონდა აკრედიტაცია) ვერ გახდება კ. მ-ისათვის დიპლომის ნამდვილობის დადასტურებაზე უარის თქმის საფუძველი.

აქვე, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის მე-13 მუხლით გათვალისწინებულია ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოების მიერ თითოეული ადამიანის განათლების უფლების აღიარება. საქართველოს კონსტიტუციის 27-ე მუხლის თანახმად, ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება. განათლების მიღების უფლების აღიარება არ გამორიცხავს პირის მიერ შეძენილი განათლების აღიარებასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ ნორმატიული აქტების მიღებას. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ კანონის მიზანია განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის მექანიზმების სამართლებრივი საფუძვლების განსაზღვრა. ხარისხიანი განათლების მიღებასთან პირდაპირ კავშირშია საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის აღიარება. ამ უკანასკნელს უზრუნველყოფს სსიპ განათლების ხარისხის გან-

ვითარების ეროვნული ცენტრი. უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებისას ცენტრი ახდენს უცხო ქვეყნის დაწესებულების მიერ გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტის ნამდვილობის დადასტურებას, რაც გულისხმობს საგანმანათლებლო დოკუმენტის თვით ამ დოკუმენტში მითითებული პირის სახელზე გაცემასა და დოკუმენტის გამცემი საგანმანათლებლო დაწესებულების იმ ქვეყნის კანონმდებლობით აღიარებას, სადაც ეს დაწესებულება ახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობას და მინიჭებული კვალიფიკაციის საქართველოში არსებულ კვალიფიკაციებთან შესაბამისობის დადგენას, რაც გულისხმობს უცხოეთში მიღებული კვალიფიკაციის, სწავლის პერიოდში მიღწეული სწავლის შედეგების შესაბამისობას საქართველოში არსებულ კვალიფიკაციებთან, რაც არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციითა და საერთაშორისო ხელშეკრულებით აღიარებულ და გარანტირებულ განათლების მიღების უფლებას.

განათლების მიღების უფლება გულისხმობს ყოველი პირისთვის სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისი უმაღლესი განათლების შეძენის, მისი ფორმის და პროფესიული მიმართულების არჩევის, შეძენილი უმაღლესი განათლების აღიარების და მისი თავისუფალი რეალიზაციის დაუბრკოლებლად განხორციელების შესაძლებლობის შექმნას (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „კიელდსენი, ბასკ მადსენი და პედერსენი დანია წინააღმდეგ“, §52, 07.12.1976წ.). ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის შინაარსიდან გამომდინარე საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმისაწვდომობა არის განათლების უფლების მხოლოდ ნაწილი, ამ უფლების ეფექტურობისათვის ინდივიდს, რომელიც ამ უფლებით სარგებლობს, უნდა ჰქონდეს მიღებული განათლებიდან სარგებლობის მიღების უფლება ანუ სახელმწიფოში მოქმედი წესის შესაბამისად და დადგენილი ფორმით მის მიერ დასრულებული სწავლის აღიარების უფლება (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „Belgium lingwistic“ §B4, 23.07.1968წ.; „ლეილა საჰინი თურქეთის წინააღმდეგ“ §152, 10.11.2005წ.).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კ. მ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც კ. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეც-

ვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შე-
საბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. ამავდროულ-
ად პირველი ნაწილის შესაბამისად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯე-
ბის გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვე-
ტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებუ-
ლი იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისა-
გან. ამდენად, სარჩელის სრულად დაკმაყოფილების პირობებში, სსიპ
განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს მოსარჩელის
სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის სახით პირველი ინ-
სტანციის სასამართლოში გადახდილი 100 ლარის, სააპელაციო სასა-
მართლოში გადახდილი 150 ლარის და საკასაციო სასამართლოში გა-
დახდილი 300 ლარის (სულ 550 ლარის) ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინის-
ტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სა-
ქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 411-ე მუხლე-
ბით და

გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. კ. მ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაცი-
ულ საქმეთა პალატის 2021 წლის 28 აპრილის განჩინება და საქმეზე
მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. კ. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს;
4. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ განათლების ხარისხის განვითარე-
ბის ეროვნული ცენტრის 2020 წლის 17 იანვრის MES 6 20 00039751 გა-
დაწყვეტილება;
5. მოპასუხე სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ
ცენტრს დაევალოს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამარ-
თლებრივი აქტის გამოცემა – შპს „მ...ის“ (ს... „მ...“) მიერ კ. მ-ის სახელ-
ზე გაცემული MIG №000087 ...ს დიპლომის ნამდვილობის დადასტურე-
ბის შესახებ;
6. მოპასუხე სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ
ცენტრს დაეკისროს კ. მ-ის სასარგებლოდ, მის მიერ საქალაქო, სააპე-
ლაციო და საკასაციო სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის –
ჯამში 550 ლარის (100 ლარი, 150 ლარი და 300 ლარი) ანაზღაურება;
7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბო-
ლოა და არ საჩივრდება.

**3. საქართველოს ენერგეტიკისა და
წყალმომარაგების მარეგულირებელი კომისიის
აქტების კანონიერება**

**ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიატის მიერ
ბუნებრივი გაზის მრიცხველის შეცვლის კანონიერება**

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით**

№ბს-1206(კ-21)

5 მაისი, 2023 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: თ. ოქროპირიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
გ. მაკარიძე**

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრი-
ვი აქტის ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-
სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

2019 წლის 13 მარტს, „...მა“ სარჩელით მიმართა თბილისის საქალა-
ქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე სა-
ქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი
ეროვნული კომისიის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა საქართველოს
ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კო-
მისიის 2019 წლის 11 მარტის №1/04-18-2515 ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტის ბათილად ცნობა და მოპასუხისათვის ახალი ადმინის-
ტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება, საქმისათვის
მნიშვნელოვანი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შემდეგ,
კანონით დადგენილ ვადაში.

მოსარჩელის განმარტებით, სავარაუდოდ 2018 წლის დეკემბრის
თვეში, შპს „ყ...მა“ შპს „...ის“ ბუნებრივი გაზის მოწოდების კვანძზე და-
ამონტაჟა მრიცხველი. აღნიშნულის შესახებ არავითარი წერილობითი
შეტყობინება შპს „...ს“ არ მიუღია. შპს „ყ...მა“ 2019 წლის იანვრის თვის
მიწოდებული ბუნებრივი აირის ოდენობა დათვალა უკანონოდ დამონ-
ტაჟებული მრიცხველის მონაცემების მიხედვით და მოითხოვა აღნიშ-
ნული თანხის გადახდა შპს „...ის“ მხრიდან. მრიცხველის უკანონოდ და-
მონტაჟებისა და ამ მრიცხველის საფუძველზე დაკისრებული თანხის –

7216,69 ლარის კანონიერების შემოწმების მიზნით, კომპანიამ 2019 წლის 18 თებერვალს საჩივრით მიმართა მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს. კომისიის 2019 წლის 11 მარტის №1/04-18-2515 წერილით შპს „...ის“ საჩივარი არ დაკმაყოფილდა. კომისიამ საერთოდ არ განიხილა წარდგენილი საჩივარი და ადმინისტრაციული წარმოების გარეშე გამოსცა მითითებული აქტი, რომლითაც შპს „ყ...ის“ მიერ მრიცხველის დამონტაჟება, ასევე შესაბამისი მრიცხველის საფუძველზე კომპანიისათვის თანხის დარიცხვა, მიჩნეულ იქნა კანონიერად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 26 მარტის განჩინებით წარმოებაში იქნა მიღებული შპს „...ის“ სარჩელი. ამავე განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, საქმეში მესამე პირად ჩაერთო შპს „ყ...ი“.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 30 ოქტომბრის საოქმო განჩინებით შპს „ყ...ის“ უფლებამონაცვლედ დადგინდა შპს „თ...ი“.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილებით შპს „...ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა; სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2019 წლის 11 მარტის №1/04-18-2515 წერილი და მოპასუხეს დაევალა, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების სათანადო გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, შპს „...ის“ მიმართ წარდგენილ განცხადებასთან დაკავშირებით (2019 წლის 18 თებერვლის განცხადება).

საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე მუხლის მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-12 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია წარმოადგენს საქართველოში მოქმედ ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოს. კომისია უფლებამოსილია გადაწყვიტოს მისი კომპეტენციისთვის მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებული დავები, ამ მარეგულირებელი ორგანოს მიერ გაცემული ლიცენზიების ან/და ნებართვების მფლობელებს შორის ან ლიცენზიების ან/და ნებართვების მფლობელსა და მომხმარებელს შორის.

საქალაქო სასამართლომ ასევე მიუთითა „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4, 29-ე მუხლებზე და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2009 წლის 9 ივლისის N12 დადგენი-

ლებით დამტკიცებულ „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესებზე“, რომლითაც განსაზღვრულია აღრიცხვის კვანძის მოწყობის წესი. ამასთანავე, აღნიშნული „წესების“ საფუძველზე, ნებისმიერ პირს, თუკი ირღვევა მისი უფლებები, უფლება აქვს, შეიტანოს საჩივარი კომისიასთან არსებულ მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივ დამცველთან, კომისიაში ან მიმართოს სასამართლოს („წესების“ მე-7, მე-8 მუხლები).

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, კომისიის სადავო 2019 წლის 11 მარტის № 1/04-18-2515 წერილით უსაფუძვლოდ იქნა მიჩნეული ის საკითხი, რომელზეც საჩივრის ავტორი მიუთითებდა, თუმცა წერილი არ შეიცავს სათანადო მსჯელობას ადმინისტრაციულ საჩივარზე. საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹, 96-ე მუხლებზე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილზე და ჩათვალა, რომ მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოსცა საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების გარეშე. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია ვალდებულია, სრულფასოვნად გამოიყენოს მისთვის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით მინიჭებული უფლებამოსილება და შპს „...ის“ მიერ წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის საფუძველიანობის ხელახლა შესწავლის შედეგად, გადაწყვეტილება მიიღოს იმგვარად, რომ არ შეილახოს დაინტერესებული პირის კანონით გარანტირებული უფლებები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 7 ივლისის განჩინებით საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნია, რომ 2017 წლის 7 თებერვალს, შპს „...ის“ დირექტორმა განცხადებით მიმართა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების მოთხოვნით. განმცხადებელი უსაფუძვლოდ მიიჩნევდა შპს „ყ...ის“ 2017 წლის 3 თებერვლის შეტყობინებას, შპს „...ის“ კუთვნილ

ავტოგაზგასამართ სადგურზე არსებული აღრიცხვის კვანძის ... ტიპის ხარჯშომი მონყობილობის ... ტიპის მრიცხველით (ელ. კორექტორით ...) შეცვლისა და სამუშაოების ჩატარების თაობაზე.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის აღმასრულებელი დირექტორის 2017 წლის 14 მარტის №6/04-18/103-3483 წერილით შპს „...ს“ ეცნობა, რომ კომპანიის ქმედება შესაბამებოდა კომისიის 2009 წლის 9 ივლისის №12 დადგენილებით დამტკიცებული „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების“ შესაბამის მოთხოვნებს.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის აღმასრულებელი დირექტორის 2017 წლის 14 მარტის №6/04-18/103-3483 წერილი შპს „...მა“ გაასაჩივრა სასამართლოში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 26 სექტემბრის №3/1841-17 გადაწყვეტილებით, სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის აღმასრულებელი დირექტორის 2017 წლის 14 მარტის №6/04-18/103-3483 წერილი და კომისიას დაევალა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, შპს „...ის“ 2017 წლის 7 თებერვლის განცხადებასთან დაკავშირებით.

სადავო საკითხის ხელახლა შესწავლის შედეგად, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ 2018 წლის 27 აპრილს მიიღო №30/8 გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა შპს „...ის“ მოთხოვნა, შპს „ყ...ისათვის“ შპს „...ის“ საკუთრებაში არსებული ბუნებრივი გაზის აღრიცხვის კვანძის (მრიცხველის) შეცვლის აკრძალვის თაობაზე. მხარეებს განემარტათ, რომ ბუნებრივი გაზის აღრიცხვის ახალი კვანძის მონყობის შემთხვევაში, „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების“ შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის მონყობა უნდა განხორციელებულიყო შპს „ყ...ის“ მიერ, მომხმარებლისათვის აღრიცხვის კვანძის მონყობაზე გაწეული ხარჯის გადაკისრების გარეშე. ამასთანავე, „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების“ მე-11 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, აღრიცხვის კვანძი შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებთან და სტანდარტებთან. ამავე გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა შპს „ყ...ის“ მოთხოვნა, აღრიცხვის კვანძის შეცვლასთან დაკავშირებით, დავის მონაწილე მხარეებისათვის „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების“ მოთხოვნების შესრულების დავალდებულების შესახებ. ასევე არ დაკმაყოფილდა შპს „ყ...ის“ მოთხოვნა, შპს „...სა“ და შპს „ყ...ს“ შორის არსე-

ბული დავის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის (დაუყოვნებლივ აღსრულებაზე მიქცევის) თაობაზე.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2018 წლის 27 აპრილის №30/8 გადაწყვეტილების პირველი და მეორე პუნქტები შპს „...მა“ სასამართლო წესით გაასაჩივრა. კომპანიამ მოითხოვა აღნიშნული პუნქტების ბათილად ცნობა და შპს „ყ...ისათვის“ შპს „...ის“ საკუთრებაში არსებული ბუნებრივი გაზის აღრიცხვის კვანძის (მრიცხველის) შეცვლის აკრძალვის შესახებ შპს „...ის“ მოთხოვნის დაკმაყოფილება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის წარმომადგენელმა შპს „...ის“ სარჩელი, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2017 წლის 16 მაისის №6/04-18-5390 აქტის (წერილის) ბათილად ცნობის თაობაზე, რომელიც შეეხება საკონტროლო მრიცხველის დაყენებას (საქმე №3/4551-17).

2019 წლის 18 თებერვალს შპს „...ის“ დირექტორმა განცხადებით მართა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას. განმცხადებელმა მოითხოვა შპს „ყ...ის“ მხრიდან შპს „...თან“ შეთანხმების, ხელშეკრულებისა და აქტის გარეშე, ე.წ. „საკონტროლო მრიცხველის“ დამონტაჟების კანონიერების შესწავლა; ამ მრიცხველის მონაცემებით მოთხოვნილი თანხის კანონიერების შესწავლა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით და შპს „ყ...ისათვის“ შპს „...ის“ მიმართ გაზის მიწოდების შეწყვეტის აკრძალვა, დავის დასრულებამდე.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2019 წლის 19 თებერვლის №6/01-16-1658 წერილით შპს „ყ...ს“ აეკრძალა დავის დასრულებამდე მომხმარებლისათვის ბუნებრივი გაზის მიწოდების შეწყვეტა, მიმდინარე საფასურის გადახდის პირობით და დაევალა 10 სამუშაო დღის ვადაში საკითხთან დაკავშირებით წერილობითი განმარტების წარდგენა.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარის 2019 წლის 11 მარტის №1/04-18-2515 წერილით შპს „...ს“ ეცნობა, რომ შპს „ყ...ის“ მიერ საკონტროლო მრიცხველის დაყენება არ ეწინააღმდეგებოდა „წესებით“ დადგენილ მოთხოვნებს. კომპანია უფლებამოსილი იყო, აღნიშნული მრიცხველის მეშვეობით განეხორციელებინა დარიცხვა. ამავე წერილით მხარეს განემარტა, რომ იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელს ეჭვი ეპარებოდა შპს „ყ...ის“ მიერ მოწყობილი საკონტროლო მრიცხველის აღრიცხვიანობის სიზუსტეში, კომპანია გამოთქვამდა მზადყოფნას, შპს „...ისათვის“ მისაღებ ნებისმიერ აკრედიტირებულ ლაბორატორიაში საკონ-

ტროლო მრიცხველის საექსპერტო შემოწმების განხორციელებასთან დაკავშირებით.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, გასაჩივრებული საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2019 წლის 11 მარტის № 1/04-18-2515 წერილი არ შეიცავს დასაბუთებულ მსჯელობას შპს „...ის“ მიერ ადმინისტრაციულ საჩივარში დასმულ საკითხებზე. მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოსცა საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების გარეშე. ამდენად, არსებობს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენების წინაპირობები – სადავო საკითხის გადაუწყვეტლად, გასაჩივრებული აქტის ბათილად ცნობისა და გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, მოპასუხისათვის ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 7 ივლისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ. კასატორმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის მოსაზრებით, არსებობს სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი, რომლითაც შპს „...ის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდება. სასამართლომ ვერ უზრუნველყო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმალური და მატერიალური კანონიერების გადამოწმება, რამაც არსებითად იმოქმედა საქმის განხილვის შედეგზე. ამდენად, არსებობს ახალი გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობა. კასატორი მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 333-ე მუხლის მეორე, მე-3 ნაწილებზე, 394-ე მუხლის „ე“, „ე1“ ქვეპუნქტებზე, 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“, „ვ“ ქვეპუნქტებზე და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი სრულად პასუხობს მითითებული ნორმების მოთხოვნებს. სადავო საკითხზე საკასაციო სასამართლოს განმარტება მნიშვნელოვანია, რამდენადაც მსგავსი კატეგორიის საქმე საქართველოს უზენაეს სასამართლოს არ განუხილავს.

კასატორი თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი და არასწორად შეაფასა კომისიის პოზიცია, აღრიცხვის კვანძის შეცვლის (საკონტროლო მრიცხველის მოწყობის) მიზნით, ლიცენზიატის უფლებამოსილების თაობაზე. ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიატი – შპს „თ...ი“, მისთვის კანონქვემდებარე სპე-

ციალური ნორმატიული აქტით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, თბილისში, მის სალიცენზიო არეალში არსებულ ყველა ავტოგაზგასამართ სადგურთან მიმართებით ადგენს აღრიცხვის ერთიან სტანდარტს. ამ კატეგორიის მომხმარებლებისთვის მიწოდებული ბუნებრივი აირის მოცულობის არასრულად აღრიცხვიანობისა და დანაკარგების გაზრდის გამო, ლიცენზიატი ყველა სადგურზე ცვლის ხარჯთაღმრიცხველ კონტროლერს – ...-ს, ხარჯმზომი მოწყობილობა ... მრიცხველით (ელ. კორექტორით ...). პრეცედენტის დაშვებით, ნებისმიერ მომხმარებელს შეუძლია სადავოდ გახადოს ლიცენზიატის მიერ აღრიცხვის კვანძის მოწყობა, მხოლოდ იმ მოტივით, რომ მისთვის გაცილებით სასურველია მოხმარებული ბუნებრივი აირის უფრო ნაკლები მოცულობის აღმრიცხავი მრიცხველი და მიუღებელია ლიცენზიატის მიერ მოთხოვნილი, უფრო ზუსტად აღმრიცხველი მრიცხველი. წარმოიშობა ნორმატიული აქტებით განსაზღვრული რეგულირების სანინა-ალმდეგო მოცემულობა – ელექტროენერგიის, ბუნებრივი გაზის, წყალმომარაგების ნებისმიერ მსხვილ არასაყოფაცხოვრებო მომხმარებელს მიეცემა უფლება, სხვადასხვა ხერხით იდავოს მასთან მოწყობილ აღრიცხვის კვანძზე და დავის ხანგრძლივი გაჭიანურებით თვითნებურად განსაზღვროს ლიცენზიატთან ანგარიშსწორების წესი და პირობები. მოცემულ საქმეზე პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებმა სადავო საკითხთან მიმართებაში სამართლებრივი შედეგი არ განმარტეს და არ დაასაბუთეს. თბილისის სააპელაციო სასამართლოს, კომისიის სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება უნდა შეეფასებინა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონის, „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის, კომისიის 2009 წლის 9 ივლისის № 12 დადგენილებით დამტკიცებული „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების“ ნორმატიულ დანაწესებთან შესაბამისობის თვალსაზრისით.

კასატორი მიუთითებს, რომ 2009 წლის 9 ივლისის № 12 დადგენილებით დამტკიცებული „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესებიდან“ გამომდინარე, აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. ბუნებრივი აირის აღრიცხვის მიზნით, აღრიცხვის კვანძის მოწყობაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს განაწილების ლიცენზიატი. სწორედ განაწილების ლიცენზიატის უფლებამოსილებას განეკუთვნება მის მიერ მოწყობილი აღრიცხვის კვანძის შესაბამისობის დადგენა მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებთან და სტანდარტებთან.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ

კომისიის 2019 წლის 11 მარტის №1/04-18-2515 სადავო აქტის გამოცემის საფუძველი იყო შპს „...ის“ 2019 წლის 18 თებერვლის განცხადება (და არა საჩივარი, როგორც მას სასამართლო მოიხსენიებს. კომისიაში რეგისტრაციის №1900/01), რომელიც შეეხებოდა შპს „ყ...ის“ მიერ ე.წ. „საკონტროლო მრიცხველის“ დამონტაჟებისა და ამ მრიცხველის მონაცემებით მოთხოვნილი თანხის კანონიერების შესწავლას. კომისიის 2019 წლის 24 აპრილის №33/12 გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა შპს „...ის“ მოთხოვნა შპს „ყ...ის“ კუთვნილი აღრიცხვის კვანძის (მრიცხველის) საფუძველზე დარიცხული თანხის უკანონოდ მიჩნევისა და აღნიშნული მრიცხველით დარიცხვის შეწყვეტის შესახებ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის წარმოებაში იყო შპს „...ის“ სარჩელი, კომისიის 2019 წლის 24 აპრილის №33/12 გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შემდეგ, კომისიისათვის ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების თაობაზე (საქმე №33/3775-19). თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილებით 2019 წლის 24 აპრილის №33/12 გადაწყვეტილება ბათილად იქნა ცნობილი და კომისიას სასამართლოს სხვა შემადგენლობამ უკვე დაავალა ახალი აქტის გამოცემა შპს „...ის“ 2019 წლის 18 თებერვლის განცხადებაზე (გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო წესით და არის თბილისის სააპელაციო სასამართლოს წარმოებაში (საქმე №33/2514-20). ამდენად, ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა ყურადღება არ გაამახვილეს იმ გარემოებაზე, რომ კომისიას 2019 წლის 24 აპრილის №33/12 გადაწყვეტილებაში უკვე ჰქონდა ნამსჯელი შპს „...ის“ 2019 წლის 18 თებერვლის განცხადებაზე. ამავდროულად, სწორედ ამ განცხადებაში მითითებული მოთხოვნის ხელახლა შესწავლა და ახალი აქტის გამოცემა დაავალა კომისიას სასამართლომ განსახილველ საქმეზეც (2021 წლის 25 თებერვლის №3/1857-19 გადაწყვეტილება). ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა არ იმსჯელეს, რაში გამოიხატა კომისიის 2019 წლის 11 მარტის №1/04-18-2515 წერილით შპს „...ის“ ინტერესის დარღვევა ან წერილის ბათილად ცნობისადმი „მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი“. საკითხი მარტივია: მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე აქვს თუ არა ლიცენზიატს უფლება და ვალდებულება, მხოლოდ მან გადაწყვიტოს, რა ტიპის აღრიცხვის კვანძი მოაწყოს ამა თუ იმ მომხმარებელთან და რომელი ნორმატიული დანაწესი ანიჭებს მომხმარებელს უფლებამოსილებას, საკუთარი სურვილისამებრ, მარეგულირებელი ნორმების უგულვებელყოფით განსაზღვროს აღრიცხვისა და ანგარიშგების პირობები. სასამართლოსთვის ცნობილი იყო შპს „...ის“ მიერ ინიცირებული ყველა დავის თაობაზე, რომელთა ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლებიც იდენ-

ტურია (სასამართლოებმა უნდა შეისწავლონ შპს „თ...ის“ – ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიატის მიერ ბუნებრივი გაზის მრიცხველის დამონტაჟების (შეცვლის) კანონიერების, ამ მრიცხველის ჩვენებების მიხედვით დარიცხული თანხის საფუძვლიანობის საკითხი და უნდა შეაფასონ აღნიშნულიდან გამომდინარე სამართლებრივი შედეგი). აღსანიშნავია, რომ შპს „...ი“ – ბუნებრივი გაზის საცალო მომხმარებელი, რომელიც თავის მხრივ, ავტოგაზგასამართი სადგურის მეშვეობით ახდენს ბუნებრივი გაზის რეალიზაციას, დღემდე ახერხებს სასურველი, დამონმების ვადაგასული მრიცხველით ბუნებრივი გაზის მოხმარებას, მისთვის მისაღები პირობებით. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სადავოდ არ გაუხდია ის გარემოება, რომ კომისიაში და თბილისის საქალაქო სასამართლოში დავის განხილვის პერიოდში, შპს „...სა“ და შპს „თ...ის“ შორის არსებობდა „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესებით“ რეგულირებული ბუნებრივი გაზის ნასყიდობის სახელშეკრულებო-სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის თანახმად, ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიატი ვალდებული იყო, უზრუნველყო ბუნებრივი გაზით შესაბამისი მომხმარებლის უწყვეტი და საიმედო მომარაგება კანონმდებლობის, ლიცენზიის პირობების, „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესებისა“ და შესაბამისი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების თანახმად. გამყიდველს ჰქონდა ვალდებულება, მიეწოდებინა მყიდველისთვის ბუნებრივი გაზი მოქმედი კანონმდებლობის დაცვით, ხოლო მყიდველი კისრულობდა ვალდებულებას, გადაეხადა მიღებული (მოხმარებული) ბუნებრივი გაზის საფასური ლიცენზიატის კუთვნილი აღრიცხვის კვანძის ჩვენებების საფუძველზე და დაეცვა მოქმედი კანონმდებლობით, „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესებითა“ და ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები.

კასატორის განმარტებით, კომისიის ყველა აქტი შპს „...სა“ გასაჩივრებული ჰქონდა სასამართლოში. ამასთან, სადავო მრიცხველთან დაკავშირებით, შპს „...ი“, როგორც ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიატთან, ისე ბუნებრივი გაზის მიწოდებელთან იმყოფება სამოქალაქო დავაში და ამ გზით მათთვის აკრძალული აქვს ბუნებრივი გაზის მიწოდების შეწყვეტა, მრავალწლიანი პერსპექტივით. ამ პირობებში, მოცემულ საქმეზე შპს „...მა“ ვერ დაასაბუთა, რა ზიანი მიადგა კომისიის გასაჩივრებული აქტით და ვერ მიუთითა რაიმე სამართლებრივ შედეგზე, ვინაიდან შედეგი უკვე დამდგარი იყო – კომისიის თითქმის ყველა გადაწყვეტილების თუ წერილობითი პასუხის სასამართლოში გასაჩივრებით შპს „...სა“ რეალიზებული ჰქონდა სასამართლოსთვის მიმართვის უფლება. მას მიეწოდებოდა ბუნებრივი გაზი და ნორმატიული დანაწესების საწინააღმდეგოდ, მოხმარებული ბუნებრივი გაზის საფა-

სურს ანგარიშობდა მისთვის სასურველი მრიცხველით. კომპანია ხელს უშლიდა შპს „თ...ის“ კანონიერად დამონმებული გამართული აღრიცხვის კვანძის მოწყობაში და მოხმარებული და რეალიზებული ბუნებრივი გაზის საზღაურის მიღებაში. თბილისის სააპელაციო სასამართლომ ერთმნიშვნელოვნად გაიზიარა მოსარჩელის მითითებები, არ შეაფასა კომისიის პოზიცია და დაადგინა არასწორი მოცემულობა. სადავო საკითხზე არსებობს კომისიის არაერთი გადაწყვეტილება და წერილობითი განმარტება, მათ შორის – 2019 წლის 24 აპრილის №33/12 გადაწყვეტილება და მასზე თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 17 იანვრის №3/3775-19 გადაწყვეტილება.

კასატორის განმარტებით, როგორც შპს „...ის“, ისე შპს „თ...ის“ მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია, კომისიამ საფუძვლიანად შეისწავლა და გამოიკვლია. კომისიის გადაწყვეტილება სამართლებრივად დასაბუთებულია და მიღებულია დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით. გადაწყვეტილების მიღებისას ადგილი არ ჰქონია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნის დარღვევას. სადავო აქტში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მოწესრიგება შესაბამება მისი გამოცემის სამართლებრივ საფუძვლებს და წინააღმდეგობაში არ მოდის მოცემული ურთიერთობის მარეგულირებულ სამართლებრივ ნორმებთან. მოქმედი სპეციალური საკანონმდებლო რეგულაციების საფუძველზე, კონტროლის განსახორციელებლად კომისიას სახელმწიფოსაგან გადაცემული აქვს განსაზღვრული რეგულირების სფეროები – ელექტროენერგეტიკა, ბუნებრივი გაზი, წყალმომარაგება და ამ სფეროებში სადავო საკითხების გადაწყვეტის ფართო დისკრეცია. დელეგირებული კომპეტენციის ფარგლებში, კომისიის საქმიანობა წარმოადგენს ადმინისტრირების ერთ-ერთ განსაკუთრებულ სახეს. ამდენად, კომისია განსაკუთრებული მაკონტროლებელი ფუნქციების მატარებელია. მომხმარებლის მოთხოვნის ნორმატიულ დანაწესებთან შესაბამისობის შესწავლა კომისიის რეგულირებადი საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილია. სააპელაციო სასამართლომ ვერ უზრუნველყო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმალური და მატერიალური კანონიერების გადამოწმება, რამაც მთლიანობაში არსებითად იმოქმედა საქმის განხილვის შედეგზე. საკასაციო საჩივარი შეიცავს დასაბუთებულ სამართლებრივ არგუმენტაციას, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების კანონთან შეუსაბამობის თაობაზე.

კასატორის მოსაზრებით, განსახილველი საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის. საკასაციო სასამართლოს შეფასებები და სამარ-

თლებრივი დასკვნები ხელს შეუწყობს კომისიაში მრიცხველის შეცვლის თაობაზე ლიცენზიატის უფლებამოსილების საკითხის განხილვის არსის გააზრებას და ადმინისტრაციული ორგანოს უფლება-მოვალეობების დაზუსტებას, კომისიის მიერ გადაწყვეტილებათა მიღების ფორმების დაკონკრეტებას, გაანალიზებას. ამავდროულად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება სასარგებლო იქნება კომისიის რეგულირების სფეროში შემავალი ყველა რეგულირებული საწარმოსთვის, კომისიის მიერ ამ კატეგორიის საქმეების გადაწყვეტისას სწორი პრაქტიკის დასამკვიდრებლად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 27 დეკემბრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის საკასაციო საჩივარი. ამავე სასამართლოს 2022 წლის 31 მაისის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, დადგინდა მხარეთა დასწრების გარეშე საქმის განხილვა.

სამოტივაციო ნაწილი:

საქმის მასალების შესწავლის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო პალატა საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნევს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

2017 წლის 7 თებერვალს შპს „...ის“ დირექტორმა განცხადებით მიმართა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების მოთხოვნით. განმცხადებელი უსაფუძვლოდ მიიჩნევდა შპს „ყ...ის“ 2017 წლის 3 თებერვლის შეტყობინებას, შპს „...ის“ კუთვნილ ავტოგაზგასამართ სადგურზე არსებული აღრიცხვის კვანძის ... ტიპის ხარჯმზომი მოწყობილობის ... ტიპის მრიცხველით (ელ. კორექტორით ...) შეცვლისა და სამუშაოების ჩატარების თაობაზე.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის აღმასრულებელი დირექტორის 2017 წლის 14 მარტის №6/04-18/103-3483 წერილით შპს „...ის“ ეცნობა, რომ კომპანიის ქმედება შეესაბამებოდა კომისიის 2009 წლის 9 ივლისის №12 დად-

გენილებით დამტკიცებული „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების“ შესაბამის მოთხოვნებს.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის აღმასრულებელი დირექტორის 2017 წლის 14 მარტის №6/04-18/103-3483 წერილი შპს „...მა“ გაასაჩივრა სასამართლოში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 26 სექტემბრის №3/1841-17 გადაწყვეტილებით, სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის აღმასრულებელი დირექტორის 2017 წლის 14 მარტის №6/04-18/103-3483 წერილი და კომისიას დაევალა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, შპს „...ის“ 2017 წლის 7 თებერვლის განცხადებასთან დაკავშირებით.

სადავო საკითხის ხელახლა შესწავლის შედეგად, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ 2018 წლის 27 აპრილს მიიღო №30/8 გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა შპს „...ის“ მოთხოვნა, შპს „ყ...ისათვის“ შპს „...ის“ საკუთრებაში არსებული ბუნებრივი გაზის აღრიცხვის კვანძის (მრიცხველის) შეცვლის აკრძალვის თაობაზე. მხარეებს განემარტათ, რომ ბუნებრივი გაზის აღრიცხვის ახალი კვანძის მოწყობის შემთხვევაში, „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების“ შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის მოწყობა უნდა განხორციელებულიყო შპს „ყ...ის“ მიერ, მომხმარებლისათვის აღრიცხვის კვანძის მოწყობაზე გაწეული ხარჯის გადაკისრების გარეშე. ამასთანავე, „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების“ მე-11 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, აღრიცხვის კვანძი შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებთან და სტანდარტებთან. ამავე გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა შპს „ყ...ის“ მოთხოვნა, აღრიცხვის კვანძის შეცვლასთან დაკავშირებით, დავის მონაწილე მხარეებისათვის „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების“ მოთხოვნების შესრულების დავალდებულების შესახებ. ასევე არ დაკმაყოფილდა შპს „ყ...ის“ მოთხოვნა, შპს „...სა“ და შპს „ყ...ს“ შორის არსებული დავის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის (დაუყოვნებლივ აღსრულებაზე მიქცევის) თაობაზე.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2018 წლის 27 აპრილის №30/8 გადაწყვეტილების პირველი და მეორე პუნქტები შპს „...მა“ სასამართლო წესით გაასაჩივრა. კომპანიამ მოითხოვა აღნიშნული პუნქტების ბათილად ცნობა და შპს „ყ...ისათვის“ შპს „...ის“ საკუთრებაში არსებული ბუნებრივი

გაზის აღრიცხვის კვანძის (მრიცხველის) შეცვლის აკრძალვის შესახებ შპს „....ის“ მოთხოვნის დაკმაყოფილება.

2019 წლის 18 თებერვალს შპს „....ის“ დირექტორმა განცხადებით მართა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას. განმცხადებელმა მოითხოვა შპს „ყ...ის“ მხრიდან შპს „....თან“ შეთანხმების, ხელშეკრულებისა და აქტის გარეშე, ე.წ. „საკონტროლო მრიცხველის“ დამონტაჟების კანონიერების შესწავლა; ამ მრიცხველის მონაცემებით მოთხოვნილი თანხის კანონიერების შესწავლა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით და შპს „ყ...ისთვის“ შპს „....ის“ მიმართ გაზის მიწოდების შეწყვეტის აკრძალვა, დავის დასრულებამდე.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2019 წლის 19 თებერვლის №6/01-16-1658 წერილით შპს „ყ...ის“ აეკრძალა დავის დასრულებამდე მომხმარებლისათვის ბუნებრივი გაზის მიწოდების შეწყვეტა, მიმდინარე საფასურის გადახდის პირობით და დაევალა 10 სამუშაო დღის ვადაში საკითხთან დაკავშირებით წერილობითი განმარტების წარდგენა.

შპს „ყ...ის“ 2019 წლის 27 თებერვლის წერილით საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას ეცნობა, რომ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2009 წლის 9 ივლისის №12 დადგენილებით დამტკიცებული „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების“ მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს, ხოლო პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის მე-80 მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, გაზის მრიცხველების სავალდებულო დამონშების პერიოდულობა, მათი მაქსიმალური ხარჯიდან გამომდინარე, შეადგენს 4 და 10 წელს. „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების“ მეორე მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, განაწილების ლიცენზიატი ვალდებულია, უზრუნველყოს ანგარიშსწორებისათვის მომხმარებელთან მოწყობილი აღრიცხვის კვანძის გამართული მუშაობა, ხოლო ამავე მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, განაწილების ლიცენზიატს ევალება ბუნებრივი გაზით მომარაგების შეწყვეტა, თუ ირღვევა ტექნიკური რეგლამენტისა და უსაფრთხოების წესების მოთხოვნები.

ამავე წერილის მიხედვით, შპს „....ის“ გამზომი კვანძის დიაფრაგმაზე, მილსადენის შიდა დიამეტრზე, მილსადენის შიდა ზედაპირის სიმაქისესა და სწორ მონაკვეთზე გავიდა პერიოდული დამონშების ვადა. შესაბამისად, შპს „ყ...მა“, ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტების მოთ-

ხოვნების გათვალისწინებით, მომხმარებელს მოსთხოვა, გონივრულ ვადაში მოეხდინა მოცემული სწორხაზოვანი ელემენტების მორიგი პერიოდული დამონება, თუმცა აბონენტმა ეს მოთხოვნა არ შეასრულა. მიუხედავად იმისა, რომ დაუმონებელი გამზომი კვანძის ექსპლუატაციის პირობებში მოხმარებული ბუნებრივი გაზის არასწორად აღრიცხვის ალბათობა საკმაოდ დიდია, შპს „ყ...მა“ გათვალისწინა შპს „...ის“ ინტერესები და არ შეუწყვიტა მას გაზომარაგება. ამასთან, 2018 წლის დეკემბერში, კომპანიამ მომხმარებლის ობიექტისაგან განცალკევებით მოაწყო საკონტროლო აღრიცხვის კვანძი (მრიცხველი ..., კორექტორით ...), რომლის მეშვეობითაც უზრუნველყოფს აბონენტის მიერ ფაქტობრივად მოხმარებული ბუნებრივი გაზის ზუსტ აღრიცხვას. წერილის ავტორმა ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ აღრიცხვის კვანძის აღრიცხვიანობის უკეთესი სიზუსტის გამო, შპს „ყ...ის“ არც ერთ არასაყოფაცხოვრებო მომხმარებელს არ აღერიცხება მოხმარებული გაზის მოცულობა ... ხარჯზომი კონტროლერის მეშვეობით.

წერილში ასევე მითითებულია, რომ საკონტროლო აღრიცხვის კვანძის ჩვენების მიხედვით, შპს „...ის“ მიერ მიმდინარე წლის იანვრის თვეში მოხმარებულმა ბუნებრივი გაზის მოცულობამ შეადგინა 75210,00 კუბური მეტრი, ხოლო უშუალოდ მისმა აღრიცხვის კვანძმა, რომელიც აგებულია ... ტიპის ხარჯზომზე და გასული აქვს პერიოდული დამონების ვადა, დააფიქსირა მხოლოდ 68602,00 კუბური მეტრი ბუნებრივი გაზის ხარჯი. ანუ, შპს „...ის“ მრიცხველის ცდომილებამ მომხმარებლის სასარგებლოდ შეადგინა თითქმის 10% (თანხობრივად – 6721,14 ლარი), რაც შპს „ყ...ისათვის“ ზარალს წარმოადგენს.

ამავე წერილით შპს „ყ...ი“ დაუსაბუთებლად მიიჩნევს შპს „...ის“ განცხადებას, საკონტროლო აღრიცხვის კვანძის მონტაჟის უკანონობის თაობაზე, ვინაიდან თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 16 მაისის განჩინებით მისი დაყენება აიკრძალა უშუალოდ შპს „...ის“ ობიექტზე, ხოლო შპს „ყ...მა“ საკონტროლო კვანძი მოაწყო თავის კუთვნილ გამანაწილებელ ქსელზე, შპს „...ის“ ობიექტისაგან განცალკევებულად. თუ განმცხადებელს ეჭვი ეპარება შპს „ყ...ის“ მიერ მოწყობილი საკონტროლო მრიცხველის აღრიცხვიანობის სიზუსტეში, კომპანია გამოთქვამს მზადყოფნას, შპს „...ისთვის“ მისალზე ნებისმიერ აკრედიტებულ ლაბორატორიაში საკონტროლო მრიცხველის საექსპერტო შემოწმების განხორციელებასთან დაკავშირებით.

წერილში ხაზგასმულია, რომ შპს „...ზე“ დარიცხული თანხა – 76 497,94 ლარის ოდენობით წარმოადგენს აბონენტის მიერ 2019 წლის იანვრის თვეში მხოლოდ ფაქტობრივად მოხმარებული ბუნებრივი გაზის ღირებულებას (მიმდინარე დავალიანებას), რომელიც მომხმარებელმა სრულად არ გადაიხადა. 2019 წლიდან, მითითებულ აბონენტთან ყოველ-

თვიური ანგარიშსწორება განხორციელდება შპს „ყ...ის“ საკონტროლო მრიცხველის მეშვეობით.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარის 2019 წლის 11 მარტის №1/04-18-2515 წერილით შპს „...ს“ ეცნობა, რომ შპს „ყ...ის“ მიერ საკონტროლო მრიცხველის დაყენება არ ეწინააღმდეგებოდა „წესებით“ დადგენილ მოთხოვნებს. კომპანია უფლებამოსილი იყო, აღნიშნული მრიცხველის მეშვეობით განხორციელებინა დარიცხვა. ამავე წერილით მხარეს განემარტა, რომ იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელს ეჭვი ეპარებოდა შპს „ყ...ის“ მიერ მოწყობილი საკონტროლო მრიცხველის აღრიცხვიანობის სიზუსტეში, კომპანია გამოთქვამდა მზადყოფნას, შპს „...ისთვის“ მისაღებ ნებისმიერ აკრედიტირებულ ლაბორატორიაში საკონტროლო მრიცხველის საექსპერტო შემოწმების განხორციელებასთან დაკავშირებით.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარის 2019 წლის 11 მარტის №1/04-18-2515 წერილი შპს „...მა“ 2019 წლის 18 მარტის საჩივრით გაასაჩივრა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში. საჩივრის ავტორმა მოითხოვა შპს „ყ...ისთვის“ ე.წ. „საკონტროლო მრიცხველის“ დემონტაჟის დავალება, აღნიშნული მრიცხველის ძირითად მრიცხველად გამოყენების აკრძალვა და შპს „...ის“ მიმართ უკანონო თანხების გადახდის მოთხოვნის აკრძალვა, ასევე, დავის დასრულებამდე შპს „ყ...ისთვის“ შპს „...ისთვის“ მიწოდების შეწყვეტის აკრძალვა.

შპს „...მა“ 2019 წლის 25 მარტს განცხადებით მიმართა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას და ამავე კომისიის თავმჯდომარის 2019 წლის 11 მარტის №1/04-18-2515 წერილის სასამართლოში გასაჩივრების გამო, მოითხოვა შპს „ყ...ისთვის“ შპს „...ის“ მიმართ ბუნებრივი გაზის მიწოდების შეწყვეტის აკრძალვა.

შპს „...მა“ კომისიის 2019 წლის 4 აპრილის სხდომაზე დააზუსტა კომისიაში წარდგენილი მოთხოვნა და მოითხოვა შპს „ყ...ის“ კუთვნილი აღრიცხვის კვანძის (მრიცხველის) საფუძველზე დარიცხული თანხის უკანონოდ მიჩნევა, ასევე აღნიშნული მრიცხველით დარიცხვის შეწყვეტა.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2019 წლის 24 აპრილის №33/12 გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა შპს „...ის“ მოთხოვნა, შპს „ყ...ის“ კუთვნილი აღრიცხვის კვანძის (მრიცხველის) საფუძველზე დარიცხული თანხის უკანონოდ მიჩნევისა და აღნიშნული მრიცხველით დარიცხვის შეწყვეტა.

ყვეტის შესახებ. ამავე გადანყვეტილებით შპს „ყ...ს“ დაევალა მიერთების სქემის გამარტივება გადანყვეტილების ჩაბარებიდან 1 თვის ვადაში და შპს „...ის“ წინასწარი ინფორმირების უზრუნველყოფა აღნიშნული სამუშაოების განხორციელების თარიღის შესახებ.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დროს მოქმედი „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი იყო საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის სამართლებრივი აქტების შესრულების სავალდებულოება ლიცენზიატისათვის, ბუნებრივი გაზის მიმწოდებლისა და მომხმარებლისათვის, ხოლო 41-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით ხაზგასმული იყო განაწილების ლიცენზიატის ვალდებულება, ლიცენზიის მოქმედების ვადის განმავლობაში მომსახურება განეხორციელებინა ამ კანონის, მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და ლიცენზიატის საინვესტიციო პროგრამის შესაბამისად. ამავე კანონით, კომისიის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციად განსაზღვრული იყო ლიცენზიატებს, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურებს, იმპორტიორებს, ექსპორტიორებს, ელექტროენერგიის საბითუმო მიმწოდებლებს, ბუნებრივი გაზის მიმწოდებლებს, მომხმარებლებსა და ბაზრის ოპერატორს შორის წარმოქმნილი სადავო საკითხების გადაწყვეტა თავისი კომპეტენციის ფარგლებში; (კანონის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი).

დადგენილია, რომ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2019 წლის 11 მარტის №1/04-18-2515 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძველი გახდა ბუნებრივი გაზის საცალო მომხმარებლის – შპს „...ის“ 2019 წლის 18 თებერვლის განცხადება, რომელიც შეეხებოდა განაწილების ლიცენზიატის – შპს „ყ...ის“ მიერ ე.წ. „საკონტროლო მრიცხველის“ დამონტაჟებისა და ამ მრიცხველის მონაცემებით მოთხოვნილი თანხის კანონიერების შესწავლას. ამავე აქტის გამოცემის სამართლებრივი საფუძველია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2009 წლის 9 ივლისის №12 დადგენილებით დამტკიცებული „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესები“.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სადავო პერიოდში მოქმედი ზემოაღნიშნული „წესები“ ემსახურებოდა მომხმარებელთა უფლებების დაცვას, ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიატებს, მიმწოდებლებსა და მომხმარებლებს შორის ურთიერთობების სამართლებრივი მონესრიგების მიზანს და გამომდინარეობდა „ელექტროენერგეტიკისა და

ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონიდან. „წესებთან“ შეუსაბამო ვალდებულებების დაკისრება აკრძალული იყო. ბუნებრივი გაზის მიმწოდებლები, განაწილების ლიცენზიატები და მომხმარებლები ვალდებული იყვნენ, დაეცვათ ამ წესებში მოცემული ნორმები („წესების“ პირველი მუხლი). მითითებული „წესების“ მეორე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, ბუნებრივი გაზით მომარაგების ძირითად პრინციპს წარმოადგენდა მომხმარებლის შესაბამისი პარამეტრების ბუნებრივი გაზით უსაფრთხო, უწყვეტი და საიმედო მომარაგება კანონმდებლობის, ლიცენზიის პირობების, ამ წესებისა და მისი შესაბამისი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“, „თ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, განაწილების ლიცენზიატი ვალდებული იყო, გამართულ მდგომარეობაში ჰქონოდა გამანაწილებელი ქსელი, ანგარიშსწორებისათვის მოეწყო ინდივიდუალური აღრიცხვის კვანძი (აღრიცხვის კვანძები) და უზრუნველყო მათი გამართული მუშაობა. ტექნიკური დოკუმენტაციის მოთხოვნებთან, ტექნიკური რეგლამენტისა და უსაფრთხოების ნორმებთან შეუსაბამობის (დარღვევების) აღმოჩენის მიზნით, ლიცენზიატი ვალდებული იყო, ამ წესების შესაბამისად, ეწარმოებინა საცალო მომხმარებლის მფლობელობაში არსებული გაზომარაგების სისტემის, მათ შორის, მომხმარებლის მფლობელობაში არსებული ბუნებრივი გაზის ქსელის, გაზდანადგარების, ხელსაწყოებისა და მათი ქსელთან მიერთების საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებთან, ასევე, ამ დანადგარების შესაბამის ტექნიკურ დოკუმენტაციასთან (მათ შორის, სამონტაჟო-საექსპლუატაციო დოკუმენტაციასთან) შესაბამისობის სისტემატური შემოწმება და განეხორციელებინა სათანადო რეაგირება. ამავე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, განაწილების ლიცენზიატი ვალდებული იყო, დაუყოვნებლივ მოეხდინა სათანადო რეაგირება და შეეწყვიტა ბუნებრივი გაზით მომარაგება, თუ დაირღვეოდა ტექნიკური რეგლამენტისა და უსაფრთხოების წესების მოთხოვნები.

„წესების“ მე-7 მუხლი შეეხებოდა აღრიცხვის კვანძის მოწყობას. ამ მუხლის სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის პირველი პუნქტის შესაბამისად, საცალო მომხმარებლის მიერ ბუნებრივი გაზის მოხმარება უნდა აღრიცხულიყო ინდივიდუალურად. განაწილების ლიცენზიატი ვალდებული იყო, ამ მიზნით მოეწყო აღრიცხვის კვანძი, შესაბამისად, შეეძინა, დაემონტაჟებინა და შეეკეთებინა აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან. ამავე მუხლის სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის მეორე პუნქტის თანახმად, სა-

ჭიროების შემთხვევაში, განაწილების ლიცენზიატს უფლება ჰქონდა, ხოლო ამ წესებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, ვალდებული იყო, მოეხსნა, შეეკეთებინა, დაემონტებინა და შეეცვალა აღრიცხვის კვანძი (მათ შორის, ბუნებრივი გაზის მრიცხველი), ასევე, სხვა სახის მისი კუთვნილი მოწყობილობები, მათ შორის, დანადგარები, რომლებიც აღრიცხვიანობისთვის არის საჭირო.

მითითებული „წესების“ მე-7 მუხლი მე-5 პუნქტის თანახმად, აღრიცხვის კვანძი შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებთან და სტანდარტებთან. აღრიცხვის კვანძი უნდა მოწყობილიყო ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონოდა მრიცხველის ჩვენების ალების საშუალება, ასევე, განაწილების ლიცენზიატს შეძლებოდა ამ წესების შესაბამისად, დაუბრკოლებლად განეხორციელებინა სხვა სახის სამუშაოები.

ზემოაღნიშნული „წესების“ მე-9 მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, დაზიანებული აღრიცხვის კვანძის, ასევე, მისი შემადგენელი მრიცხველების, სხვა სახის დანადგარებისა და მოწყობილობების აღდგენას, შეცვლასა და დამონტაჟებას უზრუნველყოფდა განაწილების ლიცენზიატი თავისი ხარჯით, გარდა ამ წესებითა და მოქმედი კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამავე „წესების“ მე-12 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საცალო მომხმარებლის ბუნებრივი გაზის მოხმარების აღრიცხვის კვანძის მოწყობას, მათ შორის, ბუნებრივი გაზის მრიცხველის შეძენას, შეცვლას, მოხსნას, შემონმებას, დამონმებას ან/და დამონტაჟებას უზრუნველყოფდა განაწილების ლიცენზიატი. ბუნებრივი გაზის მრიცხველი შეიძლებოდა მოხსნილიყო, თუ მრიცხველს გასული ჰქონდა დამონმების ან/და გეგმიური შემონმების ვადა – მრიცხველის დამონმების ან მისი გამოცვლის მიზნით. ამავე მუხლის მე-16 პუნქტის შესაბამისად, ბუნებრივი გაზის მრიცხველის მოხსნის შემთხვევაში განაწილების ლიცენზიატი ვალდებული იყო, ბუნებრივი გაზის მრიცხველის მოხსნისთანავე დაემონტაჟებინა სხვა მრიცხველი (მიუხედავად იმისა, საჭიროებდა თუ არა ძველი (მოხსნილი) მრიცხველი, ამა თუ იმ გარემოებიდან გამომდინარე, ლაბორატორიულ ან/და სხვა სახის შემონმებას) ან ემოქმედა ამ მუხლის მე-17 პუნქტის შესაბამისად.

ამავე „წესების“ 22-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, განაწილების ლიცენზიატი ვალდებული იყო, უზრუნველყო ბუნებრივი გაზის საცალო მომხმარებლის მფლობელობაში არსებული გაზომარაგების სისტემის, მათ შორის, მფლობელობაში არსებული ბუნებრივი გაზის ქსელის, გაზდანადგარების ან მოწყობილობების გამართულობა, ტექნიკურ დოკუმენტაციასთან, ტექნიკურ რეგლამენტთან და უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის შემონმებით, წინასწარ შემუშა-

ვებული გეგმის შესაბამისად (ამ წესებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად). აღნიშნული შემთხმება მიზნად ისახავდა ტექნიკურ რეგლამენტთან და უსაფრთხოების ნორმებთან შეუსაბამობის (დარღვევების) აღმოჩენასა და ამ დარღვევის შესაძლო შედეგებზე საცალო მომხმარებელთა წერილობით ინფორმირებას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემული დავის შინაარსიდან გამომდინარე, ერთი მხრივ, უნდა დადასტურდეს შპს „თ...ის“ ექსკლუზიური უფლებამოსილება, შპს „...ისათვის“ საკონტროლო მრიცხველის დამონტაჟებასთან დაკავშირებით, ხოლო მეორე მხრივ – გამოირიცხოს შესაძლო უზუსტობა, რომელიც უკავშირდება ლიცენზიატის მიერ დამონტაჟებული მრიცხველის მეშვეობით ბუნებრივი გაზის მოხმარების აღრიცხვას.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ლიცენზიატისათვის ზემოაღნიშნული „წესებით“ მინიჭებული უფლებამოსილებები, მოხმარებული ბუნებრივი გაზის აღრიცხვის სიზუსტის დადგენას და შესაბამისად, მომხმარებლისათვის ბუნებრივი გაზის საფასურის სწორად დარიცხვას ემსახურება. თავისთავად ის გარემოება, რომ განაწილების ლიცენზიატის მხრიდან წარმოიშობა მომხმარებლისათვის საკონტროლო მრიცხველის დაყენების აუცილებლობა, მიუთითებს ბუნებრივი გაზის მოხმარების არასწორად აღრიცხვის საფრთხეზე. ლიცენზიატის მიზანს წამოადგენს ბუნებრივი გაზის მოხმარების აღრიცხვა დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობაში არსებული მრიცხველის მეშვეობით და მომხმარებლისათვის არასწორად დარიცხვის თავიდან აცილება. კომისიის 2009 წლის 9 ივლისის №12 დადგენილებით დამტკიცებული „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესებიდან“ გამომდინარეობს, რომ აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. ბუნებრივი აირის აღრიცხვის მიზნით, აღრიცხვის კვანძის მოწყობაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს განაწილების ლიცენზიატი. სწორედ განაწილების ლიცენზიატის უფლებამოსილებას განეკუთვნება მის მიერ მოწყობილი აღრიცხვის კვანძის შესაბამისობის დადგენა მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებთან და სტანდარტებთან.

დადგენილია, რომ მოცემულ შემთხვევაში, ლიცენზიატის მიერ ხარჯშოში მოწყობილობა ... მრიცხველით (ელ. კორექტორით ...) მოსარჩელე კომპანიის სადგურზე ხარჯთაღმრიცხველი კონტროლერის – ...-ის შეცვლის მიზეზი გახდა მიწოდებული ბუნებრივი აირის მოცულობის არასრულად აღრიცხვა და დანაკარგის გაზრდა. ასევე უდავოა, რომ აღრიცხვის კვანძის შეცვლა (საკონტროლო მრიცხველის მოწყობა), ლიცენზიატმა განახორციელა შესაბამისი სპეციალური ნორმების შემცველი ნორმატიული აქტით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში,

ყველა საცალო მომხმარებელთან მიმართებაში აღრიცხვის ერთიანი სტანდარტის დაცვის პრინციპიდან გამომდინარე.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის ერთ-ერთი მიზანია სტანდარტიზაციის სფეროში საუკეთესო პრაქტიკის დანერგვა და ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება. აღნიშნული კოდექსის მეორე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სტანდარტიზაციის სფეროში ეს კოდექსი ეფუძნება საერთაშორისო სტანდარტების უპირატესობის პრინციპს. ამავე კოდექსის 64-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სტანდარტი უნდა ემყარებოდეს პრაქტიკული გამოცდილების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებულ შედეგებს და მიზნად უნდა ისახავდეს წარმოების ეფექტიანობის და თავსებადობის ზრდას. საგულისხმოა, რომ კოდექსის 66-ე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს სტანდარტის გამოყენების ნებაყოფლობითობაზე, თუმცა ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, უპირატესობა ენიჭება შესაბამის სფეროში საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების გამოყენებას. ამავე კოდექსის მე-80 მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, გაზის მრიცხველების სავალდებულო დამონმების პერიოდულობა, მათი მაქსიმალური ხარჯიდან გამომდინარე, შეადგენს 4 და 10 წელს.

საქმის მასალებით დადგენილია და მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ ის გარემოება, რომ შპს „...ის“ გამოზომი კვანძის დიაფრაგმაზე, მილსადენის შიდა დიამეტრზე, მილსადენის შიდა ზედაპირის სიმკისესა და სწორ მონაკვეთზე გავიდა პერიოდული დამონმების ვადა. შესაბამისად, შპს „...ს“, როგორც განაწილების ლიცენზიატს, გააჩნდა უფლებამოსილება, შპს „...ისათვის“ მოეთხოვა გონივრულ ვადაში გაზის მრიცხველის მორიგი პერიოდული დამონმება. შესაბამისი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, მოხმარებული ბუნებრივი გაზის არასწორად აღრიცხვის მაღალი ალბათობის გათვალისწინებით, შპს „...მა“, მომხმარებლის ობიექტისაგან განცალკევებით მოაწყო საკონტროლო აღრიცხვის კვანძი (მრიცხველი ..., კორექტორით ...), რომლის მეშვეობითაც უზრუნველყოფს აბონენტის მიერ ფაქტობრივად მოხმარებული ბუნებრივი გაზის აღრიცხვას. სადავო წარმოებასთან დაკავშირებული მასალებით დგინდება, რომ ამ მოსარჩელის კატეგორიის მომხმარებლებისთვის მიწოდებული ბუნებრივი აირის მოცულობის არასრულად აღრიცხვიანობისა და დანაკარგების გაზრდის გამო, ხარჯთაღმრიცხველ კონტროლერს – ...-ს ლიცენზიატი ყველა სადგურზე ცვლის ხარჯშომომი მოწყობილობა ... მრიცხველით (ელ. კორექტორით ...).

საკასაციო პალატის მოსაზრებით, მოსარჩელის მხრიდან საწინააღმდეგო მტკიცებულებების წარმოუდგენლობის პირობებში, დადასტურებულად უნდა იქნეს მიჩნეული, რომ მომხმარებელთან მიმართებაში

ლიცენზიატის მიერ განხორციელებული ზემოაღნიშნული ქმედებები გამომდინარეობს საერთაშორისო სტანდარტებთან თავსებადი ერთგვაროვანი მიდგომიდან და განაწილების ლიცენზიატს გააზრებული აქვს ამგვარი მიდგომის ეფექტურობა. ამ პირობებში, შპს „...“, როგორც ბუნებრივი გაზის საცალო მომხმარებელი, დამონმებისათვის ვადაგასული მრიცხველის მეშვეობით მოიხმარს ბუნებრივ გაზს, მისთვის მისაღები პირობებით. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ არასანდოდ მიჩნეული მრიცხველის გამოყენებით მოხმარებული ბუნებრივი გაზის აღრიცხვის პროცესში ცდომილების დაშვების მაღალი ალბათობის პირობებში, გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას და მასთან ადაპტირების მნიშვნელობას. „...დაუშვებელია, თუნდაც წინმსწრებ პერიოდში არასათანადო წესით დამონტაჟების პირობებში, განაწილების ლიცენზიატს – შპს „ყ...ს“ (შპს „თ...ის“ წინამორბედს) წაერთვას შესაძლებლობა, დამონმების მოწოდების მოქმედების ვადის განმავლობაში ხარვეზის აღმოფხვრისათვის ობიექტზე მოახდინოს ბუნებრივი გაზის დანახარჯის მეტი სიზუსტით აღმრიცხველი მრიცხველის მონტაჟი.“ (სუს 2022 წლის 10 ნოემბრის №ბს-1194(კ-21) განჩინება)...ტექნოლოგიური განვითარების კვალდაკვალ, იზრდება ლიცენზირებადი საქმიანობის განხორციელების პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიური დანადგარების გამოყენების საჭიროება. ტექნოლოგიური ნოვაციებისათვის ტემპის შეთავსება და ეტაპობრივი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება წარმოადგენს ერთგვარ გარანტიას წარმოების ხარისხის, მისი ეფექტიანობის დახვეწისა და ზრდისათვის. საერთაშორისო თუ ეროვნულ სტანდარტებთან თავსებადობის მიღწევით პრეზუმირდება, რომ უმჯობესდება ლიცენზირებადი საქმიანობის განხორციელების შედეგები. შესაბამისად, სახელმწიფოს მხრიდან კონკრეტულ ლიცენზირებად საქმიანობაში ნოვატორული ტექნოლოგიური საშუალებების დანერგვა არ არის კანონმდებლის თვითმიზანი, მას გააჩნია ობიექტური ახსნა და ასეთი მიდგომა განპირობებულია თანამედროვე ტექნიკური საშუალებების მეტი ეფექტიანობითა და სიზუსტით.“ (სუს 2022 წლის 10 ნოემბრის №ბს-1194(კ-21) განჩინება).

საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ შპს „ყ...ის“ მიერ საკონტროლო მრიცხველის დაყენება ეწინააღმდეგებოდა სადავო პერიოდში მოქმედი ზემოაღნიშნული „წესებით“ დადგენილ მოთხოვნებს. საგულისხმოა, რომ სადავო აქტში ასახულია განაწილების ლიცენზიატის პოზიცია – მისი მზადყოფნა, მოწყობილი საკონტროლო მრიცხველის აღრიცხვიანობის სიზუსტის დადგენის მიზნით, შპს „...ისთვის“ მისაღებ ნებისმიერ აკრედიტირებულ ლაბორატორიაში განხორციელებულიყო საკონტროლო მრიცხველის საექსპერტო შემოწმება. ამასთანა-

ვე, კანონმდებლობა განაწილების ლიცენზიატს ავალდებულებს, საკუთარი სახსრებით განახორციელოს არსებული აღრიცხვის კვანძის ჩანაცვლებისათვის საჭირო ყველა ღონისძიება. მოსარჩელეს ასევე არ წარმოუდგენია მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მითითებული იმ გარემოების საწინააღმდეგო მტკიცებულებები, რომ 2019 წლის იანვრის თვის მონაცემებით, შპს „...ის“ მრიცხველის ცდომილებამ მომხმარებლის სასარგებლოდ შეადგინა თითქმის 10% (საკონტროლო აღრიცხვის კვანძის ჩვენების მიხედვით, შპს „...ის“ მიერ 2019 წლის იანვრის თვეში მოხმარებულმა ბუნებრივი გაზის მოცულობამ შეადგინა 75210,00 კუბური მეტრი, ხოლო უშუალოდ მისმა აღრიცხვის კვანძმა, რომელიც აგებულია ... ტიპის ხარჯმზომზე და გასული აქვს პერიოდული დამოწმების ვადა, დააფიქსირა მხოლოდ 68602,00 კუბური მეტრი ბუნებრივი გაზის ხარჯი).

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმის სწორად გადაწყვეტა დამოკიდებულია მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის კანონმდებლობის შესაბამისად გადანაწილებაზე. ზოგადი წესის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზეც ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. საგულისხმოა, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნის შემთხვევაში, მტკიცების ტვირთი ეკისრება იმ ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელმაც გამოსცა სადავო აქტი, თუმცა მტკიცების ტვირთის ადმინისტრაციული ორგანოსთვის დაკისრება არ გამოირიცხავს მონინალმდევე მხარის გათავისუფლებას სარჩელის დასაბუთების ვალდებულებისაგან.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე მხარემ ვერ დაძლია მტკიცების ტვირთი და ვერ მიუთითა შესაბამის ფაქტობრივ-სამართლებრივ საფუძვლებზე, რომლებითაც გამოირიცხებოდა განაწილების ლიცენზიანტის შესაძლებლობა – შპს „...ის“ ბუნებრივი გაზის მიწოდების კვანძზე დაემონტაჟებინა საკონტროლო მრიცხველი და შესაბამისი მრიცხველით აღრიცხული მონაცემების საფუძველზე მოეხდინა ბუნებრივი გაზის საფასურის დარიცხვა. მოსარჩელე კომპანიას, სამართლებრივ ნორმებზე მითითებით, არ წარმოუდგენია დასაბუთებული არგუმენტაცია და შესაბამისი მტკიცებულებები, რასაც შეიძლებოდა გამოერიცხა შპს „...ის“ ...-ის ტიპის აღრიცხვის კვანძის მრიცხველის საერთაშორისო სტანდარტებთან თავსებადი მრიცხველით ჩანაცვლება განაწილების ლიცენზიანტის მხრიდან.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს სასამართლოს მხრიდან საქ-

მის გარემოებების გამოკვლევისა და სადავო საკითხის არსებითად გადაწყვეტის შეუძლებლობა. კონკრეტული გარემოებების გამოკვლევა და შეფასება შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას უნდა წარმოადგენდეს. „...საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით მინიჭებულ უფლებამოსილებას სასამართლო იყენებს იმ შემთხვევაში, როცა სასამართლო წესით ვერ ხერხდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და შეფასება. მათი დადგენა მხოლოდ ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილებიდან გამომდინარე ან აღნიშნული საკითხი მის დისკრეციას განეკუთვნება. შესაბამისად, შეუძლებელი ხდება სასამართლოს მიერ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალური კანონიერების შეფასება.“ (სუს 13.12.2018წ. №ბს-681-681(კ-18) გადაწყვეტილება). საკასაციო პალატა არ იზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების დასკვნას, განსახილველი დავის საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე გადაწყვეტის აუცილებლობის თაობაზე. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, საქმეში არსებული მტკიცებულებები საკმარისია იმისათვის, რომ დადასტურდეს მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული სადავო აქტის კანონიერება. ქვედა ინსტანციის სასამართლოებს ჰქონდათ სრული პროცესუალური შესაძლებლობა, თავად გადაეწყვიტათ სადავო საკითხი და არსებითად ემსჯელათ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე. სააპელაციო სასამართლომ სათანადო გარემოებებზე მითითების გარეშე ჩათვალა, რომ მოცემულ შემთხვევაში, მართებულია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენება, თუმცა შესაბამისი ნორმატიული საფუძვლის არსებობის პირობებში არ იმსჯელა განაწილების ლიცენზიატის – შპს „ყ...ის“ (შპს „თ...ის“ წინამორბედის) შესაძლებლობაზე – ავტოგაზგასართ სადგურზე უზრუნველყოს საკონტროლო მრიცხველის დამონტაჟება, იმ შემთხვევაში, როდესაც აღრიცხვის კვანძი არ შეესაბამება საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. ამასთანავე, საქმის მასალები და შესაბამისი სფეროში საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებისათვის უპირატესობის მინიჭების პრინციპი ცხადყოფს, რომ ლიცენზიატის მიერ განსაზღვრული წესით აღრიცხვის კვანძის მოწყობის უკანონოდ მიჩნევა წარმოშობს ლიცენზიატთან ანგარიშსწორების წესისა და პირობების თვითნებურად განსაზღვრის რისკს.

საკასაციო პალატა მოცემული დავისათვის ასევე მნიშვნელოვნად მიიჩნევს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 10 ნოემბრის №ბს-1194(კ-21) განჩინება-

ში ასახულ მსჯელობას, რომელიც უკავშირდება შპს „...სა“ და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას შორის არსებულ დავას, შპს „ყ...ის“ უფლებამონაცვლის – შპს „თ...ისათვის“ შპს „...ის“ საკუთრებაში არსებული ბუნებრივი გაზის აღრიცხვის კვანძის შეცვლის აკრძალვის მოთხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე. საკასაციო პალატამ საქმეში არსებული ექსპერტიზის დასკვნებით დადასტურებულად ჩათვალა „...“ ტიპის გაზის მრიცხველის ზოგადი არასანდოობა პულსირებული ნაკადის წარმოქმნის დროს და გაურკვევლად მიიჩნია მოსარჩელის ინტერესი ძველი, გაუქმებულ სტანდარტზე მომუშავე მრიცხველის შენარჩუნების მიმართ. საკასაციო სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ობიექტზე დამონტაჟებული აღრიცხვის კვანძის სათანადო საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული მრიცხველით შეცვლის გარეშე, განაწილების ლიცენზიატს მოუწევდა ყველა მიმწოდებლის მიმართ ინდივიდუალური მიდგომის გატარება, რაც შექმნიდა ქაოტურ მდგომარეობას და გააჭიანურებდა მოქმედ სტანდარტებთან თავსებადი აღრიცხვის კვანძების ექსპლუატაციაში ჩაშვების პროცესს. „...მრიცხველის შეცვლის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას არსებით, გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს არა კონკრეტულ ობიექტზე მისი გამოყენების შედეგები, ანუ დამონტაჟებული მრიცხველის ამ ობიექტზე აღრიცხვანობის სიზუსტე, არამედ უშუალოდ მითითებული აღრიცხვის კვანძის ზოგადი ვარგისიანობა და სანდოობა. თავად გაზის მრიცხველის მახასიათებლები უნდა იყოს მაქსიმალურად სარწმუნო, რათა მისი ექსპლუატაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შედეგად მოხმარებული ბუნებრივი გაზის ოდენობის აღრიცხვის პროცესში მაქსიმალურად იქნეს დაზღვეული ყველანაირი რისკისა და ლაფსუსის პოტენციურად წარმოშობა. სხვაგვარად, განაწილების ლიცენზიატი ვერ შეძლებდა ყველა ობიექტზე დროულად და ეფექტურად საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი აღრიცხვის კვანძების შეცვლა-დამონტაჟებას, რასაც, ობიექტთა სიმრავლის გათვალისწინებით, უკვე არსებული გაზის მრიცხველების უზუსტობის შემთხვევაში, შესაძლოა, მნიშვნელოვანი ზიანი მიეყენებინა უშუალოდ განაწილების ლიცენზიატისათვის. აღნიშნულის საპირწინედ, არც საქმის მასალებით და არც მოსარჩელის არგუმენტაციით არ იკვეთება შპს „...ისათვის“ გაზის მრიცხველის შეცვლის შედეგად რაიმე ხელშესახები ზიანის მიყენების რისკი ან ამგვარი რისკის წარმოშობის გონივრული საფრთხეები, რაც სასამართლოს სხვაგვარი მსჯელობის საფუძველს მისცემდა..“ (სუს 2022 წლის 10 ნოემბრის №ბს-1194(კ-21) განჩინება).

ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია კანონმდებლობის მოთ-

ხოვნათა დაცვით და არ არსებობს მისი ბათილად ცნობის საფუძველი. შესაბამისად, უსაფუძვლოა სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხისთვის ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების თაობაზე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლების გათვალისწინებით, უნდა გაუქმდეს სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება და მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე, არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. ამავდროულად პირველი ნაწილის შესაბამისად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამდენად, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის პირობებში, შპს „...ის“ მიერ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 100 (ასი) ლარის ოდენობით, უნდა ჩაითვალოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილად. ამასთანავე, შპს „...ს“ უნდა დაეკისროს მოპასუხე საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ სააპელაციო სასამართლოში გადახდილი 150 ლარის და საკასაციო სასამართლოში გადახდილი 300 ლარის (სულ 450 ლარის) ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ე ჯ ი ტ ა :

1. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაცი-

ულ საქმეთა პალატის 2021 წლის 7 ივლისის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. შპს „...ის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

4. შპს „...ის“ მიერ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 100 (ასი) ლარის ოდენობით ჩაითვალოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილად;

5. შპს „...ს“ დაეკისროს მოპასუხე საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში საქმის განხილვისათვის სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 450 (ოთხას ორმოცდაათი) ლარის ანაზღაურება;

6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ელექტროენერგიის მომხმარებლისათვის მიწოდება და მისი სიმძლავრის კონტროლი

გადაწყვეტილება საქართველოს სახალხო

№ბს-178(კ-20)

05 ოქტომბერი, 2023 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: გ. აბუსერიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ბ. სტურუა**

დავის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნაწილობრივ ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

სს „...მა“ 2016 წლის 15 ივნისს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიმართ, 2016 წლის 22 აპრილის №27/10 გადაწყვეტილების ნაწილობრივ (მე-3 პუნქტის ნაწილში) ბათილად ცნობის მოთხოვნით.

სარჩელის მიხედვით, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2016 წლის 22 აპრილის №27/10 გადაწყვეტილების პირველი პუნქტის თანახმად, უსაფუძვლოდ იქნა მიჩნეული სს „...ის“ მიერ შპს „...ზე“ 2016 წლის 29 იანვარს განხორციელებული ტექნიკური პირობით განსაზღვრული სიმძლავრის გაზრდის საფასურის დარიცხვა 5800 ლარის ოდენობით. აღნიშნული პუნქტი არ არის სადავო, თუმცა ამავე გადაწყვეტილების მე-3 პუნქტით სს „...ს“ დაევალა შესაბამისი ტექნიკური საშუალებით (მათ შორის ამომრთველით) აკონტროლოს მომხმარებლის მისაერთებელი სიმძლავრე, ასევე, სიმძლავრის გაზრდის საფასურის დარიცხვამდე მოაწყოს მომხმარებელთან სიმძლავრის კონტროლის საშუალება (ასეთის არარსებობის შემთხვევაში). მოსარჩელე მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილების სადავო პუნქტის მოთხოვნა გარდა იმისა, რომ დაკავშირებულია სს „...ის“ მხრიდან მნიშვნელოვან ხარჯებთან, ასევე აბსოლუტურად კანონშესაბამო და დაუსაბუთებელია, რადგან სემეკი ასაბუთებს მითითებულ გადაწყვეტილებას კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის №20 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების“ მე-2 და 27-ე მუხლებით, სადაც არაფერია ნათქვამი განაწილების ლიცენზიატის მხრიდან ტექნიკური საშუალებით მომხმარებლის მისაერთებელი სიმძლავრის კონტროლზე ან/და მომხმარებელთან სიმძლავრის კონტროლის საშუალების მოწყობაზე; აღნიშნული „წესი“ წარმოადგენს ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს (ძირითად დოკუმენტს, რომლითაც რეგულირდება ურთიერთობა მომხმარებლებსა და განაწილების ლიცენზიატებს შორის), ხოლო კომისიის გადაწყვეტილება არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტი და შესაბამისად, მხარეს (მოცემულ შემთხვევაში განაწილების ლიცენზიატს „...ს“) არ შეიძლება დაეკისროს კომისიის გადაწყვეტილებით ისეთი ვალდებულება, რაც დადგენილი არ არის კომისიის დადგენილებით, მით უმეტეს თუ ეს ვალდებულება შეეხება არა მარტო კონკრეტულ მომხმარებელს, არამედ მომხმარებელთა ფართო წრეს. ამასთან, მომხმარებლებთან სიმძლავრის კონტროლის საშუალებათა მოწყობა დაკავშირებულია სს „...ის“ მხრიდან მნიშვნელოვან ხარჯებთან, კერძოდ, მომხმარებელთა რაოდენობისა და სხვადასხვა სიმძლავრეზე დასაყენებელი ტექნიკური საშუალებების ფასების გათვალისწინებით (აღნიშნული მერყეობს 80-დან 1000 აშშ დოლარამდე) სს „...ის“ მიერ გასანევი ხარჯი (ტექნიკური საშუალებების შესყიდვისა და დაყენების ჩათვლით) შეადგენს 78753960 აშშ დოლარს.

მოსარჩელე აღნიშნავს, რომ ხარჯების ასეთი სახის გაზრდამ, თავის მხრივ, შესაძლებელია გამოიწვიოს ელექტროენერგიის არსებული

ტარიფების გაზრდის მოთხოვნაც განაწილების ლიცენზიატების მხრიდან. ამასთანავე, სიმძლავრის გადაჭარბების შემთხვევაში, კონტროლის საშუალებათა (მათ შორის, ამომრთველების) მეშვეობით ელექტროენერგიის გამორთვისას, შესაძლებელია საფრთხე შეექმნას პირის (მომხმარებელთა) სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან მის ქონებას (მაგ.: საავადმყოფოების ან საწარმოების შემთხვევაში), ასევე სახელმწიფო ობიექტების მუშაობას (მაგ.: საგანგებო სიტუაციების დროს).

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, მოსარჩელე მიიჩნევს, რომ სადავო აქტის მესამე პუნქტით სს „...ს“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის №20 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების“ საწინააღმდეგოდ დაეკისრა შესაბამისი ტექნიკური საშუალებით (მათ შორის, ამომრთველით) აკონტროლოს მომხმარებლის მისაერთებელი სიმძლავრე, ასევე, სიმძლავრის გაზრდის საფასურის დარიცხვამდე მოაწყოს მომხმარებელთან სიმძლავრის კონტროლის საშუალება, თუმცა ამ წესებით დადგენილი შემთხვევების გარდა, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წინასწარი ნებართვის გარეშე იკრძალება მომხმარებელთა ელექტროენერგიით მომარაგების შეწყვეტა, შესაბამისად, მოსარჩელის მოთხოვნაა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2016 წლის 22 აპრილის №27/10 გადაწყვეტილების მე-3 პუნქტის ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 20 ივნისის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საქმეში მესამე პირად ჩაება შპს „...ი“.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 30 მაისის გადაწყვეტილებით სს „...ის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ შპს „...ს“, როგორც აბონენტს, 2010 წლიდან ელექტროენერგია მიეწოდება სს „...ის“ ელექტროენერგიის გამანაწილებელი ქსელიდან და მოხმარებული ელექტროენერგიის აღრიცხვა ხორციელდება ინდივიდუალური მრიცხველით. აბონენტის ბრუნვის ისტორიის მიხედვით, კომპანიას 2016 წლის 29 იანვარს ტექნიკური პირობებით განსაზღვრული სიმძლავრის გადაჭარბებისათვის დაერიცხა 5800 ლარი, თუმცა მას შემდეგ, რაც კომპანიის დირექტორმა მოითხოვა დარიცხვასთან დაკავშირებით განმარტება, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2016 წლის 22 აპრილის №27/10 გადაწვეტილების

ყვეტილებით: 1. უსაფუძვლოდ იქნა მიჩნეული სს „...ის“ მიერ შპს „...ზე“ (აბ. №...) 2016 წლის 29 იანვარს განხორციელებული ტექნიკური პირობით განსაზღვრული სიმძლავრის გაზრდის საფასურის დარიცხვა – 5800 (ხუთი ათას რვაასი) ლარის ოდენობით; 2. სს „...ს“ დაევალა ცვლილების შეტანა №... აბონენტის ბარათზე, დაკორექტირება და 2016 წლის 29 იანვარს, ტექნიკური პირობით განსაზღვრული მისაერთებელი სიმძლავრის გაზრდის საფასურის მოხსნა (5800 ლარის ოდენობით); 3. სს „...ს“ განემარტა, რომ იგი ვალდებულია შესაბამისი ტექნიკური საშუალებით (მათ შორის, ამომრთველით) აკონტროლოს მომხმარებლის მისაერთებელი სიმძლავრე. სიმძლავრის გაზრდის საფასურის დარიცხვამდე მოაწყოს მომხმარებელთან სიმძლავრის კონტროლის საშუალება (ასეთის არარსებობის შემთხვევაში). მომხმარებელს უნდა მიეცეს არჩევანის საშუალება, გადაანაწილოს ელექტროენერგიის სიმძლავრე ან განაცხადით მიმართოს განაწილების ლიცენზიატს სიმძლავრის გაზრდის მოთხოვნით.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტზე, მე-12 მუხლის პირველი პუნქტზე, ასევე „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლსა და 29-ე მუხლზე და განმარტა, რომ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია წარმოადგენს იმ უფლებამოსილებით აღჭურვილ ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელიც ადგენს ელექტროენერგიის მიწოდებისა და მოხმარების სფეროს რეგულაციას და მომხმარებელთა უფლებების დაცვას.

სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მითითება იმ გარემოებაზე, რომ კომისიის მიერ მიღებული გასაჩივრებული გადაწყვეტილება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია და იგი არ იყო უფლებამოსილი მოცემული აქტით მხარისათვის რაიმე ვალდებულება განესაზღვრა, იმ პირობებში, როდესაც კომისიის მიერ მიღებული ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით აღნიშნული ვალდებულება არ არის გათვალისწინებული. აღნიშნულთან დაკავშირებით, სასამართლომ მიუთითა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 6 მარტის №6 დადგენილებით დამტკიცებულ „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დებულების“ მე-3 მუხლის „კ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, კომისია უფლებამოსილია ოფიციალურად განმარტოს მის მიერ მიღებული სამართლებრივი აქტები. ხოლო „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნ-

ქტის თანახმად, კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში იღებს ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს – დადგენილებას. შესაბამისად, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის №20 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების“ საფუძველზე, რომელიც წარმოადგენს კომისიის მიერ მიღებულ სამართლებრივ აქტს, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განაწილების ლიცენზიატის მქონე პირის მიმართ განმარტებულ იქნა, თუ როგორ უნდა განხორციელდეს კონტროლი მომხმარებლის მისაერთებელ სიმძლავრეზე. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ კომისია უფლებამოსილი იყო მხარისათვის განემარტა სადავო საკითხი მის მიერ 2008 წლის 18 სექტემბერს მიღებული №20 დადგენილების შესაბამისად.

საქალაქო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა მოსარჩელე მხარის წარმომადგენლის განმარტება იმასთან დაკავშირებით, რომ სიმძლავრის გადაჭარბებაზე კონტროლის დაწესების მიზნით მომხმარებელთან შესაბამისი ტექნიკური საშუალებების დაყენებამ, ამომრთველების მეშვეობით ელექტროენერგიის გამორთვამ, შესაძლებელია საფრთხე შეუქმნას პირის (მომხმარებელთა) სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან მის ქონებას, იმის გათვალისწინებით, რომ ტექნიკური პირობის განსაზღვრა მნიშვნელოვანია, უპირველეს ყოვლისა, მომხმარებელთა ინტერესებიდან გამომდინარე, მათი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ვინაიდან მომხმარებლის მიერ მის მიმართ დადგენილი მოსახმარი სიმძლავრის გადაჭარბების შემთხვევაში, შესაძლოა ზიანი მიადგეს არა მხოლოდ მას, არამედ გამანაწილებელ ქსელს და მასზე დამაგრებულ ყველა მომხმარებელს. აღნიშნულთან დაკავშირებით, სასამართლომ გაიზიარა მოპასუხის განმარტება, რომ სიმძლავრის გაზრდის შემთხვევაში მომხმარებელმა, რომელმაც შეიძლება ვერ გააკონტროლოს დანადგარების სიმძლავრე თითოეული კილოვატის მიხედვით, უნებურად, ყოველგვარი განზრახვის გარეშე, შესაძლოა გაზარდოს სიმძლავრე, აღნიშნული კი ქმნის საშიშროებას, რომ მოხდეს ქსელში ავარია. ამასთან, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ თუკი განაწილების ლიცენზიატის მხრიდან არ განხორციელდება შესაბამისი კონტროლი მომხმარებლის მიმართ, შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს სიმძლავრის თვითნებურად გადაჭარბებას, რაც განაწილების ლიცენზიატის მხრიდან იქნება მომხმარებლის მიმართ დადგენილი სიმძლავრის გაზრდაზე უპირობო დაშვება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 30 მაისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 29 მაისის განჩინებით სს „...ის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 30 მაისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნები საქმის სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად შეაფასა საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებები და აღნიშნა, რომ აპელანტმა ვერ წარმოადგინა ისეთი არგუმენტები, რომლებზე დაყრდნობითაც შესაძლებელი იქნებოდა საქმეზე დადგენილი ფაქტების სხვაგვარი სამართლებრივი შეფასება.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მითითება სადავო აქტის ნორმატიულ ბუნებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სადავო გადაწყვეტილება წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელიც გამოცემულია კონკრეტულ მომხმარებელთან დაკავშირებით, ამავდროულად მომხმარებლის მიერ წარდგენილი საჩივრის საფუძველზე და შესაბამისად, საკითხის მოწესრიგებას ახდენს კონკრეტულ პირთან და კონკრეტულ შემთხვევასთან მიმართებით. რაც შეეხება სადავო პუნქტს, იგი არ წარმოადგენს საკითხის მომწესრიგებელ ზოგად წესს, არ ადგენს კონკრეტულ ვალდებულებას, არ ავალებს მოსარჩელეს ყველა მომხმარებელთან დააყენოს ამომრთველი და არ განსაზღვრავს პასუხისმგებლობას მოცემული წესის შეუსრულებლობისთვის. პალატამ მიიჩნია, რომ მოცემული პუნქტი არის მხოლოდ განმარტება/რეკომენდაცია ნორმატიულად გათვალისწინებული ვალდებულების ჯეროვანი შესრულებისა, რომ მოხდეს სიმძლავრის კონტროლი. ასეთი კონტროლის განხორციელების ერთ-ერთ საშუალებად კი სემეკი ამომრთველების დაყენებას მიიჩნევს. ამავდროულად, მოცემული აქტი არ უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ მოსარჩელეს ყველა მომხმარებელთან ამომრთველის დაყენება დაევალა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 29 მაისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სს „...მა“.

კასატორის განმარტებით, როგორც პირველი, ისე სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებმა არასათანადოდ გამოიკვლიეს და შეაფასეს საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებები და მოსარჩელე მხარის (აპელანტის) განმარტებანი და ასევე არასწორად განმარტეს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის №20 დადგენილების მთელი რიგი მუხლები; კერძოდ, კომისია სადავო გადაწყვეტილებას, რომლი-

თაც სს „...ს“ დაევალა შესაბამისი ტექნიკური საშუალებით (მათ შორის ამომრთველით) აკონტროლოს მომხმარებლის მისაერთებელი სიმძლავრე, ასევე, სიმძლავრის გაზრდის საფასურის დარიცხვამდე მოაწყოს მომხმარებელთან სიმძლავრის კონტროლის საშუალება (ასეთის არარსებობის შემთხვევაში), ასაბუთებს №20 დადგენილების მე-2 და 27-ე მუხლებით, სადაც არაფერია ნათქვამი განაწილების ლიცენზიატის მხრიდან ტექნიკური საშუალებით მომხმარებლის მისაერთებელი სიმძლავრის კონტროლზე ან/და მომხმარებელთან სიმძლავრის კონტროლის საშუალების მოწყობაზე და შესაბამისად, არც რაიმე იძულების მექანიზმი, რომ მომხმარებელმა, საჭიროების შემთხვევაში, სიმძლავრის გაზრდის მოთხოვნის განაცხადით მიმართოს სს „...ს“, ნორმატიულად დადგენილი არ არის. ზემოაღნიშნულის მიუხედავად, როგორც საქალაქო, ისე სააპელაციო ინსტანციის სასამართლოები მიუთითებენ 2014 წლის 6 მარტის №6 დადგენილებით დამტკიცებულ „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დებულების“ მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, კომისია უფლებამოსილია ოფიციალურად განმარტოს მის მიერ მიღებული სამართლებრივი აქტები და მიიჩნევენ, რომ სადავო აქტის მე-3 პუნქტით კომისიამ განმარტა №20 დადგენილების მე-2 და 27-ე მუხლები. ამასთან, საქალაქო სასამართლო განმარტავს რა განაწილების ლიცენზიატის მხრიდან ტექნიკური პირობის განსაზღვრის აუცილებლობას, მიაჩნია, რომ თუ არ განხორციელდება შესაბამისი კონტროლი მომხმარებლის მიმართ, შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს სიმძლავრის თვითნებურად გადაჭარბებას, რაც განაწილების ლიცენზიატის მხრიდან იქნება მომხმარებლის მიმართ დადგენილი სიმძლავრის გაზრდაზე უპირობო დაშვება, ხოლო სააპელაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოპასუხის მიერ სადავო აქტის მე-3 პუნქტში გაკეთებული მითითება მიზნად ისახავს სწორედ მოცემულ ნორმათა განმარტებას და წარმოადგენს რეკომენდაციას ლიცენზიატის მიერ ნაკისრი ვალდებულების ჯეროვანი შესრულებისათვის. ზემოთ მითითებული შეფასებებიდან იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს სს „...ი“ არასათანადოდ განსაზღვრავს ტექნიკურ პირობას და საერთოდ არ აყენებს ამომრთველებს და ამის თაობაზე საჭირო გახდა კომისიის მხრიდან მე-2 და 27-ე მუხლების დამატებითი განმარტება, რაც არ შეესაბამება სიმართლეს. სს „...ის“ მხრიდან როგორც ტექნიკური პირობის განსაზღვრა, ისე აღრიცხვის კვანძის მოწყობა შესაბამისი დანადგარებით, მათ შორის, ამომრთველებით, ხდება საქართველოში მოქმედი ტექნიკური რეგლამენტებისა და სტანდარტების შესაბამისად. კერძოდ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 18 თებერვლის №1-1/251 ბრძანებით დამტკიცებულია საქართველოს ტერიტორიაზე ტექნი-

კური ზედამხედველობისა და სამშენებლო სფეროში 1992 წლამდე მოქმედი ნორმების, წესების და ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტების ჩამონათვალი, რომლებიც გამოიყენება საქართველოს ტერიტორიაზე ტექნიკური ზედამხედველობისა და სამშენებლო სფეროში. სადავო აქტის მე-3 პუნქტის საფუძველზე, სს „...ის“ მიერ ზემოაღნიშნული წესებისა და ტექნიკური მოთხოვნების დაცვის მიუხედავად, კომისიამ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების მარეგულირებელი ნორმების დარღვევით, სადავო პუნქტით დაადგინა საკითხის მომწესრიგებელი ზოგადი წესი, რომლითაც განაწილების ლიცენზიატს დაევა არა მარტო ახალი ტიპის ამომრთველების დაყენება, ვინაიდან შესაბამისი აღრიცხვის სისტემის არსებობის გარეშე ამომრთველი თვითონ ვერ მოახდენს რეაგირებას სიმძლავრის გადაჭარბებაზე, არამედ დღეისათვის არსებული და მოქმედი ტექნიკური რეგლამენტებითა და სტანდარტებით გათვალისწინებული აღრიცხვის სისტემის (კვანძების), მათ შორის მრიცხველების შეცვლა ისეთი ახალი სახის ე.წ. ჭკვიანი აღრიცხვის სისტემით, რომელიც შესაბამისი პაკეტით განსაზღვრული სიმძლავრის (მაგ.: 1-10 კვტ, 10-დან-30 კვტ, ან 30-50 კვტ და ა.შ. რაც მოცემულია №20 დადგენილების №4 დანართში) გადაჭარბების შემთხვევაში თვითონ გამორთავს მომხმარებელს ქსელიდან (აღნიშნული ახალი ტიპის აღრიცხვის სისტემაში, კერძოდ, მრიცხველში შეყვანილი პროგრამის მიხედვით, მაგალითად, სიმძლავრის ნახევარსაათიანი ან ერთსაათიანი ან სხვ. გადაჭარბების შემდეგ ხდება იმპულსის გადაცემა ამომრთველზე და აბონენტის ქსელიდან გამორთვა).

კასატორის განმარტებით, სადავო აქტის მე-3 პუნქტით დადგენილი ვალდებულების შესრულება და შესაბამისად, მისი დანერგვა მოითხოვს სისტემის სრულ გადაიარაღებას და დაახლოებით 530 000 აბონენტის პირობებში დაკავშირებულია მრავალმილიონიან ხარჯებთან. ამასთან, №20 დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ამ წესებით დადგენილი პირობები სავალდებულოა ყველა იმ პირისათვის, რომელიც ახორციელებს ელექტროენერგიის წარმოებას, განაწილებას, გატარებას ან/და მოხმარებას. ამ წესებთან შეუსაბამო ვალდებულებების დაკისრება აკრძალულია, ხოლო მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღნიშნულის მიუხედავად, ადმინისტრაციულმა ორგანომ, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, საქმეზე წარმოდგენილი ვერც ერთი მტკიცებულების ან/და ნორმატიულ აქტის საფუძველზე ვერ დაადასტურა, სადავო გადაწყვეტილების მე-3 პუნქტით მის მიერ დადგენილი მისაერთებელი სიმძლავრის კონტროლის

საშუალებების საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებთან შესაბამისობა.

კასატორის მოსაზრებით, კომისია მნიშვნელოვნად გასცდა №20 დადგენილების მე-2 და 27-ე მუხლების განმარტების ფარგლებს და ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში დაადგინა სადავო საკითხის მომწესრიგებელი ზოგადი წესი, რომელიც შინაარსობრივად საერთოდ არ შეესაბამება აღნიშნულ მუხლებს, ამასთან „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის თანახმად, დაუშვებელია ნორმატიული შინაარსის სამართლებრივი აქტის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სახით მიღება და ინდივიდუალური შინაარსის სამართლებრივი აქტის ნორმატიული აქტის სახით მიღება. საქმეზე წარმოდგენილი სხდომის ოქმის თანახმად, ადგილი ჰქონდა არა მე-2 და 27-ე მუხლების განმარტებას, არამედ სხდომაზე ამომრთველების დაყენებასთან დაკავშირებული მოსაზრების ხელოვნურად მისადაგება-დაკავშირებას აღნიშნულ მუხლებთან და ახალი ნორმატიული მნიშვნელობის დანაწესის შემოღებას, რაც ნათლად ჩანს 2016 წლის 22 აპრილის №28 სხდომის ოქმიდან, სადაც კომისიის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ ასეთი პრეცედენტი ჯერ არ ჰქონიათ და პირველად განიხილავენ ამგვარ საკითხს. მთლიანობაში სხდომის ოქმიდან ცხადია, რომ ნორმატიული შინაარსის საკითხის განხილვა მოხდა შპს „...ს“ საჩივრის განხილვის დროს და გადაწყვეტილება მე-3 პუნქტთან დაკავშირებით მიღებულია ნაქარევად. ამასთან, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ზეპირი მოსმენა უნდა გამართულიყო შპს „...სა“ და სს „...ს“ შორის არსებულ დავაზე და არ ისახავდა მიზნად ამომრთველებთან დაკავშირებული საკითხის განხილვას, განაწილების ლიცენზიატს არ მისცემია შესაძლებლობა წინასწარ მოემზადებინა და წარედგინა თავისი მოსაზრება ახალი ტიპის აქტის განმარტებას და მისი შესრულების რეკომენდაციასაც, და თუ ეს ასეა, მაშინ სრულიად გაუგებარია ნორმატიული აქტის განმარტება, რომელსაც ამავე აქტიალრიცხვის სისტემების (ამომრთველების) მეშვეობით მისაერთებელი სიმძლავრის კონტროლის თაობაზე, რაც გათვალისწინებულია როგორც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13 მუხლით, ასევე, სემეკის 2003 წლის 7 აგვისტოს №12 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ ადმინისტრაციული წარმოების განხორციელების დებულების“ 61-ე მუხლის მე-4 პუნქტით.

კასატორი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო პალატის შეფასებით, მოცემული პუნქტი არის მხოლოდ განმარტება/რეკომენდაცია ნორმატიულად გათვალისწინებული ვალდე-

ბულების ჯეროვანი შესრულებისა, რომ მოხდეს სიმძლავრის კონტროლი. სადავო აქტი საკითხის მოწესრიგებას ახდენს კონკრეტულ პირთან და არ ავალებს მოსარჩელეს ყველა მომხმარებელთან დააყენოს ამომრთველი, ამასთანავე, განსაზღვრავს პასუხისმგებლობას მოცემული წესის შეუსრულებლობისათვის. აღნიშნული შეფასება, კასატორის მოსაზრებით წინააღმდეგობრივია და არ ავალებს მოსარჩელეს ყველა მომხმარებელთან ამომრთველის დაყენებას და ასევე არ განსაზღვრავს პასუხისმგებლობას მოცემული წესის შეუსრულებლობისათვის.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 24 თებერვლის განჩინებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სს „...ს“ საკასაციო საჩივარი დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 07 ივნისის განჩინებით, სს „...ს“ საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი და მიღებულ იქნა ზეპირი მოსმენის გარეშე არსებითად განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სს „...ს“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 29 მაისის განჩინება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება სს „...ს“ სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სადავო პერიოდში მოქმედი „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონი (ძალადაკარგულია საქართველოს 12/20/2019 №5646 კანონით) აწესრიგებდა ინდივიდუალური მენარმეების, ფიზიკური და იურიდიული პირების საქმიანობას და ურთიერთობებს წყალმომარაგების, ელექტროენერგეტიკული სისტემის მართვის, ელექტროენერგიით (სიმძლავრით) საბითუმო ვაჭრობის, ელექტროენერგიის წარმოების, გადაცემის, დისპეტჩერიზაციისა და განაწილების, ელექტროენერგიის საბითუმო მიმწოდებლის მიერ ელექტროენერგიის მიწოდების, იმპორტის, ექსპორტისა და მოხმარების, აგრეთვე ბუნებრივი გაზის მიწოდების, იმპორტის, ექსპორტის, ტრანსპორტირების, განაწილებისა და მოხმარების სფეროებში და უზრუნველყოფდა საქართველოს წყალმომარაგების, ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის დარგების ფუნქცი-

ონირებასა და განვითარებას საბაზრო ეკონომიკის პრინციპების შესაბამისად. ამავე კანონის მე-4 მუხლის მიხედვით განსაზღვრული იყო საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის სტატუსი და ფუნქციები, მათ შორის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, კომისიის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას წარმოადგენდა ელექტროენერგიის წარმოების, გადაცემის, დისპეტჩერიზაციის, განაწილების, გატარების, იმპორტისა და მოხმარების, ბაზრის ოპერატორის მომსახურების, აგრეთვე გარანტირებული სიმძლავრის საფასურისა და გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერგიის წარმოების ტარიფის დადგენა და რეგულირება, გარდა ავტოგაზგასამართ სადგურებში რეალიზებული ბუნებრივი გაზის ტარიფებისა, ამ კანონის, საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების, მათ საფუძველზე მიღებული ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებისა და დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად; დასახელებული კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის მიხედვით კი, კომისია საკანონმდებლო აქტით განსაზღვრულ შემთხვევებში და თავისი კომპეტენციის ფარგლებში იღებდა ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს – დადგენილებას „მიწოდებისა და მოხმარების წესების“ თაობაზე. აღნიშნული მოწესრიგების მსგავსად, დღეს მოქმედი „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, კომისია ახორციელებს ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორების საქმიანობის რეგულირებას და ზედამხედველობას, როგორც „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული, ამ სექტორების მარეგულირებელი ერთადერთი ორგანო.

ამრიგად, ელექტროენერგიის მომხმარებლისთვის მიწოდებისას შესაბამის რეგულაციებს ნორმატიული აქტით ადგენს კომისია. განსახილველ საქმეზე სადავოა სწორედ, ელექტროენერგიის მომხმარებლისთვის მიწოდებისა და მისი სიმძლავრის კონტროლის თაობაზე სს „...ის“ მიმართ კომისიის 2016 წლის 22 აპრილის №27/10 გადაწყვეტილების მე-3 პუნქტის ჩანაწერის კანონიერება, შესაბამისად, უნდა შეფასდეს აღნიშნული ჩანაწერი გამომდინარეობს თუ არა საკითხის მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმებიდან.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სადავო პერიოდში მოქმედი საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის №20 დადგენილებით (ძალადაკარგულია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 13 აგვის-

ტოს №47 დადგენილებით) დამტკიცებული „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების“ პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, აღნიშნული ნორმატიული აქტი არეგულირებადა ურთიერთობებს, ერთი მხრივ, განაწილების ლიცენზიატს, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურსა და, მეორე მხრივ, მომხმარებელს შორის ელექტროენერგიის ყიდვის, გაყიდვის, განაწილების, გატარების ან/და მოხმარების დროს. ამავე წესების მე-2 მუხლის პირველი პუნქტით, განსაზღვრული იყო ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიატის ვალდებულება, უზრუნველყოს მომხმარებლის შესაბამისი პარამეტრების ელექტროენერგიით უსაფრთხო, უწყვეტი და საიმედო მომარაგება კანონმდებლობის, ლიცენზიის პირობების, ამ წესებისა და მისი შესაბამისი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად. მე-3 პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების მიხედვით, დაუყოვნებლივ მოახდინოს სათანადო რეაგირება და შეწყვიტოს ელექტროენერგიით მომარაგება, თუ საფრთხე ემუქრება პირის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან მის ქონებას; ადგილი აქვს ტექნიკური ნორმებისა და უსაფრთხოების წესების მოთხოვნების დარღვევას. ამასთან, დარღვევის სიმძიმიდან გამომდინარე, მომხმარებელს შეიძლება განესაზღვროს გონივრული ვადა დარღვევის გამოსასწორებლად; დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ გაცემულია სათანადო დავალება ელექტროენერგიით მომარაგების შეზღუდვის ან შეწყვეტის შესახებ.

რაც შეეხება კანონმდებლობისა და ამ წესებში მოცემული ნორმების დაცვით, მომხმარებლის ელექტროენერგიით მომარაგების შეწყვეტის უფლებამოსილებას, აღნიშნულის უფლებამოსილების გამოყენების შემთხვევებს ადგენდა ზემოაღნიშნული მუხლის მე-4 პუნქტი და ასეთად მოიაზრებოდა შემთხვევები თუ: მომხმარებლის მიერ გადახდილი არ იქნებოდა მოხმარებული ელექტროენერგიის ან/და გამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების, სიმძლავრის გაზრდის, დარიცხული დეპოზიტის ან/და ამ წესებით გათვალისწინებული სხვა სახის საფასური; მომხმარებლის მიერ ირღვეოდა გამანაწილებელ ქსელზე მიერთების ტექნიკურ პირობაში მოცემული მოთხოვნები; მომხმარებელი არ ასრულებდა ამ ან/და კომისიის სხვა წესებით დადგენილ პირობებს ან/და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ იმ ვალდებულებებს, რომლებიც, კანონმდებლობის შესაბამისად, ითვალისწინებს ელექტროენერგიით მომარაგების შეწყვეტას; ასევე თუ საჭირო იყო გეგმური ან ავარიული სარემონტო სამუშაოების ჩატარება.

საკასაციო პალატა ასევე მიუთითებს „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების“ მე-6 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის მიხედვითაც, განაწილების ლიცენზიატი ვალდებული იყო მომხმარებლის მიერ ელექტროენერგიის მოხმარება აღერიცხა

ინდივიდუალურად (გარდა ამ წესებით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევისა), ამ მიზნით მოეწყო აღრიცხვის კვანძი, შესაბამისად, შეეძინა, დაემონტაჟებინა და შეეკეთებინა აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში სხვადასხვა სახის მოწყობილობები, ელექტროდანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავდნენ მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის №20 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების“ 27-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, მომხმარებელი ვალდებული იყო განაწილების ლიცენზიატისათვის წინასწარ ეცნობებინა მის მიერ გამანაწილებელ ქსელზე მისაერთებელი სიმძლავრის გაზრდის შესახებ. ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, თუ 0,4 კვ (380/220ვ) და 6/10 კვ ძაბვის მომხმარებელი ელექტროენერგიის ფაქტობრივი მოხმარების სიმძლავრეს გაზრდის ტექნიკური პირობით გათვალისწინებულ მისაერთებელ სიმძლავრეზე მეტით ისე, რომ საჭიროა მიერთების ტექნიკური პირობის შეცვლა, ასეთ შემთხვევაში განაწილების ლიცენზიატის მიერ უნდა მოხდეს ახალი ტექნიკური პირობის გაცემა და ამ მომხმარებლის ელექტრომომარაგების სისტემის მოწყობა (სრული ტექნოლოგიური ციკლით უზრუნველყოფა) ახალი ტექნიკური პირობის მოთხოვნების შესაბამისად.

მნიშვნელოვანია, რომ ზემოაღნიშნული სამართლებრივი ნორმები დეტალურად აწესრიგებდა განაწილების ლიცენზიატის, ასევე, მომხმარებლის როგორც უფლება-მოვალეობებს, ასევე იმ ტექნიკურ ღონისძიებებს, რომლის განხორციელებაც ელექტროენერგიის მიწოდების უსაფრთხოების დაცვის მიზნით, შესაბამისი საჭიროების შემთხვევაში, მათ შორის, მომხმარებლის მიერ სიმძლავრის თვითნებურად გადაჭარბებისას, ევალებოდა ლიცენზიატს.

აღსანიშნავია, რომ „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ კანონითა და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 6 მარტის №6 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დებულების“ შესაბამისად, კერძოსამართლებრივ ურთიერთობაში მხარეთა შეუთანხმებლობისას და დავის წარმოშობისას, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის როლი შემოიფარგლება ენერგორესურსებით სარგებლობისთვის ნორმატიულად დადგენილი პირობებისა და მისივე დადგენილებით განსაზღვრული

„ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების“ შესრულებაზე მონიტორინგისა და ზედამხედველობის განხორციელებით, რა დროსაც კომისია მოქმედებს მისთვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში.

მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალების მიხედვით დადგენილია, რომ შპს „...“, რომელსაც 2010 წლიდან ელექტროენერგია მიეწოდება სს „...ის“ ელექტროენერგიის გამანაწილებელი ქსელიდან და მოხმარებული ელექტროენერგიის აღრიცხვა ხორციელდება ინდივიდუალური მრიცხველით, აბონენტის ბრუნვის ისტორიის საფუძველზე, 2016 წლის 29 იანვარს, ტექნიკური პირობებით განსაზღვრული სიმძლავრის გადაჭარბების მოტივით, აბონენტის ბარათზე დაერიცხა 5800 ლარი, რაც საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2016 წლის 22 აპრილის №27/10 გადაწყვეტილებით კომისიამ უსაფუძვლოდ მიიჩნია და განაწილების ლიცენზიატს დაავალა შესაბამისი ცვლილების შეტანა №... აბონენტის ბარათზე. ამავე გადაწყვეტილების მე-3 პუნქტით კი, სს „...ს“ განემარტა, რომ იგი ვალდებულია შესაბამისი ტექნიკური საშუალებით (მათ შორის, ამომრთველით) აკონტროლოს მომხმარებლის მისაერთებელი სიმძლავრე. სიმძლავრის გაზრდის საფასურის დარიცხვამდე მოაწყოს მომხმარებელთან სიმძლავრის კონტროლის საშუალება (ასეთის არარსებობის შემთხვევაში). მომხმარებელს უნდა მიეცეს არჩევანის საშუალება, გადაანაწილოს ელექტროენერგიის სიმძლავრე ან განაცხადით მიმართოს განაწილების ლიცენზიატს სიმძლავრის გაზრდის მოთხოვნით.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ როგორც ადმინისტრაციული ორგანო, ისე ქვედა ინსტანციის სასამართლო სადავო ჩანაწერის არსებობას უკავშირებს კომისიის უფლებამოსილებას ნორმატიული აქტის ცალკეული ნორმების განმარტების შესახებ, ასევე მიიჩნევს, რომ აღნიშნული ჩანაწერი ატარებს არა იმპერატიულ, არამედ სარეკომენდაციო ხასიათს და საკითხის მოწესრიგებას ახდენს არა განვრცობით, არამედ კონკრეტულ პირთან და კონკრეტულ შემთხვევასთან მიმართებით.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, აღნიშნული განმარტება არ გამოდინარეობს საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან. როგორც უკვე აღინიშნა, შპს „...ს“ სს „...ის“ მიერ მოწყობილი კვანძის საშუალებით ელექტროენერგია მიეწოდება ჯერ კიდევ 2010 წლიდან, რასთან დაკავშირებით საქმეში არ არის წარმოდგენილი მტკიცებულებები აღრიცხვის კვანძის ტექნიკურ პირობებთან თუ მოქმედ საკანონმდებლო რეგულაციასთან შეუსაბამობის შესახებ. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის

2008 წლის 18 სექტემბრის №20 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების“ მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება, ასევე განაწილების ლიცენზიატს შეეძლოს, ამ წესების შესაბამისად, დაუბრკოლებლად განახორციელოს სხვა სახის სამუშაოები. შესაბამისად საკასაციო პალატისთვის გაურკვეველია, სს „...ის“ მიერ შპს „...ის“ სასარგებლოდ მოწყობილი კვანძის საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებთან შეუსაბამობის დადგენის გარეშე, კომისიის მიერ სადავო აქტის (მე-3 პუნქტი) მიღების აუცილებლობა. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (მე-3 პუნქტი) შინაარსიდან გამომდინარე, შეუძლებელია იმის იდენტიფიცირება, კომისია ელექტროენერგიის მიწოდებისა და აღრიცხვის კვანძის გაუმართაობაზე (საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებთან შეუსაბამობა) უთითებს, თუ დადგენილი წესით მოწყობილი კვანძის გამართულად მუშაობის უზრუნველსაყოფად ახალ ვალდებულებას აკისრებს მხარეს. საგულისხმოა, რომ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 6 მარტის №6 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დებულების“ მე-3 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, მართალია, კომისია უფლებამოსილია ოფიციალურად განმარტოს მის მიერ მიღებული სამართლებრივი აქტები, თუმცა მოცემულ შემთხვევაში გაურკვეველი და დაუდგენელია, კონკრეტულად რომელი სამართლებრივი აქტისა თუ ნორმის განმარტებას ახდენს ადმინისტრაციული ორგანო ზემოხსენებული პუნქტით და რა საჭიროების საფუძველზე. ამდენად, ზემოაღნიშნული გარემოებების გარკვევის გარეშე, შეუძლებელია იმის გადწყვეტა, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2016 წლის 22 აპრილის №27/10 გადაწყვეტილების სადავო ჩანაწერი შეეხება ნორმატიული აქტის კონკრეტული ნორმის განმარტებას თუ ახალ ვალდებულებას უდგენს მხარეს. შესაბამისად, მოპასუხის აპელირება იმის თაობაზე, რომ აღნიშნული პუნქტი თავის თავში მოიცავს რეკომენდაციას/განმარტებას, არარელევანტური და უსაფუძვლოა.

საკასაციო პალატა დამატებით კიდევ ერთხელ მიუთითებს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2016 წლის 22 აპრილის №27/10 გადაწყვეტილების საეზოლუციო ნაწილის მესამე პუნქტის შინაარსზე, რაც სიტყვათა თან-

მიმდევრობის ტიპოლოგიის გათვალისწინებით იმპერატიულ ხასიათს ატარებს და მოსარჩელეს ავალდებულებს შესაბამისი ტექნიკური საშუალებით (მათ შორის, ამომრთველით) აკონტროლოს მომხმარებლის მისაერთებელი სიმძლავრე. გარდა ამისა, უნესებს დავალებული ქმედებების განხორციელების კონკრეტულ დროს, კერძოდ, სიმძლავრის გაზრდის საფასურის დარიცხვამდე მომხმარებელთან სიმძლავრის კონტროლის საშუალების მოწყობის ვალდებულებას; საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 92¹ მუხლის თანახმად კი, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობა იწვევს შესაბამისი სუბიექტის დაჯარიმებას 5000 ლარის ოდენობით.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულია სასამართლოს შესაძლებლობა, შეცილებით სარჩელთან დაკავშირებით მიიღოს გადაწყვეტილება სადავო საკითხის გადაწყვეტლად გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის ბათილად ცნობისა და მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოსთვის ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების თაობაზე, მაშინ, როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, ხოლო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისთვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი, რა გარემოებაც მოცემულ შემთხვევაში სახეზეა. „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4. მუხლით მინიჭებული უფლებამოსილება სასამართლომ უნდა გამოიყენოს იმ ვითარებაში, როცა სასამართლო წესით ვერ ხერხდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და შეფასება. შესაბამისად, შეუძლებელი ხდება სადავო ადმინისტრაციული აქტის მატერიალური კანონიერების შეფასება“ (სუსგ №ბს-1285-1229(2კ-09), 20.04.2010 წ.). „სას.კ-ის 32.4 მუხლით მინიჭებულ უფლებამოსილებას სასამართლო იყენებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ადმინისტრაციულ ორგანოს არ გამოუკვლევიან საკითხის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე რაიმე ფაქტობრივი გარემოება და სასამართლო წარმოების ფარგლებში ვერ ხერხდება სადავო ფაქტობრივი გარემოებების დადგენა ან მისი დადგენა მნიშვნელოვან სირთულეებთან არის დაკავშირებული“ (სუსგ №ბს-210-209(კ-16), 18.12.2017 წ.).

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ადმინისტრაციული წარმოების მიზანი კანონიერი გადაწყვეტილების მიღებაა, რომლის უზრუნ-

ველსაყოფად იგი ორ მნიშვნელოვან საფეხურს შეიცავს, კერძოდ: 1. საქმის ირგვლივ ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევას, დადგენასა და შეფასებას; 2. დადგენილი ფაქტების სამართლებრივ კვალიფიკაციას. ადმინისტრაციული წარმოების სპეციფიკურობა ხასიათდება იმით, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ, დაინტერესებულ პირს უნდა გაუჩინოს გადასაწყვეტი საკითხის სრულყოფილად გამოკვლევისა და შეფასების განცდა, უნდა გამოიციხოს არაკვალიფიციური გადაწყვეტილების მიღება და ამასთან დაასაბუთოს კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობა საჯარო და კერძო ინტერესის დაბალანსების, განონასწორების თვალსაზრისით. არგუმენტირებული და დასაბუთებული გადაწყვეტილება კანონიერი გადაწყვეტილების მიღების წინაპირობას წარმოადგენს. დასაბუთებაში კი უნდა მიეთითოს ყველა იმ გარემოებაზე, რომლის შესაბამისადაც მიღებულ იქნა ეს გადაწყვეტილება.

კონკრეტულ შემთხვევაში, ადმინისტრაციულმა ორგანომ, ამ გადაწყვეტილებაში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების დადგენის შემდეგ, ხელახლა უნდა იმსჯელოს 2016 წლის 22 აპრილის №27/10 გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მესამე პუნქტით გათვალისწინებული საკითხის ამ შინაარსით მიღების საჭიროებასა და მიზანშეწონილობაზე, ასევე, ამჟამად მოქმედ ნორმატიულ წესრიგთან მის შესაბამისობაზე. საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ მხარისათვის ცხადი უნდა იყოს, რა მოტივით იქნა მიღებული სადავო საკითხზე კონკრეტული გადაწყვეტილება, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

ამრიგად, ვინაიდან საქმის მასალებით ვერ დგინდება საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ 2016 წლის 22 აპრილის №27/10 გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მესამე პუნქტით გათვალისწინებული საკითხის გადასაწყვეტად აუცილებელი ფაქტობრივი გარემოებები, საკასაციო პალატა, სადავო საკითხის სპეციფიკურობის გათვალისწინებით მიიჩნევს, რომ სახეზეა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენების წინაპირობები, შესაბამისად, არსებობს გასაჩივრებულ ნაწილში ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნობის საფუძველი.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემული იყო საქმის გარემოებების სათანადო გამოკვლევის გარეშე, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია აანაზღაუროს პროცესის ხარჯები მის სასარგებლოდ გადაწყვე-

ტილების გამოტანის შემთხვევაშიც.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების შესაბამისად კი, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, იგი შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

ვინაიდან, მოცემულ საქმეზე საკასაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული განჩინების გაუქმებით მიღებულია ახალი გადაწყვეტილება სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ და სს „...ს“ საქალაქო, სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში გადახდილი აქვს სახელმწიფო ბაჟი – ჯამში 550 ლარის ოდენობით, მისი გადახდა უნდა დაეკისროს მოპასუხეს – საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, მე-10 მუხლის მე-2 ნაწილით, 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. სს „...ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 29 მაისის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. სს „...ის“ სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2016 წლის 22 აპრილის №27/10 გადაწყვეტილების მე-3 პუნქტი და მოპასუხეს დაევალოს ამ ნაწილში საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, გამოსცეს ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;

5. მოპასუხეს – საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას სს „...ის“ სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სარჩელზე, სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – $(100+150+300)$ 550 ლარის ანაზღაურება;

6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
www.supremecourt.ge